

სსიპ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?!

სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2008

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოლოგიის დეპარტამენტისა და სსიპ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებების მიერ 2007 წლის 28-30 ივნისს თბილისში მოწყობილი კონფერენციის: **“ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?!”** მოხსენებათა კრებული განკუთვნილია ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის და ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები:

ისტ. მეცნ, დოქტორი ნ. მინდაძე

ისტ. მეცნ. დოქტორი ქ. ხუციშვილი

რეცენზენტები:

ისტ. მეცნ. დოქტორი მ. ხიდაშელი

ისტ. მეცნ. დოქტორი ე. ნადირაძე

გრიფი მინიჭებულია სსიპ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (ოქმი №4 2008 წლის 17 აპრილი)

© ანთროპოლოგია, კრებული, 2008

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2008

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-345-0

რედაქტორებისბან

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის დეპარტამენტისა და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებების მიერ თბილისში 2007წ. 28-30 ივნისს ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის “ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?!” მოხსენებათა კრებულს.

კონფერენციის მოწივების აუცილებლობა განაპირობა დარგის ირგვლივ შექმნილმა მდგომარეობამ. დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ანთროპოლოგია მიიჩნევა ჰუმანიტარულ მეცნიერებად, რომელიც ადამიანს შეისწავლის სოციალური, კულტურული და ფიზიკური განზომილებების მიხედვით, ხოლო კვლევის უმნიშვნელოვანეს ელემენტად ეთნოლოგიური მიდგომები წარმოგვიდგება. ამავე დროს არსებობს ანთროპოლოგიის გაგების განსხვავებული ტრადიციები (მაგალითად, ფრანგული სკოლა ანთროპოლოგიას სოციოლოგიის ქვედარგად აღიარებს, ანგლოსაქსონური ტრადიციით იგი ოთხი დარგისაგან შემდგარი პოლიდისციპლინური მეცნიერებაა და სხვ.). განსხვავებული მიდგომა იყო ჩამოყალიბებული საბჭოთა სივრცეში, სადაც ტერმინით – ანთროპოლოგია მხოლოდ ფიზიკური ანთროპოლოგია აღინიშნებოდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში გაფართოვდა მისი მნიშვნელობა. მაგრამ არსებობს, როგორც ტერმინოლოგიური, ასევე მეთოდოლოგიური ხასიათის სირთულეები და გაუგებრობები. კონფერენციის მიზანი იყო სპეციალისტებს ემსჯელათ ანთროპოლოგიის არსზე, თანამედროვე ეტაპზე მეცნიერების სისტემატიზაციის სხვადასხვა მიდგომებზე, ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის კავშირსა და შემკვიდრუბითობაზე, ანთროპოლოგიური დისციპლინების განვითარებისა და სწავლების პერსპექტივებზე. საკითხის მნიშვნელობას ზრდის ქართულ სამეცნიერო და სასწავლო სივრცეში არსებული ვითარება, როდესაც ხშირია ტერმინოლოგიური გაურკვეველობის თუ თარგმანის პრობლემების შე-

დეგად გაჩენილი პარადელიზში. კონფერენციის მსვლელობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა გარდა მონაწილეობა მიიღეს ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის, ბათუმის რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა. დისკუსიები მწვავედ და საინტერესოდ წარიმართა, რაც ვფიქრობთ აისახა კიდევ წარმოდგენილ კრებულში. რიგ შემთხვევებში სტატიების ავტორთა თვალსაზრისი ერთმანეთის საპირისპიროა. მიგვაჩნია, რომ მათი დაბეჭდვა საშუალებას მისცემს მკითხველს თავად შეაფასოს არგუმენტთა მართებულობა და დასკვნათა საფუძვლიანობა. ვფიქრობთ, კრებული საინტერესო იქნება დაინტერესებული საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ახლა იწყებენ მეცნიერების საფუძვლების ათვისებას და მეცნიერებათა სისტემებში გარკვევას.

ისტ. მეცნ. დოქტორი ნინო მინდაძე

ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ქეთევან ხუციშვილი

**კულტურული ანთროპოლოგია
(ამერიკული ტრადიცია)**

ზოგადი განსაზღვრებით ანთროპოლოგია, რომელიც ბერძნული სიტყვებისგან *antropos* (ადამიანი) და *logos* (გონება, ცოდნა) შედგება, გულისხმობს მეცნიერებას ადამიანის წარმომავლობასა და ევოლუციაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ანთროპოლოგია ჰუმანიტარული მეცნიერებაა ადამიანის შესახებ მის ყველა გამოვლინებაში. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ანთროპოლოგია ბიოლოგიურ მეცნიერებად იყო წარმოდგენილი, რომელიც ადამიანისა და ადამიანური რასების წარმომავლობას, ფიზიკურ ორგანიზაციასა და ევოლუციას შეისწავლიდა.

კულტურული ანთროპოლოგია ამერიკულ ტრადიციაში ანთროპოლოგიის (მრავალდარგიანი დისციპლინის) განშტოებაა; ზოგადად იგი მეცნიერებაა კაცობრიობაზე და ამერიკულ უნივერსიტეტებში იგი ოთხი (ან ზოგან ხუთი) დარგით არის წარმოდგენილი. ეს განშტოებებია: კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია (ან სოციო-კულტურული ანთროპოლოგია), ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა, არქეოლოგია, ფიზიკური ან (იგივე ბიოლოგიური) ანთროპოლოგია და გამოყენებითი (ანუ იგივე პრაქტიკული ანთროპოლოგია)(1).

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ხალხის აღწერილობები ჯერ კიდევ ჰეროდოტესთან გვხვდება, ანთროპოლოგია, როგორც მეცნიერება შედარებით ახალ დარგად ითვლება. იგი ჩაისახა XIX საუკუნის დასაბოლოებასა და XX საუკუნის დასაწყისში ეთნოლოგიის ბაზაზე და ითვლება, რომ იყო ერთგვარი რეაქცია ევროპულ კოლონიალიზმზე.

სხვა სოციალური მეცნიერებებისგან განსხვავებით ანთროპოლოგიის სფერო უფრო ფართოა. მას აინტერესებს ადამიანები დედამიწის ყველა კუთხეში, მათი თანამედროვე და უძველესი ყოფა, ადამიანთა უშუალო წინაპრებიდან დღევანდელ ადამიანამდე, აინტერესებს ცვლილებები დრო-

ში და სხვ.

ანთროპოლოგები ეძებენ პასუხებს მრავალფეროვან და ულევ კითხვებზე. მაგ.: როდის, სად და რატომ განდნენ ადამიანები დედამიწაზე? როგორ და რატომ იცვლებიან ისინი დროში? როგორ და რატომ განსხვავდება ადამიანური პოპულაცია გარკვეული ფიზიკური ნიშნებით? ანთროპოლოგებს, ასევე აინტერესებთ თუ როგორ და რატომ განსხვავდებიან ძველი და თანამედროვე საზოგადოებები აზროვნების სტილითა და ქცევით.

ანთროპოლოგიას მსოფლიო-ისტორიული ინტერესების გარდა, გააჩნია სხვა მეცნიერებებისგან მკვეთრად განმასხვავებელი ნიშანი – პოლიზმი ანუ ყოვლისმომცველობა, რაც გულისხმობს მრავალმხრივ მიდგომას ადამიანების მიმართ. ანთროპოლოგები სწავლობენ არა მარტო ადამიანთა მრავალფეროვნებას, არამედ ადამიანური გამოცდილების მრავალ ასპექტსაც, ანუ პოლიზმი გულისხმობს მრავალმხრივ მიდგომას ადამიანის შესწავლაში და ყველა ფაქტორის გათვალისწინებას, რომელსაც ზეგავლენა აქვს ადამიანის აზროვნებასა და ქცევაზე. მაგ.: ადამიანთა ჯგუფის ან საზოგადოების აღწერისას ანთროპოლოგს შეუძლია განიხილოს: შესასწავლი ადგილის ისტორია, ფიზიკური გარემო, ოჯახური ცხოვრების ორგანიზაცია, ენის ზოგადი ნიშნები, ჯგუფის დასახლების მოდელი, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, რელიგია, ხელოვნების სტილი, სამოსი. ყველა ეს დამახასიათებელი თავისებურება შეიძლება აღიწეროს ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად, მაგრამ ანთროპოლოგთა უმრავლესობა ცდილობს გაიგოს და ახსნას ფიზიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს შორის არსებული კავშირები.

წარსულში ანთროპოლოგები ინდივიდუალურად ცდილობდნენ ყოფილიყვნენ პოლისტები და მოეცვათ მრავალი საგანი. დღეისთვის, ისევე, როგორც სხვა მრავალ დისციპლინაში, იმდენი ინფორმაცია დაგროვდა, რომ ანთროპოლოგებშიც შეიმჩნევა ტენდენცია ყურადღება მიაპყრონ ერთ თემას ან ერთ რომელიმე რეგიონს. შესაბამისად, ზოგი ანთროპოლოგი ჩვენი პრეისტორიული წინაპრის ფიზიკურ მახასიათებლებს იკვლევს, ზოგი გარემოს ბიო-

ლოგიურ ეფექტს სწავლობს ადამიანთა მოსახლეობაზე. სხვები ყურადღებას ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მრავალფეროვან წეს-ჩვეულებებზე ამახვილებენ. სპეციალიზაციის მიუხედავად, ანთროპოლოგიის დისციპლინა ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ ჰოლისტურ ორიენტაციას იმ თვალსაზრისით, რომ ერთად არსებული მრავალი განსხვავებული სპეციალობა შესაძლებლობას იძლევა ახსნას წარსულისა და აწმყოს მრავალი ასპექტი.

ამგვარად, ანთროპოლოგების ინტერესების სფეროში შედის ადამიანთა ჯგუფის ან საზოგადოების ტიპური მახასიათებლები და საუკუნეების მანძილზე მათი ვარირების მიზეზები.

ანთროპოლოგიის ცალკეული დარგები სხვადასხვა სფეროზე ფოკუსირდება: სხვადასხვა დარგის ანთროპოლოგი საზოგადოების სხვადასხვა ტიპურ თავისებურებაზე კონცენტრირდება და ამახვილებს ყურადღებას. ზოგი მათგანი პოპულაციის ბიოლოგიურ ან ფიზიკურ მახასიათებლებს იკვლევს; სხვები კულტურულ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, არსებობს ანთროპოლოგიის საგნის 2 ფართო კლასიფიკაცია: ბიოლოგიური (ფიზიკური) ანთროპოლოგია და კულტურული ანთროპოლოგია. კულტურული ანთროპოლოგია სამ მთავარ ქვედარგად იყოფა: არქეოლოგიად, ლინგვისტიკად და ეთნოლოგიად (ზოგჯერ ამ დარგს კულტურული ანთროპოლოგიის სახელითაც მოიხსენიებენ). ამ ოთხი დარგის განივი ჭრილი იძლევა გამოყენებით ან პრაქტიკულ ანთროპოლოგიას.

ბიოლოგიური იგივე ფიზიკური ანთროპოლოგია იკვლევს საკითხთა ორ გამოკვეთილ წრეს: პირველი კომპლექტი მოიცავს კითხვებს ადამიანთა გაჩენასა და მათ განვითარებაზე. ინტერესთა ამ წრეს, (ადამიანთა) პალეონტოლოგია ეწოდება. საკითხთა მეორე წრე ეხება ადამიანთა პოპულაციების ბიოლოგიური სხვაობების შესწავლას (მას ადამიანთა ვარიაციულობა ეწოდება).

ადამიანის ევოლუციის რეკონსტრუქციისთვის პალეონტოლოგები სწავლობენ მიწაში ჩამარხულ გაქვავებულ ნამარხებს ან ანაბეჭდებს, რომლებიც ადამიანებს ან მათ წინაპრებს ეკუთვნოდა. პალეონტოლოგებმა აღმოსავლეთ

აფრიკაში აღმოაჩინეს ადამიანის მსგავსი არსებების ნამარხი, რომლებიც 3 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ. ამ აღმოჩენის მიხედვით შესაძლებელი გახდა სავარაუდო დათარიღება, თუ როდის უნდა დაეწყოთ ჩვენს წინაპრებს (ორ ფეხზე) გამართული სიარული და სხვ.

პალეონტოლოგები კვლევაში იყენებენ გეოლოგიურ ინფორმაციასაც კლიმატური მონაცვლეობის, გარემოს, მცენარეებისა და ცხოველური პოპულაციების შესახებ. უფრო მეტიც, პალეონტოლოგების ინტერესთა სფეროში, ასევე, შედის ძუძუმწოვართა შორის უახლოესი ნათესავების ქცევა და ევოლუცია. მაგ.: მაიმუნების, ადამიანის მსგავსი მაიმუნების, რომლებიც, ასევე, პრიმატების ჯგუფში შედიან. ანთროპოლოგებს, ფსიქოლოგებს და ბიოლოგებს, რომლებიც სპეციალიზდებიან პრიმატების კვლევაში პრიმატოლოგები ეწოდებათ.

ბიოლოგიური ანთროპოლოგიის კვლევის მეორე მთავარი სფერო არის ადამიანთა ვარიაციულობის შესწავლა. გამოკვლევა იმისა, თუ როგორ და რატომ განსხვავდება თანამედროვე პოპულაცია ბიოლოგიური ან ფიზიკური ნიშნებით. ყველა ცოცხალი (დღეს არსებული) ხალხი ერთ სახეობას *Homo sapiens*-ს მიეკუთვნება, რადგან ყველა წარმატებულად ჯვარდება. და მაინც, ადამიანთა პოპულაციები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მკვლევარები, რომლებიც ადამიანურ ვარიაციას იკვლევენ სვამენ ამგვარ კითხვებს: რატომ არის ზოგი ხალხი უფრო მაღალი, ვიდრე სხვა? როგორ ეგუებიან ადამიანები გარემო პირობებს? ყველა ხალხი ერთნაირად არჩევს ფერებს? მაგ: ესკიმოსები უფრო უკეთ უძლებენ ყინვას ვიდრე სხვები, მუქი კანის პიგმენტაცია კი უკეთ იცავს ტროპიკული მზისგან და სხვ. ბიოლოგიური ანთროპოლოგები იყენებენ სულ მცირე სამ სხვა დისციპლინას: ადამიანთა გენეტიკას, ბიოლოგიას (გარემო ეფექტების კვლევა და მისი ზემოქმედება მოსახლეობის თავისებურებებზე) და ეპიდემიოლოგიას (თუ როგორ და რატომ ავადდება სხვადასხვა პოპულაცია განსხვავებულად) და სხვ.

კულტურული ანთროპოლოგიის საგანია კულტურული უნივერსალები და ვარიაციები წარსულსა და

აწმყოში. მაგრამ რა არის კულტურა? ანთროპოლოგიისთვის კულტურა გარკვეული პოპულაციის ან საზოგადოების აზროვნების ჩვეულებრივ წესსა და ქცევას ეხება. უფრო მეტიც, ის ადამიანის თანმდევი თვისებაა.

სოციალური ჯგუფის კულტურა მოიცავს – მის ენას, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, საკვების არჩევანს, მუსიკას, მუშაობის ჩვევებს, გენდერულ როლებს, ბავშვის აღზრდას, სახლების მშენებლობას და მრავალნასწავლ ქცევასა და იდეას, რომელიც ფართოდ გაზიარებული ან ჩვეულებრივია ჯგუფისთვის. კულტურული ანთროპოლოგიის სამ მთავარ განშტოებას წარმოადგენს: 1. არქეოლოგია (ანუ გარდასულ კულტურათა კვლევა, უპირატესად მათი მატერიალური ნაშთის მეშვეობით) 2. ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა (ანუ ენების ანთროპოლოგიური კვლევა) და 3. ეთნოლოგია (არსებული ანუ თანამედროვე კულტურების კვლევა) რომელიც კულტურული ანთროპოლოგიის სახელწოდებითაც მოიხსენიება.

არქეოლოგია წარსულში მცხოვრები ხალხის არა მარტო ყოფასა და წეს-ჩვეულებებს შეისწავლის და ცდილობს მის რეკონსტრუქციას, არამედ კულტურულ ცვლილებებსაც იკვლევს. იგივე ისტორიკოსისთვისაც არის დამახასიათებელი, მაგრამ არქეოლოგი დროის სიღრმეში მიდის. ისტორიკოსები მხოლოდ იმ საზოგადოებებს ეხებიან, რომლებმაც წერილობითი წყაროები დატოვეს და ამიტომ იფარგლებიან კაცობრიობის ისტორიის მხოლოდ ბოლო 5 ათასი წლით. ადამიანთა საზოგადოებები კი არსებობდნენ მილიონზე მეტი წლის წინათ და მხოლოდ მცირე ნაწილს გააჩნდა ბოლო 5000 წლის მანძილზე დამწერლობა. ყველა იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც დამწერლობა არ გააჩნდა, არქეოლოგია თავის თავზე ისტორიის ფუნქციას იღებს.

არქეოლოგთა უმრავლესობის ინტერესების სფეროს პრეისტორია წარმოადგენს დამწერლობამდე-ღი, ისტორიამდე-ღი დრო. მაგრამ თვითონ არქეოლოგიაში, როგორც დარგში არის სპეციალობა, რომელსაც ისტორიულ არქეოლოგიას უწოდებენ, რომელიც უფრო მოგვიანო ხანის პერიოდის (დამწერლობის მქონე) ხალხებს სწავლობს.

ეს სპეციალობა, ძველი საზოგადოებების კვლევისას გულისხმობს როგორც არქეოლოგიური, ისე ისტორიული მეთოდების გამოყენებას, რადგან მასში ორგვარი: არქეოლოგიური და ისტორიული ინფორმაციაა.

ხალხის ყოფის ცვლილების გასაგებად დროში, არქეოლოგები ველზე აგროვებენ მასალას. განათხარი მასალა მათ საფუძველს აძლევს დასვან სხვადასხვა საკითხი; სად, როდის და რატომ განვითარდა ადამიანისთვის დამახასიათებელი ისეთი თავისებურება, როგორც იარაღის კეთებაა? სად, როდის და რატომ წარმოიშვა მიწათმოქმედება პირველად? სად, როდის და როგორ დაიწყო ადამიანებმა პირველად ცხოვრება ქალაქებში?

არქეოლოგები განათხარი მასალის გარდა იყენებენ სხვა დისციპლინების ტექნიკასა და აღმოჩენებს. ადრინდელი იარაღების საბუთების მოსაპოვებლად არქეოლოგები იყენებენ გეოლოგიასაც, რომელიც მათ კარნახობს თუ სად არის ადრინდელი ადამიანის დასახლების აღმოჩენა შესაძლებელი ეროზიისა და მიწაყრილების მიხედვით. დათარიღებისას არქეოლოგები განათხარ მასალას ამუშავებენ იმ პროცესით, რომელიც პირველად ქიმიამ განავითარა. ხოლო იმის გასაგებად თუ როდის აღმოცენდა პირველი ქალაქები არქეოლოგმა შეიძლება ისტორიკოსების, გეოგრაფების და სხვა ინფორმაცია გამოიყენონ. გარდა ამისა, ისინი ძალიან ხშირად იყენებენ ახალი ან ახლო წარსულის ინფორმაციას შორეული წარსულის გასაგებად.

ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა – კულტურული ანთროპოლოგიის კიდევ ერთი განშტოებაა. ლინგვისტიკა უფრო ძველი დისციპლინაა, ვიდრე ანთროპოლოგია, მაგრამ ადრინდელი ენათმეცნიერება უფრო იმ ენებზე იყო კონცენტრირებული, რომლებსაც დამწერლობა გააჩნდათ.

ანთროპოლოგმა ლინგვისტებმა სავსე საშუალო ისეთ ადგილებში დაიწყეს, სადაც ანთროპოლოგები ვერ იხელმძღვანელებდნენ ლექსიკონით ან გრამატიკის სახელმძღვანელოთი, რომლებიც დაეხმარებოდნენ მათ ამ ენის შესწავლაში. ამის სანაცვლოდ, მათ თვითონ უნდა შეედგინათ ლექსიკონი და გრამატიკის სახელმძღვანელო,

შემდეგ კი შეესწავლათ ენის სტრუქტურა და ისტორია.

სხვა ანთროპოლოგების მსგავსად, ლინგვისტებიც სწავლობენ ცვლილებებს დროში. ზოგი ანთროპოლოგი ლინგვისტი დაკავებულია ენის წარმოშობისა და დივერგენციის (დაცილების) საკითხებით 100 წლის მანძილზე. ენის ცვლილებსა და კავშირებს დროში ისტორიული ლინგვისტიკა შეისწავლის. ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა, ასევე, დაინტერესებულია თუ როგორ განსხვავდებიან თანამედროვე ენები ერთმანეთისგან, განსაკუთრებით თავისი წყობით (კონსტრუქციით). ლინგვისტიკის ეს სფერო, ჩვეულებრივ, ცნობილია როგორც დესკრიფციული ან სტრუქტურული ლინგვისტიკა. ხოლო დისციპლინა, რომელიც სწავლობს ენის ფუქციონირებას, გამოყენებას სოციალურ კონტექსტში, სოციოლინგვისტიკას უწოდებენ და სხვ.

ეთნოლოგების ინტერესების სფეროა დღეს და უახლოეს წარსულში სხვადასხვა ხალხის ჩვეულებრივი აზროვნება და ქმედება თუ როგორ და რატომ განსხვავდება ერთმანეთისგან. ეთნოლოგიას დღეს ამერიკაში (და არა მარტო ამერიკაში) ჩვეულებრივ კულტურულ ანთროპოლოგიას უწოდებენ – იგი შეისწავლის იმგვარ აზროვნებისა და ქცევის მოდელებს, როგორცაა საქორწინო წეს-ჩვეულებები, ნათესაური სისტემა, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, რელიგია, ხალხური ხელოვნება და მუსიკა და სხვ. თუ როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან ამ მოდელებით თანამედროვე საზოგადოებები. ეთნოლოგები იკვლევენ კულტურის დინამიკას – ანუ თუ როგორ ვითარდება და იცვლება სხვადასხვა კულტურა დროში. გარდა ამისა, მათი ინტერესების სფეროში შემოდის ერთი კულტურის შიგნით როგორი მიმართებაა რწენა-წარმოდგენებსა და პრაქტიკას შორის. ამგვარად, ეთნოლოგების მიზანი გარკვეულწილად იგივეა, რაც არქეოლოგებისა, მაგრამ ეს უკანასკნელნი უპირატესად პრეისტორიით იფარგლებიან.

კულტურული ანთროპოლოგები თანამედროვეობისა და წარსული კულტურების სოციალურად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს აღწერენ და აანალიზებენ. ეთნოლოგიის

ანუ კულტურული ანთროპოლოგიის ქვედისციპლინა – ეთნოგრაფია.

კვლავ ამერიკული კლასიფიკაციით, კულტურულ ანთროპოლოგებს, რომელნიც სპეციალიზდებიან რომელიმე საზოგადოების წეს-ჩვეულებათა აღწერაში, ეძახიან ეთნოგრაფებს. მათ მიერ ადამიანთა ყოფის მოდელების აღწერას ეთნოგრაფია ეწოდება.

ამგვარად, სხვა სიტყვებით, ეთნოგრაფია ერთი რომელიმე “ხალხის პორტრეტი”, ერთი რომელიმე კერძო კულტურის წეს-ჩვეულებათა, რწმენა-წარმოდგენების და ქცევის წერილობითი აღწერილობაა, რომელიც ველზე შეკრებილ ინფორმაციას ეყრდნობა.

რაც შეეხება ეთნოლოგიას, იგი კონკრეტული თემის ან პრობლემის კვლევაა ორ ან მეტ კულტურაში, რომელიც ამ მიზნისთვის შედარებით პერსპექტივას იყენებს. ეთნოგრაფია წარმოადგენს ერთი გარკვეული საზოგადოების ან კულტურის დეტალებისა და სპეციფიკის კვლევას, ეთნოლოგია *შედარებითი* კვლევაა წეს-ჩვეულებებისა და რწმენა – წარმოდგენებისა, რომელიც ცდილობს განავითაროს თეორიები კულტურათა შორის მსგავსება-სხვაობაზე.

როგორც ამერიკელი მეცნიერები თვლიან, კულტურულ ანთროპოლოგიას თავისი სპეციალური მიზანი აქვს განსახორციელებელი: მან უნდა აჩვენოს თუ როგორ ქმნის ერთიან მთელს ადამიანის ყოფის შემადგენელი თითოეული ნაწილი, იქნება ეს ენა, პოლიტიკა, ოჯახური ცხოვრება, თუ რელიგია.

გარკვეულწილად, სხვა სოციალური და ბიჰევიორისტული მეცნიერებები ცალკეულ ფორმებს იკვლევს იზოლირებულად, კულტურული ანთროპოლოგიის ინტერესი კი მიმართულია იქითკენ დაადგინოს თუ რა მიმართებებშია ეს ფორმები ადამიანთა ცხოვრების (ყოფის) უფრო ფართო კონტექსტში.

კულტურის ცვლილების შესწავლას დროში ეთნოისტორიკოსები აწარმოებენ.

ეთნოგრაფისა და ეთნოისტორიკოსის მიერ შეგროვებული და გაანალიზებული მასალა შეიძლება გამოიყენოს მესამე ტიპის ეთნოლოგმა – კროს-კულტურულმა მკვლევ-

ვარმა. კროს-კულტურული მკვლევარი დაინტერესებულია კულტურულ თავისებურებათა ზოგადი მოდელებით: თუ რა არის უნივერსალური და რა არის ცვლადი. მაგ.: რატომ არის მეტი გენდერული უთანასწორობა ერთ საზოგადოებაში, ვიდრე მეორეში? თუ როგორ არის ოჯახური ძალადობა/სისასტიკე დაკავშირებული აგრესიასთან, ყოფის სხვა სფეროებთან? რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს არაპროგნოზირებად გარემოში ცხოვრებას? ამგვარ კითხვებზე პასუხის გასაცემად, ამ მიმართებების ასახსნელად კროს-კულტურული მკვლევარი იყენებს კულტურათა მოდელების მასალას. კროს-კულტურული კვლევის შედეგები არქეოლოგებისთვისაც სასარგებლოა თუ ისინი აღმოაჩენენ კულტურული ვარიაციის ინდიკატორებს (მასალას). და სხვ.

ანთროპოლოგთა ნაწილი ფუნდამენტურ კვლევებს აწარმოებს და სამეცნიერო ცენტრებში მუშაობს, ხოლო მეორე ნაწილი პრაქტიკოსი ანთროპოლოგები არიან მაგ.: თუ მკვლევარი აღმოაჩენს, რომ საზოგადოებები, რომელშიც საბრძოლო სახის სპორტია განვითარებული, მიდრეკილნი არიან ომების წარმოებისკენ, ამ დასკვნამ შეიძლება მკვლევარი მიიყვანოს ახალ დასკვნამდე, კერძოდ, რომ ერთი სახის აგრესიას მიმართება აქვს მეორე სახის აგრესიასთან. მიღებულმა ცოდნამ შეიძლება გარკვეული სოციალური პრობლემა აღმოაჩინოს და მაშინ ფუნდამენტური კვლევა დაგვეხმარება პრაქტიკული პრობლემის გადაჭრაში.

გამოყენებითი ან პრაქტიკული ანთროპოლოგიის მეშვეობით ოთხივე დარგის ანთროპოლოგიური ცოდნა ცხოვრების ნებისმიერ ან ყველა სფეროში შეიძლება იქნას გამოყენებული. ამ ტიპის ანთროპოლოგები შედიან სამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, სამედიცინო სკოლებში, იურიდიულ ოფისებში, საზოგადოების განვითარების სააგენტოებში, საქველმოქმედო ფონდებში და სხვ.

ამგვარად ანთროპოლოგია თავის თავში ატარებს, როგორც ჰუმანიტარულ ასევე სოციალური მეცნიერების თვისებებსაც. ანთროპოლოგიის ჰუმანიტარული ასპექტი

მომდინარეობს სურვილიდან გავეცნოთ და გავიგოთ სხვა კულტურები (ან გავეუგოთ სხვა კულტურებს). ჰუმანიტარული ორიენტაციის ანთროპოლოგები კულტურას მთარგმნელებივით უდგებიან და ცდილობენ ერთი კულტურის სიმბოლოები გასაგები გახდეს სხვა კულტურის სიმბოლოებით. მეცნიერული მიდგომა გულისხმობს უფრო მიზეზ-შედეგობრივ ახსნა-განმარტებებს, თუ როგორ განავითარეს ცალკეულმა კულტურებმა გამორჩეული თვისებები, ან რატომ შეიძლება იყოს ზოგიერთი ფაქტი უნივერსალური მნიშვნელობის, და რატომ მახვილდება ყურადღება კულტურის როლზე ადამიანის გარემოსთან ადაპტირების კვლევისას და სხვ.

ანთროპოლოგიის ეს დუალისტური თვისება: გაიგოს და შეაფასოს სხვა კულტურები, როგორც მნიშვნელობის მქონე სისტემები და მეცნიერული მცდელობა ახსნას კულტურები, როგორც (მექანიკური) სისტემები ვლინდება სხვადასხვანაირად. მაგ.: ეთნოგრაფები განასხვავებენ ემიკურ (emic) და ეთიკურ (etic) ახსნებს. ეს პირველად განასხვავა ქენეტ ფაიქმა (1954) (2). კულტურის ემიკური ანალიზი დაწერილია გარეთ მყოფისთვის (“აუთსაიდერისთვის”) და იძლევა კულტურის იმგვარ პორტრეტსა და მნიშვნელობას, როგორც ეს შიგნით მყოფს (“ინსაიდერს”) ესმის. როგორც ვორდ გუდინაფმა შენიშნა, კულტურის ემიკური მოდელის ადეკვატურობა შეიძლება 2 გზით შემოწმდეს: ეს არ უნდა იყოს ძალადობა ადგილობრივის გრძნობებზე და მან უნდა აუხსნას აუთსაიდერს თუ რა ცოდნით არის შესაძლებელი ლაპარაკი ადგილობრივ კულტურაზე. ეთიკური ანალიზი ქმნის კულტურის მოდელს კროს-კულტურული კატეგორიებით ე.ი. ანთროპოლოგების აღმოჩენილი ზოგადი კატეგორიებით, რომელიც გამოსადეგია ყველა კულტურის აღსაწერად. ეს კი თავის მხრივ, ხელს უწყობს შედარებას კულტურებს შორის და უნივერსალური პრინციპების აღმოჩენას კულტურების სტრუქტურასა და ფუნქციებში.

როგორც კლიფორდ გირცი (3) აღნიშნავს, “ანთროპოლოგიის მიზანია ჰუმანიტარული დისკურსის სფეროს გაფართოება” (1973). სხვისი ყოფის ძიებისას ანთროპო-

ლოგებს, როგორც ზემოთ ითქვა, მთარგმნელებს ადარებენ. თალმუდისტმა მეცნიერმა იაკობ ნოიზნერმა (4) აღწერა ანთროპოლოგის როლი როგორც მთარგმნელისა, რომელიც ინსაიდერის შეხედულებებს აზრიანს ხდის აუთსაიდერისთვის. ჰუმანიტარული პრობლემაა თუ როგორ გავიგოთ სხვა კულტურები. აღნიშნული მიდგომა ჟან პოლ დიუმონ-მაც თარგმანს დაუკავშირა: ინტერპრეტაცია შეიძლება ეხებოდეს სამ საკმაოდ განსხვავებულ საკითხს: ზეპრ-სიტყვიერ ჩამონათვალს, აზრიან ახსნას და თარგმანს სხვა ენიდან. სამივე შემთხვევაში უცხო, უცნაური, გამოკვეთილი დროსა და სივრცეში ხდება ნაცნობი, აწმყო და გასაგები:... იგი ითარგმნება (1978) (5).

კულტურის ინტერპრეტაცია შეიძლება მოიცავდეს კულტურის სიმბოლიზმის, ენისა და იდეოლოგიის მოდელის კვლევას, რომელიც ლიტერატურული ინტერპრეტაციის ან ხელოვნების კრიტიკის ანალოგიურია. ანთროპოლოგები, რომლებიც სპეციალიზდებიან რელიგიის, ხელოვნების, ფოლკლორის და მათი ზემოქმედების შესწავლაზე კულტურაში ხშირად იხრებიან მისი ჰუმანიტარული ნაწილისკენ. შესაბამისად, კულტურულ ანთროპოლოგიაში მახვილი კეთდება იმგვარ კვლევებზე, როგორცაა სტრუქტურალიზმი, ინტერპრეტაციული ანთროპოლოგია და ჰერმენევტული ანთროპოლოგია.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ინტერპრეტაციული მიდგომაა სტრუქტურალიზმი, ანთროპოლოგიური ანალიზის განშტოება, რომელიც ფრანგი ანთროპოლოგის კლოდ ლევი-სტროსის სახელს უკავშირდება. სტრუქტურალიზმის მიხედვით, კულტურების გარეგნული მრავალფეროვნების მიღმა ერთფეროვნება ძევს, რომელიც ადამიანის გონების ტენდენციების ამსახველია იფიქროს, იაზროვნოს კონტრასტებითა და ოპოზიციებით ისეთით როგორცაა შავი/თეთრი., ქალი/კაცი და სხვ. და მეორე მხრივ გადაწყვეტოს დილემები, რომლებიც საპირისპირო იდეებით წარმოიშვება (6). ამ მიმართულების მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელია მერი დუგლასი (7).

ინტერპრეტაციული ანთროპოლოგია – ცდილობს ახსნას თუ როგორ არის აზრობრივად დაკავშირებული

კულტურის ყველა ელემენტი თავის ორიგინალურ კონტექსტთან. ინტერპრეტაციული ანთროპოლოგიის წარმომადგენლები არ ეხებიან იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც ადამიანთა კულტურას მართავენ. ამის სანაცვლოდ, ისინი განიხილავენ ყოველ კულტურას, როგორც აზრების გამოკვეთილ კონფიგურაციას, რომელიც საკუთარი ტერმინებით უნდა იქნას გაგებული. ამ მიდგომის ცნობილი წარმომადგენელია კლიფორდ გირცი (4).

პერმენვეტული ანთროპოლოგია: (პოლ რიკური) ხაზს უსვამს სხვების გაგების როლს საკუთარი თავის შესაცნობად. რიკურის იდეები ინკორპორირებულ იქნა ანთროპოლოგიურ პროცესში პოლ რაბინოვის მეშვეობით, რომელიც ეხებოდა ორმხრივ მცდელობას ერთმანეთისთვის გაგოთ საველე მუშაკსა და მის ინფორმანტს, რაც გამოვლინდა შემდგომ, როგორც “საველე მუშაობის დიალექტიკა” (1977) (8).

პოსტ-მოდერნისტული ანთროპოლოგია: რამდენადაც მსოფლიო კულტურები ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენს, ტრადიციული ანთროპოლოგიის წარმომადგენელთა მზერამ გადაინაცვლა იზოლირებული “ეგზოტიკური” კულტურებიდან, რომლებიც დღეს აღარც კი არსებობენ, თანამედროვე, არადასავლურ, მესამე მსოფლიოს ტრადიციებზე. იზრდება ინტერესი ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიმართ. პოსტმოდერნისტული ანთროპოლოგია ამტკიცებს, რომ ყოველი კულტურა უნდა აისახოს, როგორც “ღია (open-ended), შემოქმედებითი დიალოგი სუბკულტურებს, ინსაიდერებსა და აუთსაიდერებს, და სხვა ჯგუფებს შორის” (ჯ. კლიფორდი, 1983) (9) კულტურის ჰომოგენური სისტემის უარყოფით, პოსტმოდერნიზმი უარყოფს ნებისმიერი ანთროპოლოგიური ინტერპრეტაციის ავტორიტეტულობას. ამის სანაცვლოდ, პოსტმოდერნისტები იკვლევენ მნიშვნელობათა ნაირფეროვნებას ყოფაში და ხაზს უსვამენ კულტურული მნიშვნელობების გამოკვლევას, რომელიც ანთროპოლოგებსა და საზოგადოების ადგილობრივ წევრთა შორის დიალოგს წარმოშობს, რაც თავის მხრივ მნიშვნელობათა სიმრავლესა და აზრთა ნაირფერობას იწვევს, რითაც აღიარებს, რომ “ყოველთვის შესაძლებელია აღ-

ტერნატიული ინტერპრეტაცია” (მარკუსი, 1986) (10).

ევროპელმა ფილოსოფოსებმა და ინტელექტუალებმა, როგორებიც იყვნენ ჟაკ ლაკანი (1967), მიშელ ფუკო (1977), ჟაკ დერიდა (1976) და პიერ ბურდიო (1977) ზეგავლენა მოახდინეს პოსტმოდერნისტულ ანთროპოლოგიაზე. დღეისთვის ამ მიმართულების ყველაზე გავლენიანი ანთროპოლოგები არიან: ჯეიმს კლიფორდი, ჯორჯ მარკუსი და მიშელ ფიშერი (11).

იმის ნაცვლად, რომ მკითხველისთვის მიეცათ კულტურის აღწერა ან სრული ახსნა, პოსტმოდერნისტული ეთნოგრაფია იძლევა კულტურის სურათს, რომელიც ღიაა, გაურკვეველი და ცვლადია” (მარკუსი და კუშმენი, 1982) (12).

ტიპური პოსტმოდერნისტული ეთნოგრაფია ემყარება *დიალოგის მოდელს*. აქვე შემოდის პოლიფონიის კონცეპტი, სხვადასხვა ხმის და შეხედულების აღსაწერად ყოველ ჯგუფში, რომელიც ქმნის კულტურის დინამიკურ ბუნებას.

ეთნოლოგია ან კოგნიტური (შემეცნებითი) ანთროპოლოგია სისტემურად აღწერს კულტურას ინფორმანტების მიერ მოცემული აღწერილობით და მიმართავს ლინგვისტური კატეგორიებით ანალიზს.

ამგვარად, ჩვენი მიზანი იყო პოსტ-საბჭოთა პერიოდის ქართველი სტუდენტებისთვის მიგვეწოდებინა კულტურული ანთროპოლოგიის, როგორც დარგის, ამერიკული ხედვა, გვეჩვენებინა, თუ როგორ ისწავლება და განისაზღვრება ის ამერიკულ უნივერსიტეტებში.

მიზნებიდან გამომდინარე, ნაჩვენები იყო, რომ კულტურული ანთროპოლოგია (რომელსაც ასევე, სოციო-კულტურულ ანთროპოლოგიას ან სოციალურ ანთროპოლოგიას უწოდებენ) კაცობრიობის ჰოლისტური კვლევაა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებშია აღიარებული.

“კულტურის” ანთროპოლოგიური კონცეპტი, როგორც ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან, ნაწილობრივ იყო რეაქცია ადრინდელ დასავლურ დისკურსზე, რომელიც ეხებოდა დაპირისპირებას “ბუნება”/“კულტურა”. აღნიშნული დისკურსის მიხედვით, ადამიანთა ზოგი ჯგუფი მოიაზრებოდა “ბუნების მდგომარებაში” მყოფად (ვე-

ლურად, პრიმიტიულად...), ზოგი კი – “კულტურის”.

კულტურული ანთროპოლოგების მტკიცებით, კულტურა თავად ადამიანური ბუნებიდან გამომდინარეობს, რადგან ადამიანის თვისებაა შექმნას კულტურა და ყველა ხალხს ძალუძს დააჯგუფოს საკუთარი გამოცდილებები, კოდირება გაუკეთოს მათ და გადასცეს საკუთარი გამოცდილება მომავალ თაობას. ანთროპოლოგიური თეორიები იქმნება, როგორც კონკრეტული კულტურების კვლევისას, ასევე, მათი სხვა კულტურებთან მიმართებების განსაზღვრისას კულტურათა გლობალურ ქსელში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Carol R. Ember. Melvin Ember, Cultural Anthropology, 20th edition, New Jersey, 2007. p.10-15; Marwin Harris; Orna Johnson, Univ. of California, Los Angeles.2007, 2-9; K.Heider, Seeing Anthropology (Cultural Anthropology Through Film) University of South Carolina, Allyn and Bacon, 2-19; Reichly H.Crapo, Cultural Anthropology, understanding ourselves and others, 3rd Edition, Utah State University, The Dushkin publishing Group, 1993, 1-3.

2. Pike K., Language in relation to a unified theory of the structure of human behavior. Vol.I. Glendale: Summer Institute of Linguistics. 1954.

3. Geertz C., The Interpretation of Cultures, New York: Basic Books, 1973.

4. ix. Heider K., დასახ. ნაშრომი, გვ. 2-19 და ასევე დაინტერესებულთ შეუძლიათ იხილონ: Neusner J., The Talmud as anthropology, N Y.: The Jewish Theological Seminary of America, 1979.

5. Dumont J.P., The headman and I: Ambiguity and ambivalence in the fieldwork experience, Austin: Univ. of Texas press, 1978.

6. К.Леви-Строс, Структурная Антропология, М., 1985.

7. Douglas M., Purity and danger: An analysis of conflicts of pollution and taboo, N Y., Praeger and London: Routledge and Kegan Paul, 1966.

8. Rabinow P., Reflections on fieldwork in Morocco. Berkley: Univ. of California, 1977, p.39; R.Crapo, დასახ. ნაშრ. გვ. 44.

9. Clifford J., On ethnographic authority, representations, I, 118-146.

10. Marcus G.E. Afterword: Ethnographic writing and anthropological careers. In J. Clifford & G.E. Marcus (Eds), Writing culture (pp.262-266). Berkley: Univ. of California Press, 1986.

11. R.Crapo, დსსს. ნაშრ. გვ. 44.

12. R.Crapo, დსსს. ნაშრ. გვ. 44 – 45; ასევე იხ.: Marcus G.E. and Cushman D., Ethnographies as texts: Annual Review of Anthropology, II, 1982, 25-69.

Nino Abakelia

Cultural Anthropology (American Tradition)

The aim of the author was to illustrate the American approach to cultural anthropology to the Post-Soviet Period Georgian students; to show the main definitions of this field and how the Cultural anthropology is recognized and studied in American Universities.

Following the goals of the article, it had been shown that Cultural anthropology (which is also called socio-cultural anthropology or social anthropology) is a holistic study of Humanity, which is recognized in the United States.

The anthropological concept of “culture” in the West, as it is known, was partly the reaction on the early discourse on the opposition “nature”/ “culture”. According to the mentioned discourse some groups of human beings were considered to live in a state of nature, others - in culture.

According to the arguments of anthropologists culture is in itself the nature of human beings capable to classify experiences, encode classifications symbolically and pass this knowledge to others.

Much anthropological theories has been originated in studying separate cultures and much more - in aiming to show the places and attitudes of these cultures in the global culture system.

**ანთროპოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია,
კულტურის მეცნიერებები: პრობლემები და პერსპექტივები**

ანთროპოლოგია, ზოგადი მნიშვნელობით, ადამიანისა და საზოგადოების ჰოლისტურ შესწავლას ნიშნავს. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ჰუმანიტარულ და სოციალურ, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან.

ერიკ ვულფმა ანთროპოლოგიას უწოლა “ყველაზე მეცნიერული დარგი ჰუმანიტარულ დარგებს შორის და ყველაზე ჰუმანიტარული დარგი მეცნიერებათა შორის” (“the most scientific of the humanities, and the most humanistic of the sciences”).

ანთროპოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებას უკავშირებენ ბუნებისმეტყველების განვითარებას ევროპული კოლონიზაციის პერიოდში – XVII-XX საუკუნეებში. სწორედ აქედან იღებს სათავეს “პრიმიტიულ საზოგადოებათა” ეთნოგრაფიული კვლევა კოლონიური ადმინისტრაციის ინიციატივით. განმანათლებელთა ნააზრევში თავს იჩენს ტენდენცია ადამიანთა საზოგადოების, როგორც ბუნების ფენომენის გაგებისა, რომლის ქცევა შეესაბამება ბუნების კანონებს. გარკვეული აზრით, კოლონიური ხალხების ენა, კულტურა, არტეფაქტები თუ ფსიქოლოგია შეისწავლებოდა ისევე, როგორც მათი ფლორა და ფაუნა.

XIX საუკუნიდან ანთროპოლოგია თანდათან გაემიჯნა როგორც ბუნებისმეტყველებას, ასევე წმინდა საისტორიო ან ფილოლოგიურ დარგებს (Classics და სხვ.). XX საუკუნის დასაწყისიდან მეორე მსოფლიო ომამდე სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა უდამწერლობო ხალხების ცხოვრების აღწერა. ამ პერიოდში ანთროპოლოგია ბრიტანული და ამერიკული სკოლების ორი განსხვავებული მიმართულებით ვითარდებოდა. პირველი მათგანის ფუძემდებლებად ე. ტეილორი და ჯ. ფრეზერი ითვლებიან. შემდგომში ბრიტანული სოციალური ანთროპოლოგიის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონიეს ბ. მალინოვსკიმ და ა. რედკლიფ-

ბრაუნმა. “ამერიკული ანთროპოლოგიის მამად” ფრანც ბოასს იხსენიებენ. მისი სტუდენტების პირველი თაობა წარმოდგენილია ალფრედ კროებერის, რობერტ ლოუის, ედუარდ სეპირისა და რუთ ბენედიქტის სახელებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანული “სოციალური ანთროპოლოგიისა” და ამერიკული “კულტურული ანთროპოლოგიის” დაახლოვებამ სათავე დაუდო “სოციოკულტურული ანთროპოლოგიის” ჩამოყალიბებას. მასზე დიდი გავლენა იქონია ფრანგულმა სკოლამაც (ე. დიურქჰეიმის, ლ. ლევი-ბრიული, კ. ლევი-სტროსის და სხვ.).

50-იანი წლების მიწურულიდან, ეთნოგრაფიული კვლევების მნიშვნელობის შენარჩუნებასთან ერთად, თანდათან მომწიფდა აზრი იმის თობაზე, რომ მიღწევათა მიუხედავად, ეთნოგრაფიულ კვლევებს აკლდა სიღრმე. ახალი მიზანი თეორიაზე ორიენტირებული მიდგომის ჩამოყალიბება იყო. დაიწყო კამათი ანთროპოლოგიური კვლევის თეორიული საფუძვლის თაობაზე. მკვლევართა ნაწილი, კერძოდ, ლონსბარი (Lounsbury) და გუდინაფი (Goodenough) იელსა და პენსილვანიაში უპირატესობას ანიჭებდნენ ლინგვისტურ მიდგომას. გირცი (Geertz) და შნაიდერი (Schneider), ტალკოტ პარსონსის გავლენით, რომელიც საჭიროდ თვლიდა კულტურის გამოიყვანას სოციალური სისტემისა და ინდივიდისაგან, აქცენტს სიმბოლოებსა და მნიშვნელობებზე აკეთებდნენ, რაც ეხმაურებოდა ფასეულობათა კვლევის კლასიკონისეულ იდეას. ამ დროს აშშ-ში ძლიერი იყო ლევი-სტროსის გავლენა, რომელმაც გაავრცელა და დაამკვიდრა იაკობსონისა და დე სოსიურის სტრუქტურალისტური იდეები ნათესაობის, მითისა და რიტუალის კვლევაში. უაითინგი (Whiting), სპირო (Spiro) და სხვები დაინტერესებული იყვნენ კულტურის გამომსახველობითი და დაცვითი ფუნქციებით. სალინსი (Sahlins), სტიუარტი (Stewart), ჰარისი (Harris), რაპაპორტი (Rappaport) და სხვები უფრო მატერიალისტურად ორიენტირებული იყვნენ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეკონომიკურ გარემოსა და ფაქტორებს. ბოასის სკოლა, აქცენტით ისტორიულ ურთიერთობებზე, ინარჩუნებდა

გაგლენას არეალური კვლევის (area studies) სფეროში. შრომების უმეტესობაში აქცენტი კეთდებოდა მეთოდებზე, ეთნოგრაფიული კვლევების გაუმჯობესებაზე იმ მიმართულებით, რომ მისი მასალები გამოსადეგი ყოფილიყო თეორიული განზოგადებისათვის (“თეორიულად გამოსადეგი აღწერა” – “theoretically relevant description”).

დასახელებული პერიოდი აშშ-ში ანთროპოლოგიის აღმავლობის ხანა იყო. იზრდებოდა ანთროპოლოგიის დეპარტამენტთა რიცხვი, ისევე როგორც ანთროპოლოგთა დასაქმების ბაზარი.

სწორედ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ყალიბდება დარგი, რომლის სახელწოდებად მკვიდრდება **კულტურის მეცნიერებები/კულტურის კვლევები (Cultural Studies)**. ჩვეულებრივ, ამ ტერმინს ხან კულტურული ანთროპოლოგიის სინონიმური, ხან კი უფრო ფართო მნიშვნელობით იყენებენ. კულტურის მეცნიერებათა ცალკე დარგად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენელს ლესლი ელვინ უაიტს, რომელმაც, კოლეგებთან სერიოზულ კამათში, დაასაბუთა კულტურის მრავალმხრივი ფენომენის საგანგებო შესწავლის აუცილებლობა და დარგის სახელწოდებად “კულტუროლოგია” შემოგვთავაზა. ტერმინის თვალსაზრისით, მის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს გერმანელი ქიმიკოსი-ნობელიანტი ვილჰელმ ოსტვალდი, რომელიც 1913 წელს წერდა: სპეციფიკურ ადამიანურ თავისებურებებს, რომლებიც განასხვავებს ჰომო საპიენსის მოდგმას ცხოველთა ყველა სხვა სახეობისაგან, მოიცავს სახელწოდება “კულტურა”. შესაბამისად, მეცნიერებას საქმიანობის სპეციფიკური ადამიანური საშუალებების შესახებ თავისუფლად შეიძლება ეწოდოს “კულტუროლოგია”¹.

განაგრძო და განავითარა რა ოსტვალდის იდეა, ლ. უაიტმა 1930 თუ 1931 წელს მიჩიგანის უნივერსიტეტში წაიკითხა საღეჭიო კურსი “კულტუროლო-გიაში”, 1949 წელს კი გამოსცა ცნობილი ნაშრომი “მეცნიერება კულტურის

¹ ციტ წიგნიდან: კულტუროლოგია. თსუ გამომც., თბ., 2003, გვ.5.

შესახებ”. მისი კონცეფციის გავრცელებაში დიდი როლი შეასრულა რამდენიმე საპროგრამო სტატიამ, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილია “კულტუროლოგია” (ამერიკული ჟურნალი “Science”, 1958), რომელიც შევიდა სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ენციკლოპედიაში, და “ენერგია და კულტურის ევოლუცია” (1943).

წიგნით “მეცნიერება კულტურის შესახებ” ლ. უაიტმა ჰუმანიტარული ცოდნის ახალი ტრადიციის დამკვიდრება დაიწყო. მან პირველმა სცადა, განესაზღვრა კულტუროლოგიის შესწავლის საგანი, დაესაბუთებინა ტერმინ “კულტუროლოგიის” მართებულობა ამ მეცნიერების აღსანიშნავად, შემოეთავაზებინა კულტურის როგორც მთლიანობის განხილვისადმი სისტემური მიდგომა. საყოველთაოდ ცნობილია უაიტის აზრი იმის შესახებ, რომ კულტურის, როგორც კვლევის ცალკე სფეროს “აღმოჩენა” როდესმე კუთვნილ ადგილს დაიკავებს კოპერნიკის ჰელიოცენტრული თეორიისა და სიცოცხლის ყველა ფორმის უჯრედული საფუძვლის მიგნების გვერდით².

თავად ტერმინის “კულტურის კვლევები/მეცნიერებები” შემოტანა რიჩარდ ჰოგარტის სახელს უკავშირდება: 1964 წელს მან ბირმინჰემში დააარსა თანამედროვე კულტურის კვლევათა ცენტრი (Centre for Contemporary Cultural Studies).

კულტურის მეცნიერებები თავს უყრის კულტურის ანთროპოლოგიის, მუზეუმთმცოდნეობის, ხელოვნების ისტორიის, სოციოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, მედიის თეორიის, ლიტერატურათმცოდნეობის, პოლიტიკური ეკონომიკის და ზოგიერთი სხვა დარგის მონაცემებს სხვადასხვა საზოგადოების კულტურული ფენომენის შესასწავლად. იგი ცდილობს, გაარკვიოს კულტურის ფენომენის კავშირი იდეოლოგიის, ეთნიკურობის, ნაციონალიზმის, სოციალური კლასის, გენდერის და სხვა სფეროებში მიმდინარე პროცესებთან. კულტურის მეცნიერებათა ინტერესის საგანია მნიშვნელობები და პრაქტიკა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზდება. მაგალითად,

² იქვე, გვ.6.

დღეს კულტურის კვლევები/მეცნიერებები იკვლევს გლობალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, დასავლეთის ჰეგემონიისადმი წინააღმდეგობის ფორმებს და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სხვა პროცესებს. კულტურის კვლევათა მიზანია კულტურის გაგება მთელი თავისი სირთულითა და მრავალფეროვნებით, აგრეთვე სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის ანალიზი, რომელშიც კულტურა წარმოჩნდება.

ხანდახან ტერმინს *კულტურის კვლევები არეალური კვლევების* (Area Studies) ან *რეგიონული კვლევების* (Regional Studies) სინონიმური მნიშვნელობით იყენებენ, რამდენადაც იგი დაკავშირებულია ცალკეული კულტურების მეცნიერულ შესწავლასთან ისეთ პროგრამებში, როგორებიცაა, მაგალითად, ისლამური კვლევები, აზიური კვლევები, ამერიკული კვლევები და ა.შ. თუმცა, კულტურის კვლევათა სხვა სადოქტორო პროგრამებში (ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი, ჩრდილოეთ კაროლინის გრინსბოროს უნივერსიტეტი და სხვ.) არ არის დაკავშირებული სპეციფიკური კულტურული პრაქტიკების შესწავლასთან.

მკვლევართა უმეტესობა აღიარებს კულტურის კვლევების/მეცნიერებების ხანგრძლივ ისტორიასა და მრავალმხრივ მემკვიდრეობას, თუმცა ეს ხელს არ უშლის მტკიცებას, რომ დარგი, კონკრეტული შინაარსის შესაბამისი მნიშვნელობით, სათავეს იღებს 1950-იანი წლებიდან, ხოლო ის, რაც იყო მანამდე, წარმოადგენდა ერთგვარ მოსამზადებელ სამუშაოსა და წინაპირობას კვლევისა და სწავლების ცალკე დარგად კულტურის კვლევების/მეცნიერებათა ჩამოყალიბებისათვის. ნააზრევი, რომელზე დაყრდნობითაც ჩამოყალიბდა კულტურის კვლევები, უკვე არსებობდა ადრე შექმნილ შრომებში, – აღნიშნავდა რაიმონდ უილიამსი 1989 წელს გამოცემულ ნაშრომში “კულტურის მეცნიერებათა მომავალი” და კულტურის კვლევათა საფუძვლებს ადრეულ საგანმანათლებლო მოძრაობაში ეძებდა.

დღეს კულტურის კვლევების/მეცნიერებების ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ წარმომადგენლად მიჩნეული

ბრიტანელი მეცნიერის სტიუარტ ჰოლის³ აზრით, ეს დარგი სათავეს იღებს 1950-იანი წლებიდან, როცა იწყება მარქსიზმისა და მისთვის დამახასიათებელი ევროპოცენტრიზმის რღვევა და საფუძველი ერყვება თეზისს იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ბაზისი განმსაზღვრელია კულტურული სუპერსტრუქტურისათვის; კულტურის კვლევები/მეცნიერებები წარმოიშვა ახალი მემარცხენეების მარქსიზმთან დაპირისპირების ვითარებაში. კულტურის კვლევების ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია რამდენიმე თეორიულმა მიმდინარეობამ, რომელთა ნაწილი კულტურის თეორიის ფარგლებს მიღმა წარმოიშვა, ესენი იყო ფემინიზმი, რასიზმი, გენდერი და ხელისუფლების საკითხი⁴.

განაგრძო რა კულტურული ანთროპოლოგიის ტრადიცია, კულტურის კვლევები/მეცნიერებებიც ორი ძირითადი სკოლის – ბრიტანულისა და ამერიკულის – ფარგლებში განვითარდა. მათგან პირველი უფრო მეტად იყო აღბეჭდილი მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით და ორიენტირებული იყო “კაპიტალისტური მასობრივი კულტურის” კრიტიკაზე. მათ შეითვისეს ფარნგფურტის სკოლის ზოგიერთი იდეა, დაკავშირებული “კულტურის ინდუსტრიის” (მასობრივი კულტურის) ცნებასთან. კულტურის კვლევების/მეცნიერებების ამერიკელი ვერსია კი უფრო მეტად დაინტერესებული იყო მასობრივი კულტურის აღქმის სუბიექტური მხარით, აუდიტორიის რეაქციით მასობრივ კულტურაზე. განსხვავება ამ ორი სკოლის მიდგომებს შორის XX საუკუნის ბოლოსათვის თანდათანობით გაფერმკრთალდა. მასობრივი კულტურის პასიურ მომხმარებელზე წარმოდგენას ჩაენაცვლა თვალსაზრისი, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანთა მიერ კულტურული ტექსტების სხვადასხვაგვარ წაკითხვას, მიღებასა და ინტერპრეტა-

³ მან შეცვალა რიჩარდ ჰოგარტი თანამედროვე კულტურის კვლევათა ცენტრის (ბირმინგემი) დირექტორის პოსტზე.

⁴ Hall S. Cultural Studies and its Theoretical Legacies. – The Cultural Studies Reader. 2nd ed. Ed. by Simon During. London ; New York: Routledge, 2003, pp.97-109.

ციას, რაც დამოკიდებულია მნიშვნელობაზე, რომელსაც მომხმარებელი ანიჭებს კულტურის პროდუქტს. კულტურის კვლევების/მეცნიერებების წარმომადგენლებმა კულტურის მოხმარება მჭიდროდ დაუკავშირეს კულტურულ იდენტობას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია სამეცნიერო წრეებზე როგორც აშშ-ში, ასევე ევროპაში, ვიეტნამის ომი იყო. მეცნიერთა დიდი ნაწილი ომის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. ომმა გამოიწვია სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-პედაგოგთა რადიკალიზაცია, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ მეცნიერების გადაქცევისა სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსის ნაწილად და გადაჭრით ემიჯნებოდნენ “ისტებლიშმენტს”. გამოჩნდნენ ავტორები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ანთროპოლოგიას უნდა შეეცვალა მიმართულება და გეზი აეღო ახალ ანტი-ისტებლიშმენტზე, ანტი-მეცნიერებასა და ანტი-კაპიტალიზმზე. თავდაპირველად ამ ავტორთა გავლენა მცირე იყო. თეორიაზე ორიენტირებული ეთნოგრაფია კვლავ რჩებოდა ძირითად მიმართულებად. მაგრამ, როგორც შერი ორტნერი (Sherry Ortner) 1984 წელს გამოცემულ წიგნში აღნიშნავდა, *1960-იანი წლებიდან მოყოლებული, აშშ-სა და საფრანგეთში (ნაკლებად – ინგლისში) გაძლიერდა რადიკალური სოციალური მოძრაობანი. გაჩნდა კონტრკულტურა, შემდეგ – ანტისაომარი მოძრაობა, ცოტა მოგვიანებით – ქალთა მოძრაობა. მათ არა მარტო გავლენა იქონიეს აკადემიურ სამყაროზე, არამედ მის შიგნით მნიშვნელოვანი ფრთა შექმნეს. ყველაფერი, რაც არსებული წესრიგის ნაწილს წარმოადგენდა, კრიტიკის ობიექტი გახდა. ანთროპოლოგიას ბრალს სდებდნენ კოლონიალიზმსა და იმპერიალიზმთან ისტორიულ კავშირში. ახალი კრიტიციზმის სიმბოლოდ მარქსი იქცა⁵. ორტნერი საუბრობს აქცენტის გადატანაზე ტრადიციული მარქსიზმიდან ფრანგულ სტრუქტურულ მარქსიზმზე, პოლიტიკურ ეკონომიასა და ხელისუფლების პრობლე-*

⁵ ციტი. ნაშრომიდან: D'Andrade R. The Sad Story of Anthropology 1950-1999. Journal for Cross-Cultural Research, 2000, 34:3, pp.219-232.

მაზე 70-80-იან წლებში. დისკუსია მაღალ თეორიულ დონეზე მიმდინარეობდა, თუმცა, უმეტესად, ანთროპოლოგიის მიღმა. რაც შეეხება ანთროპოლოგიას, აქ აქცენტი აშკარად შეიცვალა: ეთნოგრაფიული და ზოგადად ანთროპოლოგიური კვლევის მიზანი გახდა არა თეორიულად გამოსადეგი აღწერა, არამედ მორალური კრიტიკა, მიმართული ძალაუფლების, ზეწოლისა და დომინაციის წინააღმდეგ. შესუსტდა კლასიკური მარქსისტული აქცენტი მატერიალურ ფაქტორებზე.

იდეოლოგიის მარქსისტული ცნება შეიცვალა თავად კულტურის, როგორც ზეწოლის/დათრგუნვის (opression) ყველაზე ძლიერი წყაროს კრიტიკით. პათოსი უფრო ჰეგელიანური იყო, ვიდრე მატერიალისტური.⁶

80-იანი წლების შუა ხანებიდან კულტურის კვლევები/მეცნიერებების მთავარ ამოცანად იქცა დასავლური ბურჟუაზიული კულტურის ძალადობის ფარული თუ აშკარა გამოვლინებების – რასიზმის, ნაციონალიზმის, ჰომოფობიის, სციენტიზმის – კრიტიკა. შესაბამისად, ეთნოგრაფიის ძირითადი ამოცანა გახდა დასავლური კულტურის მოდერნიზებული ძალებისადმი არადასავლური და პერიფერიული კულტურების წინააღმდეგობის კვლევა. “ანტი-ისტებლიშმენტურმა” პათოსმა დესტრუქციული ტენდენციები მოიტანა, ზოგადად, ანთროპოლოგიასა და, კერძოდ, კულტურის კვლევებში/მეცნიერებებში. ეპისტემოლოგიური რელატივიზმისა (არ არსებობს რეალური საფუძველი ცოდნისათვის) და მორალური მიდგომის (მევიცი, რა არის სწორი და სამყარო უნდა შეიცვალოს ჩემი ამ თვალსაზრისის შესაბამისად) კომბინაციამ დიდი გავლენა იქონია მეცნიერების ამ სფეროზე. სასწავლო პროგრამებიდან თანდათანობით განიდევნა კვლევის სტანდარტული რაოდენობრივი მეთოდების სწავლება. 2000 წელს რ. დ’ანდრადეს სიტყვით, დასავლეთის ელიტური უნივერსიტეტების დიდ ნაწილში კულტურული ანთროპოლოგიის მომავალ სპეციალისტებს აღარ ასწავლიდნენ აღარც შესაძლებლობის მოდელებს (probability models), მიზეზ-შედეგ

⁶ იქვე.

გობრივ ანალიზსა (causal analysis) და მრავალგანზომილებიან შკალირებას (multi-dimensional scaling). არადა, ამგვარი ცოდნის გარეშე შეუძლებელია არა მხოლოდ კროს-კულტურული კვლევები, არამედ მოპოვებული შედეგების გაგებაც კი. ამგვარ დამოკიდებულებას კულტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენლები იმით ამართლებენ, რომ, თითქოს, მათი საქმეა არა განზოგადება⁷, არამედ ინტერპრეტაცია. მათი აზრით, მნიშვნელობანი თვისებრივია და არა რაოდენობრივი. ჩვენ არ ვგჭირდება ძალადობის, დომინაციის, ხელისუფლების შესახებ ჩვენი იდეების ტესტირება, ჩვენ ეს ყველაფერი საკუთარი გამოცდილებიდან და ისეთი ავტორიტეტების თხზულებებიდან ვიცით, როგორებიც არიან ფუკო და ბურდიე. ჩვენ ვიცით, რომ კულტურული დისკურსი განაპირობებს ადამიანთა მიერ სამყაროს ამგვარ, და არა სხვაგვარ ინტერპრეტაციას, სწორედ სამყაროს ამგვარი აღქმა მათ მიერ არის სხვათა მიერ მათი დათრგუნვის განმაპირობებელი მიზეზიც. ჩვენ შევისწავლით იმ ადგილებს, სადაც ასეთი ზეწოლა განსაკუთრებით ძლიერი და მდგრადია – გარეუბნებსა და გეტოებში, მიგრანტებში, დევნილებსა და ადგილნაცვალ პირებში, კოლონიურ ხალხებში. ჩვენ გვინდა გავათავისუფლოთ ადამიანები რეჟიმებისა და ცოდნისაგან, რომლებიც მათ იმონებს, ამბობენ ისინი⁸.

სამწუხაროდ, XX საუკუნის მიწურული არც მნიშვნელოვანი თეორიული მიღწევებით ყოფილა გამორჩეული. დაწინაურდა სიტყვით, დღეს, ძირითადად, მიმართავენ დიდ თეორეტიკოსთა ნააზრვის “ამოჭრა-ჩაწებების” (cut and paste) მეთოდს, ბევრს კამათობენ, ეძიებენ არგუმენტებს, მაგრამ ბუნდოვანი საკითხები კვლავ ბუნდოვანი რჩება. სხვა რამ არც არის მოსალოდნელი, რადგან ემპირიული მასალისა და კონცეპტუალური განზოგადებების შესაბამისობის დადგენა აუცილებლად მოითხოვს რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას, თეორიის შესაქმნელად საჭიროა

⁷ კერძო შემთხვევების განზოგადებას აუცილებლად ჭირდება სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

⁸ D'Andrade R. დასახ. ნაშრ.

აღტერნატიული მოდელების შემუშავება და შემდეგ მათგან უკეთესი მოდელების შექმნა, რაც ასევე შეუძლებელია მხოლოდ ინტერპრეტაციების დონეზე, რაც არ უნდა მიმზიდველი და მარჯვე ჩანდეს ისინი. ნებისმიერი თეორიული “მიგნება” შეიძლება წარმატებით გადაისინჯოს სხვა “მიგნების” საფუძველზე, თუ იგი მყარ ემპირიულ საფუძველს არ ემყარება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება, რომ ანთროპოლოგია, ბოლო 50 წლის განმავლობაში, სხვა სოციალურ მეცნიერებებზე მეტად განიცდიდა პოლიტიკურ ცვლილებათა ზეგავლენას⁹. სწორედ ამიტომ, მაშინ, როცა კულტურის კვლევები აღმავლობის გზაზე იდგა, ფულს იზიდავდა და ავტორიტეტს იხვეჭდა (XX საუკუნის 60-70-იანი წლები), დადგა საკითხი დისციპლინის სერიოზულობის, პოლიტიკური სიმპათიებისადმი მისი დაქვემდებარებულობის და, შესაბამისად, კულტურის კვლევების/მეცნიერებების არსის შესახებ.

გაჩნდა კითხვები: რამდენად მოწესრიგებულია კულტურის კვლევები/მეცნიერებები, როგორც დისციპლინა? აქვს თუ არა მას კვლევის კონკრეტული ობიექტი, საკუთარი მეთოდოლოგია? თუ ის წარმოადგენს ყველაფერს, რასაც ისინი აკეთებენ, ვინც საკუთარ თავს კულტურის კვლევათა პროექტისა და პრაქტიკის ფარგლებში მოიაზრებს? მკვლევართა აზრი ორად გაიყო: ნაწილი დარგის “მოწესრიგების”, შესაბამისად, “ჩაკეტვის” წინააღმდეგი იყო, მეორე ნაწილი კი წარმოუდგენლად თვლიდა ცალკე დარგის შესახებ საუბარს მისი კონკრეტული არსის, ძირეული პოზიციების განსაზღვრის გარეშე. მკვლევართა ნაწილი კულტურის კვლევებს განიხილავს როგორც “ცოდნის მეთოდების კოდიფიკაციას” და ინსტიტუციონალიზაციის მცდელობას, სხვები ხაზს უსვამენ მის მუდმივ ცვალებადობას, თითქოს გარკვეული საკითხების ხელახლა დაყენების ტრადიცია. მათი აზრით, კულტურის კვლევები არის პროექტი, რომლის რეალიზაცია გამუდმებით დაბრკოლე-

⁹D'Andrade R. The Sad Story of Anthropology 1950-1999. Journal for Cross-Cultural Research, 2000, 34:3, pp.219-232.

ბულია მუდმივი ფრაგმენტაციითა და დემონტაჟით¹⁰.

ჩვენი აზრით, ამ კამათში საინტერესო და საყურადღებო პოზიცია დაიკავა სტიუარტ ჰოლმა, რომელიც თვლის, რომ კულტურის კვლევები/მეცნიერებები, როგორც პროექტი, უსასრულოა და, ამ თვალსაზრისით, პლურალისტურია, იგი არ არის რაიმე სახის გაბატონებული დისკურსი ან მეტა-დისკურსი. ეს არის პროექტი, რომელიც ყოველთვის გახსნილია იმისათვის, რაც აქამდე ცნობილი არ არის. მაგრამ მას აქვს რაღაც, რასთანაც ყველაფერი ეს დაკავშირებულია, აქვს გარკვეული ღერძი, საყრდენი არჩევანისათვის და სწორედ ამიტომ კულტურის კვლევები არის ეს, და არა სხვა რამ¹¹.

კულტურის კვლევები დისკურსული წარმონაქმნია (ფუკოსეული გაგებით). მას არ გააჩნია მარტივი, ერთიანი წარმომავლობა, არამედ მრავალი დისკურსი და მრავალი ისტორია აქვს. მას აქვს სხვადასხვა კონიუნქტურა და წარსულის სხვადასხვა მომენტი, მოიცავს მრავალ სხვადასხვა ტიპის ნაშრომს. რამდენადაც კულტურის კვლევები/მეცნიერებები ინტერდისციპლინური დარგია, მის ფარგლებში შეისწავლება სხვადასხვა თეორია მეცნიერების სრულიად განსხვავებული სფეროებიდან. მაგალითად, კულტურის კვლევების/მეცნიერებების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონიეს თეოდორ ადორნოს, კარლ მარქსის, მაქს ჰორკჰაიმერის, პიერ ბურდიეს, იუდიტ ბატლერის, ჟაკ დერიდას, მიშელ ფუკოს, ზიგმუნდ ფროიდის, ანტონიო გრამშის, იურგენ ჰაბერმასის, სტიუარტ ჰოლის, ჟაკ ლაკანის, რაიმონდ უილიამსის და სხვათა თეორიებმა. ამრიგად, კულტურის კვლევებს/მეცნიერებებს ჰქონდა მრავალი ტრაექტორია, ყალიბდებოდა მრავალი მეთოდოლოგიისა და თეორიის საფუძველზე, მაგრამ, ამავე დროს, იგი ყოველთვის ინარჩუნებს მთლიანობას.

კაროლინ სტიდმანი აღნიშნავს, რომ კულტურის კვლე-

¹⁰ იხ. Steedman C. Culture, Cultural Studies and the Historians. – The Cultural Studies Reader. 2nd ed. Ed. by Simon During. London ; New York: Routledge, 2003, pp.46-56.

¹¹ იქვე.

ვები არ არის ნოსტალგიური ხასიათის, მემკვიდრეობაზე ორიენტირებული დისციპლინა, რომელიც კონცენტრირებულია ძველი გზებისა და ტრადიციების შენარჩუნებაზე; იგი მკობიარეა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი¹².

ამავე დროს, ს. ჰოლი თვლის, რომ კულტურის კვლევები/მეცნიერებები ნამდვილად დგას გარკვეული საფრთხის წინაშე, როგორც დარგი, რომელიც მჭიდროდ და უშუალოდაა დაკავშირებული რეალურ კონიუნქტურასთან. რეალობაში მომხდარი ცვლილებები და მიმდინარე მოვლენები განსაზღვრავს კულტურის კვლევათა თეორიული ინტერესის სფეროს, შესაბამისად, კვლევის პრაქტიკას. ამდენად, ს. ჰოლის აზრით, კულტურის კვლევებში მუდმივი და სტაბილურია ”სიტუაციური (კონიუნქტურული) ცოდნა”, მისი გრამშისეული გაგებით – ცოდნა, რომელიც უფუძნება და, ამავე დროს, გამოსადეგია სპეციფიკური და მყისიერი პოლიტიკური და ისტორიული ვითარებებისათვის; სტაბილურია აგრეთვე იმის გაცნობიერება, რომ რეპრეზენტაციათა სტრუქტურა, რომელიც შეადგენს კულტურის ანბანს და გრამატიკას, წარმოადგენს ინსტრუმენტს სოციალური ძალისათვის და საჭიროებს კრიტიკულ შესწავლას. სწორედ ამგვარი შესწავლა და კვლევა ქმნის რისკს პროფესიული კვლევებისათვის კულტურის კვლევებში/მეცნიერებებში¹³.

ამგვარად, დასავლელ მეკვლევართა ნაწილის აზრით, დღეს დასავლეთში კულტურული ანთროპოლოგიის მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. რაოდენობრივი მეთოდების სწავლებასთან ერთად, თანდათან თმობენ პოზიციებს ლინგვისტური ანთროპოლოგია, ფოლკლორი, დადმავლობის გზაზე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, რელიგიის მეცნიერული კვლევა ანთროპოლოგიის ფარგლებში გაქრობის პირასაა. თუმცა პერსპექტივა არც ისე უიმედოა. მიმდინარეობს კროს-კულტურული კვლევები ევოლუციური ფსიქოლოგიის ბაზაზე, აგრეთვე კულტურულ სივრცეთა

¹²Steedman C. დასახ. ნაშრ., გვ.46-56.

¹³Hall S. დასახ.ნაშრ.

შედარებითი კვლევები. ახალგაზრდა თაობა არ არის ისე ძლიერ მორალისტურად ორიენტირებული, როგორც მათი მასწავლებლები. ანთროპოლოგია დამკვიდრებულია კოლექტივისა და უნივერსიტეტების კურიკულუმების უმრავლესობაში, კულტურულ ანთროპოლოგიას მხარს უმშვენებს ბიოლოგიური ანთროპოლოგია და არქეოლოგია – სფეროები, სადაც კვლევის მეთოდთა კარგადაა დამუშავებული და აღმოჩენები გრძელდება.

მაგრამ მომავლის განჭვრეტა ძნელია. როგორც დაწინაურებულ ვარაუდობს, კულტურული ანთროპოლოგია მაინც შეიძლება აღმოჩნდეს პერიფერიულ პოზიციაზე. სოციოლოგიაში მიმდინარეობს ანთროპოლოგიის ანალიზური პრობლემების კვლევა, თანაც მას მეთოდებისა და თეორიების უფრო ფართო ასორტიმენტი აქვს. სოციოლოგები აქტიურად იყენებენ ეთნოგრაფიული კვლევების მონაცემებს, თანაც ამ მასალას და ინსტიტუციურ სტატისტიკას უხამებენ ისტორიულ ანალიზსა და მოდელირებას. სოციალური ფსიქოლოგია ასევე აღწევს ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სფეროში, ემპირიული ბაზა მათ სოლიდური აქვთ, ამავე დროს, კარგი მეთოდოლოგიები და ექსპერიმენტატორები არიან. სოციალური ფსიქოლოგები დაინტერესებული არიან ფსიქიკაზე კულტურის გავლენის კვლევით, სხვა ერების წარმომადგენელ კოლექტებთან ერთობლივი კროს-კულტურული კვლევები ფსიქოლოგებისათვის ჩვეულებრივი საქმეა. ჩართულ დაკვირვებაზე დამყარებული ეთნოგრაფიული პრაქტიკა თანდათან თმობს პოზიციებს, როგორც სხვა დარგებისათვის მიმზიდველი და მნიშვნელოვანი მეცნიერული მეთოდი და მას წარმატებით უწევს კონკურენციას სხვადასხვა (ისტორიულ, ინსტიტუციურ, სამართლებრივ, დაკვირვებისა და ექსპერიმენტის გზებით მიღებულ) მონაცემთა ანალიზი¹⁴.

ყველა ის მკვლევარი, რომელიც საუბრობს პრობლემებზე დარგის განვითარების თვალსაზრისით, მიუთითებს კროსკულტურულ და ინტერდისციპლინურ კვლევებზე, როგორც ერთადერთ პერსპექტივაზე კულტურის კვლევა-

¹⁴D'Andrade R. დასახ. ნაშრ.

ბისათვის. ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების საჭიროება მეცნიერების ყველა დარგში მკაფიოდ გამოიკვეთა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რამაც ასახვა ჰპოვა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პრაქტიკაში¹⁵.

ინტერდისციპლინური და შიდადისციპლინური კვლევა ერთმანეთისაგან განცალკევებული კი არ არის, არამედ ერთმანეთს ავსებს. სპეციალიზაცია თანამედროვე მეცნიერების აუცილებელი და პოზიტიური შედეგია. ამავდროს, საკვლევ სფეროებს შორის ბარიერების მოხსნა ერთმანეთისაგან კი არ მიჯნავს, არამედ პირიქით, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა მეცნიერებას¹⁶. ინტერდისციპლინური კვლევა არ ნიშნავს დისციპლინურობის დაკნინებას და მისი როლის უგულებელყოფას. როგორც ჯ. კლეინი და ჰ. უილიამი აღნიშნავენ, “არსებობს ისეთი საკითხები და პრობლემები, რომლებიც ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ერთი რომელიმე კონკრეტული დისციპლინის შესაძლებლობები და ისინი შეიძლება წარმატებით იქნას გამოკვლეული ინტერდისციპლინურ ჯგუფში¹⁷”. კვლევის თანამედროვე ობიექტები ჰიბრიდულ კატეგორიას განეკუთვნებიან და თავიანთი ასეთი ბუნების გამო საჭიროებენ ინტერდისციპლინურ მიდგომას.

ჩვენ აზრით, ინტერდისციპლინურობა ერთ-ერთი იმ

¹⁵ აქვე აღნიშნავ, რომ ნათქვამი ნაკლებად ეხება მაშინდელ საბჭოთა სივრცეს, სადაც ძლიერ იდეოლოგიზებული სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერება მოკლებული აღმოჩნდა დასავლურ და არადასავლურ სამეცნიერო სივრცეში მიმდინარე პროცესებთან კავშირში განვითარების შესაძლებლობას. ამის შედეგები დღესაც ნათლად იგრძნობა ჩვენს სამეცნიერო და სასწავლო პრაქტიკაში.

¹⁶ Frodeman R., Mitcham C., Sacks A.B. Questioning Interdisciplinarity. - Science, Technology and Society Newsletter, # 126&127 (Winter/Spring 2001), pp. 1-5.

¹⁷ Klein J. Th., William H. N. Advancing Interdisciplinary Studies. - Interdisciplinarity: Essays from the Literature, William H. Newell, editor. New York: College Entrance Examination Board, 1998, # 3, p. 3-22.

ფაქტორთაგანი იყო, რამაც ხელი შეუწყო კულტურის კვლევების/მეცნიერებათა დამკვიდრებას კვლევისა და სწავლების ცალკე დარგად. კულტურის კვლევები ინტერდისციპლინურ საფუძველზე აღმოცენდა და მისი განვითარება სხვაგვარად, თუ არა ინტერდისციპლინურ ჭრილში, წარმოუდგენელია.

რაც შეეხება ანთროპოლოგიის, კულტურული ანთროპოლოგიისა და, ზოგადად, კულტურის კვლევების/მეცნიერებების მდგომარეობას ჩვენში, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. მოკლედ შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა თავად დარგის აღიარებამდე მისვლაც კი. თითქმის 20 წელია გრძელდება კამათი იმის თაობაზე, რა სახელწოდება შეესაბამება კულტურის ფენომენის კვლევით დაკავებულ დარგს. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში უპირატესობა კულტუროლოგიას ენიჭება, მაგრამ, სამწუხაროდ, შინაარსობრივად მას ძალიან მცირე საერთო აქვს უაიტისეულ გაგებასთან. კულტუროლოგია ხან კულტურის ფილოსოფიასთან იგივდება, ხან კულტურის ისტორიასთან, და ეს კამათი ყრუთა დიალოგს ჰგავს. ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების საჭიროებას, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ სიტყვით აღიარებენ; მეტად ძლიერია სწრაფვა დისციპლინათაშორისი ბარიერების შენარჩუნებისაკენ. სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს სასწავლო ლიტერატურის თვალსაზრისით. იშვიათად თუ ვუზიარებთ ერთმანეთს ინფორმაციას დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ქვეყნების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში მიმდინარე პროცესების, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ, რომელიც უზღვავი რაოდენობით გამოდის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული გამოცემების სახით. ცუდად ვიცნობთ გამოცდილებას, რომელიც კულტურის კვლევების/მეცნიერებების კუთხით დაგროვდა ჩვენი რეგიონის მსგავს მრავალკულტურულ, მრავალკონფესიურ და მულტი-ლინგვისტურ რეგიონებში (მაგალითად, ბალკანეთში). არ არსებობს სერიოზული დარგობრივი სამეცნიერო პერიოდული გამოცემა. ამ ფონზე, ჩვენი ჩამორჩენა სულ უფრო მეტად იზრდება.

ჩვენი აზრით, უპირველესი ამოცანა მაინც დისციპლინათაშორის ბარიერების დაძლევა და კულტურის ფუნქციონის შემსწავლელ მკვლევართა და ინსტიტუტთა ძალისხმევის გაერთიანებაა. ეს პრობლემა სხვა დარგების წინაშეც დგას, კულტურის კვლევები/მეცნიერებები კომის გარეშე, უბრალოდ, ვერ იარსებებს.

Nino Chikovani

Anthropology, Cultural Anthropology, Cultural Studies: Problems and Perspectives

Anthropology is the holistic study of the human beings and society. Eric Wolf once described anthropology as "the most scientific of the humanities, and the most humanistic of the sciences."

As an academic discipline anthropology emerged from the development of natural sciences in the period of European colonization. Beginning from the 19th century, anthropology grew distinct from natural history and purely historical or literary fields as well. Till the World War II it developed mainly in the framework of two different directions – Britain and American schools. Later the accent was shifted to the theoretically oriented approach.

In the middle of the 20th century the science was formed under the name of Cultural Sciences. The term was offered by Richard Hoggart, although one of the founders of the discipline, Leslie White preferred "Culturology" as the name of the field of science.

Anthropology was exposed to the political processes more than other social disciplines. The problems of the essence of Cultural Studies, its subordination to the political sympathies became actual in the period of rapid upsurge of this field. It is considered that Cultural Studies as the project is endless; it does not represent the prevailing discourse or meta-discourse. It is open for unknown and unfamiliar questions. At the same time, Cultural Studies are concentrated around the definite axis. Cultural Studies are under the threat because of the close connection with real conjuncture. There exists a kind of risk for professional researches in Cultural Studies. Cross-cultural and interdisciplinary studies are the only perspective for the further development of this sphere.

სოციოკულტურული ანთროპოლოგიის საგნობრივი პრობლემები

ანთროპოლოგიის, მათ შორის სოციოკულტურული ანთროპოლოგიის საგნობრივი პრობლემის განსაზღვრა, მათი მიმართება კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიასთან, ეთნოლოგიასა და ეთნოგრაფიასთან არა მარტო ქართული კუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე, აქტუალური პრობლემაა, არამედ დასავლეთში იგი დღესაც რჩება სადისკუსიო საკითხად. ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიის ურთიერთმიმართების სპეციალისტებისათვის კარგად ცნობილი დარგობრივი პრობლემები და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, პრობლემების პოლიტიკური საფუძვლები საქართველოში თანმიმდევრულად დასურათდა ბოლო დროინდელ გულმოდგინედ დაწერილ მონოგრაფიაში (მელიქიშვილი, 2000). ამჯერად, ნამდვილად მომწიფდა საკითხი სერიოზულად ვიმსჯელოთ ანთროპოლოგიის დარგობრივ პრობლემატიკაზე, რაშიც უთუოდ დაგვეხმარება ისეთი მიმართულებების არსის განსაზღვრა და საგანთა დეფინიციების დაზუსტება, როგორებიცაა ანთროპოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია, სოციალური ანთროპოლოგია და სოციოკულტურული ანთროპოლოგია.

ადრე ცნება – **ანთროპოლოგია** (Anthropology), მათ შორის **კულტურული** (Cultural Anthropology) და **სოციალური ანთროპოლოგია** (Social anthropology), **ეთნოლოგია** (Ethnology), **ეთნოგრაფია** (Ethnography), **ფოლკლორი** (Folklore), **ხალხთმცოდნეობა**, **მხარეთმცოდნეობა** განიმარტებოდა მათი გავრცელების გეოგრაფიული არეალების მიხედვით და ენიჭებოდა რა მათ თანაბარი მნიშვნელობები, ისინი გაიაზრებოდა ტერიტორიულ, ცალკეულ ქვეყანაში დამკვიდრებულ ტერმინებად. მაგალითად, კულტურუ-

ლი ანთროპოლოგია ამერიკაში, სოციალური ანთროპოლოგია დიდ ბრიტანეთში, ეთნოლოგია და ეთნოგრაფია აღმოსავლეთ, ასევე, დასავლეთ ევროპის, ისე, როგორც ფოლკლორი რიგ ევროპულ ქვეყანაში [შდრ. **ფოლსკუნდე** (Volkskunde) და **ფოლკერკუნდე** (Volkerkunde). გერმანიაში; Folkeminer da Folklivsforsuing - სკანდინავიის ქვეყნებში - შვეციასა და ნორვეგიაში (შდრ. დანიაში Folkeminder-ს)] და სხვა.

თავდაპირველად ანთროპოლოგიამ არსებობა ვიწრო მიმართულებებით დაიწყო, მაგრამ დღეს იგი საკმაოდ ფართო შინაარსის მატარებელ დარგად ჩამოყალიბდა. ეყრდნობა რა შესადარებელ პროცედურას, იგი ადამიანსა და საზოგადოებას ფაქტიურად მთლიანობაში სწავლობს. ანთროპოლოგია ის დარგია, რომელიც განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდება იმ აღწერილობითი ფასეულობების შეკრებას, რომლებსაც იგი აწყდება ეთნოგრაფიულ დონეზე სპეციფიკურ რეგიონებსა და ხალხებში, თუმცა, ხშირად, ისიც ირკვევა, რომ მკვლევარების შესაძლებლობები და ფაქტებისადმი დამოკიდებულება ისეთივეა, როგორიც მთხრობელების (Monaghan and Just. 2000:3). ბუნებრივია, საველე მეთოდიკას განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოვუკიდოთ. ანთროპოლოგი ველზე ჩვეულებრივ ადგილობრივი მოსახლეობის იდეების რეგისტრაციითაა დაკავებული, რაც, ხშირ შემთხვევაში, რესპონდენტების მიერ მოვლენებისადმი სუბიექტური ხედვის გამოსატყულებაა. ეს იდეები კი, რომლებიც ანთროპოლოგიისათვის თავისთავად მნიშვნელოვანი და ფასეულია, შეიძლება, თუ იგი მხოლოდ სტატისტიკური რეგისტრაციის ხასიათს ატარებს, რეალობას ობიექტურად სრულიადაც არ ასახავდეს, თუმცა, საველე მეთოდიკის ტექნოლოგიები დღეს იმდენადაა დამუშავებული და აპრობირებული, რომ ემპირიული კვლევის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში ცდომილების ხარისხი საკმაოდ მცირეა.

ბევრი თვლის რომ საკუთრივ ანთროპოლოგია პირველ რიგში აერთიანებს ისეთ დისციპლინებს როგორცაა **ფიზიკური (ბიოლოგიური) ანთროპოლოგია, არქეოლოგია,**

კულტურული ანთროპოლოგია და ლინგვისტიკა. თუმცა, დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ ეს დისციპლინა არანაკლებ სიახლოვეს ავლენს სხვა მომიჯნავე დარგებთან. ამდენად, ზემოთ მოყვანილი დანაწილება შეიძლება ერთობ პირობითად მივიჩნიოთ.

მეცნიერების მიერ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეთნოგრაფი ხალხთა მრავალმხრივი აღწერილობით, ხოლო ეთნოლოგი ამ ხალხთა შესახებ ზოგადი კონცეპტუალური და თეორიული ასპექტების შესწავლითაა დაკავებული, ანთროპოლოგი კი დამატებით ცდილობს ადამიანი შეიმეცნოს. თითქოს მართებული იქნება, როგორც ამას ზემოთაც გავუსვით ხაზი, ვიფიქროთ, რომ მეცნიერების აღნიშნულ მიმართულებებს შორის სხვაობა უფრო გეოგრაფიულ მიჯნებშია, ვიდრე საკუთრივ არსში, მაგრამ ეს სულ ასე არ უნდა იყოს. თვისებრივად კულტურული ანთროპოლოგია გაცილებით ფართო შინაარსის ცნება ჩანს, ვიდრე სოციალური ანთროპოლოგია, რაც შეიძლება ვერ ვთქვათ ეთნოლოგიაზე. ამიტომაცაა სოციალური ანთროპოლოგია კულტურული ანთროპოლოგიისაგან განსხვავებით ლინგვისტიკასა და არქეოლოგიას რომ არ აერთიანებს, ხოლო ეთნოგრაფიაში კლასიკური გაგებით არ შედის ლინგვისტიკა, არქეოლოგია, ფიზიკური ანთროპოლოგია, თუ რა თქმა უნდა მხედველობაში არ მივიღებთ ეთნოლინგვისტიკას, ეთნოარქეოლოგიასა და სხვა. ჩვეულებრივ ეთნოგრაფია ისტორიის დარგად განიხილება. როგორც ჩანს, ყოფილ საბჭოთა კავშირში ეს შემთხვევითი ფაქტი არ იყო და იგი მიზანმიმართული იდეოლოგიური მოტივირებით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

პირველ რიგში, ბუნებრივად ჩნდება კითხვა. განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია საგნობრივად და, რაც მთავარია, ინტელექტუალური ტრადიციებით?

ტერმინი **სოციალური ანთროპოლოგია** პირველად გამოიყენა ჯ. ფრეზერმა.

კვლევის ეს მიმართულება ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს, როგორც თვლიან ადამიანის შესახებ უფრო ფართო მეცნიერების - ანთროპოლოგიის ცნების ფარგლებში

და ამით ფაქტიურად დაუპირისპირდა და გამოეყო ფიზიკურ ანთროპოლოგიას. თავდაპირველად სოციალური ანთროპოლოგიის კვლევის ობიექტად ითვლებოდა “პრიმიტიული საზოგადოებები” და „ეგზოტიკური ხალხები“. საკუთრივ კულტურა განიხილებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილად და, აქედან გამომდინარე, იგი სოციალური ანთროპოლოგიის კვლევის საგანს წარმოადგენდა.

ადრე, რედკლიფ-ბრაუნი ვეთავაზობდა გაგვემიჯნა ცნება ეთნოლოგია, როგორც კულტურის ისტორიული რეკონსტრუქციის მეთოდი, ტერმინ სოციალური ანთროპოლოგიისაგან, რომელიც ადგენდა იმ საერთო კანონებს, რომლებიც კულტურულ მოვლენებს ახასიათებდა. რედკლიფ-ბრაუნი ფიქრობდა, რომ ეთნოლოგია ცალკეული ხალხის შინაგან განვითარებასა და კულტურულ კავშირ-ურთიერთობებს კონკრეტულ-ისტორიული ასპექტით სწავლობდა. ამ ამოცანის განსახორციელებლად კი ეთნოლოგია ეყრდნობოდა წერილობით წყაროებს, თუ ასეთი წყაროები არსებობდა, ხოლო თუ ისინი არ არსებობდნენ, მაშინ ეთნოლოგია მიმართავდა ჰიპოთეზურ რეკონსტრუქციას, რომელიც არ გამოდიოდა მოცემული ხალხის კონკრეტულ-ისტორიული ჩარჩოდან. მაგალითისთვის რედკლიფ-ბრაუნი ასახელებდა მადაგასკარის მოსახლეობის ისტორიის სარეკონსტრუქციო პერსპექტივებს. ანთროპოლოგიური ტიპის, ენის, კულტურის იერის ანალიზის საფუძველზე იგი ვარაუდობდა, რომ რამდენიმე საუკუნით ადრე მადაგასკარზე ადგილი ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის მიგრაციას. ამ მხრივ ოდნავ სხვაგვარად გვისურათებდა რედკლიფ-ბრაუნი სოციალური ანთროპოლოგიის ამოცანებს. იგი თვლიდა, რომ სოციალური ანთროპოლოგიის ამოცანა იყო არა ცალკეული ხალხის კონკრეტული ისტორიის რეკონსტრუქცია, არამედ კულტურის განვითარებისა და ზოგადი სოციალური კანონების გამოვლენა. ამდენად, რედკლიფ-ბრაუნს მიაჩნდა, რომ ეთნოლოგია არსებული ისტორიული მეთოდით სწავლობდა ისეთ კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც ეხებოდნენ ცალკეულ ძველ და თანამედროვე ხალხს, მაშინ, როცა სოციალური ანთროპოლო-

გია ეძებდა და იკვლევდა კაცობრიობისა და მისი კულტურის განვითარების ზოგად კანონებს.

რედკლიფ-ბრაუნი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ეთნოლოგია სოციალურ ანთროპოლოგიას აწვდიდა მცირე და, უმეტესად, შეუმოწმებელ ფაქტებს. სოციალურ ანთროპოლოგიას კი პირიქით - შეეძლო ეთნოლოგიის გარეშე სრულად ფუნქციონალური ყოფილიყო. სოციალური ანთროპოლოგიისადმი რედკლიფ-ბრაუნის ასეთი დამოკიდებულება შემთხვევითი არ ყოფილა და ეს მის მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიურ აპარატშიც იყო ასახული. მაგალითად, თავდაპირველად რედკლიფ-ბრაუნი სარგებლობდა ცნება „კულტურულით“, მაგრამ მოგვიანებით იგი შეცვალა ტერმინ „სოციალური სტრუქტურით“ და „სოციალური სისტემით“. 1937 წელს ჩიგაკოში შემდგარ სემინარებზე მან ღიად განაცხადა: მეცნიერება კულტურაზე დამოუკიდებელი სახით წარმოუდგენელია. კულტურის შესწავლა შეიძლება მხოლოდ სოციალური სისტემებით. ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა გვეჩვენეს მეცნიერება, ეს უნდა იყოს მეცნიერება სოციალურ სისტემაზე (Brown, 1958:XVI; Tokarev, 1978:239-244).

სოციალური ანთროპოლოგია სოციოლოგიასაც უახლოვდება, მაგრამ იგი კვლევის პროცესში სრულიად განსხვავებული მეთოდებით ოპერირებს. მიღებული განმარტებით, სოციალური ანთროპოლოგია ესაა მეცნიერება, რომელიც სწავლობს მსოფლიო ხალხებს მათი სოციალური ორგანიზაციის თავისებურებათა გამოვლენის მიზნით. მისი კვლევის არეალი ადრე „პრიმიტიული“ საზოგადოების შესწავლით შემოიფარგლებოდა. ამასთან, კულტურა განიხილებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტით (Крюков, 1988:76).

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, სოციალური ანთროპოლოგია სოციალურ კულტურას სწავლობს. სოციალური კულტურა კი ისტორიულად ჩამოყალიბებული მოდელირებული ქცევაა და ამ ქცევას ადამიანები დროთა განმავლობაში ჩვევად აყალიბებს იმ ჯგუფის ფარგლებში, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან. ყოველ ჯგუფს საკუთარი კულტურა გააჩნია და ცალკე აღებული ყველა კულტურა

განუმეორებელი შინაარსის მატარებელია. ზოგჯერ კულტურები ემსგავსება ერთმანეთს, მაგალითად, მეზობელ ხალხთა კულტურები, სხვები კი – ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებიან. ვთქვათ, არაბი ნომადებისა და ესკიმოსთა კულტურები. ბუნებრივია, აქ ერთმანეთის მეზობლად განსახლების გარდა, მნიშვნელოვან როლს გეოგრაფიულად მსგავსი და განსხვავებული გარემო თამაშობდა. ანთროპოლოგთა ერთი ნაწილი კულტურას სწავლობს ზოგადად, დანარჩენები კი სპეციფიკური კულტურის ანალიზით ინტერესდებიან (Hunter and Whitten, 1975:2-5). კულტურულ ანთროპოლოგიას აინტერესებს არა მარტო განსხვავება, არამედ კულტურათა მსგავსებაც. ამა თუ იმ ხალხის ყოფაში კულტურის ბევრი ელემენტი ხშირად მეორდება, მსგავსია. აღნიშნულ მსგავსებათა შესწავლა საშუალებას იძლევა დავადგინოთ საზოგადოებრივი განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი, ადამიანის კულტურული განვითარების ისტორიული თავისებურებები.

თუ სოციალური ანთროპოლოგია ძირითადად აქცენტირებულია სოციალური მოვლენების შესწავლაზე, მაშინ კულტურული ანთროპოლოგია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შედარებით ფართო მნიშვნელობის ცნებად უნდა განვიხილოთ. თითქოს ეს ლოგიკურიცაა, რადგან ყველა შემთხვევაში კულტურული ანთროპოლოგია და საერთოდ, კულტურა გაცილებით ტევადი მნიშვნელობის მატარებელი ჩანს, ვიდრე სოციალური ანთროპოლოგია და ზოგადად სოციალური მოვლენა. თუმცა, ამ თეზისის რეალურობისათვის აუცილებელ პირობად გამოიყურება იმ საკლასიფიკაციო მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა, რომლებიც მათ შორის არსებობს, უფრო ზუსტად, უნდა განისაზღვროს არის თუ არა ეს ორი ტერმინი მნიშვნელობით თანაბარი. თუ ეს ასეა, მაშინ, ბუნებრივია, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მათ საგნობრივ იდენტურობაზე. თუ ეს ასე არაა, მაშინ მკვლევრებმა ორივე მიმართულების საგნობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე უსათუოდ უნდა განსაზღვრონ ზოგადად ანთროპოლოგიაში მათი ადგილი.

ცნება „კულტურის“ განმარტება რომელსაც უთუოდ

განმსახვრელი მნიშვნელობა აქვს ცალკე საუბრის თემაა. დასაზუსტებელია მოიცავს თუ არა იგი ადამიანთან დაკავშირებული სამეურნეო, მატერიალური, სულიერი და სოციალური სამყაროს ყველა იმ სფეროს, სადაც ადამიანის ინტელექტი და შრომა რეალიზდება. მაშინ, როცა სოციალური ფაქტი წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების წესზე და ქცევის ნორმებზე დამყარებულ გამოვლინებას. სწორედ, ამიტომ უნდა განვიხილოთ სოციალური ანთროპოლოგია ადამიანის მოდელირებული ქცევის შემსწავლელ მეცნიერებად. ზემოთ დაწვებული მსჯელობიდან გამომდინარე ბუნებრივად იბადება კითხვა - ყველაფერი ის რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი და რასაც ეწოდება კულტურა უნივერსალურად მოიცავს თუ არა სოციალურ მიმართულებებს, უფრო ზუსტად, ბუნებაზე ადამიანის სამეურნეო ზემოქმედება, მატერიალური შემოქმედება და სულიერი მდგომარეობა ყველა შემთხვევაში აერთიანებს თუ არა სოციალურ ასპექტებს. თუ ყველა სფერო არაა თანაბარი ხარისხის, არ განიხილება საერთო სიბრტყეზე და მკაცრად დიფერენცირებულია ასპექტებად და მიმართულებებად, მაშინ ჩვენ არ მოგვიწევს საუბარი კულტურული ანთროპოლოგიისა და სოციალური ანთროპოლოგიის სრულ იდენტიფიკაციაზე. სპეციალისტები წააწყდნენ რა მსგავს სირთულეებს გამოსავალი იპოვეს დეფინიციითა შერწყმაში რის საფუძველზეც მივიღეთ კომბინირებული ცნება - **სოციოკულტურული ანთროპოლოგია**. იგი წარმოადგენს სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ნაერთს რითაც ხერხდება ერთ მთლიანობაში გავიაზროთ ყველა ის ფაქტი, რომელიც ადამიანის ყოფა-ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.

სახელი „კულტურული ანთროპოლოგია“ გამოიყენება იმ ეთნოგრაფიული სამუშაოებისადმი, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ისეთი გარემოსადმი, სადაც კულტურა ზემოქმედებს ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, ქმნის წარმოდგენებს ხალხურ ცნობიერებაზე, ჩვეულებებზე, გვისურათებს ხალხურ ინსტიტუტებს (დაწვრ. იხ.: The dictionary ... 1997:17).

კულტურული ანთროპოლოგია ზოგადად კულტურასა

და კულტურებს სწავლობს. ტერმინი **ანთროპოლოგია**, კერძოდ, **კულტურული ანთროპოლოგია**, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადად გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სწავლობს ადამიანის შემოქმედებას, ადამიანის მიერ შექმნილ კულტურულ მემკვიდრეობას.

ჩვენ, ხშირად მოგვიწევს ცნება „კულტურისადმი“, ისე, როგორც „სოციალურისადმი“ ყურადღების მიპყრობა, იმდენად ტევადი და მნიშვნელოვანი ტერმინებია ისინი სოციოკულტურული ანთროპოლოგიისთვის. როცა ვამბობთ თუ რა არის კულტურა, ჩვენ ზოგადად განვმარტავთ მას ასე: ის რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი, ან იმასთან, რასთანაც ადამიანს ცხოვრებისეული კავშირი გააჩნია არის კულტურა. მაგრამ კულტურული ანთროპოლოგია არ უნდა იყოს გაგებული, როგორც ადამიანის მხოლოდ შემოქმედების შემსწავლელი მეცნიერება, არამედ, ჩვენ მასში სხვა მნიშვნელობებიც უნდა ჩავაქსოვოთ, მაგალითად, ყველაფერი ის, რაზეც ადამიანი შემოქმედებს ან, პირიქით. უფრო ზუსტად, კულტურა ესაა ურთიერთშემოქმედების საფუძველზე წარმოქმნილი სოციალური, სამეურნეო-ეკონომიკური, მატერიალური და სულიერი პროდუქცია. შემოქმედებები კი მრავალგვარი იყო და არის – ინდივიდუალური, ჯგუფური, კროსკულტურული. ამიტომ, კულტურულ კვლევებს გააჩნიათ როგორც ისტორიული, ისე სინქრონული პერსპექტივები მრავალფეროვანი თემატიკით.

ბოლო პერიოდში ზოგად ანთროპოლოგიაში გავრცელდა შეხედულება, რომლის თანახმადაც ეთნოლოგია, ისე, როგორც ეთნოგრაფია განხილული უნდა იქნას კონკრეტულად არა კულტურული, ან სოციალური ანთროპოლოგიის თანაბარი მნიშვნელობის ცნებად, არამედ სოციოკულტურული ანთროპოლოგიის შემადგენელ ნაწილად, უფრო ზუსტად, მის მიმართულებად. აქედან გამომდინარე, ამ შეხედულების მიმდევრები ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის სინონიმურობას სადავოდ მიიჩნევენ. ტრადიციულად კი - ეთნოგრაფია (დარგი ემპირიულ დონეზე კროსკულტურული კვლევებისა და სხვა ტექნოლოგიების შესახებ) და ეთნოლოგია (მეცნიერება ხალხების ცხოვრების წესის,

ადამიანთა ქცევასა და კულტურებს შორის არსებული კავშირების შესწავლის თეორიულ ასპექტების შესახებ) დასავლეთში განიხილება როგორც კულტურული ანთროპოლოგიის ორი კომპონენტი (დაწვრ. იხ.: Mervin S. Garbarino). უფრო მეტიც, რიგი ავტორი თვლის, რომ საგნობრივი სივრცით ეთნოლოგია უფრო ფართოა, ვიდრე ანთროპოლოგია. ამდენად, მკვლევართა გარკვეული ჯგუფი, პირიქით, ანთროპოლოგიას ეთნოლოგიის ნაწილად მიიჩნევს (ს. ლურიე. შდრ. Садохин, 2005:26-27). საგნის სოციალურ, უფრო ზუსტად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სისტემაში ადგილისა და როლის განსაზღვრაში არსებული ასეთი განსხვავება აშკარად აზრთა სერიოზული უთანხმოებიდან გამომდინარეობს.

ფიქრობენ, რომ ტერმინების „კულტურულის“ და „სოციალურის“, როგორც ერთიანი ცნების, გამოყენება XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ განსხვავება ადრევე არსებობდა იმ კონცეპტუალური უთანხმოების ფარგლებში, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ანვითარებდა ფრანც ბოასი. ასევე ხდებოდა ინგლისშიც (მაგალითად, რედკლიფ-ბრაუნის შეხედულებები სოციალური ანთროპოლოგიის საგნობრივ არსთან დაკავშირებით), როცა იქ ახალ მიმართულებებს ეყრებოდა საფუძველი. ნოვატორულ ამპლუაში გამოდიოდნენ რ. ბერეტი, ს. სელიგმანი, ვ. რივერსი და ა. ჰედდონი. ამ ორ ტერმინს შორის განსხვავების დაფიქსირებას ცალკეული მეცნიერი ერთობ მნიშვნელოვნად თვლის, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს იქნება სტენოგრაფიული გზა ეთნოგრაფიული სკოლის დახასიათებისთვის. მიუხედავად ამისა, დღეს ეს ორი ტერმინი აღარაა მკაფიოდ გამიჯნული. ამის გამო, ზოგიერთი ანთროპოლოგი მათ არც კი ანსხვავებს (დაწვრ. იხ.: The Dictionary... 1997:17), თუმცა, მაინც სირთულეებიდან და გაუგებრობებიდან საუკეთესო გამოსავლად მათ დეფინიციათა კომბინირებული გამოყენება, ცნებათა შერწყმა მიიჩნევა. ამდენად, საგანი - სოციოკულტურული ანთროპოლოგია, როგორც ამას ზემოთაც გაეცა ხაზი, წარმო-

ადგენს სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ნაერთს, რითაც მოხერხდა ერთ მთლიანობაში გაგვეაზრებინა ყველა ის ასპექტი, რომელიც, როგორც დიაქრონულ, ისე სინქრონულ დონეზე ადამიანის ყოფა-ცხოვრებასთან, მის ფენომენტანაა დაკავშირებული.

შეიძლება ითქვას, რომ სოციოკულტურული ანთროპოლოგია ესაა მეცნიერება ადამიანის ზოგადი ქცევის შესახებ, უფრო ზუსტად, იგი სწავლობს საკაცობრიო კულტურისა და საზოგადოების არსს, ადამიანებსა და კულტურებს შორის არსებულ ურთიერთობებს. სოციოკულტურული ანთროპოლოგია ადამიანებს განიხილავს როგორც სოციალურ არსებას, რომელიც ორგანიზებულია ჯგუფებში მსგავსი და განსხვავებული კულტურული მახასიათებლებით, ინტერესდება მათი ისტორიით, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ცხოვრების წესით, მატერიალური და სულიერი ნიშან-თვისებებით, პასუხებითა და შეხედულებებით ნაცნობ გარემოსა და სამყაროზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Radcliff-Brown** - A. R. Radcliff-Brown. Method in social anthropology, London, 1958.
2. **Radcliff-Brown** - Mervin S. Garbarino. Sociocultural theory in anthropology (a short history), Chicago, 1977.
3. **Крюков** - М. В. Крюков. Социальная организация.-Свод этнографических понятий и терминов (Этнография и смежные дисциплины, этнографические субдисциплины, школы и направления, Методы), Москва, 1988.
4. **მელიქიშვილი** - ლ. მელიქიშვილი. ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბ., 2000.
5. **Monogham, Just** - John Monogham and Peter Just. Social and cultural anthropology (avery short introduction), Oxford, 2000.
6. **Садохин** - А. П. Садохин. Этнология, Москва, 2005.
7. **Токарев** - С. А. Токарев. История зарубежной этнографии, Москва, 1978.
8. **Dictionary** - The Dictionary of Anthropology, 1997.

9. **Hunter, Whitten** – David Hunter and Phillip Whitten. What is anthropology.- anthropology (contemporary perspective), Boston, 1975.

Nugzar Mgeladze, Vakhtang Shamiladze
Problems of Socio-Cultural Anthropology as a Course

The article deals with the problems of anthropology, including socio-cultural anthropology as a course, their relations with cultural and social anthropology, ethnology and ethnography. This is a topical question not only for the Georgian Humanities but remains the debatable issue in the West as well. The determination of the problem needs more clarification in Georgia. The reason is that before the 20-30s' of the 20th century the field was developed under the name of ethnology whereas after including Georgia within the USSR it was changed into ethnography. This fact bears not only departmental but political motivation as well. At present such definitions as ethnology, anthropology, social and cultural anthropology have become functional again. This is the reason why we have made an attempt to determine the essence of the fields in relation to the name.

“ეთნოლოგიის კრიზისი“

სათაური ნასესხებია კარლ ა. ნოვოტნის სტატიიდან, რომელიც 1980 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში “Zeitschrift für Ethnologie” (გამოდის 1869 წლიდან). სტატიის ავტორმა დასვა საკითხი ეთნოლოგიის კრიზისის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და დაძლევის გზების შესახებ. სტატიაში აღნიშნულია, რომ უკვე 50 წელია (ე.ი. XX საუკუნის 30-ანი წლებიდან) გრძელდება ეთნოლოგიის კრიზისი, რომელიც დაიწყო ძველი ანთროპოლოგიის შემადგენელ დისციპლინებად დაყოფით და გამოხატულება ჰპოვა კამათში ამ დარგის სახელწოდების თაობაზე, კერძოდ, დავაში ბერძნული დაბოლოებების “-ლოგია” თუ “-გრაფია”-ს შესახებ (Nowotny, გვ. 113). კრიზისის მიზეზად დაასახელა ზოგიერთი თეორიით გატაცება, მეთოდის არასრულყოფილება და შესასწავლი მასალისადმი მიდგომის სივიწროვე. ავტორს ეთნოლოგიაში კრიზისის დაძლევის გზად მიაჩნია საველე სამუშაოების გაფართოება. ხაზგასმით აღნიშნულია, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ველზე მუშაობას და კვლევაში სხვა მეცნიერებათა გამოცდილების გათვალისწინებას.

კრიზისის ანალოგიური სიტუაცია აირეკლა დღევანდელი კონფერენციის თემის სახელწოდებაში “ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?!” – ?!-ის ნიშანში.

როგორც ცნობილია, სიტყვა “კრიზისი” ბერძნული წარმოშობისაა (krisis) და მისი ძირითადი მნიშვნელობაა დიდი გარდატეხა, მკვეთრი ცვლილება, მძიმე გარდამავალი პერიოდი (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, Словарь иностранных слов).

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით, მაშინ გამოდის, რომ დღესაც არის კრიზისი, რასაც მეცნიერების ამ დარგის დეფინიციათა სხვადასხვაობა გამოხატავს: ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია, სოციალური ანთროპოლოგია.

შეიძლება ითქვას, რომ კრიზისი იყო საბჭოურ

ეთნოგრაფიაში XX საუკუნის 80-ანი წლების ბოლოს, რაც გამოიკვეთა იმ დისკუსიაში, რომელიც გაიშალა ჟურნალ “Советская этнография“-ს ფურცლებზე ეთნოგრაფიის საგნის, მეცნიერებათა სისტემაში მისი ადგილისა და მეთოდების თაობაზე ი. ბრომლეისა და მ. კრიუკოვის სტატიის შემდეგ (Бромлей, Крюков). კამათი იყო ეთნოგრაფიული მეცნიერების პროფილირების პრობლემების, მეთოდების (Бромлей, Крюков; Горленко) შესახებ. ამ წერილს მოჰყვა რუსი ეთნოლოგების წერილების მთელი სერია. დისკუსია იყო პრინციპული, გაგრძელდა ამ ჟურნალის 1987 წლის №№ 4,5,6 და 1988 წლის №1-ში დასრულდა. შეჯამების შემდეგ გამოიკვეთა საერთო აზრი და ითქვა, რომ ეთნოგრაფიის საგანი არის კულტურის ტრადიციულ-ყოფითი ასპექტები, რომელიც განასხვავებს ერთ ეთნოსს მეორისაგან (ББутинов, გვ. 52). ეთნოგრაფიის საკვლევო ობიექტია ტრადიციულ-ყოფითი კულტურა, როგორც ეთნოგრაფიის საგნობ-რივი სფეროს ბირთვი (Бромлей, გვ. 47).

ამგვარი მიდგომა სადღეისო პრობლემებსაც ეხმაურება.

დღეს ვაღიარებთ, რომ ტერმინოლოგიური განსხვავებანი ართულებს დარგის დეფინიციის უნიფიცირებას (ეს აღნიშნული იყო მიმდინარე კინფერენციის ცირკულარში). დღესაც იმ ობიექტის – რომელსაც ეთნოსი და ეთნიკური კულტურა ჰქვია, – შემსწავლელ მეცნიერებას სხვადასხვა ქვეყანაში ეწოდება: ეთნოლოგია, ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია, კულტურული/სოციალური ანთროპოლოგია, ხალხთმცოდნეობა (Völkerkunde, Volkskunde). ამ ბოლო დროს კი ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაშიც სხვადასხვა სახელით გვხვდება, მაგალითად, ნიდერლანდში არის ამსტერდამისა და ლეიდენის სკოლები განსხვავებულ სახელწოდებებით – «კულტურული ანთროპოლოგია» და «ევროპისგარეთა სოციოლოგია» (ლ. მელიქიშვილი, გვ. 44).

მეცნიერების ნებისმიერი დარგის საგნობრივი სფეროს ფორმირება არის ისტორიული, პერმანენტული პროცესი, გამოწვეული საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით. სამეცნიერო დისციპლინათა საგნობრივი სფერო ყა-

ლიბდება სამეცნიერო ტრადიციის (sic!), მეცნიერების რეალური გამოცდილების საფუძველზე. ეთნოლოგიის სპეციფიკას მიეყავართ იქამდე, რომ მას არა აქვს თითქმის არცერთი სფერო, მომიჯნავე მეცნიერებასთან რომ არ იყოს კავშირში, რაც ეთნიკური კულტურის თავისებურებების გამოვლენისა და მისი არსის ღრმად შესწავლის საშუალებას იძლევა.

სპეციალური და საცნობარო ლიტერატურის მიხედვით, «ეთნოგრაფია არის ისტორიულ მეცნიერებათა დისციპლინა მსოფლიოს ხალხთა (ეთნოსთა) და მათ დამახასიათებელ (ეთნიკურ) ნიშანთა შესახებ» (Бромлей, Токарев, გვ. 21-44). „ეთნოლოგია – მეცნიერება მსოფლიოს ხალხთა შესახებ. ცნობილია, რომ ეს ტერმინი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა იქნა 1784 წელს ა. შავანის მიერ, მაგრამ XIX საუკუნის 20-30-ან წლებში გავრცელდა ვ. ედვარდსის და ა. მ. ამპერის შრომების შემდეგ“ (Крюков, გვ. 68-70, ჭანტურიშვილი, 1993, 7).

„სოციალური ანთროპოლოგია (Social Anthropology) – მეცნიერება, რომელიც სწავლობს მსოფლიოს ხალხებს მათი სოციალური ორგანიზაციის თავისებურებათა გამოვლენის მიზნით. ეს ტერმინი პირველად გვხვდება ჯ. ფრეზერთან, ხოლო ამ მიმართულების კვლევის ფორმირება განეკუთვნება XIX საუკუნის მიწურულს. ფართო გაგებით იგი უპირისპირდებოდა ფიზიკურ ანთროპოლოგიას. მისი ძირითადი ობიექტი დიდი ხნის მანძილზე იყო „პრიმიტიული საზოგადოებები“. ამასთან, კულტურა განიხილებოდა როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტი, როგორც სოციალური ანთროპოლოგიის საგნის ნაწილი... არის აზრი, რომ სოციალური ანთროპოლოგია ეთნოგრაფიის/ეთნოლოგიის იდენტურია, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, სოციალური ანთროპოლოგია არასოდეს განიხილავდა ეთნიკურ ერთობლიობებს თავის ობიექტად... (Крюков, გვ. 76).

„კულტურული ანთროპოლოგია (Cultural Anthropology) ფართო მნიშვნელობით არის დისციპლინა, რომელიც სწავლობს კაცობრიობის კულტურის ფორმირების კანონ-

ზომიერებებს (განსხვავებით ფიზიკური ანთროპოლოგიისაგან), ვიწრო მნიშვნელობით სამეცნიერო გამოკვლევები, რომლებიც სწავლობენ კაცობრიობის კულტურული განვითარების ზოგად პრობლემებს და იყენებს უამრავი სხვა დისციპლინის მონაცემებს“ (Зельнов, გვ. 74-76).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დროთა განმავლობაში ტერმინები „სოციალური ანთროპოლოგია“ და „კულტურული ანთროპოლოგია“ ზოგან შეერწყა ერთმანეთს და სინონიმებად იქცა. ამავე დროს, მოხდა არსებითი ცვლილებები, სოციალური/კულტურული ანთროპოლოგია შეისწავლის არა მარტო ე.წ. პრიმიტიულ საზოგადოებებს, არამედ საკაცობრიო კულტურას, მისი განვითარების ისტორიას (Пигалев, 337, დამოწმებულია ლ. მელიქიშვილის მიხედვით).

ტრადიციულად, ეთნოგრაფია და ეთნოლოგია გამიჯნულია როგორც აღწერილობითი და თეორიული დისციპლინები. ამასთანავე, ორივე განიხილება ისტორიის მეცნიერებათა სისტემაში, განსხვავებით სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიისაგან, რომელიც სოციოლოგიაში შეყავთ. საინტერესოა, რომ სოციალურ/კულტურულ ანთროპოლოგიაში არ დომინირებს ისეთი კატეგორიები, როგორცაა ეთნოსი, ეთნიკური ერთობლიობა, ეთნოგრაფიული ჯგუფი, ეთნიკური კულტურა, და შესაბამისად, ისეთი ინტეგრირებული მიმართულებები, როგორცაა ეთნობოტანიკა, ეთნოლინგვისტიკა და მისთანანი.

ქართველი მეცნიერის გიორგი ჩიტაიას ერთ-ერთ პირველ ნაშრომში «ქართული ეთნოლოგია», რომელიც 1926 წელს გამოქვეყნდა, ჩამოყალიბებულია დარგის მიზნები, ამოცანები, კვლევის მეთოდი და პრინციპულად არის გამიჯნული ეთნოგრაფია და ეთნოლოგია, კერძოდ, ეთნოგრაფია ეთნოლოგიის საფუძველად არის მიღებული (ჭანტურიშვილი, 1993, 6-13; ყიფიანი, 1995, 17-25). საბჭოთა პერიოდში კანონიზებული სახელწოდების შემდეგ, ცხადია, საქართველოშიც სიტყვა «ეთნოლოგია» ხმარებიდან ამოვარდა (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ლ. მელიქიშვილი, 2000). დღესაც საზღვარგარეთის ზოგ ქვეყანაში ეთნოგრაფია დესკრიფციულ დისციპლინად ითვლება, ზოგან –

არა. დარგის სახელწოდებები «ეთნოგრაფია» და «ეთნოლოგია» ევროპის ბევრ ქვეყანაშია. იგი ასახულია უნივერსიტეტების ფაკულტეტების, აკადემიების ინსტიტუტების, სამეცნიერო პერიოდიკის, ცალკეული კრებულების სახელწოდებებში, სტატიების სათაურებში, მათ თემატიკაში. შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი ჟურნალის სახელწოდება, მაგალითად, გერმანიაში *Ethnographisch-Archäologische Zeitschrift /EAZ/*, *Europäische Ethnologie*, უნგრეთში გამოდის ჟურნალი *Acta Ethnographica*, რუმინეთში გამოდის ჟურნალი *Revista de Etnografie*, ხორვატიაში არსებობს მეცნიერებათა აკადემიის *Institut of Ethnology and Folklore Research*. დასახელებულ დისციპლინათა შორის (ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, კულტურული/სოციალური ანთროპოლოგია) არის ნიუანსები, რითაც ისინი საკვლევი ობიექტისადმი მიდგომით განსხვავდებიან. საკვლევი ობიექტი კი არის ადამიანი – ანთროპოსი და ხალხი – ეთნოსი. ამ ობიექტის შესწავლას მიეძღვნა საერთაშორისო კონგრესები, სახელწოდებით «ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა საერთაშორისო კონგრესი», სადაც ამ დარგის სხვადასხვა მიმართულებათა ფართო სპექტრი არის წარმოდგენილი (გ. ჩიტაია, 1965, გვ. 212-223).

რამდენადაც ეთნოლოგია შეისწავლის ხალხს/ხალხებს, ეთნოსს, მისი საქმიანობის ყველა სფეროს, სხვადასხვა კუთხით და ასპექტით, უკავშირდება მრავალ მომიჯნავე დისციპლინას (ისტორია, არქეოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ბოტანიკა, მედიცინა, რელიგიათმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, მუსიკათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ეკოლოგია). მათი სინთეზის, დიფერენციაციისა და ინტეგრაციის შედეგად განსაკუთრებით გასული საუკუნის 70-ანი წლებიდან სხვადასხვა მიმართულებათა შესაბამისად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოჩნდა ტერმინები: ეთნობოტანიკა, ეთნოზოოლოგია, ეთნოგეოგრაფია, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოდემოგრაფია, აგროეთნოგრაფია, ეთნოეკოლოგია, ეთნოარქეოლოგია, ეთნოსოციოლოგია, პალეოეთნოგრაფია, გამოყენებითი ეთნოგრაფია (*Applied Anthropology*, გამოვიდა ამ სახელწოდების ჟურნალი 1941

წელს), ეთნო-ხელოვნებათმცოდნეობა (Anthropology of Art), ეთნომუსიკოლოგია (აშშ-ში გამოდის 1950 წლიდან საერთაშორისო დონის ჟურნალი „Ethnomusicology“). აქვე აღვნიშნავ, ეთნომუსიკოლოგია – ეთნოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც ეთნოლოგიის მეთოდებით იკვლევს ტრადიციულ მუსიკალურ კულტურას და განსხვავდება მუსიკალური ფოლკლორისტიკისაგან, რომელიც იკვლევს ამავე ობიექტს როგორც მხატვრულ მოვლენას (მ. შილაკაძე, 1991). ტერმინი შემოიღო 1950 წელს ჰოლანდიელმა ი. კუნსტმა და ფართოდ გავრცელდა. ამჟამად, მასში ინტეგრირებულია ხალხური მუსიკის ყველა ძირითადი ასპექტი – სამუსიკათმცოდნეო, აკუსტიკური, ფოლკლორისტიკური, ეთნოგრაფიული, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური (И. Земцовский, გვ. 105). ეთნომუსიკოლოგია საკმაოდ მომძლავრდა და შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი დისციპლინადაც ჩამოყალიბდა. არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია ESEM (European Seminar of Ethnomusicology), რომელიც ყოველწლიურად მართავს სემინარს ევროპის რომელიმე ქვეყნის შესაბამის სამეცნიერო ცენტრში (მოგახსენებთ, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები საქართველოდან არიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფ. ნინო მაისურაძე და პროფ. მანანა შილაკაძე).

მეცნიერების განვითარების გზაზე ყოველი ახალი ეტაპი იწყება შესასწავლი ობიექტის სფეროს ცვლილებით (გაფართოებით, დავიწროებით, მომიჯნავე დარგთან ინტეგრაციით და სხვა), ფაქტობრივი მასალის დაგროვების, მეთოდოლოგიური სიახლეებისა და მეთოდების ცვლილებების საფუძველზე, რის შესაბამისადაც დეფინიციებიც იცვლება, ზუსტდება. ამის მკაფიო მაგალითია ტერმინი „ფოლკლორი“, რომელიც ადრე იხმარებოდა ფართო მნიშვნელობით. იგი შეიწავლიდა სიძველეთა ყოველგვარ სფეროს – ძველ წესჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებს, ხალხურ სიტყვიერებას (პოეზია, ანდაზები, ზღაპრები და სხვა) და მოგვიანებით მოიცვა თითქმის მთელი სულიერი კულტურა და მატერიალური კულტურის ზოგიერთი მხარეც,

შემდეგ კი დაიწყო ამ ტერმინის მნიშვნელობის დავიწროება (Гусев, გვ. 3-4).

ევროპის ქვეყნებში ცნება „ფოლკლორი“ მოიცავდა, არა მარტო ხალხურ პოეტურ შემოქმედებას, არამედ გამოყენებით ხელოვნებასაც, რწმენა-წარმოდგენებს, ტრადიციული ხალხური კულტურის სხვა მხარეებსაც, ხალხის მთელ სულიერ ცხოვრებას (Коккьяра; Мелетинский).

ასეთი ცვლილებები (საკვლევი ობიექტის გაფართოება/დავიწროება, მომიჯნავე დარგებთან ინტეგრაცია), გვაქვს დასახელებულ დისციპლინებში. იკვეთება ახალი პრობლემატიკა, ახალი თემატიკა, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო სპექტრის ჩართვას ითხოვს. ყოველივე ეს ზრდის მეცნიერული კვლევის სიღრმეს, მოითხოვს მეთოდოლოგიის გადახედვას (Brednich).

ეთნოლოგიის საგნობრივი სფეროს ბირთვია მყარი მახასიათებლები, რომლებიც წარმოადგენს ეთნოსების ერთმანეთისაგან განმასხვავებელ თავისებურებებს, რომელთა ერთობლიობაც ქმნის განუმეორებელ მთლიანობას, თავისთავადობას. ეთნოლოგიის სფეროში ექცევა საზოგადოებრივი ცხოვრების ის ფართო ველი, რომელშიც უფრო მკაფიოდ ვლინდება ეთნიკური კულტურის სპეციფიკა. სწორედ ეს ედო საფუძვლად ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის გ. ჩიტაიას მთავარი ამოცანის – ქართველთა ეთნიკური თავისებურების განსაზღვრას, რაშიც გულისხმობდა „მატერიალური და სულიერი კულტურის სპეციფიკურ თავისებურებათა კონკრეტულ ერთიანობას“ (გეგეშიძე, გვ. 39).

ეთნოლოგიის სპეციფიკას მივყავართ იქამდე, რომ მას არა აქვს თითქმის არცერთი სფერო, რომელიც მომიჯნავე მეცნიერებასთან არ იყოს კავშირში, იმ დარგებთან, რაც ეთნიკურად განსაკუთრებულის გამოვლენის საშუალებას იძლევა. ამიტომ არის მასში სხვადასხვა მიმართულებანი, რომლებიც წარმოადგენენ ეთნოგრაფიის გეოგრაფიასთან, ლინგვისტიკასთან, ბოტანიკასთან, მუსიკასთან და სხვა მრავალ-თან სინთეზის შედეგს – ეთნოგეოგრაფია, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოდემოგრაფია, ეთნოსოციოლოგია, ეთნოფსიქოლოგია და სხვა (Чистов, 1986, გვ. 265-

266).

რამდენადაც ეთნოლოგიის ობიექტი არის ხალხი, ეთნოსი, ფაქტოლოგიური ბაზა – ეთნიკური კულტურა, მრავალდარგოვანი და მრავალასპექტიანი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით, ამიტომ არის ის გ. ჩიტაიას სიტყვით რომ ვთქვათ, „ხალხთან ყველაზე ახლო მდგომი, ჰუმანური მისიის მატარებელი დარგი“. ის არის ყველაზე მეტად ეროვნული დარგი (ნებისმიერი ეროვნებისათვის) ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ასეთად თვლის მას არაერთი ავტორი (ცაგარეიშვილი, გვ. 99; ლ. მელიქიშვილი, გვ. 34).

როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე შესასწავლი ობიექტის სფეროს ცვლილების გამო დეფინიციებშიც ცვლილებები ხდება. დეფინიციების მრავალგვარობა და სინონიმების სიმრავლე ართულებს ზოგიერთი ტერმინით ოპერირებას. ამიტომ დროულად მიმანია ტრადიციულის გვერდით სავსებით კანონზომიერად გაჩენილი ახალი ტერმინოლოგიის გარკვევა. კერძოდ, მათში ნაგულისხმევი შინაარსის, მასშტაბების, ძირითადი პრინციპების მკაფიოდ ჩამოყალიბება, ყოველი ტერმინის, ახალი მიმართულებების ობიექტის, საგნის, მეთოდოლოგიის, მეთოდიკისა და ამოცანების დაკონკრეტება. ამიტომ კითხვაზე „ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?“ პასუხი იქნება: ეთნოლოგია არის მომავლის მეცნიერება!

ყოველივე ზემოთქმულის გასაძლიერებლად შემეძლო მომეტანა გერმანულ ენაზე 2000 წელს მიუნჰენში გამოცემული კ.-ჰ. კოლის ნაშრომი „ეთნოლოგია კულტურულ უცხოეთზე“ (Kohl). აქ განხილული საკითხები მოწმობს ტრადიციული პრინციპებისა და მეთოდების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, თანადროულობის მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინების მცდელობას. აქვე აღვნიშნავ, რომ ნაშრომის სათაურშივე „ეთნოლოგია“ არის ნახსენები, მაგრამ ის პარალელურად გერმანული ტრადიციით „ფოლკერკუნდე“ არის ზოგიერთ პარაგრაფში გამოტანილი. ნაშრომში დასმულია ისეთი საკითხები, როგორცაა: 1) ეთნოლოგია და მისი დღევან-

დელი მდგომარეობა, 2) „საზოგადოებათა განსაკუთრებული ნიშნები, რომელთაც ეთნოლოგია შეისწავლის“, 3) ეთნოგრაფიული საველე კვლევები (საინტერესოა ამ ქვეთავში შეტანილი პარაგრაფები: ეთნოლოგია და ეთნოგრაფია, მეცნიერული ეთნოგრაფიის წინაისტორიისათვის, კარტოთეკული ყუთი, Zettelkasten [კარტოთეკული ყუთი] ველისათვის, დაკვირვების მეთოდები, ეთნოლოგიური თეორიები).

ავტორი ხაზგასმით აყალიბებს დეფინიციებს „ეთნოგრაფია“ და „ეთნოლოგია“. ეთნოგრაფია მიჩნეულია აღწერილობით დისციპლინად, ეთნოლოგია – ემპირიული მონაცემების სისტემატურ განზოგადებად. საინტერესოა დასკვნითი ნაწილის პარაგრაფი „ეთნოლოგიის თანამედროვე სიტუაციისათვის“ (Kohl 168-172), სადაც ლაპარაკია დღევანდელობაში ანთროპოლოგიის გამოყენებაზე. აღნიშნულია, რომ ამერიკაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა ასოციაციები და საზოგადოებები და ჩამოთვლილია: Association of Black Anthropologists, Association of Latina und Latino Anthropologists, Society of Lesbian und Gay Anthropologists, Association of Senior Anthropologists, რომლებიც ატარებენ კონგრესებს და საკუთარ ჟურნალებს სცემენ.

ამავე ავტორის დაკვირვებით, 80-იანი წლების შუა ხანებიდან მთელ მსოფლიოში შეინიშნება ეთნიციტური (ethnizistische) მოძრაობა როგორც რეაქცია კულტურის გლობალიზების პროცესის მიმართ (Kohl 171). სპეციალურ (მომიჯნავე) დისციპლინათა ურთიერთმიმართების განვითარებას ავტორის აზრით მივეყვართ იქამდე, რომ საზღვარი Volkskunde-ს, რომელიც დღეს Europäische Ethnologie-ს სახით წარმოგვიდგება, სოციოლოგიას (რომელიც თანდათან კულტურის მეცნიერებებზეა ორიენტირებული) და კლასიკურ ეთნოლოგიას შორის თანდათანობით იშლება, თუმცა შეიძლება გულიც დაგვწყდეს, რომ დარგმა ამით თავისი მონოპოლიური ადგილი დაკარგა. ფაქტობრივად, ეს უნდა განვიხილოთ როგორც სასარგებლო მოვლენა, რომლის სპეციფიკური მეთოდური საფუძველი, საკითხის დასმა და კულტურის შესწავლის ხერხები ისეთ ცენტრში

აღმოჩნდება, რომ ამავედროულად სხვა სამეცნიერო დისციპლინებმაც შეიძლება გადაიღონ.

რაც შეეხება ეთნოლოგიის სწავლების საკითხს. ეთნოლოგია უნდა ისწავლებოდეს უნივერსიტეტებში ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე (არა მარტო ქართველოლოგიურ მიმართულებაზე). მაგრამ ყოველი მიმართულებისა და მის შიგნით არსებული ქვემიმართულებების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაკონკრეტებული, სპეციალურად შემუშავებული პროგრამით (რაც აისახება სილაბუსში).

დასასრულ, ჩემი აზრით, დღეს ეთნოლოგიურ მეცნიერებაში კრიზისი არ არის, არის ახალ ეტაპზე გადასვლის პროცესი, თანამედროვე ვითარებით ნაკარნახევი ახალი პრობლემატიკისა და თემატიკის შესაბამისად. ეთნოლოგია/ეთნოგრაფიას, კულტურულ/სოციალურ ანთროპოლოგიას აქვთ თავიანთი კვლევის ობიექტი, მეთოდები, ჩამოყალიბებული სამეცნიერო ტრადიციები. ეს დარგები ანთროპოსს, ეთნოსს შეისწავლიან სხვადასხვა ასპექტებით. ეთნოსთა სპეციფიკის, თანამედროვე მსოფლიოში (ან რომელიმე ლოკალურ რეგიონში) არსებული კონფლიქტური სიტუაციების მიზეზების მეცნიერული ანალიზის შედეგების გათვალისწინებით მათი აღმოფხვრის რეკომენდაციების შემუშავება, კონფლიქტების პრევენციისათვის ისტორიულად არსებული სტაბილური, ეთნოკულტურული ურთიერთობების წარმოჩენა და წინ წამოწევა, გლობალიზაციის გარდაუვალ პროცესში მცირერიცხოვანი ერების უფლებების დაცვისათვის რეკომენდაციების შემუშავება ეთნოლოგიის პრიორიტეტული მიმართულებაა და, შეიძლება ითქვას, პრეროგატივაც.

ამიტომაც არის ეთნოლოგია მომავლის მეცნიერება!

გამოყენებული ლიტერატურა

1. გუგუშიძე მ., გიორგი ჩიტაია, თბილისი: „მეცნიერ-ება“, 1980.
2. მელიქიშვილი ლ., ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბილისი: „მემატიანე“, 2000.

3. უცხო სიტყვათა ლექსიკონი; შეადგინა მიხეილ ჭაბა-შვილმა, თბილისი: „ნაკადული“, 1964.
4. ყიფიანი, პ., ეთნოლოგიის პრობლემები. თბილისი, 1995.
5. შილაკაძე მ., ეთნომუსიკოლოგიის საგანი, მეთოდები და ამოცანები, თბილისი: „მეცნიერება“, 1991.
6. ჩიტაია გ., ქართული ეთნოლოგია, – მიმომხილველი, 1926; შრომები; III, 2001, თბილისი: „მეცნიერება“, გვ. 21-32.
7. ჩიტაია გ., ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი, – შრომები, IV, თბილისი: „მეცნიერება“, 2001, 11-63.
8. ჩიტაია გ., ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა საერთაშორისო კონგრესი; – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1965, №2, 212-223.
9. ცაგარეიშვილი თ., გიორგი ჩიტაია, თბილისი: „მეცნიერება“, 1993.
10. ჭანტურიშვილი, ს., ეთნოლოგია. თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993.
11. Brednich Rolf W., Quellen und Methoden. In: Grundriss der Volkskunde. Einführung in die Forschungsfelder der Europäischen Ethnologie. hrs. R. W. Brednich, Berlin:Reiner, 2001, 77-100.
12. Kohl Karl-Heinz; Ethnologie _ die Wissenschaft vom kulturell Fremden. Eine Einführung, 2. erweiterte Auflage, München, C. H. Beck, 2000.
13. Nowotny Karl A., Die Krise der Völkerkunde, Von Karl A. Nowotny. In: Zeitschrift für Ethnologie (Organ der Deutschen Gesellschaft für Völkerkunde und Berliner Gesellschaft für Anthropologie, Ethnologie und Urgeschichte, Band 105, Heft 1 und 2, 1980, Dietrich-Reimer Verlag Berlin, 113-124.
14. Бромлей Ю.В., Крюков М. В., Этнография: место в системе наук, школы, методы, - «Сов. этнография», №3.
15. Бромлей Ю.В., Токарев, С. А., Этнография, - Свод этнографических понятий и терминов, Москва: «Наука», 1988, 21-41.
16. Бутинов Н. А., О предмете этнографии, - «Сов.этнография», 1987, №6.
17. Горленко В. Ф., Некоторые соображения по поводу статьи Ю. В. Бромлея и М. В. Крюкова, _ «Сов.этнография», 1988, 1

18. Гусев В. Е., Эстетика фольклора, Ленинград, 1967.
19. Гусев В. Е., Эстетика фольклора, Ленинград, 1967.
20. Зельнов И., Культурная антропология, - Свод этнографических понятий и терминов, Москва: «Наука», 1988, 74-76.
21. Зельнов И., Культурная антропология, - Свод этнографических понятий и терминов, Москва: «Наука», 1988, 74-76.
22. Земцовский И. И., Этномузыкология, - Свод этнографических понятий и терминов, Москва: «Наука», 1988, 105-106.
23. Коккьяра Дж., История фольклористики в Европе, Москва, 1960
24. Крюков М. В., Этнология, Свод этнографических понятий и терминов, Москва: «Наука», 1988, 68-70.
25. Крюков М. В., Социальная антропология, - Свод этнографических понятий и терминов, Москва: «Наука», 1988, 76.
26. Мелетинский Е. М., О книге Дж. Коккьяры „История фольклористики в Европе“, Москва, 1960.
27. Пигалев А. И., Культурология, Волгоград, 1999 (ცოცორებულის ლ. მელიქიშვილის დასახელებული ნაშრომის მიხედვით)
28. Свод этнографических понятий и терминов, Москва: «Наука», 1988.
29. Словарь иностранных слов, Изд. девятое, исправленное, Москва: «русский язык», 1982.
30. «Советская этнография», 1987 №№ 3, 4, 5, 6; 1988, № 1.

Manana Shilakadze

“Crisis of Ethnology”

The title is borrowed from the article by Karl A. Novotny, which was published in 1980 in the journal “Zeitschrift für Ethnologie” (published since 1869). The author of the article has brought forth the matter of the crisis of ethnology, its causes and ways of overcoming it. The author of the article states that the crisis of ethnology lasts that was started by division into the disciplines already 50 years (i.e. since the 30es of the 20th century). It constituted anthropology and has then found its expression in the discussion of

the name of this field of studies, namely, whether the Greek suffix “-logy” or “-graphy” should prevail. The situation, analogical to the mentioned crisis, was reflected in the ‘?!’ mark of the theme of conference: “Anthropology, a science of future?!”

There may be boldly remarked that the crisis took place in the Soviet Ethnography at the end of the 80es of the 20th century. This was shaped out in the discussion spread onto the pages of the journal “Soviet Ethnography” («Советская этнография») about the subject of ethnography, its place in the system of sciences and its methods.

Today we admit that terminological differences do make it complex to unify definition of the field (this was remarked in the circular of the current conference). Even today the science, studying the object which is called ethnos and ethnic culture, carries different names in different countries: ethnology, ethnography, anthropology, cultural / social anthropology, peoples studies, народоведение, Völkerkunde, Volkskunde.

Formation of the subject sphere of any field of the science is a historical, permanent process, caused by social demands. The subject sphere of the scientific disciplines is being shaped on the basis of the scientific tradition (sic!), real experience of the science. Specificity of ethnology drives us to the fact that the latter has almost no such spheres that wouldn’t be linked to an adjacent science. As a result of their synthesis, differentiation and integration, especially since the 70es of the last century, according to various directions, there have appeared the following terms in the scientific literature: ethno-botany, ethno-zoology, ethno-linguistics, ethno-demography, agro-ethnography, ethno-ecology, ethno-archeology, ethno-sociology, ethno-musicology, ethno-choreology.

Each new stage on the way of development of a science begins with the amendment of the sphere of the object to study (expansion, narrowing, integration with an adjacent branch, etc.), accumulation of the factual materials, methodological novelties and changes of methods. Corresponding to these amendments the definitions change as well and become adjusted. A distinct example of the above-said is the term ‘folklore,’ which used to study any spheres of antiquity, including the whole spiritual culture and several aspects of the material culture, too.

Large variety of definitions and existence of synonyms makes

it complicated to operate with certain terms. That's why I believe it to be purposeful to keep traditional terminology, but their essence and scales must necessarily be adjusted, there must be concretized each object, subject, methods and objectives of study.

So, the answer to the question _ anthropology, a science of future?! _ will be: ethnology is the science of future.

Ethnology must be taught at humanitarian faculties with corresponding study programmes.

ნინო მინდაძე

ქრისტიანული ანთროპოლოგია და ქართველი ხალხის შეხედულებები ადამიანის შესახებ

ქრისტიანული ანთროპოლოგია არის საღვთისმეტყველო დისციპლინა, ქრისტიანი ღვთისმეტყველების მოძღვრება ადამიანის, პიროვნების შესახებ, მის წარმოშობაზე (შესაქმე), ბუნებაზე, მისი ცხოვრების მიზანზე, არსზე, ხსნაზე; ადამიანის სხეულზე, სულზე, გონზე და სხვ..

ქრისტიანული ანთროპოლოგიის ძირითადი წყაროებია: ბიბლია - ძველი და ახალი აღთქმა, წმინდა მამათა ნაწერები, ანტიკური ფილოსოფია...

ქრისტიანული ანთროპოლოგიის, როგორც ყველა ანთროპოლოგიური დისციპლინის, შესწავლის ობიექტი ადამიანია, მაგრამ სხვა დისციპლინებისგან განსხვავებით, მართლმადიდებელი ადამიანი, ღმერთის მიერ შექმნილი, ღმერთის მიერ ხსნილი, ღვთისკენ მიმავალი ...

ქრისტიანული ანთროპოლოგიის საფუძველი დოგმატურია. მისი ამოსავალია – რწმენა. ასევე ქრისტიანული დოგმატების ახსნა წმინდა მამების მიერ, რაც დამახასიათებელია საღვთისმეტყველო აზროვნების ჩამოყალიბების მთელი გზისათვის, სადაც ქრისტიანული ანთროპოლოგიის

მართლმადიდებლური მეთოდოლოგიაც მოიაზრება.

ქრისტიანული ანთროპოლოგია განსაკუთრებულ ადგილს უთმობს სულისა და სხეულის ურთიერთქმედების ასხნას. იგი ადამიანს განიხილავს ერთარსებად, სადაც ერთობლიობაშია სულიერი და ბიოლოგიური საწყისი, ერთად არის წარმოდგენილი სულიერი და ბიოლოგიური ცხოვრება. სული და სხეული ადამიანის ორი ნაწილი კი არ არის, არამედ ორი ასპექტი მისი ერთარსებობისა. ქალისა და მამაკაცის ერთარსობაზე მიუთითებს ქალის შექმნის ბიბლიური ვერსია და სწორედ ამ კონტექსტში განიხილავს ქრისტიანული ანთროპოლოგია სქესთა ურთიერთობის საკითხებს. [ფილარეთი, 2004, 14]

ქრისტიანული ანთროპოლოგიის ფსიქოლოგიური ნაწილი კი, რომელსაც, „სულის ცხოვრება“-ც შეიძლება ეწოდოს, მოიცავს ისეთი ცნებების ანალიზს, როგორცაა გონი, ნება, გული, სინდისი, ცნობიერება, პიროვნება... [ლორგუსი, 2003,]

ქრისტიანული ანთროპოლოგიის დოგმატური საფუძველია ადამიანის შესაქმნის ბიბლიური თეორია, რომლის მიხედვით, ღმერთმა ადამიანი შექმნა მიწისგან, მას სიცოცხლის სული შთაბერა და ცოცხალ არსებად აქცია – **გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად** (დაბ. 2:7). ამგვარად, ადამიანი შექმნისთანვე დაკავშირებულია როგორც ამქვენიურ სამყაროსთან, ისე ღმერთთან.

ადამიანი არის მეუფე მისთვის შექმნილი სამეფოსი – მიწიერი სამყაროსი. **თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემორმს, რაც კი მიწაზე დახობავს** [დაბ.1:26].

პირველქმნილი ადამიანი შეიქმნა ხატად და მსგავსად ღვთისა. იგი მოწოდებული იყო კეთილდღეობისთვის ღმერთთან ერთად. ღმერთმა ადამიანს აჩუქა არა მარტო სიცოცხლე, არამედ მისცა მას დამოუკიდებლობა, თავისუფლება და თავის მიერ შექმილი არსება, თავისი ხატი და მსგავსი მოათავსა სამოთხეში – **უფალმა ღმერთმა ბაღი**

გააშენა ედემში, აღმოსავლეთში, და დასვა იქ ადამი, რომელიც გამოსახა [დაბ. 2:8]. მაგრამ გარკვეული ვალდებულებაც დააკისრა აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშაველად და დასაცავად [დაბ. 2:15]. ამგვარად, ღმერთმა შესაქმნის ბოლო საფეხურზე, შემოქმედების გვირგვინად, შექმნა ადამიანი და დააჯილდოვა განუზომელი ღირსებით, აღმატებული პატივით – საკუთარი ხატებით და მსგავსებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა მარტოდენ ადამიანს მიმადლა ის, რაც მას, და მხოლოდ მას, – ცისა და ქვეყნის შემოქმედს, ამკობს – აზროვნება, ნებისყოფა, არჩევანის თავისუფლება და შემოქმედებითობა [პაპუაშვილი, 1996, 97]. მაგრამ ადამიანმა ვერ გადალახა თავისუფლების ცდუნება და როგორც სამყაროს ნაწილმა, ამ ქვეყნის მეუფემ, მოისურვა მიედო ყოფიერების თავისი წილი და ემართა ქვეყანა დამოუკიდებლად – ღვთის გარეშე. ღვთის სიყვარულს სძლია მიწიერმა სიყვარულმა, სიყვარულმა თავის თავისადმი. რის შედეგადაც ადამიანის მთავარი მახასიათებელი გახდა ცოდვა. ამგვარად, პირველქმნილი ადამიანი იყო იდეალური, სრული, რეალურ ადამიანში კი განსაკუთრებულ როლს თამაშობს პირველი ცოდვა და მისი პირადი ცოდვები. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული ანთროპოლოგიის პრობლემების სფეროში შემოდის ცოდვისა და ბოროტების პრობლემა. პირველმა ცოდვამ, დაცემამ არ დაუკარგა ადამიანს ღმერთის ხატება, თავისუფლება, სიკეთე, მადლი. ცოდვამ მხოლოდ დაამახინჯა ადამიანის ბუნება, რაც გახდა მიზეზი ხრწნისა და სიკვდილისა [ფილარეთი, 2004, 10-11]. ადამიანი შეცოდების შედეგად სულიერ მონობაში მოხვდა. ამ მონობისგან გამოსახსნელად, ღმერთი თავად მოვიდა მიწაზე და განკაცდა ძე ღვთისაში. დოგმა ღმერთის განკაცების შესახებ ქრისტეში, ქრისტეს ორბუნებოვნება ქრისტიანული ანთროპოლოგიის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. ქრისტე მეორე ადამია. *პირველი კაცი – მიწისაგან, მიწიერი; მეორე კაცი – ზეციური* [I კორ. 15:47]. ადამიანის ხსნა შესაძლებელია ქრისტეს ეკლესიაში. ქრისტე არის ეკლესია. ხოლო ქრისტიანები – მისი წევრები: *ასევე ჩვენც, მრავალნი, ერთი სხეული ვართ*

ქრისტეს მიერ, ხოლო ცალ-ცალკე ერთმანეთის ასოები ვართ [რომ. 12:5].

ხსნის გზაზე დამდგარი ადამიანის საბოლოო მიზანია – ახალი ცა და ახალი მიწა – *და ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგანაც უწინდელი ცა და უწინდელი მიწა გადაეგო, და ზღვა აღარ არის* [გამოცხ. 21:1]. მიწაზე ყოფნის დროს ადამიანი რჩება მაინც არასრულყოფილ, არასრულ არსებად. საეკლესიო ანთროპოლოგიის მიხედვით, ადამიანის არსის ჩაწვდომა შეუძლებელია მხოლოდ ამქვეყნიური მონაცემებით – *საყვარელნო, აწ შეიღნი ვართ ღმრთისა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გაცხადებულა, რანი ვიქნებით. ვიცით მხოლოდ, რომ როცა გაცხადდება, მისივე მსგავსნი ვიქნებით, ვინაიდან ვიხილავთ, როგორია იგი* [იოან.3:2].

ქრისტიანული ანთროპოლოგიის საბოლოო მიზანია მიუთითოს ადამიანს ხსნის გზაზე, დააყენოს იგი სულიერ ამალღების ჭეშმარიტ გზაზე, რომ საბოლოოდ შეუერთდეს მას ვინც იგი შექმნა და რომლის ხატისებრ შეიქმნა იგი [ქრისტიანული ანთროპოლოგიის შესახებ იხ.: ფილარეთი, 2004,5-18; ლორგუსი, 2003; ინტერნეტ-ვერსიები - www.pagez.ru/olb/01php page1 of 2; [http://on.wikipedia.org/wiki/Christian antropology...](http://on.wikipedia.org/wiki/Christian_antropology...)].

ასეთია მოკლედ ქრისტიანული ანთროპოლოგიის კვლევის ძირითადი სფერო, მიზანი, მისი დოგმატური საფუძვლები. ამჯერად, ჩვენ მხოლოდ ადამიანის შესაქმნეს შეგვხვებით. როგორც ვთქვით, ტრადიციული ქრისტიანული შეხედულებით, ღმერთმა ადამიანი შექმნა მიწისგან (ფიზიკური საწყისი) და შთაბერა მას სული (ღვთიური საწყისი). ქრისტიანული ანთროპოლოგია აღიარებს როგორც ადამიანის ორნაწილიანობის (დიქოტომიზმი), ისე სამნაწილიანობას (ტრიქოტომიზმი). პირველის მიხედვით, ადამიანი *სულისა და სხეულის/ხორცის*, ხოლო მეორის მიხედვით – *სულის, სამშენველის და სხეულის/ხორცის* ერთიანობაა [სარჯველაძე,1990,145-149; მღვდელმთავარი ლუკა, 2003; ლორგუსი, 2004, 13,18-23...]. ეს უკანასკნელი უმეტესწილად მართლმადიდებლურ ქრისტიანობაშია გავრცელებული [ლორგუსი, 2004, 168-169] და ასახულია პავლე

მოციქულის შემდეგ სიტყვებში: *ხოლო თვით ღმერთმა მშვიდობისა, დაჲ, წმიდა გჳოთ თქვენ მთელი სისრულით, და თქვენი სული და სამშენიველი და სხეული უბიწოდ დაცულ იქნეს მთელი სავსებით უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მოსვლისას* [1 თეს. 5,23].

ანთროპოლოგიის საკითხებს ეხება ქრისტიანული ფილოსოფიის თითქმის ყველა წარმომადგენელი. პატრისტიკაში ეს პრობლემა ერთ-ერთი ძირითადია. წმინდა მამების ზოგიერთი ნაშრომი უშუალოდ ადამიანის შესწავლას ეძღვნება. როგორც მაგ., გრიგოლ ნოსელის – *კაცისა შესაქმისათჳს*, ნემესეოს ემესელის – *ბუნებისათჳს კაცისა...*

ქრისტიანული ფილოსოფიის ეს მოღვაწენი საქართველოში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

წმინდა გრიგოლ ნოსელი, ქრისტიანული ანთროპოლოგიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელიც *მინეულია თეოლოგიური მისტიკის ფუძემდებლად... ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი ავტორია ძველ ქართულ მწერლობაში* (ჭელიძე, 1989, 194; 197).

ივანე ჯავახიშვილი სამართლის ისტორიის პირველ წიგნში განიხილავს მოძღვრებას ადამიანის ბუნებაზე რუის-ურბნისის ძეგლისწერის მიხედვით და გრიგოლ ნოსელის ნაშრომის *კაცისა შესაქმისათჳს* შესახებ წერს: *გრიგოლ ნოსელის თხზულება დამყარებულია ძველ ბერძნულ ფილოსოფიურსა და საბუნებისმეტყველო მწერლობაზე; მისი აზრები ქართულ მწერლობამაც შეითვისა და მთელ საშუალო საუკუნეების განმავლობაში უტყუარ ჭეშმარიტებად ჰქონდა მიჩნეული. გრიგოლ ნოსელის შეხედულებით, რომელიც ამასათანავე მთელი განათლებული საზოგადოების შეხედულება იყო საშუალო საუკუნეებში როგორც დასავლეთს ევროპაში, ისე აღმოსავლეთშიაც. სახელდობრ არაბეთსა და სპარსეთში, ადამიანის ბუნებაში მსოფლიოს სტიქიონები სუფევდნენ... [ჯავახიშვილი, 1982, 123].*

ასეთივე პოპულარული იყო ნემესეოს ემესელი – *მე-18-ე საუკუნის დამღევაძე (და შემდეგაც) ქართველთა შორის ამ თხზულებისადმი* (იგულისხმება ნემესეოს ემესელის *ბუნებისათჳს კაცისა* ნ.მ.) *ცხოველი ინტერესი*

არ მოსპობილა. ფილოსოფიურად მოაზროვნე ქართველები ნემესიოსის წიგნს დიდის მოწიწებით ეპყრობოდნენ, როგორც ერთგვარს ენციკლოპედიას, რომელშიაც თავმოყრილი იყო ძველ ბერძნის ფილოსოფოსთა სიბრძნე მოძღვრება კაცის ბუნების შესახებ, ქრისტიანული თვალსაზრით გაშუქებული. [გორგაძე, 1914, XIX-XX].

გრიგოლ ნოსელისა და ნემესეოს ემესელის ანთროპოლოგიური თეორია ძირითად ერთ პრინციპს ემყარება. მათ შეხედულებებს, უფრო გვიან იზიარებს იოანე დამასკელი (VII-VIII სს.), რომელიც, იმდენად პოპულარული იყო საქართველოში, რომ მისი ზოგიერთი თხზულება ორჯერ არის ნათარგმნი. მათი თხზულებების პოპულარობას საქართველოში, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა ქართველ ფილოსოფოსთა: არსენ იყალთოელის, ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელების, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის მიერ შესრულებული შესანიშნავი, უმეტესწილად თავისუფალი თარგმანები.

ზემოხსენებულ ფილოსოფოსთა ანთროპოლოგიური თეორია საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების საქართველოში არსებულ ცოდნას ადამიანის შესახებ. იგი ასახულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, რასაც ამჯერად შევეხებით. შევეცდებით ასევე ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე განვიხილოთ აღნიშნული საკითხი. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, *კაცი დაბადა ღმერთმან ხატებისა და მსგავსებისაებრ თვისისა, ნივთებთა მიერ ჳორცნი შემზადა სულისა გონიერისა და სიტყვიერისა შთაბერვითა მიმნიჭებელმა...* განმარტების უფრო ვრცელი ვარიანტი ასეთია: *დაბადა ღმერთმან კაცი თვისითა ჳელითა ხატებისაებრ და მსგავსებისაებრ თვისისა, ჳეყნისაგან [ვარ. ნივთებთა მიერ ნ.მ] უკვე ჳორცნი შემზადნა სულისა სიტყვიერისა და გონიერისა შთაბერვისა თვისისა მიერ მიმნიჭებელმან მისმან, რომელსა-იგი საღ"თოდ ხატებად ვიტყვიით და რამეთუ ხატებისაებრ ვითარმე გონიერებასა და თანამფლობელობასა ცხადჳყოფს (ხატება ღ"თისა არს მოქმედება, სიბრძნე და სიყვარული, რომელსა შორის წმიდა სამება გამოისახვის: მოქმედება – მამა, სიბრძნე – ძე და სიყვარული – სული წმიდა. ესე არს*

ხატება ღ“თისა კაცთა შორის, ხოლო მსგავსებისაებრობა ძალისაებრსა მსგავსებასა სათნოებისასა საკმარ არს ცნობა(დ), ვითარმედ კაცი უსულოთაცა ეზიარება და პირუტყვთა ცხოვრებისა ზიარ არს სიტყვიერთა თანა მონაწილე არს გონებითა რამეთუ ეზიარების უსულოთა უკვე სხეულიანებითა და ოთხთა კავშირითაგან შეზავებულობითა, ხოლო ნერგთა ამათაცა და მოზარდობითითა აღორძინებადობითითა და თესლოვანებითითა, ესე იგი არს მშობელობითითა ძალითა, ხოლო პირუტყვთა ამათ შინაცა ვიდრემდე, ხოლო უფროსდა წადიერებითითა, ესე იგი არს გულის-წყრომა, გულისთქმა და მგრძნობელობითისა მიმართებისა მოძრაობისა, რამეთუ კბილნი და ძვალნი ეზიარებიან ქვათა, ფრჩხილნი – ნერგსა და თმა – ბალახსა... [ორბელიანი, 1991, I]. ადამიანის, კაცის ვრცელი განმარტება, რომლის მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ნაწილია აქ მოყვანილი, შემდეგი სიტყვებით მთავრდება: **კაცი არს ცხოველი სიტყვიერი და აღმართებით მავალი.** როგორც თავად სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს, მისი ძირითადი წყარო იოანე დამასკელის ნაშრომია. იგულისხმება **სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა**, თავი **ადამიანის შესახებ** (26-ე თავი დამასკელის აღნიშნული ნაშრომის 2000 წლის გამოცემის მიხედვით). მართლაც, ხშირ შემთხვევაში, იგი თითქმის ზუსტად იმეორებს დამასკელის განმარტებებს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ფრაგმენტს იოანე დამასკელის აღნიშნული თხზულებიდან: **ამრიგად... შექმნა მან (ღმერთმა ნ.მ.) ადამიანი თავისი ხატისებრ და მსგავსებისებრ, შექერწა რა სხეული მიწისგან და მისცა რა მას, საკუთარი შთაბერვის მიერ, მოაზროვნე და გონისმიერი სული, რასაც საღვთო ხატად ვამბობთ, რადგან „ხატისებრობა“ გონისმიერობასა და თვითუფლებრივობას აღნიშნავს, „მსგავსებრობა“ კი – ძალისამებრ სათნოების მსგავსებას..**

...გვმართებს ვიცოდეთ, რომ ადამიანი უსულოებასაც ეზიარება, პირუტყვთა სიცოცხლის წილმქონეცაა და აზრისმიერთა ცნობიერების წილმძღვებიცაა, რადგან ეზიარება უსულოებს სხეულებრივად და ოთხი სტიქიონისგან შეზავებულობის გამო, მცენარეებს – ზემოთქმულთა მიხ-

ედვითაც და, აგრეთვე მასაზრდოებლობითი, ზრდადობითი და თესლოვნებითი ანუ მშობლობითი ძალის მხრივ, პირუტყვეებს – ყოველივე ამითაც და, კიდევ, წადილის (ანუ რისხვისა და ნდომის), გრძნობადობისა და აღძვრითი მოძრაობის შესაბამისად [დამასკელი, 2000, 361-362].

ამგვარად, ადამიანი, საბას მიხედვით, მეტყველი, აღმართულად მავალი ცხოველი, ცოცხალი არსებაა, რომელიც ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა. მისი ხორცი *შემზადა ქვეყნისგან* (მიწისგან ნ.მ.) ვარ. *ნიეთებისაგან* და შთაბერა მას *გონიერი* და *სიტყვიერი* სული, სწორედ ამიტომ იგი არის ღვთის ხატი. იგი ადამიანს განიხილავს ერთარსებად. ამ კუთხით საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის მიერ სიტყვა გვამის ერთ-ერთი განმარტება: ... *და არცა სული ოდენ ითქმის გვამად, არცა კორცნი, არმედ გვამოანად, ხოლო ორნივე შესრულებული იგი ორნივე გვამად, ვინადგან არცა სული თვისგან თავით თვისით გვამ ქმნილ არს, არცა კორცნი, არამედ თანად ორნივე, რამეთუ საკუთრად გვამად თვისგან თავით თვისით მდგომი არსცა და სახელიდების...* [ორბელიანი, 1991, I]

სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანთროპოლოგიური განმარტებების დროს, ძირითადად იოანე დამასკელს ეყრდნობა. მაგრამ უფრო სიტყვაძუნწია, გადმოცემული აქვს ცნებებისა და ტერმინების მხოლოდ ძირითადი, მთავარი აზრი, არსი... როგორც ეს ლექსიკონს, უფრო სწორად ენციკლოპედიას შეესაბამება, რადგან *ფაქტია, რომ „ქართული ლექსიკონი“, გარკვეულ ნაწილში, ერთ-გვარად ე ნ ც ი კ ლ ო კ ე დ ი ი ს ხ ა ს ი ა - თის მატარებელია...*

როგორც ჩანს, ავტორი „ქართული ლექსიკონის“ შედგენისას შეგნებულად არ შემოფარგლულა მხოლოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლექსიკოგრაფიის ამოცანებით; მას, ნაწილობრივ, მიზნად ისიც დაუსახავს, რომ ძირითად ცნებათა განსაზღვრების გზით ლექსიკონში წარმოედგინა ფილოსოფიური ცოდნა და ზოგიერთი სხვა მეცნიერული ცოდნა სინამდვილის ამა თუ იმ მხარის შესახებ [ფრანგი-შვილი, 1959, 116]. მათ შორის სამედიცინო და საბუნებისმეტყველო ცოდნის შესახებაც (იხ. სააკაშვილი, გელა-

შვილი, 1956, შენგელია 1970, 197-212).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ *...ფილოსოფიური ცნებების განმარტებას საბას ხსენებულ შრომაში სისტემატური ხასიათი არა აქვს, რადგან ლექსიკონის სტრუქტურა მათ განმარტებას ანბანური წესის მიხედვით მოითხოვს, მაგრამ მათი ამოკრება და შინაარსის მიხედვით დალაგება, იძლევა საბას ფილოსოფიური შეხედულებების მთლიანი წარმოდგენის შესაძლებლობას* [ხიდაშელი, 1991, 128].

იგივე ვრცელდება საბას ანთროპოლოგიურ განმარტებებზე. რომელთაგან კარგად ჩანს, რომ იგი ფლობდა შუა სუკუნეების ცივილიზებულ სამყაროში არსებულ ანთროპოლოგიურ ცოდნას, ქრისტიანული ანთროპოლოგიის ცნობილ თეორიებს.

სულხან-საბა ორბელიანის მიერ გადმოცემული მწყობრად ჩამოყალიბებული ანთროპოლოგიური სისტემა, რომ უკეთ გავიგოთ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო ზოგიერთი ცნების, ტერმინის მისეული განმარტება.

კორცი, საბას მიხედვით, *ცხოვლთ სხეულია*, ხოლო *ცხოელი ცოცხალს* ნიშნავს, სხეული კი არის ყველაფერი ის, რასაც *ჰქონან სამი განფენანი: სიგრძე, სივრცე და სიღრმე, რომელ არს სიზრქე...*

ამ შემთხვევაშიც საბა იმეორებს იოანე დამასკელის განმარტებას: *სხეულია ის, რაც სამად არის განფენილი ანუ რასაც აქვს სიგრძე, სივანე და სიღრმე* [დამასკელი, 2000,362]. საბას განმარტებით, ღმერთმა ადამიანის სხეული ანუ კორცნი *ნიეთებისგან შემზადა*. საბა *ნიეთის* ორ განმარტებას იძლევა, რომელთაგან ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი: *ნიეთი ეწოდების ოთხთა კავშირთა: მიწასა, წყალსა, აირსა და ცეცხლსა* (შევნიშნავთ, რომ ამჯერად ჩვენ მხოლოდ საბას განმარტებებით შემოვიფარგლებით და თავს ვარიდებთ აღნიშნული ცნებების შესახებ სხვა მასალის ილუსტრირებას). ამგვარად, საბა *ნიეთში*, ისევე, როგორც კავშირში სამყაროს ოთხ ელემენტს, ოთხ სტიქიას გულისხმობს. სამყაროს ამ ოთხ სტიქიას სულხან-საბა, *ასოს, სტუქოს* სახელითაც მოიხსენიებს, ამ უკანასკნელის განმარტებისას კი ლაპარაკობს მათ თვისებებზე: *სტუქო, სტვიქო რომელ არიან ასონი პირველ შედგებულნი ოთხნი*

ნიეთნი. აქვეა უფრო ვრცელი განმარტება: *სტუქო ესე არს ოთხთა კავშირთა ანაქსენი, აღსვლა და მოხრანი, რამეთუ ქ ე ე ყ ა ნ ა გრილი და კმელი არს: წ ყ ა ლ ი – გრილი და ნოტიო. წყალი სიგრილით ეზიარების ქვეყანასა და ნოტიობით ჰაერსა; ჰ ა ე რ ი ნოტიო და მკურვალი არს, ნოტიოებით ეზიარების წყალსა და სიმკურველითა ცეცხლსა; ც ე ც ხ ლ ი მკურვალი და კმელი არს, სიმკურვალითა ეზიარების ჰაერსა და სიკმელითა ქვეყანასა... მიზანშეწონილად მიმაჩნია აქვე მოვიყვანო იოანე დამასკელის განმარტებაც, რადგან იგი ანთროპოლოგიურ კონტექსტშია გაკეთებული – *სხეული ოთხი სტიქიონისგან შემყარდება, ხოლო ცხოველთა სხეულები – ოთხი სითხისგან.**

გემართებს ვიცოდეთ, რომ ეს ოთხი სტიქიონია: მიწა – მშრალი და გრილი, წყალი – გრილი და ნოტიო, ჰაერი – ნოტიო და თბილი, ცეცხლი – თბილი და მშრალი. მსგავსადვე არსებობს ოთხი სითხეც, შესაბამისად ოთხი სტიქიონისა: შავი ნაღველი, რაც შეესატყვისება მიწას (რადგან იგი მშრალია და გრილი); ბაღდაში, რაც შეესატყვისება წყალს (რადგან იგი გრილია და ნოტიო), სისხლი – ჰაერის შესატყვისი (რადგან იგი ნოტიოა და თბილი), ყვითელი ნაღველი, რაც შეესატყვისება ცეცხლს (რადგან იგი თბილია და მშრალი). ნაყოფი სტიქიონებისგან შემყარდება, სითხეები – ნაყოფთაგან, ხოლო ცხოველთა სხეულები – სითხეთაგან; შემდეგ ამათვე მიმართ იშლებიან ისინი, რადგან ყოველი შედგენილი იმად იშლება, რისგანაც არის შემდგარი [დამასკელი, 2000, 362].

სულხან-საბა ორბელიანი სხეულის შემადგენელ ოთხ სითხესაც განმარტავს, მათ *რეგმაი-ს* უწოდებს და ცხოველთა, ცოცხალ არსებათა შემადგენლებად მიიჩნევს – *რეგმაი... ესე არიან ოთხნი იგი ასონი ცხოველთანი* (ვარ. კაცთანი ნ. მ.): *მწითური ნაღველი, რომელ არს ს ა ფ რ ა; შავი ნაღველი, რომელ არს ს ე ე ღ ა; ფ ე ლ გ ა მ ი, რომელ არს ბ ა ლ ღ ა მ ი და ს ი ს ხ ლ ი... [ორბელიანი 1993, II].*

სხეულის ოთხი სტიქიონისგან *შემყარების* თეორია მიიღო ქრისტიანულმა მოძღვრებამ ანტიკური ფილოსოფი-

ისგან, ხოლო როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამ მოძღვრებას ქართული სამყარო, გრიგოლ ნოსელისა და მისი ძმის ბასილი დიდის თხზულებების გზით, გაეცნო [ჭელიძე, 1989, 294]. (არსებობს განსხვავებული აზრი იხ. ნუცუბიძე, 1983, 63-69)

საბას განმარტების მიხედვით, ნივთებისგან შექმნილ ადამიანის სხეულს, ღმერთმა გონიერი და სიტყვიერი, ე.ი. მეტყველი სული შთაბერა – აქ აშკარაა, რომ *კაცთა სული* იგულისხმება, *რადგან კ ა ც თ ა ს უ ლ ი* არის *სიტყვიერი, არსება-გონიერი, უსხეულო, უცნაური, სიტყვიერი და უკვდავი, არსება-წვლილი, უსახო, ხატი და მსგავსი ღწთისა*. ამავე ლექსიკონში საბა სხვა სახის სულების შესახებაც წერს: – *ნერგნიცა სულიერად ითქმიან, რამეთუ აქეს მათ მოძრაობისა და აღორძინებითისა და თესლოვანებისა ძალი. ხოლო ს უ ლ ი პ ი რ უ ტ ყ ვ თ ა, რომელ არს სამშენიველი, (სისხლისაობითა და სიცოცხლით(ი) განმატფელობითი, მოძრაობითი ნივთიერისა ძალისა მოქმედება და გრძნობის ქონება; ხოლო კ ა ც თ ა ს უ ლ ი – სიტყვიერი, არსება-გონიერი...; ს უ ლ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი – სიტყვიერი და გონიერი და მეორე ნათელი; და ეშმაკნიცა, რომელთაცა თვით დაიბნელეს თავი თვისი ამპარტაუნებით; და სული – ს უ ლ ი წ მ ი დ ა – დამბადებელი ამათ ყოველთა, პირველი ნათელი და მიუწდომელი; ქარ(ნიცა) სულად უთქვამთ...*

ამგვარად, საბას მიხედვით, არსებობს მცენარეული (ნერგთა), ცხოველური (პირუტყვთა), ადამიანის (კაცთა) სული. ასევე სული ანგელოზი და სხვა. საბა ამ შემთხვევაშიც თავის წინამორბედი ფილოსოფოსების ანთროპოლოგიური თეორიის მიხედვით იძლევა განმარტებას. *მაგ. შდრ. სულნი განიყოფიან სამ პირად. ვიტყვ ძალსა მოზარდულსა და მგრძნობელსა და თვთ სულსა, რომელთად ერთი მათგანი არს მცენარწ მოზარდი. და მას შინა იპოვების ძალი ცხოველებისად თვნიერ გრძნობისა. და მეორწ ამათგანი არს მოზარდი, ვითარ-იგი ვაჯსენეთ, რომელსა შინა არს განგებად გრძნობისაი. და პოვნილ არს იგი პირუტყუთა შორის, რამეთუ არა იზარდების ხოლო და აღორძინდების, არამედ მოქმედებად მისი არს გრძნობა-*

თავან. ხოლო ცხოველებად სრული პოვნილ არს ბუნებასა შინა კაცისასა, ესე იგი არს მეტყველებად, რომელი იზარდების და იგრძნობს და განიზრახავს. და განგებად არს მისი გონებისა მიერ [ნოსელი, 1979, 78]. ნოსელის განმარტების მიხედვით, სული სამ ძალად იყოფა: მოზარდი, მზარდი რომელიც მხოლოდ მცენარეებს აქვთ და გადადის გრძნობიერში, რომელიც მზარდ ძალასთან ერთად, ცხოველებს, პირუტყვთ გააჩნიათ. ამიტომ ისინი არა მარტო იზრდებიან, არამედ გრძნობენ კიდევ. ხოლო სრული გასულიერება მხოლოდ ადამიანის წოლხვედრია, რადგან მხოლოდ მას აქვს ზრდის, შეგრძნების, მგრძნობელობის უნართან ერთად მეტყველებისა და ფიქრის (აზროვნების) უნარი. აქვე აღვნიშნავ, რომ გრიგოლ ნოსელი სულის ზემოაღნიშნულ ძალებს ზოგჯერ **სულსაც** უწოდებს.

საბას ანთროპოლოგიური შეხედულება ასახულია მის მიერ განმარტებულ არაერთ ცნებებასა თუ ტერმინში. ამჯერად მხოლოდ კიდევ ერთი განმარტების წარმოდგენას დავჯერდებით. საქმე ეხება **ნათესავს, რაც თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიით „გვარს“ უდრის** [ხიდაშელი, 1991, 127]. **საბას სიტყვით**, წერს შ. ხიდაშელი, **„ნათესავი“ (გვარი) სამი მნიშვნელობით ითქმის**, (რომელთაგან ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ მესამე – **ლოგიკური მნიშვნელობა** ნ.მ.). **პირველი უმაღლესი გვარი, ანუ გვართა-გვარი არის არსება...**

„არსებას“ ამ ცნების უზოგადესი გაგებით, არ აქვს გვარი. ის გვართა-გვარია, რომელიც ნაწილდება დიხოტომიური წესით...

არსება ნაწილდება დიხოტომიის წესით სხეულიან და უსხეულო მოვლენებად, როგორც არსების ნაწილები. „სხეულიანი და უსხეულოდ სახენი არიან არსებისანი“

„სხეულიანი“ ნაწილდება სულიერად და უსულოდ და სხეულიანი, არსების სახე, წარმოადგენს სულიერი დაუსულო მოვლენების მიმართ

სულიერი განიყოფება მგრძნობელად და უგრძნობლად. მგრძნობელი გულისხმობს „გრძნობის მქონებელს“, ე.ი მოვლენებს სიცოცხლის (მათ შორის ცხოველების ჩათვლით), ხოლო უგრძნობელი მცენარეებს, რომლებიც

სულიერად იმიტომ იწოდებიან, რომ აქვთ „მოზარდობითი ძალი“.

ცხოველი (მგრძნობელი) იყოფა სიტყვიერ და უტყვე მოვლენებად (საბას სიტყვით, – სიტყუერად და უსიტყუშლად”...

სიტყვიერი განიყოფება მოკვდავად და უკვდავად.

მოკვდავი – კაცად (მეტყველად) და პირუტყვად, ე.ი. „ცხენად, ძაღლად და ეგე ვითარად“.

„კაცის ცნება განიყოფება პეტრედ, პავლედ, იოანედ და სხვ, – „რომელნი არიან სახენი და არ ღებულობენ ერთმანეთისგან განსაზღვრებებს...“

არსების ცნების ამგვარი დანაწევრება წარმოადგენს ანტიკური ფილოსოფიიდან, ლოგიკიდან მომდინარე დიხოტომიის მაგალითს, რომელიც „პორფირიუსის ხის“ სახელით საკმაოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების ფილოსოფიურ აზროვნებაში არისტოტელეს „კატეგორიებთან“ ერთად.

ამ სქემამ გავლენა მოახდინა აგრეთვე ქრისტიანული აღმოსავლეთის აზროვნებაზე, სადაც უმნიშვნელო ცვლილება განიცადა. მოახდინა გავლენა იოანე დამასკელზეც და შემოვიდა ქართულ აზროვნებაშიც დამასკელის თხზულების XI-XII სს-ში შესრულებული თარგმანების სახით და აისახა საბა ორბელიანის ლექსიკონშიც [ხიდაშელი 1991, 134-135] (სქემა იხ. იქვე).

საბას მიერ გადმოცემული ანთროპოლოგიური თეორია შეიძლება მოკლედ ასე ჩამოვაყალიბოთ: ღმერთმა სამყარო თანმიმდევრულად შექმნა ჯერ შეიქმნა არასულიერი სამყარო (არსება, სხეული), რომლისგანაც ადამიანი გარკვეული ნაწილი მიიღო – *რამეთუ ეზიარების უსულოთა უკვე სხეულია-ნებითა და ოთხთა კავშირითაგან შეზავებულობით.* შემდეგ შეიქმნა მცენარეული სამყარო, რომლისგანაც ადამიანმა მიიღო ზრდის, გამრავლების უნარი, ხოლო ცხოველთაგან მან მიიღო მგრძნობელობა, შეგრძნების უნარი. მათგან განსხვავებით მხოლოდ ადამიანს გააჩნია ე.წ. მეტყველი, ცნობიერი სული. საინტერესო და საგულისხმოა ის ფაქტი რომ საბა უფრო კონკრეტდება და განმარტავს *რამეთუ კბილნი და ძვალნი ეზიარებიან ქვა-*

თა, ფრჩხილნი – ნერგსა და თმა – ბალახსა [ორბელიანი, 1993, II]. რაც გარკვეული სახით ხალხურ შეხედულებებშიც დასტურდება, როგორც ი. სურგულაძე აღნიშნავს, *კოლხური ბრინჯაოს ნივთების დეკორისა და სარტყლების მხატვრობის სიმბოლიკის საფუძველს წარმოადგენს ბაზისური შეხედულება, რომლის თანახმად ცხოველის სხეული განიხილება მიწად ხოლო ბეწვი და რქა, მათი სეზონური ცვლილებების შესაბამისად მცენარეულ საფარად. ეს იდეა რეალიზებულია ძველი მსოფლიოს ხალხების მითოსში და შესაბამისად ქართველთა მითო-სიმბოლური აზროვნებაც ანალოგიურ წარმოდგენებს ემყარება [სურგულაძე, 2003, 205].* როგორც ცნობილია, ეს წარმოდგენები გარკვეული სახით ქრისტიანულ რელიგიაშიც არის არეკლილი. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ საბა, ამ შემთხვევაში, ხალხურ წარმოდგენებსაც ითვალისწინებდა, როგორც სხვა არაერთი ცნების განმარტების დროს.

ამჯერად გვინტერესებს აისახა თუ არა ქრისტიანული მოძღვრება ადამიანის შესახებ ხალხურ ცნობიერებაში. ხალხური განმარტებით, ადამიანი *სულისა* და *სხეულის* ერთიანობაა. *სხეული*, *ტანი*, *გვამი* ხილული, ხელშესახები, დროებითი და მოკვდავია. ე.ი. მატერიალური ფენომენია. *სული* კი – უხილავია, ხელშეუხებელია, უკვდავი და მარადიულია. ამავე დროს *სხეული* უწმინდურია, *სული* კი – წმინდაა.

ხალხური გადმოცემით, ადამიანი ღმერთმა მიწისგან მოზილა, მისცა თავისი სახე და შემდეგ სული შთაბერა – გააცოცხლა. ეს გადმოცემა მთელ საქართველოში არის გავრცელებული. ცნობილია, რომ პირველი ადამიანის მიწისგან, თიხისგან შექმნის იდეა უძველეს და უნივერსალურ ანთროპოგენულ კონცეფციას წარმოადგენს [ფრეზერი, 17-18; ხაზარაძე, 354]. რაც ქართველთა ანთროპოლოგიურ შეხედულებებშიც აისახა. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ცოდნამ ქრისტიანობის გავლენაც განიცადა. მითუმეტეს, რომ ზემოხსენებული ხალხური გადმოცემა ადამის შექმნის ბიბლიურ მოტივს უკავშირდება.

როგორც ვთქვით, ადამიანი, ქართველთა ტრადიციული შეხედულების მიხედვით *სულისა* და *სხეულის* ერთიან-

ნობაა. ამ ერთიანობაში სიცოცხლის მიმნიჭებელი სულია, რომლის გარეშე სხეული კვდება. ისიც ცნობილია ქართულ ხალხურ მეტყველებაში, სულისა და სამშინველის გამიჯვნაც არ მომხდარა (იათაშვილი, 2005, 397-398; კიკნაძე, 2005, 399; კოპალეიშვილი, 2004,70)

იმავდროულად, საქართველოში დასტურდება მრავალსულიანობის არქაული კონცეფცია, რომლის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა – **ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია)** ვერა ბარდაველიძეს ეკუთვნის, სადაც დეტალურად არის განხილული ხალხური შეხედულებები ადამიანის სულის შესახებ, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით [ბარდაველიძე, 124-145].

ენობრივი, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, მან საქართველოში დაადასტურა არქაული წარმოდგენები ადამიანის რამდენიმე სულის შესახებ. რომლის ამსახველი მასალა საქართველოში მეტნაკლებად დღესაც გვხვდება [ბარდაველიძე, 1949, 128-150]. ეს კი ერთი მხრივ უძველეს წარმოდგენათა მდგრადობაზე მეტყველებს, მეორე მხრივ კი როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა დროისა და კულტურული შრეებისათვის დამახასიათებელი შეხედულებების თანაარსებობაზე ხალხურ ცნობიერებაში.

ვფიქრობ, ქართველთა ტრადიციულ ანთროპოლოგიურ შეხედულებებში ასევე აისახა გარკვეული ცოდნა ადამიანის ოთხელემენტოვანი აგებულების შესახებ. ეს ცოდნა ჰუმორალური პათოლოგიის თეორიის სახით შუა საუკუნეების ქართული ოფიციალური მედიცინის საფუძველს წარმოადგენდა, რომლის მიხედვით სამყაროს ოთხი ელემენტის: **წყლის, მიწის, ცეცხლისა და ჰაერის** შესაბამისი – ადამიანის სხეულში არსებული ოთხი სითხის: **სისხლის, ღორწოს, შავი და ყვითელი ნაღველის** წონასწორობის დარღვევა იწვევდა ყოველგვარ დაავადებას და ადამიანის სიკვდილსაც. ამჯერად მხოლოდ ერთ ელემენტზე – სისხლზე შევჩერდებით.

ვ. ბარდაველიძის მიხედვით ...**სისხლის, როგორც**

სასიცოცხლო ძალის, სასიცოცხლო ელემენტის მნიშვნელობით არსებობაზე ქართველი ტომების რელიგიურ მსოფლმხედველობაში ღაპარაკობს სისხლისმჭამელობის გადმონაშთი [ბარდაველიძე, 1949, 128], რაც მეცნიერმა სვანების *ზისხორას* რიტუალური ჭამის სახით დაადგინა. *ზისხორა* სვანეთში სამსხვერპლო საქონლის სისხლისგან დამზადებულ კუპატს ეწოდება. სისხლის, სასიცოცხლო ძალად აღქმა ასევე ძველია და დამახასიათებელია არქაული საზოგადოებებისათვის. ამასთან ერთად, არ არის გამორიცხული, რომ ხალხურმა შეხედულებამ სისხლის შესახებ შუა საუკუნეების ქართული კლასიკური მედიცინის გავლენაც განიცადა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქართული კარაბადინები საქართველოს ყველა კუთხეში და მათ შორის სვანეთშიც ფართოდ იყო გავრცელებული.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს აგრეთვე ხალხურ მედიცინაში ზოგიერთი დაავადების სხეულში დაგროვილ ჭარბ სისხლთან დაკავშირება და სისხლის გამოშვების მკურნალობის ფართოდ გა-ვრცელებული წესი.

იგივე შეიძლება ითქვას შეხედულებაზე სხეულში არსებული ჰაერის შესახებ, რომლის სიჭარბე, ხალხური წარმოდგენით, გარკვეულ, უფრო ხშირად, სიმსივნურ დაავადებას იწვევდა.

ჰუმორალური პათოლოგიის თეორიის მიხედვით, სისხლი სხეულში არსებულ ჰაერთან ასოცირდება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული წარმოდგენა ადამიანის ოთხელემენტოვანი აგებულების შესახებ ხალხში არსებობდა და ეს ცოდნა ქართული კარაბადინების საშუალებით ვრცელდებოდა. მაგრამ კლასიკურიდან ხალხურმა შეითვისა არა სისტემური ცოდნა, არამედ მხოლოდ ცალკეული, მისთვის მისაღები ელემენტები [მინდაძე, 2002, 126].

საინტერესოა, განასხვავებდა თუ არა ქართველი ხალხი სულის ორ სახეს - ცნობიერსა და არაცნობიერს? საბას სიტყვებით მეტყველ, გონიერ სულსა და სამშვინველს – უტყვ სულს.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი – სამშვინველი

ქართულ ხალხურ ლექსიკაში არ დასტურდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხალხური ცნობიერება სულის ორ სახეს მაინც განასხვავებდა. ხალხური წარმოდგენით, თუ სული ადამიანის სხეულს ტოვებს, ადამიანი კვდება, მაგრამ საქართველოში დასტურდება აგრეთვე წარმოდგენა სულის მიერ ადამიანის სხეულის დროებითი დატოვების შესახებ, მაგალითად – ძილის დროს. ამ კუთხით საინტერესოა 1947 წელს ქართლში თინათინ ოჩიაურის მიერ ერთ-ერთი მთხრობლისგან ჩაწერილი შემდეგი სიტყვები: **როცა ადამიანს სძინავს, მაშინ სული დადის. მეც როცა გამომღვიძებია, დაქანცული ვყოფილვარ. თურმე მაღვიძებდნენ და ვერ ვდგებოდი. როგორც რამე დაეხეტებოდეს, ისე დაეხეტება სული სიზმარში...** [ოჩიაური, 1947]. ასეთივე ახსნა აქვს ე.წ. სადათას – ლეთარგიულ ძილს. ამ დროსაც, ხალხური წარმოდგენით, ადამიანის სული ტოვებს სხეულს და მიდის საიქიოში – იმქვეყნიურ სამყაროში. სწორედ ამ დროს ხდება, უმეტესად საიქიოს მოხილვა. მოგზაურობის შემდეგ სული ბრუნდება და ისევ ჩასახლდება ადამიანის სხეულში, რის შედეგადაც ადამიანი იღვიძებს. ე.ი. ძილის დროს სული ადამიანს ტოვებს, მაგრამ ადამიანი მაინც ცოცხალია. ისმის კითხვა: თუ სული წასულია, მაშინ რატომ არის ადამიანი ცოცხალი? პასუხს კი თავად ჩვენი მთხრობლები გვაძლევენ: იმიტომ, რომ იგი სუნთქავს. ამ კონტექსტში საინტერესოა ქართველთა გამოთქმა: **ადამიანი ცოცხლობს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე**, ე.ი. ადამიანის სიცოცხლის ნიშანი მისი სუნთქვაა და არა მისი ცნობიერება, რომლის სულს შეუძლია ადამიანი დატოვოს, მაგრამ ცოცხალი დარჩეს. ამასვე ადასტურებს გამოთქმა – **გონების დაკარგვა**, რაც, ცნობიერი სულის მიერ სხეულის დროებით დატოვებას ნიშნავს და არა – ადამიანის სიკვდილს.

ამ მიმართებით მეტად საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის მიერ ტერმინ ფშვინვის განმარტება – **ფშვინვა მიზნარისაგან სულის ბერვაა** [ორბელიანი, 1993, II].

ივ. ჯავახიშვილი ვრცლად განიხილავს ამ ტერმინის ეტიმოლოგიას, სემანტიკურ ველს და მიდის დასკვნამდე, რომ ძველ ქართულში **შუშინვა** სუნთქვას ნიშნავდა. იგი

იმოწმებს ნ. მარის იპოლიტეს აღთქმიდან მოყვანილ წინადადებას – *შობასა მას პირველსა შუბინვით ცხოველთა შეიქმნების კაცი იგი მუცელს მას შინა დედისა თვისისასა ე.ი. დედის საშიელოსნოთგან ახალშობილი პირველი სუნთქვით ცხოველი შეიქმნებაო.*

აქედანვეა ნაწარმოები *საშუბინველი*, აღნიშნავს მეცნიერი და იმოწმებს გრ. ნოსელს [ჯავახიშვილი, 1960, 36-38].

ამგვარად, ადამიანის სასიცოცხლო სული შესაძლებელია, ხალხურ ცნობიერებაში სხეულში არსებულ ჰაერთან – *სუნთქვასთან, ფშვინვასთან* – ჰაერის შესუნთქვასა და ამოსუნთქვასთან ასოცირდებოდა და მის ადგილსამყოფელად გული, სისხლი იყო მიჩნეული. *გულის გაჩერება, უკანასკნელი ამოსუნთქვა* კი ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტას ნიშნავდა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ძველი აღთქმის წიგნთა ქართული თარგმანების მიხედვით გაკეთებულია მნიშვნელოვანი დასკვნა: *ძველ ქართულ ენაში ზმნა მშვინვა (//ფშვინვა) ხმაბაძვითია და სუნთქვის, აღმოფშვინვის დროს წარმოქმნილ ბგერათა ხმაბაძვება. ქართველთა ცნობიერებაში მტკიცედ იყო გადაჯაჭვული სუნთქვა და სიცოცხლე, რომლის შეწყვეტასთან ერთად ადამიანს მშვინვა (//ფშვინვა), სუნთქვა უჭრება.*

ტერმინ *სულისთვისა* ამოსავალია საერთო ქართველური ძირი სულ: ქართ. სულ- „სული“, მეგრ. შურ-„სული“, „სუნი“, ლაზ. შურ-„სული“, „სუნი“, სვან. შურ-ლი-შურ-იელ „ამოოხვრა“.

ენა ასახავს ერის მსოფლმხედველობას, საგანთა მოვლენათა აღქმას. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ქართულმა ენამაც შემოგვინახა ლექსიკა („სული“, „სამშვინვრლი“, „მშვინვიერი“, „მბერავი“), რომელიც ინდოევროპულ და ებრაულ ენათა მსგავსად სულსა და სამშვინველს უკავშირებს სუნთქვას, ბერვას, ფშვინვას. ამ ტერმინთა მიმართ ამ ენებში მოქმედებს ნომინაციის საერთო პრინციპი. [დოჩანაშვილი, სარჯველაძე, 2000, 49]

ზემოაღნიშნულს სავსებით უჭერს მხარს ეთნოგრაფიული მასალა.

ამგვარად, ადამიანის სასიცოცხლო სული შესაძლებელია, ხალხურ ცნობიერებაში სხეულში არსებულ ჰაერთან, ქართან – **სუნთქვასთან, ფშინვასთან** – ჰაერის შესუნთქვასა და ამოსუნთქვასთან ასოცირდებოდა და მის ადგილსამყოფელად გული, სისხლი იყო მიჩნეული. **გულის გაჩერება, უკანასკნელი ამოსუნთქვა** კი ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტას ნიშნავდა.

გულთან, სისხლსა და სუნთქვასთან ადამიანის სიცოცხლის დაკავშირება, სისხლისა და სუნთქვის სულად აღქმა უძველეს და ფართოდ გავრცელებულ რმწენა-წარმოდგენებს განეკუთვნება [შტერნბერგი, 1936, 293-295]. რაც ქრისტიანულმა რელიგიამაც გაიზიარა.

ზემომოყვანილის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხის ემპირიული ცოდნა ადამიანის არსის, მისი შექმნის შესახებ, ადამიანის მიწისგან შესაქმის უნივერსალური წარმოდგენების ფარგლებში თავსდება. იმავედროულად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზემოაღნიშნულმა ხალხურმა წარმოდგენებმა ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული მოძღვრების გარკვეული გავლენა განიცადა, რაც ვფიქრობთ, რომ ჩანს აქ წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 ბარდაველიძე – ვ. ბარდაველიძე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) მიმომხილველი, I, თბილისი, 1949
2. ს. გორგაძე, ნემესეოს ემესელი და მისი თხზულება ის. ნემესეოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, თბილისი, 1914
3. დამასკელი – მართლმადიდებელ მამათა შრომები I წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მათა რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ. ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ

ჭელიძემ, თბილისი, 2000

4. დოხანაშვილი, სარჯველაძე – ელენე დოხანაშვილი, სოფიო სარჯველაძე, ტერმინ „მბერავის“ მნიშვნელობანი წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით, ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბილისი, 2000

5. იათაშვილი – შ. იათაშვილი, ქართველთა ომონიმური სული საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, 2005

6. კიკნაძე – ზ. კიკნაძე, მთავარი რედაქტორის შენიშვნა, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, 2005

7. კოპალეიშვილი – ღ. კოპალეიშვილი, ქართველი ხალხის უძველესი სარწმუნოები ერთი ასპექტი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბილისი, 2004

8. ლორგუხი – Лоргус Андрей, Православная антропология, Москва, 2003

9. ლორგუხი – Свещенник Андрей Лоргус, Душа и дух - природа и бытие, Православное учение о человеке, Москва – Клин, 2004

10. ნ. მინდაძე, ტრადიციული ქართული მედიცინა ევრაზიულ სივრცეში, ქართველური მემკვიდრეობა VI, ქუთაისი, 2002

11. მღვდელმთავარი ღუკა – მღვდელმთავარი ღუკა (ვინო იასენეცკი), სული, სამშინელი, სხეული, მეცნიერება და რელიგია, თბილისი, 2003

12. ნოსელი – თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ ებისკოპოსისაი კაცისა შესაქმისათვის, რომელ მიუწერა ძმისა თვისსა პეტრესა ებისკოპოსსა სებასტიელსა, შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979

13. ნუცუბიძე – შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, შრომები, VIII,

14. ორბელიანი – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი, 1991

15. ორბელიანი – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი, 1993

16. ოჩიაური – ოჩიაური თ., ქართლის ეთნოგრაფიული

- დღიურები (ხელნაწერი), 1947, პირადი არქივი
17. პაპუაშვილი – ნუგზარ პაპუაშვილი, რელიგიის კარიბჭე – რელიგიის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1996
 18. სააკაშვილი, გელაშვილი – სააკაშვილი მ., გელაშვილი ა. საქართველოს მედიცინის ისტორია, თბილისი, 1956
 19. სარჯველაძე – ს. სარჯველაძე, „სულისა“ და „სამშენველის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ძველი აღთქმის წიგნის ქართულ თარგმანებში, ცისკარი, საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო, 11, ნოემბერი, 1990, თბილისი
 20. სურგულაძე – ირ. სურგულაძე, სარწმუნოება უძველესი დროიდან ქრისტიანობის გამოცხადებამდე, ირ. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი, თბილისი, 2003
 21. ფილარეთი – Митрополит Минский и Слуцкий Филарет, Православное учение о человеке, Москва – Клин, 2004
 22. ფრანგიშვილი – ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში (XVII-XVIII სს. და XIX ს. დასაწყისი), თბილისი, 1959
 23. ფრეზერი – Дж. Фрезер, Золотая ветвь, Москва, 1986
 24. შენგელია – შენგელია მ., ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი, 1970
 25. შტერნბერგი – Я Штернберг, Первобытная религия, Ленинград, 1936
 26. ჭელიძე – წმიდა გრიგოლ ნოსელი „პასუხი ექუსთა დღეთათვის (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ედიშერ ჭელიძემ), საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989, თბილისი
 27. ხაზარაძე – ნ. ხაზარაძე, ადამიანის დაბადებასთან დაკავშირებული ქართველთ რწმენა-წარმოდგენები და მიწისგან ადამიანის შესაქმის კონცეფცია, ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000
 28. ხიდაშელი – შალვა ხიდაშელი, სულხან-საბა ორბელიანის ფილოსოფიური შეხედულებანი და მისი წყაროები („სიტყვის კონის“ მიხედვით); მიხეილ მახარაძე, შალვა ხიდაშელი არეოპაგტიკა და ქართული ფილოსოფიური აზრი, თბილისი, 1991
 29. ჯავახიშვილი – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, საქართველოს კავკასიისა და

მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1960

30. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, თხზულებათა სრული კრებული თორმეტ ტომად, ტომი VI, თბილისი, 1982

Nino Mindadze

Christian Anthropology and the Georgian People's Views on Man

Christian Anthropology is a theological subject, a theological teaching about man. Its main sources are: the Bible, the works of the Holy Fathers, Antique philosophy...

The foundation of Christian anthropology is dogmatic, its point of departure being faith. The dogmatic foundation of Christian anthropology is the biblical theory of genesis of man and belief...

Issues of anthropology have been touched upon almost by all the representatives of Christian

Philosophy, the Holy Fathers: Gregory of Nyssa, Nemesius of Emesa, Maximus the Confessor, John of Damascus and many others. These men being active in Christian philosophy, earned special prestige in Georgia.

The Anthropological theory of the philosophers, mentioned above, served as the foundation for the knowledge about man that existed in Georgia in the Middle Ages; on this theory were founded the anthropological views presented in Sulkhan-Saba Orbeliani's dictionary as well.

According to Sulkhan-Saba Orbeliani, man, able to speak and to walk upright, is a living being created by God in his likeness and in his image. God made his flesh of the earth and breathed in his nostrils the mental and verbal soul.

The Christian anthropological knowledge was reflected to ascertain extent in the popular anthropological views as well. According to folk tradition God made man of dust in his own image and in his likeness and breathered in his nostrils the breath of life. This tradition is spread all over Georgia. It is known that the idea of

creating man of dust, clay utmost ancient and universal anthropogenetic concept [Frazer, Khazaradze]. This view has been attested among Georgian people since ancient time [Bardavelidze, Surguladze, Khazaradze], but, over the years, it also has experienced the influence of the Christian religion. Much the more, this folk tradition is associated with the Biblical motif of Adam's creation.

At the same time the archaic concept of multispiredness, which on the other – has also been attested in Georgia to the co-existence of the views characteristic of different periods and various cultural strata in human consciousness.

როზეტა გუჯეჯიანი

მენტალობის კვლევის პრობლემა და ქართული ეთნოლოგია

მენტალობის//მენტალიტეტის კვლევის პრობლემა ფრანგული ანალების სკოლის წარმომადგენელთა სახელით ცნობილი ისტორიკოსების უკვე მესამე თაობის კვლევის ძირითადი სფეროა. მ. ბლოკმა, ლ. ფევრმა, ფ. ბროდელმა, ფ. არიესმა, ჟ. დიუბიმ, ჟ. ლე გოფმა და სხვა ისტორიკოსებმა ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის კვლევისას მთავარი ორიენტირი შესასწავლი მოვლენების ცენტრში მყოფი ადამიანისა და ადამიანთა ჯგუფისაკენ მიმართეს, ძირითად საკითხად ისტორიის შემოქმედი ადამიანისა და ადამიანთა ჯგუფის მენტალობა აქციეს. მენტალობის კვლევას ეძღვნება ა. გურევიჩისა და მისი მოწაფეების მრავალი ნაშრომი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ კუთხით შესრულებული ქართული ნაშრომები (მ. ხიდაშელის, ნ. ვანნაძის, მ. ჩხარტიშვილის, რ. ლაბაძის, გ. აბდალაძის, გ. ჭეიშვილის და სხვა ქართველ ისტორიკოსთა სტატიები და მონოგრაფიები).

მენტალობას ძირითადად ისტორიკოსები იკვლევენ, თუმცა ყველა მათგანი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს

ეთნოგრაფიულ მასალას, როგორც ადამიანისა და სოციუმის მთავარი მენტალური მახასიათებლების ცოცხალ წყაროს.

ქართველ ეთნოლოგთაგან ქართველთა მენტალობის ზოგიერთი ელემენტი დრმად და ამომწურავადაა შესწავლილი (მ. კანდელაკი, 1995; 2001; 2002; ა. ქალდანი, 1984; ნ. მინდაძე, 2003; რ. თოფჩიშვილი, 2005, 2006 და სხვა), მაგრამ ბევრი მენტალური მახასიათებელი კვლავაც გაშლასავლენი და გასაანალიზებელია. ამ მხრივ, ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო დისციპლინებიდან ყველაზე მეტი ინფორმაციას სწორედ ეთნოლოგები ფლობენ, ვინაიდან ადამიანი და მისი გარემოა ეთნოლოგთა კვლევის მთავარი ობიექტი. ა. გურგენის დაკვირვებით, მენტალობის პრობლემის ანალიზი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციოლოგიური აბსტრაქციების ქიმურული სამყაროდან შემოგვაბრუნებს ისტორიის მივიწყებული საგნისაკენ – ადამიანისაკენ, როგორც ცოცხალი, სულიერი არსებისაკენ (A. Гуревич, 1989, 89).

მენტალობის ჩართვა და წარმოჩენა ისტორიულ ქრონიკებში აღადგენს სხვადასხვა დროის ადამიანებისა და მთელი სოციუმების (ეთნოსების) ცენტრალური მსოფლმხედველობრივი ღირებულებების, შეხედულებების, რწმენაწარმოდგენების, ემოციური რეაქციების უაღრესად საინტერესო სისტემებს, რომელთა გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელია ამა თუ იმ ეპოქის ეპოქალურ სულსა და ცხოვრების წესში ჩაწვდომა და აღდგენა.

მენტალობის მკვლევარნი ნაკლებს საუბრობენ ინდივიდუალურ მენტალიტეტზე, მენტალობას იკვლევენ ეთნიკურ და სოციალურ ჯგუფებთან მიმართებაში.

მენტალიტეტის კვლევის ისტორია წარმოაჩენს, რომ ეთნოსებისა თუ სოციუმების მენტალობა საკმაოდ მყარი და დროში გამძლეა. იგი გამოირჩევა განსაკუთრებული სტაბილურობით და მასში ცვლილებების შემჩნევა მხოლოდ დროის ხანგრძლივი მონაკვეთის გასვლის შემდეგაა შესაძლებელი. ამ კუთხითაც, ქართულ ეთნოლოგიას დიდი ასპარეზი და პერსპექტივები გააჩნია, ვინაიდან ჩვენი კვლევის საგანი და ობიექტია არა ე.წ. პრიმიტიული საზო-

გადოებები, არამედ მაღალი კულტურის, ისტორიული გამოცდილებისა და მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქართული ეთნოსი. მასალაც მრავალფეროვანია: არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები, წერილობითი წყაროები, თანამედროვე ყოფითი რეალიები და სხვა. ასეთი მდიდარი ინფორმაცია უშრეტი წყაროა ზოგადად ქართული ეთნოსისა და მისი შემადგენელი ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული თემების//ჯგუფების (ქართლებების, კახელების, ხევსურების, სვანების, მეგრელების, რაჭველების...) ტრადიციული მენტალობის კვლევის თვალსაზრისით. ანუ ქართველ ეთნოლოგს შესაძლებლობა აქვს ტრადიციული ქართული მენტალობის (ან მისი ლოკალური ნაირსახეობების) ისტორიულ ჭრილში განხილვისა და განვითარების დინამიკის გამოვლენისა.

ქართველთა მენტალობით დაინტერესებულ მკვლევარს შეუძლია აღადგინოს არქაული საზოგადოების მსოფლმხედველობა (მ. ხიდაშელი 2005), ადრეული, განვითარებული თუ გვიანი შუასაუკუნეების ქართველების მთავარი მენტალური ღირებულებები, XIX–XX საუკუნეებში თავჩენილი ინოვაციები და ყოველივე ეს შეუდაროს თანამედროვე ქართველის მენტალიტეტს. ე.ი. უმდიდრესი საისტორიო წყაროები ქართველთა ეთნიკური მენტალიტეტის ისტორიულ ჭრილში წარმოჩენისა და გამოწველიდგითი ანალიზის საშუალებას იძლევა.

ამავე დროს, მენტალობის ესა თუ ის მახასიათებელი სრულიად ჩვეულებრივ ყოფით პასაჟებსა და ნიუანსებშიც იკვეთება. მაგალითად, დღესაც ყოველი ტრადიციული ქართველი მთიელი (სვანი) მამაკაცი ეკლესიის მახლობლად გავლისას აუცილებლად ქუდს მოიხდის და ღვთის სადიდებელს წარმოთქვამს. ეს თითქოსდა ყოფითი ნიუანსი მისი მენტალობის შემადგენელი ელემენტია, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული პასაჟია. ამგვარი ქმედების წყარო მისი ტრადიციული ცხოვრების წესია, რისი შეთვისებაც ადრეული სოციალიზაციის პერიოდში ხდება. ასევე, ტრადიციული მენტალიტეტის გამოძახილია იმერეთის სოფლებში დღესაც ცოცხალი ქცევის წესი – მოწყურებულ მგზავრს ქათქათა სუფრა გადაფარებულ ტაბლას რომ გაუშლიან

და წყალთან ერთად ღვინოსა და პურმარილს მიაერთმევენ. ყოფის თვით ასეთი წვრილმანი ელემენტების ანალიზიც კი მიგვიყვანს ტრადიციული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის (კულტურულ–სამეურნეო ტიპი, სოციალური, სულიერი და მატერიალური კულტურა) შემქმნელი ადამიანის, სოციუმისა და ეთნოსის ტრადიციულ მენტალობამდე, რაც, ცხადია, ახალი პლასტებითა და შტრიხებით გაამდიდრებს და გააცოცხლებს მშრალ ისტორიულ ქრონიკებს. ისტორიის გაცოცხლება კი თვალნათლივ წარმოგვიჩენს სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრებ ადამიანთა (სოციუმთა, ეთნოსთა) აზროვნების წესს, ემოციებს, განცდებს, წუხილსა თუ სიხარულს, იმედებსა თუ სასოწარკვეთას, ტრადიციებსა თუ სტერეოტიპებს და ა. შ.

განვიხილოთ თუნდაც ზემო აჭარაში გავრცელებული ერთი ისტორია: ცნობილია, სისხლის აღების წესი ქართველ მთიელებში გვიანობამდე არსებობდა. თუმცა კი, ქართული სახელმწიფო თუ ჩვეულებითი სამართალი ამ წესს მუდამ ებრძოდა. მტერზე შურისძიება აჭარაშიც ერთგვარ ღირსების საქმედ ითვლებოდა, “სისხლის შეჭმა” – აუღებლობა კი სირცხვილად მიიჩნეოდა. ერთ-ერთი შურისმაძიებელი ჩასაფრებია მოსისხლეს სახლთან, ფანჯარასთან და ყური მოუკრავს საუბრისათვის. ცოლის შეკითხვაზე, – არ გეშინია შინ მოსვლის, მტერი მოგკლავსო, – ქმარს უპასუხნია, – მე ისეთი ვაჟკაცი მტერი მყავს, ცოლის თვალწინ არ მესვრისო. ეს გაუგია ფანჯარასთან დადარაჯებულ მოსისხლეს და საოცარი გადაწყვეტილება მიუღია: ორი ტყვია იქვე ფანჯრის რაფაზე დაუტოვებია იქ ყოფნის ნიშნად, თვითონ კი იქაურობას გარიდებია სისხლის აღებაზეც ხელი აუღია. (ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1991, 179).

ამ ყოფით ისტორიაში ტრადიციული ქართული მენტალიტეტი მთელი სისრულითაა გამოხატული: იგი ქართული რაინდული კოდექსის გამოძახილია, ქალისადმი პატივისცემისა და ქალის მაღალი უფლებრივი მდგომარეობის ამსახველია. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სიუჟეტი ტრადიციული ქართული ფასეულობების დიდ სიმყარესა და გამძლეობაზე მიუთითებს: რამდენიმე საუკუნოვანმა

მაჰმადიანურმა წნეხმა (აჭარაში) ვერაფერი დააკლო ტრადიციულ ქართულ მენტალიტეტს, თავმოყრილს ამ რიგითი ქართველის (ზემო აჭარლის) მსოფლადქმაში.

ძველქართული მენტალობის მთავარი მახასიათებლები – ერთგულება სამშობლოს, მეფისა და სარწმუნოებისადმი – მკაფიოდ მოჩანს მეთოთხმეტე საუკუნის ხატის მინაწერში, ლატალის თემის (სვანეთი) ვედრებაში: “წმიდაო მთავარანგელოზო... ადიდენ მეფენი ბაგრატონიანნი... და ერთობილი საქართველო და ერთობილი სვანნი”. ასეთივე მუხბითაა აღსავსე მთიულთა ლოცვა: “ღმერთო, უშველე ქვეყნიერებასაო, ქვეყნიერებაში – საქართველოსაო, საქართველოში მთიულეთსაო, მთიულეთში მღეთესაო” (რ. თოფჩიშვილი, 2005, 44). რ. თოფჩიშვილის დაკვირვებით, ამ კონტექსტშია აგრეთვე განსახილველი ის ეთნოგრაფიული მასალაც, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ძირითადი, ცენტრალური სალოცავები და ქართველი მეფეები ერთმანეთის მოძმეებად ითვლებოდნენ (რ. თოფჩიშვილი, 2005, 44).

რელიგიის უდიდესი, თითქმის წარმმართველი როლი და მნიშვნელობა ქართველ მთიელთა ცხოვრებაში, გამოვლენილია მ. კანდელაკის ნაშრომებში, სადაც გაანალიზებულია ქართველ მთიელთა ტრადიციული სოციალური და სულიერი ყოფა და გამოკვეთილია მათი მენტალობის მრავალი საგულისხმო ნიუანსი (მ. კანდელაკი, 1995; 2001; 2002 ...)

ტრადიციული ქართული მენტალობის გამომხატველია დიდი მეფის თამარის შესახებ არსებული ხსოვნა არათუ თანამედროვე საქართველოს ფარგლებში, არამედ ისტორიული საქართველოს ყველა მხარეში (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, იმერხევი, ლაზეთი, საინგილო, აგრეთვე კავკასიონს გადაღმა დღევანდელი ბალყარეთისა და ყარაჩაის ნაწილში...) და ასევე, ირანში მცხოვრებ ქართველებში. “დედა ქართლისა – თამარი” დღემდე ცოცხალი თემაა ქართველებისათვის. ამ ხსოვნაში ჩვენი ქვეყნის წარსულით გამოწვეული სიამაყე და ბედნიერ მერმისზე ოცნება ერთმანეთშია გადაჯაჭვული. ლეგენდები მრავალფეროვანია, მაგალითად, ფშაური გადმოცემით, “თამარ მეფე წმინდანი იყო,

ზღვებზე ანაფორა დაუგავ და ისე დავალა ზღვაზე და ჰაერშიო” (ვ. ბარდაველიძე, 1941; 128). იმერხეული ლეგენდით ”თამარაი ჩვენი დიდია; თამარაი აქ ყოფილა, ეს ციხე იმან ააშენა; აქ ქილისაი ყოფილა, სკოლის თავზე და აიმ ციხიდან აქ გადმოფრენილა” (ტ. ფუტყარაძე, 2007; 60). “ჰოი, სიხარულო, თამარ დედოფალო, ყველაზე ლამაზო, თამარ დედოფალო!” – დღემდე მღერიან სვანები და ა. შ.

ზემოთ ჩამოთვლილი მომენტები არის არა ერთადერთი, არამედ კომბინაცია იმ ელემენტებისა, რომელთაგანაც თითოეული საყოველთაოდაა გავრცელებული ყველგან, სადაც ქართველი ცხოვრობს. თამარ მეფის ხსოვნა – მისი ნათელი ხატება, სასოებით შემონახული ყველა ქართულ თემში, – ქართველთა ტრადიციული მენტალობის განუყოფელი ნაწილია. მასში ასახულია ხსოვნა ქართული სახელმწიფოებრიობის ოქროს ხანისა და გამომკრთალია იმედი ქვეყნის მომავალი აღმშენებლობისა. მეფეებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ცნობილია სხვა ერებისთვისაც, მაგალითად, მარკ ბლოკი მოგვითხრობს ინგლისისა და საფრანგეთის სამეფო კარების ისტორიებს, სადაც არსებობდა რწმენა მეფეების სასწაულებრივი ნიჭის შესახებ (M. Bloch, 1973).

ქართველი ქალის მაღალ სოციალურ სტატუსზე, მის მონაწილეობაზე საოჯახო ცხოვრების დაგეგმარებისა და მართვის საკითხებში, ქალის ქონებრივ-უფლებრივი დაცულობის შესახებ, სხვა საისტორიო წყაროებთან ერთად, ეთნოგრაფიული მასალაც მოგვითხრობს. მაგალითად, ქართული მენტალობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ელემენტი იკვეთება ქართველების ტრადიციულ დამოკიდებულებაში ხანდაზმულ ადამიანებთან. გამოკვლეულია, რომ ქართული ტრადიციული ყოფა ითვალისწინებდა ადამიანის სიცოცხლის ასაკობრივი ციკლების ფსიქო-ფიზიოლოგიურ თავისებურებებს და ყოველი ასაკის ადამიანს ჰქონდა უფლებებიც და მოვალეობებიც, ასაკის მატებასთან ერთად იზრდებოდა ადამიანის სოციალური სტატუსი და პრესტიჟი. ანუ, ხანდაზმული ადამიანი ტრადიციულ ქართულ ყოფაში ნაკლებად განიცდიდა ე. წ. შუახნის ასაკის კრიზისს და ეს პრობლემა უფრო მოწესრიგებული სწორედ ტრადიცი-

ულ სოციუმში იყო (ნ. მინდაძე, 2003).

მენტალობის მრავალი საგულისხმო მახასიათებელი იკვეთება ქართული ეთნოლოგიის ერთ შედარებით ახალ მიმართულებაში, რომელსაც ზოგადად ადამიანის ეკოლოგია ეწოდება: მკვლევართა ჯგუფი (ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, ლ. ნებიერიძე) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ფაქტორზე ტრადიციული ყოფის ყველა სფეროში.

მენტალობის სხვადასხვა ელემენტი ვლინდება ქართულ ჩვეულებით სამართალშიც. სწორედ იმ ფაქტმა, რომ ქართული (სვანურ, ხევსურულ, მოხეურ...) ჩვეულებითი სამართალი ძველქართული კანონმდებლობის, საერო და სასულიერო სამართლის ძირითად პოსტულატებს ეფუძნებოდა და საუკუნეების განმავლობაში იყო დანერგილი ქართველთა მენტალობაში, განაპირობა მისი სიცოცხლისუნარიანობა და პარალელური ფორმით თანაარსებობა ცარიზმისა და საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში.

ქართული მენტალობის ბევრი ნიშანი საუკუნეების მიღმიდან მოდის. ჯერ კიდევ ჟამთააღმწერელმა გამოკვეთა ქართველთა მენტალობის ერთი შტრიხი “არა არს წესი ჩუენ ქართველთა უკეთუ ვიხილეთ მტერი, ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, და დაღათუ იყოს სიკუდილი” (ჟამთააღმწერელი, 1987). ქართული ხასიათის ეს თვისება გამოვლინდა ჩვენს დროშიც: რუსეთისაგან ინსპირირებული ე. წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს სოფელ კამანის თითქმის მთელი მოსახლეობა, მათ შორის ქალებიც, გმირულად შეაკვდა თავდასხმელებს (სეპარატისტებს) – არცერთ ქართველს უკან არ დაუხევია და, მითუმეტეს, გაქცევაზე არ უფიქრია.

ოდითგანვე ათასი ჯურის მომხდურს იგერიებდა ქართველი ერი: ბრძოლებში იღუპებოდა მოსახლეობის დიდი ნაწილი, ჩანაგდებოდა ქართული კულტურა, განახევრდა საქართველოს ტერიტორია და მიუხედავად ამისა, ქართველი ერის ეთნიკურ მენტალობას მაინც ტოლერანტობა გასდევს მთავარ ზოლად (“თათარიც ჩვენი ძმა არი” – ამბობს ქართული ფოლკლორი). XIX საუკუნის ქართული არისტოკრატიის სევდიან ამონაკენესშიც კი – “სკვითმა

წავგართვა სამშობლო”, სადაც “სკვითი” პირობითად “რუსს” აღნიშნავდა, – არ იგრძნობა სიძულვილი ზოგადად რუსი ერისადმი. სიძულვილი არც შემდგომ, სისხლიანი საბჭოთა რეჟიმის პირობებში გადავიკვებულა ქართველ ერში. ქართველები მუდამ პატივს სცემდნენ სხვა ერების კულტურის მონაპოვრებს. “მტრის ხატის” ეთნიკური შემადგენლობის ცვალებადობის შესახებ საინტერესო მასალა იკვთება ხალხურ შელოცვებში (რ. ხაჭაპურიძე, 2006).

ტრადიციული ქართული მენტალობა მკაფიოდ ვლინდება ქართული სუფრის ეტიკეტში: სუფრის გაძღოლის წესსა და სადღევრძელოების თანამიმდევრობაში. ქართული სუფრის საწესო წარმოშობას (გ. გოცირიძე, 2004) განსაკუთრებულ დამაჯერებლობას აძლავს ქართული სუფრის სვანური ნაირსახეობა – ტრადიციული სადღევრძელოები (//ლოცვები) და ტერმინოლოგია. ტრადიციული ქართული მენტალობის დროში გამძლეობისა და სიცოცხლისუნარიანობის გამოსატყულებაა ამ წესების არსებობა ბარად ჩამოსახლებული ეკომიგრანტების, ქართველი მთიელების (სვანების) თვით მეორე (უკვე ბარად დაბადებულ–აღზრილ) თაობაშიც, რომელიც სუფრას კვლავაც ძველქართული წესით – დვთისადმი აღვლენილი ლოცვა–სადღევრძელოებით იწყებს და ამთავრებს.

ტრადიციულ მენტალობასთან მჭიდრო კავშირშია ქართული ხალხური დღეობა–დღესასწაულები, რიტუალები, სიმბოლიკა, ხალხური სიმღერები და ცეკვები და ა. შ.

ტრადიციული ქართული მენტალობის აუცილებელია ნაწილია სრულიად უნიკალური ქართული ნათესაური სისტემები, უკიდურესად შორს წასულ ნათესაურ განშტოებათა შორის დღემდე შემონახული ნათესაური ურთიერთობები, მოგვარეთა შორის არსებული მჭიდრო ნათესაური დამოკიდებულებები, ქართულ გვარ–სახელთა სისტემა (რ. თოფჩიშვილი, 2005) და სხვა.

მნიშვნელოვანი მასალა ქართველთა მენტალობის სხვადასხვა შტრახის შესახებ იკვთება ქორწინებისა და დაკრძალვის წესებში, სასოფლო–ტერიტორიულ თემთა შორის ურთიერთობებში, შრომითი ურთიერთდახმარების ფორმებში და ა. შ.

ტრადიციული ქართული მენტალობის მრავალი ელემენტი დღესაც სიცოცხლისუნარიანია და თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალა, ამ მხრივ, საკმაოდ საიმედო და სკენების გამოტანის საშუალებას იძლევა.

მენტალობის კვლევის პრობლემა, ანუ როგორც მას ზოგიერთი მკვლევარი უწოდებს – კოლექტიური რეპრეზენტაცია – კიდევ უფრო დააკონკრეტებს და გამოკვეთს ტრადიციულ ქართულ მენტალობას (სააზროვნო სისტემებს, ცხოვრების წესს, ძირითად ღირებულებებსა და ფასეულობებს, ხატებებსა და მოდელებს, მათში გამოვლენილ ინოვაციებს, აგრეთვე, თანამედროვე ვითარებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბარდაველიძე, 1941 – ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში, – ენიშკის მოამბე, ტ., XI, თბ., 1941.
2. გ. გოცირიძე, 2004 – გ. გოცირიძე, ქართული სუფრის ეთნოსოციალური, კულტურული და რელიგიური ასპექტები, – ლოგოსი, №2, თბ., 2004.
3. რ. თოფჩიშვილი, 2005 – რ. თოფჩიშვილი, ეთნოს-ტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005.
4. რ. თოფჩიშვილი, 2006 – რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბ., 2006.
5. მ. კანდელაკი, 1995 – მ. კანდელაკი, სოციალური სიმბოლიკა ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფაში, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995.
6. მ. კანდელაკი, 2001 – მ. კანდელაკი, ფასეულობათა ორიენტაციის საკითხისათვის ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფაში, – ანალები, I, თბ., 2001.
7. მ. კანდელაკი, 2002 – მ. კანდელაკი, პირადული და საზოგადოებრივი ქართველ მთიელთა ურთი-

- ერთობის ტრადიციულ სისტემაში, – კრ., ონხარი, თბ., 2002.
8. ნ. მინდაძე, 2003 – ნ. მინდაძე, ადამიანის სიცოცხლის ასაკობრივი ციკლების ფსიქო–ფიზიოლოგიური თავისებურებანი და ცხოვრების ტრადიციული წესი, – ჟ., ჩუბინი, №2, თბ., 2003.
 9. ტ. ფუტყარაძე, 2007 – ტ. ფუტყარაძე, იმერჯევის მეტყველი მიწა–წყალი, I, ქუთაისი, 2007.
 10. ა. ქაღდანის, 1984 – ა. ქაღდანის, პიროვნების სოციალურ აღზევებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისათვის, – მაცნე, ისტორიის... სერია, №3, თბ., 1984.
 11. ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1991 – ქართული ჩვეულებითი სამართალი, III, თბ., 1991.
 12. უამთააღმწერელი, 1987 – უამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიაზე, – საქართველოს ისტორიის წყაროები, 48, თბ., 1987.
 13. რ. ხაჭაპურიძე, 2006 – რ. ხაჭაპურიძე, მაგიურ–რელიგიური მკურნალობის ისტორიიდან, ქუთაისი, 2006.
 14. მ. ხიდაშელი, 2005 – მ. ხიდაშელი, რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, თბ., 2005.
 15. M. Bloch, 1973 - M. Bloch, The Royal Touch. London, 1973.
 16. А Гуревич - Гуревич А.Я. Проблема ментальностей в современной историографии. Всеобщая История: Дискуссии, Новые подходы, вып. I. М .1989

Rozeta Gujejiani

Study of Mentality and the Georgian Ethnology

The study of mentality is the method founded by the French new historical school of “Annals”. This method is actual for Georgian ethnological science too. The richest information concerning the human and the society is preserved in historical chronicles. The wide rank of data about systems of central worldviews, values, beliefs,

emotions of people and societies of various times is necessary to understand the mode of life and the soul of certain time. Their analysis provides the successful study of mentality. The importance of Georgian ethnographic data in studying traditional Georgian mentality is discussed in the paper. Different elements of mentality are fixed in historical sources and ethnological data (tales, beliefs, rites, symbolism, law, gender relations, etiquette, kinship systems, folk dances and songs, etc), which displays as well as middle ages and the 19th - 20th centuries traditional Georgian mentality and innovations taking place during the certain periods of time.

ქეთევან ხუციშვილი

ეთნოლოგიური კვლევების თანამედროვე ტენდენციები

ეთნოლოგიური კვლევების ისტორია XIX საუკუნიდან იწყება. დისციპლინის განვითარება სხვადასხვა ეტაპებს მოიცავს. იცვლებოდა როგორც მეთოდოლოგიურ-თეორიული მიდგომები, ასევე ტერმინოლოგია და კვლევის თემატიკა. ეთნოლოგია დასავლეთში განმაზოგადებელ ჰუმანიტარულ დარგად ჩამოყალიბდა. განსხვავებული სიტუაცია იყო საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, სადაც ეთნოლოგია ისტორიულ დისციპლინად მიიჩნეოდა და დაქვემდებარებული პოზიცია ჰქონდა მიკუთვნებული. ამ ზოგადი მიდგომიდან გამომდინარე ინტერესთა განსხვავებული სფეროები ჩამოყალიბდა და შედეგად საბჭოთა ეთნოლოგია საგრძნობლად დაშორდა მის დასავლურ ეკვივალენტს. სიტუაცია შეიცვალა სოციალისტური ბანაკის დაშლისა და საზღვრების გახსნის შემდგომ. დღეს უკვე შეინიშნება განვითარების საერთო ტენდენციების არსებობა. ყოფილ საბჭოთა სივრცეშიც ეთნოლოგია დამოუკიდებელ დისციპლინად განიხილება და სახეზეა ზოგადად ანთოპოლოგიური კვლევებისადმი

მიდრეკილება.

დარგის განვითარების ადრეულ ეტაპზევე გამოიკვეთა განსხვავებები დისციპლინის დასახელებასთან დაკავშირებით. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში და რუსეთში დამკვიდრდა ტერმინი ეთნოგრაფია/ეთნოლოგია ხოლო ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში უპირატესობა ტერმინ ანთროპოლოგიას მიენიჭა. თუმცა, თუ დღეს ტერმინი ეთნოლოგია უცნაურად და მოძველებულად უღერს ბრიტანელი მეკვლევარებისთვის, ჩრდილო ამერიკაში იგი უფრო მეტად არის გავრცელებული ისტორიული მიზეზების გამო. გერმანიაში ეთნოლოგია “ვოლკერკუნდეს” შესატყვისია და არაევროპელი ხალხების კვლევას გულისხმობს (Studying Peoples: 2005: 1), საფრანგეთში დამკვიდრდა ტერმინი ეთნოლოგია. 1990-იანი წლებიდან მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო წრეებში უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს ტერმინი ანთროპოლოგია. ამ რეალობას გარკვეული ობიექტური მიზეზები გააჩნია, რაც XX საუკუნეში პარადიგმების ცვლილებითაა განპირობებული.

ეთნოლოგია არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის (ტომის, ხალხის, ნაციის) წარმოშობას, განსახლებას, კულტურულ-ყოფით, სოციალურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ კავშირებს და ურთიერთობებს, ხალხების ყოველდღიური, ყოფითი კულტურის მახასიათებლებს, მათ ეთნიკურ სახეს. ეთნოგრაფია განვითარების პირველ ეტაპზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში კაცობრიობის კულტურის ერთიანობის იდეას ემყარებოდა (ევოლუციონიზმი). XIX საუკუნის ბოლოდან რეგიონალური კულტურები და მათი ურთიერთზეგავლენა შეისწავლებოდა (დიფუზიონიზმი, კულტურულ-ისტორიული სკოლა). თეორიული ეთნოგრაფიის განვითარება XX საუკუნეში ედიურქჰეიმის, ზ. ფროიდის, ლ. ლევი-ბრულის, ბ. მალინოვსკის, ა. რედკლიფ-ბრაუნის, კ. ლევი-სტროსის და სხვათა სახელებს უკავშირდება. ტერმინი ეთნოგრაფია დროთა ვითარებაში სავალდებულო-ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდის სახელად იქცა. ეთნოლოგია კი განიმარტება, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ხალხების მატერია-

ღურ და სულიერ კულტურას მათ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს სწავლობს. დღეს ეთნოლოგია ანთროპოლოგიური კვლევის მიმართულებაა. მისი მიზანია კაცობრიობის ისტორიის რეკონსტრუქცია და კულტურული ინვარიანტების ფორმულირება.

ეთნოლოგიური კვლევის თემატიკა დროთა ვითარებაში ცვლილებებს განიცდიდა, ფართოვდებოდა კულტურულ-გეოგრაფიული არეალი, იზრდებოდა თემების ინტერდისციპლინარულობა, იცვლებოდა საბაზისო ცნებები, მეცნიერულ მიმოქცევაში მკვიდრდებოდა ახალი ტერმინები და კატეგორიები.

XIX საუკუნე და XX საუკუნის პირველი ნახევარი ხასიათდებოდა მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე სკოლებისა და ტრადიციების შექმნით. დარგის ინსტიტუციონალიზაციის პერიოდში გამოიკვეთა ორი მიდგომის არსებობა, ესენია: 1. “კაცობრიობის ერთიანობის” იდეაზე დაფუძნებული “უნივერსალიზმი”; 2. განსხვავებების კვლევაზე ორიენტირებული “რელატივიზმი”.

XX საუკუნის მეორე ნახევრისთვის ჩამოყალიბდა სამი ძირითადი პარადიგმა: ბრიტანული სტრუქტურული ფუნქციონალიზმი (ა. რედკლიფ-ბრაუნი, ბ. მალინოვსკი); ამერიკული კულტურული და ფსიქოკულტურული ანთროპოლოგია (მ. მიდი, რ. ბენედიქტი და სხვ.); ამერიკული ევოლუციონისტური ანთროპოლოგია (ლ. უაიტი და ჯ. სტიუარტი). XX საუკუნის 60-იანი წლებიდან პარადიგმების სიმრავლესთან ერთად, აშკარა გახდა რიგი სირთულეების გაჩენა. კერძოდ, ერთი მხრივ, ემპირიულ მასალაზე დაფუძნებული სამეცნიერო ნაშრომებიდან ყურადღება კულტურის ცალკეული (უმეტესწილად არამატერიალური) ელემენტების კვლევაზე გადავიდა. მეორე მხრივ, ახალი ქვედარგების გამოყოფამ დარგს თითქოსდა დააკარგინა საერთო პარადიგმა და კვლავ დააყენა ტერმინოლოგიური პრობლემების წინაშე. ამ პერიოდში მოხდა ძირეული ცვლილებები თეორიაში. ახალმა თაობამ 60-იან წლებში ახალი იდეები მოიტანა და ზემოთ ნახსენები პარადიგმები ჩაანაცვლეს სიმბოლურმა ანთროპოლოგიამ, კულტურულმა ეკოლოგიამ და სტრუქტურალიზმმა (Ortner: 1984: 126-138).

ოდნავ მოგვიანებით, 70-იან წლებში, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გავლენით კვლევ პოპულარული გახდა მარქსისტული იდეები და შედეგად ჩამოყალიბდა სტრუქტურული მარქსიზმი (საფრანგეთში და, ინგლისში) და პოლიტიკური ეკონომია (აშშ-ში და მოგვიანებით ინგლისში).

დისციპლინარული პარადიგმების ცვლილებასთან ერთად, XX საუკუნის ბოლოს კაცობრიობის აზროვნებაში საერთო პარადიგმატული ცვლილებაც მოხდა. რაც იმაში გამოიხატა, რომ კვლევის ყურადღების ცენტრში ადამიანი – ინდივიდი მოექცა. სამეცნიერო დისციპლინების განვითარებაც და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობაც ინდივიდის უფლებების დაცვისკენ იქნა მიმართული. ასეთმა მიდგომამ გავლენა მოახდინა სამეცნიერო დისციპლინებზე, მათ შორის ანთროპოლოგიის განვითარებაზე. ამიტომაც, მიენიჭა უპირატესობა ტერმინს – ანთროპოლოგია (ე.ი. მეცნიერება ადამიანის შესახებ), რაც სრულიადაც არ გულისხმობს ეთნოლოგიური კვლევებისადმი ინტერესის დაკარგვას. მხოლოდ ამოსავალი წერტილი შეიცვალა. კერძოდ, თანამედროვე სამყაროში ადამიანის (ინდივიდუალურისა და საზოგადოებრივის) არსებობა იქცა შემეცნების და მსოფლმხედველობის უმნიშვნელოვანეს პრობლემად. აუცილებელი გახდა საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და სოციალურ-ინფორმაციული პროცესების “ადამიანური განზომილების” პრინციპის აქტუალიზება. თავად ეს პრინციპი წარმოჩნდა “სუპერპარადიგმად”, რომლის ირგვლივ მიზანმიმართული გაერთიანების ხარჯზე მიმდინარეობს სოციოჰუმანიტარული პარადიგმების ინტეგრირება (Минюшев: 2004: 32).

ანთროპოცენტრიზმის იდეის გააქტიურებამ ჩამოაყალიბა ანთროპოლოგია დარგთაშორის დისციპლინად, რომელიც იკვლევს ადამიანის, როგორც განსაკუთრებული სახეობის და ადამიანთა საზოგადოების, როგორც სოციალური ორგანიზაციის განსაკუთრებული ტიპის ბიოლოგიურ, კულტურულ და სოციალურ განვითარებას. ფართო გაგებით იგი არის მეცნიერება, რომელიც ერთიანობაში განიხილავს კაცობრიობის განვითარების კულტურულ და სოციალურ ასპექტებს. ანთროპოლოგები სწავლობენ ადა-

მიანთა საზოგადოების ეკონომიკური სოციალური, პოლიტიკური და სულიერი სფეროების განვითარებას უძველესი დროიდან დღევანდელობის ჩათვლით (Кравченко: 2003: 13-17).

ანთროპოლოგია განიხილება პორიზონტალურად სტრუქტურებულ, გარკვეულ სამეცნიერო კონგლომერატად, რომელზეც გაელენას ახდენს მულტიკულტურალიზმი, გლობალიზაცია და ტრანსნაციონალიზმი. ეს გავლენები აახლოებს და აერთიანებს სხვადასხვა ანთროპოლოგიურ ტრადიციებს, თუმცა, კვლავ რჩება დიალოგის და თანამშრომლობის საჭიროება (Boskovic, Eriksen: 2004). იმ ქვეყნებშიც, სადაც ტრადიციულად ეთნოლოგიური სკოლებია დომინანტური, აშკარაა ეთნოლოგიური კვლევების გაფართოება ზოგად ანთროპოლოგიური მიდგომებითა და თემატიკით. კამათი იმის თაობაზე, დათმო თუ არა ეთნოლოგიამ პოზიციები, გადაიზარდა კამათში ეთნოგრაფიის ირგვლივ.

ტერმინი ეთნოგრაფია სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ეთნოგრაფიული პრაქტიკის აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრდა. დისციპლინის სახელი მეთოდის სახელად იქცა.

შ. ორტნერი 80-იანი წლების ანთროპოლოგიის ძირითად სიმბოლოდ პრაქტიკას ასახელებს. იგი მიუთითებს, რომ თეორიული გადანაცვლება მოხდა სტრუქტურიდან და სისტემიდან პიროვნებასა და პრაქტიკისკენ. რაც შეიძლება განხილულ იქნას როგორც გადანაცვლება სტატიკურ-სინქრონული ანალიზიდან დიაქრონულ-პროცესუალური ანალიზისკენ (Ortner: 1984: 158). პრაქტიკაში საველე-ეთნოგრაფიული სამუშაოები იგულისხმება. სწორედ საველე კვლევა მიიჩნევა ანთროპოლოგიური დისციპლინის განმასხვავებელ მახასიათებლად. ეთნოგრაფიად წოდებულ საველე პრაქტიკას იყენებენ კულტურის კვლევით დაკავებული სხვა დისციპლინებიც. ტრადიციული საველე ეთნოგრაფიული კვლევებთან ერთად ეთნოგრაფიად მიიჩნევა მთელი რიგი პრაქტიკები საკლასო ეთნოგრაფიიდან დაწყებული, სიცოცხლის ისტორიებითა და ფოკუს-ჯგუფებით დამთავრებული. ამის გამო, ანთროპოლოგთა წინაშე კვლავ დგას საკითხი არის თუ არა ეთნოგრაფია სპეციფიკური პრაქტიკა.

ტიკა, იქცა იგი თვისებრივი კვლევების ახალ სინონიმად და ხომ არ განნდა დისციპლინის შიგნით ახლი ტერმინების შემუშავების საჭიროება (Melhuus, Mitchell: 2008). ამასთან ერთად, დისკუსიის საგანია მობილური და მულტი-ლოკალური სავსე კვლევების საკითხი. უფრო მეტ პრაქტიკულ დატვირთვას კვლევის მოქნილი ფორმები და მეთოდოლოგიური პლურალიზმი იძენს. თუმცა, ძალაშია ერთწლიანი, ან უფრო მეტი ხანგრძლივობის, უწყვეტი, მონაწილე დაკვირვების მეთოდი კვლევის სხვა სტრატეგიებთან ერთად. კითხვები ჩნდება “ველის” დემარკაციასთან დაკავშირებით.

ეთნოგრაფიული პრაქტიკის ფორმაზე გავლენას ახდენს კვლევის ინტერესები და მიზნები, კვლევის პოლიტიკა, საორგანიზაციო დაქვემდებარება და ფინანსირება (Wulff, Marcus: 2004). ეთნოგრაფიული პრაქტიკა იცვლება ნაციონალურ-რეგიონალური ტრადიციების და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვითაც.

თანამედროვე ანთროპოლოგიაში აქტუალურია ეთიკური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევის, შედეგების გამოქვეყნების, ანთროპოლოგთა ურთიერთობის და სწავლების ეთიკასთან. ამ მიმართულებით იმართება დისკუსიები, კონფერენციები. დარგის იდეოლოგიზირებისა და პოლიტიზირების თავიდან ასაცილებლად შემუშავებულია სხვადასხვა სახის კონვენციები. თუმცა, საყოველთაოდ გაზიარებული ეთიკური ნორმები არ არსებობს და ყოველი მკვლევარი თავადაა პასუხისმგებელი კონკრეტული კვლევების ეთიკურობზე.

საკითხები რომლებიც დღეს ანთროპოლოგთა წრეებში დისკუსიის საგანადაა ქცეული თავად მიუთითებს დისციპლინის განვითარების ტენდენციებზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის, მსოფლიო გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილებისა და ინფორმაციული ეპოქის დადგომის გამო შეიცვალა დისციპლინის აქცენტები. რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ინტერესთა სფეროებისა და საკვლევი პრობლემების ცვლილება. გადაისინჯა მეთოდოლოგიურ-თეორიული მიდგომები. ყურადღება გამახვილდა პოსტ-კოლონიური სივრცის ანთროპოლოგიური კვლე-

ვების გაფართოების აუცილებლობაზე და ამ სივრცის ახალ კონცეპტუალურ გააზრებაზე (ამის ნიმუშია კ. ჰანის იდეა ევრაზიული სივრცის განუყოფლობის შესახებ). დარგში მიმდინარე პრაქტიკული ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ დარგი უფრო მეტად კოსმოპოლიტური გახდა. ასეთი იდეის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ საფუძვლად ევრაზიის კონცეპტი იქცა (Hann: 2003: 1).

თანამედროვე ტენდენციებიდან აღსანიშნავია ყურადღების კონცენტრირება ადამიანზე და ამ ნიშნით, კომპლექსური ანთროპოლოგიური კვლევების აქცენტირება. რასაც დადებით მომენტებთან ერთად სირთულეებიც ახლავს. აკადემიურ წრეებში თითქოსდა გამიჯნული სფეროების არსებობა, ვეღარ აკმაყოფილებდა ანთროპოლოგს, რადგან ვერ ხერხდებოდა ეკონომიკური ადამიანის, სოციოლოგიური ან პოლიტიკური ადამიანისაგან გამიჯვნა. სხვა დისციპლინების წარმომადგენელთა კვლევებიც ვერ თავსდებოდნენ ტრადიციულად დადგენილი დისციპლინარული ჩარჩოების შიგნით. ამის გამო, ადამიანის შემსწავლელ დარგთა შორის გადაულახავი განსხვავებები გამქრალია (Клакхон: 1998: 330). აქედან მომდინარეობს ერთი მხრივ, საკითხების გაფართოება და კომპლექსური კვლევა. მეორე მხრივ, ამის პარალელურად თემატიკის დავიწროვება. რაც ორმხრივი პროცესია, რადგან ხედვის სისტემურობა საკითხის ვიწრო კონკრეტიზაციასაც გულისხმობს.

დღევანდელი სიტუაციისათვის ჯერ კიდევ ძალაშია შერი ორტნერის მიერ 80-იან წლებში გამოთქმული შეფასება: “სახეზეა ლიმინალობის კლასიკური ნიშნები: კატეგორიების შეუსაბამობა, ქაოსის გამოხატულება და ანტისტრუქტურა. ასეთი უწესრიგობა კარგი საფუძველია ახალი წესრიგისთვის. თეორიული ორიენტაციის ახალი ძირითადი სიმბოლო არსებობს და ესაა – პრაქტიკა, რაც არც თეორიაა და არც მეთოდი თავისთავად, არამედ, უფრო სიმბოლოა, რომლის სახელითაც სხვადასხვა თეორიები და მეთოდები ვითარდებიან” (Ortner:1984:126-7).

ანთროპოლოგია არის მეცნიერება ადამიანის შესახებ მისი არსებობის მრავალფეროვან ფორმებში. იგი მოიცავს მთელ რიგ მიმართულებებს: ფიზიკურ ანთროპოლო-

ვიას, სოციალურ ანთროპოლოგიას, კულტურულ ანთროპოლოგიას, ისტორიამდელ ანთროპოლოგიას, ფილოსოფიაში არსებობს ქვედარგი ფილოსოფიური ანთროპოლოგია. ანთროპოლოგიურ კვლევებად განიხილება ფიზიკური ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ლინგვისტიკის, ეთნოლოგიის, სოციალური ანთროპოლოგიისა და ფოლკლორისტიკის მიმართულებით წარმოებული კვლევები. დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზემოთ ჩამოთვლილ დარგთა მეთოდების გამოყენებით შეკრებილ მონაცემთა საფუძველზე თანამედროვე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას (Клакхон: 1998: 340). ასეთ მიდგომას გამოყენებით ანთროპოლოგიას უწოდებენ. გამოყენებითი ანთროპოლოგია ანთროპოლოგიის ქვედარგად განიხილება. ანთროპოლოგიის სხვადასხვა ქვედარგი რომლებიც წლების მანძილზე დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ, ბოლო პერიოდში ავლენენ ერთმანეთისაკენ დაახლოების ტენდენციას, რაც ორმხრივ ხელსაყრელი და სასარგებლოა. ეს ეხება სამუზეუმო ეთნოგრაფიას, მატერიალური კულტურის კვლევებს, ბიოლოგიურ და სამედიცინო ანთროპოლოგიას, ეკოლოგიურ ანთროპოლოგიას, ლინგვისტურ და კოგნიტიურ ანთროპოლოგიას და არქეოლოგიურ ანთროპოლოგიას. ჰოლისტური ანთროპოლოგია განვითარების ახალ ფაზაში. ანთროპოლოგიური კვლევების მახასიათებელია ერთ ან რამდენიმე გეოგრაფიულ არეალზე კონცენტრირება და კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის შესწავლა. ანთროპოლოგიური კვლევები შედარებითი კვლევებია (როგორც დიაქრონულ ისე სინქრონულ ჭრილში). ანთროპოლოგები ცდილობენ ადამიანთა ქცევაზე დაკვირვების შედეგად გასცენ პასუხი კითხვებს თუ რას ნიშნავს იყო ადამიანი, რა განსაზღვრავს მის ქცევას და რა არის ადამიანური ყოფის უნივერსალური ფაქტები. ანთროპოლოგი ეთნოგრაფიული მეთოდების მცოდნე დამკვირვებელია, რომელიც ჰოლისტური მიდგომით სწავლობს ადამიანს და ცდილობს მისი ქცევის ინტერპრეტაციას. დისკუსია ანთროპოლოგიის კვლევის საგნის შესახებ პერიოდულად აქტიურდებოდა, საკვლევის თემატიკის გაფართოება-შევი-

წროვების კვალდაკვალ. კ. ლევი-სტროსის აზრით, ანთროპოლოგიის საგანი არაცნობიერის (ჩვეულებები, ნორმები) კვლევა უნდა ყოფილიყო. მ. ვებერი იგივეს ტრადიციულ ქმედებებს უწოდებდა და ანთროპოლოგიის საგნად სახავდა. თუმცა, დღეს მიდგომები შეცვლილია და მიიჩნევა, რომ ანთროპოლოგია სამყაროზე ფართო ჰუმანიტარულ ხედვას გულისხმობს და ადამიანს ისტორიული, ბიოლოგიური, ლინგვისტური და კულტურული პერსპექტივიდან მთლიანობაში განიხილავს. ამიტომაც თანამედროვე სამყაროში სწორედ ანთროპოლოგია იძენს საუკუნის მეცნიერების დატვირთვას.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Кравченко А.И. Социальная антропология, М. 2003
2. Минюшев Ф.И. Социальная антропология, М. 2004
3. Boskovic A., Eriksen T.H., 'Other' Anthropologies, EASA 8th biennial conference in Vienna 2004 webpage: <http://www.easa.org>
4. Hann Ch. The anthropology of Eurasia in Eurasia, Max Planck Institute for social anthropology working papers, Halle 2003
5. Melhuus M., Mitchell J.P., Ethnography – the costs of success?, EASA 10th biennial conference in Ljubljana 2008 webpage: <http://www.easa.org>
6. Ortner S.B. Theory in Anthropology since the Sixties, Comparative studies in Society and History, Vo.;26; No.1. Jan., 1984
7. Social Anthropology is a Generalizing Science or it is Nothing, ed. by T. Ingold, Manchester, 1988
8. Studying Peoples in the People's Democracies. Socialist Era: Anthropology in East-Central Europe, Ed. by C. Hann, M. Sarkany and P. Skalnik, Halle Studies in the Anthropology of Eurasia, Vol 8, Muenster, 2005
9. Wulff H., Marcus G.E., Ethnographic Practice in the Present, Invited Workshop 9, EASA 8th biennial conference in Vienna 2004 webpage: <http://www.easa.org>

Ketevan Khutsishvili

Contemporary tendencies in development of ethnological studies

In the article there is considered the development of ethnological paradigms from the end of the XIXth century to the nowadays. The terminological and methodical problems are discussed, as well as, the tendency of switching to the anthropological studies. The conclusion is drawn that anthropology is the discipline of the future.

მიხეილ მინდაძე

ეთნოგრაფია სკოლაში

წარმოგიდგენთ ჩემს კონცეფციას და ნაწილობრივ განხორციელებულ გეგმას რომელიც ეხება ეთნოგრაფიის დაკავშირებას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან.

ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს საქართველოს საჯარო სკოლები მუშაობენ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მთელი რიგი საგნების/საგანთა ჯგუფების სწავლებას. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებს, ბავშვის შეფასების კრიტერიუმებს და შედეგებს, რომელსაც უნდა მივაღწიოთ ამ სტანდარტების შესრულებისას. ეროვნული სასწავლო გეგმა აძლევს საშუალებას თითოეულ სკოლას შეავსოს ნიშა ე.წ. ეროვნული გეგმით გაუთვალისწინებელი მომსახურების საშუალებით. აქ მოიაზრება სხვადასხვა აღმზრდელობითი და შემეცნებითი პროგრამა, როგორც საგაკვეთილო პროცესში ასევე მის გარეთაც. ამ ტიპის პროგრამა მოსწავლეს ეხმარება აკადემიური ცოდნის გაფართოებასა და

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში, უღვიძებს ინტერესს სწავლისადმი.

ჩვენმა სკოლამ გადაწყვიტა ეროვნული გეგმით გაუთვალისწინებელი მომსახურება აეგო ერთი მთლიანი ღერძის გარშემო და შექმნა ინტეგრირებული პროგრამა საქართველო-ჩვენი სამშობლო.

პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს თითოეული კუთხის ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას. პროგრამა მოიცავს სხვადასხვა ეტაპს და თითოეული ამ ეტაპის სწავლება ხდება სხვადასხვა სპეციალისტების (სკოლის მასწავლებლები და მოწვეულები) საშუალებით. აქვე მინდა დავძინო, რომ პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ კურსს ასევე პრაქტიკულ საქმიანობას.

მინდა შემოგთავაზოთ პროგრამის თეზისები, საქართველოს ერთი კუთხის – იმერეთის მაგალითზე, რომლის შექმნაშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენი სკოლის კონსულტანტმა ბატონმა ნიკა თუშაბრამიშვილმა.

1. ზოგადი კურსი იმერეთის რეგიონში სიცოცხლის წარმოშობის შესახებ;
2. გეოლოგიის, ტექტონიკის, პალეოსეისმოლოგიის, გეომორფოლოგიის, პალეონტოლოგიის, პალეოკლიმატის, პალეოგარემოს საკითხები;
3. იმერეთში ადამიანის განსახლება. ანთროპოლოგიის საკითხები. ცხოვრების წესი;
4. თანამედროვე ტიპის ადამიანის გაჩენა. არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მონაცემები;
5. ეთნოლოგიის საკითხები (შინამრეწველობა, ფოლკლორი-პოეზია, ხალხური სიმღერა);
6. ხელოვნების ჩასახვა უძველეს ეპოქში, მისი განვითარება. ხელოვნების საკითხები;
7. სამართლის საკითხები (სამართლის ისტორიის ჩათვლით, ბექა-აღბუღა, თემის, სოფლის და სხვ სამართალი);
8. ხალხური მედიცინა, რიტუალები, ენდემური სამკურნალო მცენარეები და სხვა საშუალებები;
9. იმერეთის ეკონომიური გეოგრაფიის საკითხები (მაგ. ნედლეული).

ამ საკითხების შესახებ ზოგადი კურსი წაკითხული იქნება ეროვნული მუზეუმის (ჯანაშიას მუზეუმი, ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი, ქარვასლა და სხვ), და სხვ. ბაზებზე.

საზაფხულო სკოლა ზემო იმერეთში (ჭიათურა-საჩხერის რ-ები)

1. შეიქმნება საზაფხულო სკოლის მოდელი რიონ-ყვირილას აუზის შემსწავლელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზასთან.
2. ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხზე მოსწავლეები იმუშავენ ექსპედიციის წევრებთან, მოწვეულ კონსულტატებთან ერთად.
3. მიიღებენ მონაწილეობას გათხრებში. ძეგლების დიდი ნაწილი მრავალფენიანია, ე.ი. გეოლოგიურ ჭრილებში წარმოდგენილია სხვადასხვა კულტურული ფენები. ზედა ფენები შეიცავენ ენეოლით-ბრინჯაოს ხანის მასალებს, ხოლო ქვედა ფენები-ძველი ქვის ხანის ინდუსტრიას. გეოლოგების, პალეონტოლოგების, ეთნოლოგისა და კულტურის ისტორიის სპეციალისტების მიერ მოხდება მათი კუთხით მოსწავლეთა ინფორმირება. პირველყოფილი საზოგადოების ყოფის, ტრადიციების, ხელოვნებისა და რელიგიის საწყისების, მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებებისა და მიმართულებების კვლევა.
4. მოსწავლეები თავად შეაგროვებენ მოსახლეობაში ეთნოგრაფიულ მასალებს სხვადასხვა საკითხებზე (მათ შორის შინამრეწველობის, ტანსაცმლის, ღებვის, კულინარიის, ხალხური მედიცინის (მაგ. ბავშვები შეისწავლიან ხალხურ მედიცინისთვის სასარგებლო და აგრეთვე, მავნებელი მცენარეების ცნობას, რაც მათ შეაჩვევს ექსტრემალურ პირობებში ცხოვრებას, ეს ცოდნა მათ წაადგებათ ერთმანეთისა და თვითდახმარებისთვის), ხალხური სიმღერის ნიმუშებს და სხვ.

5. მონაწილეობას მიიღებენ სადაზვერვო სამუშაოებში (ახალი არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენის მიზნით);
6. მოხდება კაუჩის საბადოებზე პირველყოფილ ადამიანთა სადგომ-სახელოსნოების მონახულება. იარაღების დამზადება.
7. მოეწეობა ექსკურსიები რეგიონში მომუშავე სხვა არქეოლოგიური ექსპედიციებში, აგრეთვე, სხვადასხვა არქეოლოგიურ, ხუროთმოძღვრულ, ისტორიულ და ბუნების უნიკალურ ძეგლებზე (მაგ. საირხე, მღვიმევის, კაცხის და ჯრუჭის მონასტრები, კაცხის სვეტი, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი, სავანე და სხვ.)
8. მოსწავლეები თავად დაამზადებენ ამა თუ იმ არქეოლოგიური ნივთის მულაჟებს, შინამრეწველობის სამეურნეო იარაღებს, საკრავებს და სხვ.
9. ჭიათურის რ-ნში არსებული ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, შესაძლებელია ბავშვების კლდეზე ცოცვაში მომზადება, სპორტული და სამეცნიერო ინფორმაციის მიღების მიზნით მღვიმეებში სპელეოლოგიური ჩასვლების განხორციელება. შესაძლებელია კაცხის სვეტზე ასვლების განხორციელება.
10. მოხდება რეგიონის გეოგრაფიის, გეოლოგიის, ტექტონიკის შესწავლა. ეკონომიკურ-გეოგრაფიული საკითხების შესწავლა და საბადოების მონახულება (ნედლეული-მანგანუმი, მარმარილოს, ქვისა და ქვიშის კარიერები). შესაბამისად, ბავშვები გაეცნობიან ჭიათურის დაარსების ისტორიას და რეგიონის განვითარების პერსპექტივებს (მრეწველობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის პერსპექტივები გეო, არქეო, სპელეო, აგრო, ეკო-ტურიზმი).
11. გაეცნობიან რეგიონის სოფლის თანამედროვე ყოფას (მეურნეობა) და პრობლემებს. წარმოადგენენ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს. მოხდება მათი მოსაზრებების პროფესიულ წრეებში არსებულ მოსაზრებებთან შედარება და დასკვნების გამოტანა.

12. მოხდება სამუშაო და სასწავლო პროცესის ფოტო და ვიდეოკამერებზე გადაღება, სცენარების შექმნა, დოკუმენტური, ნახევრად-დოკუმენტური ფილმების გადაღება.
13. შეადგენენ რუქებს (ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების, ნედლეულის და სხვ. გავრცელების მოკლე ანოტაციებთან და ლეგენდებთან ერთად.
14. სხვადასხვა მიმართულებით (გეოლოგია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორი, ხალხური მედიცინა და სხვ.) მოპოვებული მასალის გაანალიზების შემდეგ ფაკულტატური მუშაობისას მოხდება ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ ამ საკითხებთან დაკავშირებული მასალების მოძიება (ლიტერატურა, ინტერნეტი), მათთან შედარება და იმის დადგენა, თუ რამდენად სწორად ჩაატარა მოსწავლემ ესა თუ ის კვლევა და რა არის სამომავლოდ გასათვალისწინებელი.

მოსალოდნელი შედეგები.

1. მოსწავლეები მიიღებენ სრულ ინფორმაციას საქართველოს ერთი რეგიონის შესახებ (ისტორია, დღევანდელი რეალობა, სამომავლო პერსპექტივები).
2. შეიძენენ მეცნიერული კვლევის და სხვა პროფესიულ უნარ-ჩვევებს.
3. შეიძენენ ექსტრემალურ პირობებში თვითგადარჩენის თვისებებს.
4. სტიმული მიეცემათ ჩაერთონ სპორტულ, თუ სხვადასხვა ტურისტულ ღონისძიებებში.
5. ისწავლიან გუნდურ მუშაობას
6. ზოგადად გაეცნობიან საქართველოს ისტორიას, კონკრეტულ შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად საფუძვლიანად მის ერთ რეგიონს, ტრადიციებს, ადამიანთა გარემოსთან ადაპტაციებს, ადამ-წესებს.
7. ისწავლიან ერთმანეთთან და სხვებთან ურთიერთობებს.

8. ზოგადად გაეზრდებათ თვალსაწიერი და გაუჩნდებათ სურვილი უკეთ გაეცნონ მთლიანად საქართველოს და არა მარტო საქართველოს ბუნებასა და ისტორიას
 9. აირჩევენ ცხოვრების სწორი წესს.
 10. შესაძლებელია, წინასწარ განსაზღვრონ პროფესია.
- აღნიშნული აპრობირებული მოდელის გამოყენება შესაძლებელია იქნება საქართველოს ყველა კუთხეში

Michael Mindadze

Ethnography in the School

The paper presents the information about the teaching ethnography in the school. Tbilisi School N 161 has developed integrated program “Georgia – My Homeland”. The program aims to give pupils the ethnographic knowledge about each ethnographic region of Georgia. The program is divided into the blocks, which are taught by the teachers and invited specialists. The program consists of the theoretical as well as the practical activities. The foundation of the summer school is also planned. This teaching model is wide spread and it would be effective in Georgian educational system too.

**ნოდარ შოშიტაშვილი,
ჯიმშურ ჩხვიმიანი,
ირაკლი ბაქრაძე**

ეთნოგრაფიული მუზეუმი და საგანმანათლებლო საქმიანობის თავისებურებები

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც მისი დამაარსებლის, აკად. გიორგი ჩიტაიას სახელს ატარებს, ორმოცდამეორე წელს ითვლის (მისი დაარსების თარიღი 1966 წლის 27 აპრილია). მიუხედავად დროის მცირე მონაკვეთისა, მისი

პოპულარობა კარგა ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, რადგანაც ეს მუზეუმი უნიკალურია თავისი ფუნქციით, დანიშნულებითა და შესაძლებლობებით. იგი სტრუქტურულად, ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში 2005 წლის ბოლოს შევიდა.

თბილისში, კუს ტბის ჩრდილოეთ ფერდობზე განფენილ 50 ჰექტარზე წარმოდგენილია თითქმის მთელი საქართველო მინიატურაში. აქ დამთვალიერებელს, – ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს თუ უცხოელ სტუმარს ეძლევა უნიკალური შანსი სულ რაღაც საათნახევრის განმავლობაში შეიქმნას საკმაოდ სრული წარმოდგენა საქართველოზე, ქართველი ხალხის მატერიალურ და სულიერ კულტურაზე.

უნიკალურ ლანდშაფტურ გარემოში წარმოდგენილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, 70 საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობა, რვა ათასამდე ექსპონატი.

ეთნოგრაფიულ მუზეუმს გარდა ზოგადი ინფორმაციული და სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულებისა, ყოველთვის ჰქონდა საგანმანათლებლო ფუნქცია. სწორედ ეს ფუნქციაა მსოფლიოში ამ ტიპის მუზეუმების სპეციფიკა, – როდესაც ხალხური რეწვის საგანმანათლებლო პროექტებს ზოგჯერ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის კონკრეტული დარგის გაცნობისა და შესწავლის სახე აქვს, ზოგჯერ კი თემატური ფესტივალების სახესღებულობს. (St. Rentzhog. 2007. 168). სწორედ ამ კუთხით გააჩნია თუნდაც სხვა, ე.წ. კამერული მუზეუმისაგან განსხვავებით უნიკალური შესაძლებლობები. მიუხედავად ამ შესაძლებლობებისა, მუზეუმში არ მუშავდებოდა საგანმანათლებლო პროგრამები. აქ განხორციელებულ ღონისძიებებს არ ჰქონდა ორგანიზებული, სისტემური ხასიათი. შემოიფარგლე-ბოდა ლექცია-საუბრებისა და ექსკურსიების ჩატარებით კონკრეტული სკოლების მოსწავლეებთან. დამთვალიერებელთა მოზიდვას კოორდინაციას უწევდა სახელმწიფო სტრუქტურები და ტურისტული ორგანიზაციები.

სადღეისოდ მუზეუმში მთლიანად შეცვლილია ძვე-

ლი სისტემა. ამ ხუთი წლის წინ მუზეუმში დაიწყო საგანმანათლებლო სფეროსთვის სისტემური ხასიათის მინიჭება, რასაც ხელი შეუწყო ზოგადად სამუზეუმო სფეროში, მსოფლიოს დიდ მუზეუმებში მიმდინარე ტენდენციებმა. ამ საკითხთან დაკავშირებით განხორციელდა საინტერესო და საჭირო პროექტი ამიერკავკასიის მუზეუმების ხელმძღვანელთა მონაწილეობით. ეს იყო 2003-2005 წლებში ამიერკავკასიის ქვეყნების მუზეუმებში მუზეუმთმცოდნეობის თანამედროვე მიმართულებათა დანერგვისა და მუზეუმების პოტენციალის გამოყენებასთან დაკავშირებით იუნესკოს ეგიდით განხორციელებული პროგრამა Stage, რომელშიც ამ სტატიის ერთ-ერთი ავტორიც მონაწილეობდა. საბერძნეთში (ათენი), რუსეთში (იასნაია პოლიანა, ცარსკოე სელო) და საქართველოში (თბილისი, ტაბახმელა) გამართულ ტრენინგებზე განიხილებოდა თანამედროვე მუზეუმთმცოდნეობის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა სამუზეუმო მენეჯმენტი, რესტავრაცია-კონსერვაციისა და მუზეუმთმცოდნეობის თანამედროვე მიმართულებები: მუზეუმების მართვა, დაფინანსების მოძიება, მარკეტინგი და კომერციული საქმიანობა. ჩამოთვლილ საკითხებთან ერთად ერთ-ერთი აქტუალური იყო მუზეუმებში ახალ დამთვალიერებელთა მოზიდვის პრობლემა, საგანმანათლებლო პროგრამები და პროექტები.

ასე რომ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან და თანამედროვეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა სამუზეუმო რეფორმა. პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სფეროში მიმდინარე პროცესები ერთ-ერთი წარმატებულია ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს შორის. უწინარესად, პირველ ეტაპზე მოხდა საქართველოს რამდენიმე წამყვანი მუზეუმის გაერთიანება და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული მუზეუმი (გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე).

აღნიშნული სამუზეუმო გაერთიანების შემადგენელი ნაწი-

ლი გახდა გ. ჩიტაიას სახელობის სალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი, ანუ ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. სწორედ ამის შემდეგ იწყება ახალი ეტაპი ეთნოგრაფიული მუზეუმის ისტორიაშიც, – საერთაშორისო გამოცდილებებსა და მიღწევებზე დაფუძნებული საქმიანობა, მათ შორის საგანმანათლებლო სფეროშიც.

გამოცდილება კი მსოფლიოს წამყვან მუზეუმებს საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროში მრავლად დაუგროვდათ. შეიძლება დავასახელოთ ამერიკის შეერთებული შტატების სმიტსონის ინსტიტუცია, რომელიც ამ ქვეყნის წამყვანი სამეცნიერო-სამუზეუმო ცენტრია. მისმა წამყვანმა სპეციალისტებმა 2005 წლის 8-15 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის მონაწილეობით ჩაატარეს სემინარი სამუზეუმო მენეჯმენტში (მუზეუმის მართვა. 2005), სადაც ერთი განყოფილება დაეთმო განათლებას და საგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამები კი ამ სფეროში გულისხმობს ყველა ასაკის მოსახლეობის ჩართვას ლექციების, სემინარების, ექსკურსიების, წარმოდგენების, ფილმების და სხვ. საშუალებით. ამავე მიზანს ემსახურება ინფორმაციის გავრცელება მედიის, წიგნების, ბიულეტენების, ჟურნალების, ვებგვერდებისა და ვიდეოპროდუქციის მეშვეობით. ეთნოგრაფიული მუზეუმის შემთხვევაში ეს არის ტრადიციული მატერიალური და სულიერი სიმდიდრეებისადმი ყველა ასაკის მოსახლეობის ზიარება, უპირატესად კი მოსწავლეთა და სტუდენტთა. ამით ისინი თეორიულ მასალასთან ერთად დამატებით ინფორმაციებსა და ახალ წარმოდგენებს იძენენ (K. Харсон. 2001. 160).

როგორც აღვნიშნეთ, მუზეუმების საგანმანათლებლო პროგრამები გათალისწინებულია ყველა ასაკისა და ყველა სოციალურ ჯგუფებზე. მათ შორის ინვალიდ ბავშვებთან დაკავშირებით სამუზეუმო პრაქტიკაში დამკვიდრდა კიდევ სპეციალური ტერმინი “სამუზეუმო თერაპია” (M. Пиотровски. 2002). ასეთ ბავშვებთან მუშაობის მრავალი ფორმა არსებობს თითოეული მუზეუმის სპეციფიკიდან გამომდინარე.

გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმს ამ მიმართულებითაც დაუგროვდა ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი გამოცდილება. ამასთან, დავასახელებდით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა განათლებისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირებით დაკავებულ ასოციაცია „ანიკასთან“ ერთად განხორციელებულ აქციებს, რომელსაც საზოგადოებაში სათანადო რეზონანსი მოჰყვა (2005 წ. ივლისი). ბოლო წლებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტებიდან გამოვყოფდით მშობლების მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის გამართულ საქველმოქმედო აქციებს არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ბავშვი და გარემო“ ერთად (2003 წ. ოქტომბერი), აგრეთვე საპატრიარქოსთან არსებულ სიონის სამრევლო სკოლასთან თანამშრომლობას.

ამგვარად, ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაწყებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება და აღნიშნულ პროგრამებზე ორიენტირებული სამეცნიერო ფუნქციის გაძლიერება. ამას მოითხოვდა სამუზეუმო საქმიანობის ახალ საფეხურზე აყვანის აუცილებლობა, რაც მოგვანებით სათანადო დოკუმენტშიც დაფიქსირდა (მუზეუმების შესახებ. 2006. 105-109). მასში ხაზგასმულია, რომ მუზეუმის მიზანდასახული მიმართულებაა საზოგადოების სხვადასხვა ფენაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და დამთვალიერებელთა აუდიტორიის გაფართოება, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება, სამუზეუმო ცხოვრების გაჯანსაღება, მუზეუმების გარდაქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად და ცოცხალ, ქმედით ორგანიზებად (მუზეუმების შესახებ. 2006. 108).

ამრიგად, ეროვნულ მუზეუმში, რომელიც თვითონ არის უკვე სერიოზული და გამორჩეული ინსტიტუცია, იმთავითვე სათანადო ყურადღება მიექცა საგანმანათლებლო პროგრამებს და ამ მიზნით სპეციალური უჯრედიც შეიქმნა – საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც უკვე განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტების პარალელურად გამოს-

ცემს საგანმანათლებლო ცენტრის მაცნეს, რომლის ერთ-ერთ ნომერში აღწერილია ეთნოგრაფიულ მუზეუმში ამჟამად მიმდინარე ორი საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებისა და მათი ავტორების (ირაკლი ბაქრაძისა და ჯიმშერ ჩხვიმიანის) საქმიანობის შესახებ.

ქვემოთ ვისაუბრებთ ორივე პროექტის შესახებ.

ეთნოგრაფიულ მუზეუმში არსებულ სამჭედლოს რამდენიმე ფუნქცია აკისრია. პირველ რიგში სამჭედლო, მასში არსებული ნივთებით, სამუზეუმო ექსპონატია. ამავე დროს სამჭედლოში მიმდინარეობს სამეცნიერო, – ექსპერიმენტული არქეოლოგიის ტიპის სამუშაო. აქცენტი გადატანილია ქართული ტრადიციული ტექნოლოგიების შენარჩუნებასა და რიგ შემთხვევებში მის აღდგენაზე. განსაკუთრებული ყურადღება ცივი იარაღის (უპირატესად დანა-ხანჯლის) კვლევას ეთმობა, როგორც ყველაზე რთულ, ტრადიციულ და აქტუალურ სამჭედლო დარგს. სამეურნეო (ნაჯახი, დანა) თუ საბრძოლო (ხანჯალი) იარაღის დამზადებაში დიდი ყურადღება ეთმობა ე.წ. „გაშუალებით დაფოლადებას“. როგორც ნიკოლოზ რეხვიანი აშვილი წერდა, „ხელადის (ნივთი, ნახელავი ი.ბ.) გაჭედვის ქართული წესი ორკეც რკინის „საპირეს“, „საგულედ“ (შუაში) დაეტანებოდა ფოლადი და შემდეგ შეუდუღებდნენ პირს. ამ სახით აგებული ხელადის ტანი „გულფოლადიანი“ იყო და შესანიშნავი „ფხა“ და მკვეთელობა ახასიათებდა. ამასთან, დრეკადობა და სიფიცხე ზომიერი ჰქონდა. მუშაობის დროს პირი „უალმასდებოდა“, გალესვა მისი იოლი იყო“ (ნ. რეხვიანი-აშვილი. 1964. 184).

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ცდებმა მეცნიერის სიტყვები სრულად დაადასტურა. ამ წესის ერთგვარი „ნაკლი“ ის არის, რომ იგი დიდ ცოდნას, გამოცდილებასა და რკინა-ფოლადის ზუსტ შერჩევას მოითხოვს. „გაშუალებით დაფოლადება“ ფაქტობრივად „დამასკური ფოლადის“ ნაირსახეობას წარმოადგენს და თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. სხვათა შორის, სპეციალისტებიც კი ხშირად ურვენ ორ სხვა-

დასხვა ტერმინს – „დამასკურ ფოლადსა“ და „ბულატს“, ვინაიდან ორივეს განსაკუთრებული ნახჭი ახასიათებს. ტერმინოლოგიური მიზეზანი ამჯერად ჩვენს თემას სცილდება, ამიტომ მხოლოდ იმის თქმას დავეკრებით, რომ აუცილებელია ერთმანეთში არ ავურიოთ ორი თვისებრივად განსხვავებული ტექნოლოგია: საგანგებო დნობის შედეგად მიღებული ფოლადი (რუს. „булат“, ქართულად „ჯავარი“) და გახურებული ლითონის ერთმანეთთან შეჭედვით მიღებული ფოლადი („დამასკური ფოლადი“). ამათგან ჯავარი მხოლოდ აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მონაპოვარია, დამასკური ფოლადი კი მზადდებოდა ყველგან, სადაც ფოლადს ამუშავებდნენ.

ზოგიერთი მკვლევარის (ზაქარ ნონიკაშვილი, კახაბერ ზარნაძე, ვიქტორ კუზნეცოვი) დაკვირვებით, გორდა ხმლების უმრავლესობა სწორედ ამგვარი წესით არის დამზადებული, ამიტომ გორდას ცნობილი დამღაც, შესაძლოა, სწორედ ტექნოლოგიას გამოხატავდა და არა ხმლის მოყვანილობას ან ტარის ფორმას. ამით აიხსნება ისიც, რომ გორდას დამლა ზოგჯერ ხანჯლებზეც გვხვდება და ისიც, რომ ერთ ხმალზე გორდას დამლის გვერდით ზოგჯერ სხვა დამლებიცაა.

საზოგადოების დღევანდელი პოზიცია ქართული საიარაღო მჭედლობის მიმართ, სამწუხაროდ, ხშირად არამართლზომიერია. არსებობს გავრცელებული მოსაზრება, თითქოს ქართული ხმალ-ხანჯლის ჭედვის წესი სადღეისოდ მთლიანად დაკარგულია და ამ თემაზე მუშაობაც ფუჭი საქმეა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს საბრძოლო იარაღის წარმოების ტრადიცია მე-20 საუკუნის დასაწყისამდე მაინც ცოცხალი იყო. უძველესი ტრადიციის მატარებელი ოსტატები ჯერ კიდევ სულ რაღაც 50-60 წლის წინ საუკეთესო იარაღს ჭედავდნენ, ისეთს, როგორითაც მრავალი ერი იამაყებდა. ამ ოსტატთა შესახებ შემოგვრჩა ეთნოგრაფიული გამოკვლევები, ფირები, მოგონებები, ხელსაწყოები, ჩანაწერები, ნამუშევრები... სადღეისოდ ყველა ობიექტური პირო-

ბაც არსებობს, რათა ქართველმა ჩოხოსანმა საგანგებოდ მის სახელზე, მისი აღნაგობის შესაფერისი, ყველა წესის დაცვით დამზადებული დანა-ხანჯალი მოირგოს, რისი სულის ჩამდგმელიც, ცხადია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი უნდა იყოს. ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ხელოსანი როდი ქმნიდა ძველად შედევრს. თანაც ათიათასობით ხანჯალი გაყიდულია საზღვარგარეთ. ამიტომ ძველი ხანჯლის კარგი ნიმუშის შეძენა სულ უფრო რთული ხდება.

სადღეისოდ უკვე გვაქვს რეალური, ხელშესახები შედეგები. სამწუხაროდ, წერილის ფორმატი საკმარისი არ არის ყველა მოძიებული და აპრობირებული ტექნოლოგიის დაწვრილებითი აღწერისათვის. წარმოგიდგინებ მხოლოდ ძველი, ხალხური წესითა და ძველებური ხელსაწყოებით მიმდინარე სამუშაოების ჩამონათვალს:

ჭედვით ძველი ფორმების მიღება (ხანჯალი, დანა, სხვადასხვა ზომის ლურსმანი, კვესი, ძველი დეკორის დეტალები – კამეჩის, ჯიხვის თავები, ნაგებობის ჭედური ელემენტები – ანჯამები, ურდულები, კოჭაკები და სხვ.).

რკინა-ფოლადის შედუღება სამჭედლო წესით ან თითბრით.

დანასა და ხანჯალზე ღარის ამოღება.

ნახშირბადით გამდიდრება (ცემენტაცია).

კამეჩის რქის (ტარის მასალა) გასწორება, დამუშავება, გაპოხვა.

ხის ნახშირის წვის ტემპერატურის გაზრდა სხვადასხვა დანამატით (მაგ. კაკლის ნაჭუჭით).

იარაღის მორთვაში:

ვერცხლის სალტის გადაკვრა, შედუღება (მირჩილვა).

ქართული ყალმის (შტიხელის) ფორმისა და ხმარების თავისებურება.

გლუვი და ღრმა (დალესტნური) ყალმით თხრა (გრავირება).

მოროვროვება.

შავი სევადის მოხარშვა და ვერცხლზე დასმა.

გავარსის, გრეხილის, მავთულის გაწევა.

მუშაობა გრძელდება დამცავ თიხებზე (შედულება-წრთობაში ზოგჯერ საჭიროა საგანგებო, ცეცხლგამძლე შესალესი „მიწები“); ფლუსებზე (საგანგებო ფხვნილები, გამოიყენება სამჭედლო შედულების დროს); წრთობის ძველ, მათ შორის წყალში წრთობის მეთოდებზე; იარაღის შავად და ლურჯად დაფერვაზე; თანამედროვე წებოების (დანის ტარი, ქარქაში) ძველით ჩანაცვლებებზე; ალესვის ძველ წესებზე (ერბოთი, ქვით, ტყავით); კოროზიის საწინააღმდეგო ზომებზე; ლურჯი ფერის სევადზე; ხელსაწყოებისა და იარაღის ტერმინოლოგიაზე.

ხელსაყრელი მდებარეობის გამო სამჭედლო იზიდავს მრავალ მნახველს, ამიტომ საშუალება გვაქვს შევაგროვოთ მნიშვნელოვანი ცნობები ხალხური სამჭედლოსა და მჭედლობის შესახებ.

2007 წლის ნოემბერში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში, იუნესკოს ეგიდით, ბანიანი სახლების რესტავრაციასთან დაკავშირებული ვორქშოფი ჩატარდა. ერთ-ერთი თემა ნაჯახით ხის დამუშავების ტექნიკას შეეხებოდა. ამიტომ გადაწყდა ქართული ნაჯახის ტრადიციული წესით დამზადება. ნაჯახის გაჭედვას საფუძვლად დაედო ნ. რეხიაშვილის მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალა. არჩეული იყო ცულის ჭედვის ე.წ. „ახალი“ წესი – „გაშუალებით დაფოლადება“. ფაქტობრივად, ნ. რეხია-შვილთან დაცული ცულის (ნაჯახის) დამზადების ძველიცა და ახალი წესიც, ორივე ძველია. ორივე ხერხი და საბოლოო შედეგი პრინციპულად არაფრით განსხვავდება, მაგრამ პირველი გაცილებით მეტ ნახშირსა და შრომას მოითხოვს, ამიტომ, დღეს, როცა რკინა იაფია, ხის ნახშირი და შრომა კი ძვირი, ეს წესი აღარ არის გამართლებული.

„ახალი“ წესით ჭედვის პროცესში კი უკვე ეთნოგრაფიული მასალის კორექტივი და შევსება მოხდა. დაზუსტდა სამუშაო ფორმები, ნაჯახის დამზადების დრო, ნახშირის საჭი-

რო რაოდენობა, პროცესის ცალკეული საინტერესო საფეხური.

წარმატებულმა მუშაობამ შესაძლებელი გახადა სამჭედლოს კიდევ ერთი – საგანმანათლებლო ფუნქცია შემატებულია.

საგანმანათლებლო პროგრამა გათვლილია ბავშვებსა და მოზარდებზე და მიზნად ისახავს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს წარმოდგენა შეუქმნას უძელოს მეტალურგიაზე, რკინისა და სამჭედლოს მნიშვნელობაზე კაცობრიობის ისტორიაში. აგრეთვე ქართული სამჭედლოს იმ თავისებურებებზე, რითაც იგი სხვა ქვეყნების ტრადიციებისგან განსხვავდება.

პროგრამის ფარგლებში ბავშვები არა უბრალოდ ჩართულნი არიან სამუშაო პროცესში, არამედ ფაქტობრივად თვითონ წარმართავენ მას, ცხადია მჭედლის, ამ შემთხვევაში ოსტატ-პედაგოგის ხელმძღვანელობით.

პროცესის შემეცნება ყველაზე მარტივი და ამასთან უნივერსალური საქმიანობით – ცეცხლის დანთებით იწყება. ბავშვები სწავლობენ ცეცხლის სათანადოდ და უსაფრთხოდ დანთებას, ეცნობიან კვარისა და სხვადასხვა ხის ჯიშის თვისებებს, ხის საჭრელ ეთნოგრაფიული იარაღის – წალდის, ხერხის, ქართული ცულის თავისებურებებსა და მათი ხმარების წესს.

მეორე ნაბიჯია ქურაში ნახშირის გაღვივება და საბერვლის ამუშავება. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესტავრირდა სამჭედლოს ე.წ. ქართული ტიპის საბერველი.

ქართული ორხელა საბერველი მკვეთრად განსხვავდება ფართოდ გავრცელებული ევროპული ტიპისგან და დღეისათვის ხალხურ ყოფაში აღარ გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ბავშვებისთვის ორხელა საბერველი მიმზიდველია იმით, რომ წყვილში მუშაობის საშუალებას იძლევა.

ნახშირის გაღვივების შემდეგ უშუალოდ ჭედვა იწყება. თავიდან ბავშვებს კვერით მუშაობის მცირე მაგალითს ვაძლევთ, ვუხსნით უსაფრთხოებისა და ჩაქუჩით მუშაობის წესებს. შემდეგ ისინი თვითონ იღებენ ხელში იარაღს და

ოსტატ-პედაგოგის ხელმძღვანელობით წყვილში იწყებენ გახურებული ლითონის ჭედვას. ხშირ შემთხვევაში ჭედვა შეჯიბრის ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია, რომ ბავშვებს ისე იტაცებთ ეს პროცესი, რომ ხშირად უარს ამბობენ ჩაქუჩის გადაცემაზე.

როდესაც ყველა მოსწავლე ჭედვაში თავის ძალას გამოცდის, ოსტატი-პედაგოგი ამთავრებს მათ დაწყებულ საქმეს. ნახელავი მარტივი რკინის ნივთია – კვესი, საკიდი, სასანთლე და ა.შ. ხშირად ვარჩევთ კვესის მომზადებას, რადგან ეს ნივთი მოსწავლეებს კიდევ ერთ სიახლეს – ძველი წესით ცეცხლის ანთებას ასწავლის.

მთელი პროცესის მანძილზე მოსწავლეებს ვესაუბრებით ქართული მეტალურგიის, საბრძოლო და საყოფაცხოვრებო იარაღის ისტორიაზე; ქართულ სამჭედლო მითოლოგიასა და წეს-ჩვეულებებზე; იმ ყველაფერზე, რაც სამჭედლოს ეხება და მათთვის შეიძლება საინტერესო და სასარგებლო იყოს.

ახლა რაც შეეხება ეთნოგრაფიულ მუზეუმში არსებულ კერამიკულ სახელოსნოს.

კერამიკული ნაწარმი უძველესი დროიდანვე უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში. დროთა განმავლობაში თიხის ნაკეთობამ გარდა პრაქტიკული დანიშნულებისა, შეიძინა ესთეტიკური, საკულტო და სხვა მნიშვნელობა. ყველაფერთან ერთად კერამიკული წარმოება ხელოვნების დარგად ჩამოყალიბდა.

კერამიკულ წარმოებისა და ნაკეთობებისადმი ინტერესი დღესაც საკმაოდ მაღალია, – დაწყებული ხელთნაკეთი ნივთებით და უძველეს ანალოგებზე ექსპერიმენტული ცდების ჩატარებით დამთავრებული. არანაკლებ საინტერესოა კერამიკის წარმოების ისტორიის გაცნობა.

ზემოაღნიშნულმა მოთხოვნილებებმა განაპირობა დიაცის ქვეშ მუზეუმში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მომზადარიყო აქ უკვე არსებული კერამიკული სახელოსნოს განახ-

ლება და მისი ხელახლა ამოქმედება.

პროგრამების მიზანი საგანმანათლებლო პროცესიდან ცოდნის მიღების გარდა, მასში მონაწილეებს უღვივებს როგორც თემისა თუ საგნისადმი ინტერესს, ასევე უქმნის ერთგვარ ემოციურ დამოკიდებულებას. ამ მიზნის მისაღწევად მუზეუმის მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება დამთვალიერებელთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, გამოირჩევა ფართო დიაპაზონით. მოიცავს სასწავლო კურსებს, ლექციებს, ფილმებს, კონცერტებს, ოჯახებისათვის განკუთვნილ მეცადინეობებს, ექსკურსიებს, სემინარებსა და სხვ. (ბ. ლორდი, გ. დექსთერ ლორდი. 2006. 156).

საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია აგრეთვე ვორქშოპი, რაც ეთნოგრაფიული მუზეუმის ე.წ. საწარმოო ზონაში მოწყობილი კერამიკული სახელოსნოს საშუალებით ხორციელდება.

კერამიკული სახელოსნოს განახლება-ამოქმედება და მისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ექსპერიმენტული საქმიანობისათვის მომზადება განხორციელდა პროექტის „გაცოცხლებული კერამიკული სახელოსნო ღია ცის ქვეშ მუზეუმში“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ.

პროექტის მიზანია:

მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვის გაზრდა.

საზოგადოებისათვის სპეციალურად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება, მისი დაფუძნება გართობისა და შემეცნების სინთეზზე, ინტერაქტიულ და სამუშაო პროცესებში დამთვალიერებლის უშუალო მონაწილეობის პრინციპზე.

ერთ-ერთი პრიორიტეტია პროგრამის განხორციელებაში სხვა მუზეუმებისა და სასწავლო დაწესებულებების ჩართვა.

პროექტის ამოცანები:

ეთნოგრაფიულ მუზეუმში საწარმოო ზონის ტერიტო-

რიაზე ძველი სტილის კერამიკული სახელოსნოს ფუნქციურად მუშაობა.

კერამიკის წარმოების (თიხის მოპოვების, დამუშავების, კერამიკული ფორმების შექმნის, გაფორმებისა და გამოწვის) ეტაპების წარმოდგენა.

კვლევითი, ექსპერიმენტული საქმიანობა.

საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაცია და მისი შეთავაზება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში პარტნიორი ორგანიზაციების ჩართვა.

მიზნობრივი ჯგუფები:

საჯარო და კერძო საშუალო სკოლების მოსწავლეები.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

პროესიული ჯგუფები.

დაინტერესებული საზოგადოების ფართო წრეები.

პროგრამის შესახებ:

პროგრამის მონაწილეები ეცნობიან კერამიკული წარმოების ისტორიას – მისი აღმოცენების, განვითარების ეტაპებს, კერამიკის სახეობებს, სხვადასხვა კულტურებში წარმოდგენილ კერამიკულ ნაწარმს, მის დანიშნულებასა და როლს საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში, კერამიკული წარმოების ტექნოლოგიებს, უძველეს და დღემდე შემონახულ ტრადიციებს.

უშუალოდ ჩაერთვებიან წარმოების პოცესში: ძერწავენ, გამოწვავენ და მოხატავენ სხვადასხვა ფორმის ნივთებს – ჭურჭელს, მინიტიურულ ქანდაკებებს და ა.შ. შექმნიან უძველესი ექსპონატების ანალოგებს.

ამრიგად, ასეთია საქართველოს ეროვნული მუზეუმის გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის როლის დღევანდელი ხედვა. სწორედ ამ თვალთახედვით შეიქმნა და ინტერაქტიულ პრინციპზე ხორციელდება მრავალი პროექტი. ამჯერად ორ მათგანზე ვისაუბრეთ, რომელთაც წარმართავენ

ამ სტატიის ავტორი გიდ-პედაგოგები, გნებავთ გიდ-ოსტატები.

დამოწმებული ლიტერატურა

1. Sten Rentzhog. Open air museum. The history and future of a visionary idea. Stockholm. 2007.

2. მუზეუმების მართვა. პროგრამა. სმიტსონის ინსტიტუცია. თბილისი. 2005.

3. Кеннет Хадсон. Влиятельные музеи. Новосибирск, 2001.

4. Отчет Государственного Эрмитажа. 2001, под. ред. М.Б. Пиотровского. С-Петербург. 2002.

5. კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამა. სამუზეუმო რეფორმის პროგრამა. კრებული მუზეუმების შესახებ. თბილისი. 2006.

6. საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრის მაცნე. №№ 3,4. თბილისი. 2007.

7. ზარი ლორდი, გილ დექსთერ ლორდი. სამუზე-უმო საქმის მენეჯმენტი. თარგმ. თბილისი. 2006).

8. ნიკოლოზ რეხვიაშვილი. ქართული ხალხური მეტალურგია. თბილისი. 1964.

Nodar Shoshitashvili, Jimsher Chkhvimiani, Irakli Bakradze Ethnographical Museum and Features of Educational Activities

The process that is going on in the sphere of museums is one of the most successful among the reforms that are under way in Georgia. Educational projects and programs have become systematical in the Georgian national museum - G. Chitaia Ethnographic Museum. The priority is given to educational projects and programs. Especially effective is the project concerning to work at blacksmith and ceramic ovens. They are basically aimed at school children, students and postgraduates. One of the reasons of the success is the interactive and traditionalism in the sphere of the craft.

ეთნოლოგიის სწავლების კონცეფცია

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერების სახელწოდება „ეთნოლოგია“ ორი ძველი ბერძნული სიტყვის შეერთების შედეგადაა მიღებული. პირველი მათგანი – „ეთნოს“ ხალხს აღნიშნავს, ხოლო მეორე – „ლოგოს“ კი – მოძღვრებას. ამდენად, ყველაზე მარტივი გაგებით **„ეთნოლოგია“ ესაა მეცნიერება ხალხებისა და მათი ეთნიკური მახასიათებლების შესახებ.** მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს მაინც მარტივი განსაზღვრებაა. ცნობილია, რომ ყველა მეცნიერებას თავისი კვლევის საგანი გააჩნია. ბუნებრივია, ეთნოლოგიურ მეცნიერებასაც თავისი კვლევის საგანი აქვს. ამავე დროს, საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოლოგიის საგანი და კვლევის არე მუდმივად ფართოვდებოდა. ამით ის მეცნიერების სხვა დარგებისაგან ერთგვარად განსხვავდება. ეთნოლოგია სხვა მეცნიერებებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ მას შეხების წერტილები აქვს მთელ რიგ მეცნიერებებთან. ეთნოლოგიისა და სხვა მომიჯნავე დარგების გადაჯაჭვით, შერწყმით არაერთი მიმართულება გაჩნდა ეთნოლოგიაში. მიუხედავად ამისა, ეთნოლოგიის წარმოქმნიდან დღემდე მისი კვლევის გამჭვირვალე თემას ეთნოსი, ეთნიკური კულტურა და ეთნოსთაშორისი ურთიერთობები წარმოადგენს. ამიტომაც, რომ ეთნოლოგიის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არც კი არსებობს, რაც სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომებითაცაა განპირობებული.

ეთნოლოგიას, როგორც მეცნიერებას, კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. გარდა ეთნოლოგიისა, ის სხვადასხვა სახელწოდებებით არის ცნობილი. სულ ცოტა ხნის წინ ის საქართველოში **ეთნოგრაფიის** სახელწოდებას ატარებდა. დასავლეთში მას **კულტურულ ანთროპოლოგიას**, **სოციალურ ანთროპოლოგიას** უწოდებენ. ამავე დროს ის სხვადასხვა მიმართულებითაც განვითარდა. ზოგან აქცენტი მის საისტორიო მიმართულებაზე გამახვილდა, ზოგან – სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და კულტუროლოგი-

ურ მიმართულებებზე. ერთ შემთხვევაში თუ წინ ეთნოსების (ხალხების) კვლევამ წამოიწია, მეორე შემთხვევაში ამოსავალი ადამიანი და ადამიანთა ერთობა (სოციუმი) იყო. ამდენად, ეთნოლოგიის კვლევის საგანი რთული და არაერთგვაროვანია.

ეთნოლოგიური მეცნიერება ჩაისახა როგორც „პრიმიტიული“ ხალხების (ეთნოსების) შემსწავლელი მეცნიერება. თავდაპირველად ეთნოლოგიას მხოლოდ ის ხალხები და იმ ხალხების კულტურა აინტერესებდა, რომლებიც ევროპელებთან შედარებით განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. დროთა განმავლობაში ამ მიდგომამ ცვლილება განიცადა და ეთნოლოგიის კვლევის სფეროში განვითარების თვალსაზრისით დაწინაურებული ხალხებიც მოექცნენ. ასე რომ, **ეთნოლოგთა ინტერესის სფეროში ყველა ხალხი (ეთნოსი) შედის.** მას ხალხები აინტერესებს როგორც კულტურების შემქნელი ერთობები, რომელთა კულტურაც თაობიდან თაობას ტრადიციით გადაეცემოდა და რომელსაც სხვადასხვა თაობები შემოქმედებითად ამდიდრებდნენ და ავითარებდნენ. ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ძირითადი ეთნოლოგიური ცნებები თითქმის უცვლელი იყო: **ეთნოსი, ტომი, ერი (ნაცია), ტრადიცია, წეს-ჩვეულება, კულტურა (მატერიალური კულტურა, სულიერი კულტურა), ასიმილაცია, ეთნიკური ერთობა, ეთნიკური პროცესები, ეთნიკური ისტორია, ეთნოგენეზი, საზოგადოება, გვარი (კლანი, ლინიჯი), თემი და სხვ.**

XX საუკუნის დასაწყისიდან ეთნოლოგიის კვლევის საგანი გახდა ეთნოსთაშორისი ურთიერთობები. ეს ურთიერთობები ეთნოსთა წარმოქმნიდან მუდმივად არსებობდა და ამდენად ეთნოლოგიას სხვადასხვა ხალხების ურთიერთქმედება, ურთიერთობა (მშვიდობიანი თუ მტრული), ამ ხალხების კულტურათა ურთიერთშედწევა აინტერესებს როგორც ისტორიის სიღრმეში, ისე თანამედროვეობაში. ეთნოლოგიის კვლევის სფეროში ეთნოსთა ისტორიულად არსებული ფორმებიც შედის. თანამედროვე გაგებით ეთნოლოგია სწავლობს არა მხოლოდ ეთნოსების წარმოშობას, მათ ძირითად თავისებურებებს და მახასიათებლებს, ეთნიკური პროცესებით განპირობებულ ეთნოსთა ურთიერთ-

ბებსა და მათ ცვლილებებს, არამედ ეთნოსოციალურ (ნაციონალურ), ეთნოპოლიტიკურ, ეთნოფსიქოლოგიურ, ეთნოლინგვისტურ და საზოგადოებრივი სფეროს ეთნონაციონალურ ურთიერთობებსა და სხვა პროცესებს. თავდაპირველად კი ეთნოლოგიის კვლევის სფერო მხოლოდ ხალხური კულტურის შესწავლა, ამა თუ იმ ხალხის სოციალურ ურთიერთობათა კვლევა იყო.

დღეისათვის ეთნოლოგიური მეცნიერება ცოდნის საკმაოდ რთულ და განტოტვილ სისტემას წარმოადგენს, რომელთა შორისაც შეიძლება დავასახელოთ: **ეთნიკური ანთროპოლოგია** (სწავლობს ეთნოგენეზისა და სხვადასხვა ხალხების ანთროპოფიზიკურ განვითარებას); **ეთნიკური სოციოლოგია** (სწავლობს ეთნიკური ჯგუფების განვითარებისა და ფუნქციონირების სოციალურ ასპექტებს, თვითორგანიზაციის ფორმებს, ეთნიკური ჯგუფების ურთიერთქმედების ტიპებს); **ეთნიკური ფსიქოლოგია** (განიხილავს ეთნიკური სტერეოტიპების ფორმირებას, ეთნიკურ თვითშეგნებას და იდენტიფიკაციას); **ეკონომიკური ეთნოლოგია** (აანალიზებს ეთნოსების სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის პრობლემებს); **ეთნოდემოგრაფია** (მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დემოგრაფიული პროცესებისა და ხალხთა რიცხოვნობის დინამიკის კვლევა); **ეთნიკური გეოგრაფია** (სწავლობს ხალხთა გეოგრაფიული განსახლების საკითხებს, მათი ადგილზე განვითარების თავისებურებებს, ეთნიკურ ტერიტორიებს და ეთნიკურ საზღვრებს); **ეთნოპედაგოგია** (სხვადასხვა ეთნოსების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესების თავისებურებების შესწავლა).

ეთნოლოგიური მეცნიერების დიფერენციაციის ეს პროცესი ჯერაც არ არის დასრულებული და როგორც ფიქრობენ, უახლოეს მომავალში ახალი მიმართულებების წარმოქმნაც არ იქნება მოულოდნელი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სხვადასხვა მეთოდოლოგიურ მიდგომებთან ერთად ეს გარემოებაც აბრკოლებს და ხელს უშლის ეთნოლოგიის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრების ფორმულირებას.

ამრიგად, **ეთნოლოგიის ობიექტს წარმოადგენენ**

ეთნოსები – ხალხები და ეთნოლოგია შეისწავლის:

- ეთნოსების წარმოქმნას (ეთნოგენეზს);
- ეთნოსების ისტორიულ ევოლუციას (ეთნიკურ ისტორიას);

- ეთნოსების თანამედროვე ცხოვრებას;
- თვალმისაწვდომ მომავალში ეთნოსთა განვითარების შესაძლო გზებს;

თანამედროვე ეთნოლოგიის კონკრეტული კვლევითი გამოცდილებისა და სამეცნიერო მიმართულებებიდან გამომდინარე ეთნოლოგიის საგანს მიეკუთვნება შემდეგი პრობლემები:

- ხალხთა მატერიალური კულტურა;
- ხალხების ტრადიციული სამეურნეო ყოფა, მეურნეობისა და ეკონომიკის ზემოქმედება ეთნოსების განვითარებაზე;

- სხვადასხვა ხალხების სულიერი კულტურა, რიტუალები, რწმენა-წარმოდგენები;

- ტრადიციული საზოგადოებრივი სისტემები, ხალხების სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები;

- სხვადასხვა ხალხებისათვის დამახასიათებელი აღზრდისა და ქცევის სისტემები;

- ხალხების უზრუნველყოფის სისტემები;

- ეთნოსთა ფასეულობითი სისტემების შედარება;

- კულტურათშორისი კონტაქტების თავისებურებები;

- ხალხთა განსახლება;

- ეთნოსებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები;

- ეთნიკური ცნობიერება და თვითშეგნება;

- ხალხების სახელწოდებები და თვითსახელწოდებები (ეთნონიმია) და ხალხთა ტერიტორიული დანაყოფების, ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები;

- ენობრივი ქცევა და მისი ეთნოსებზე გავლენა;

- ეთნიკურ ინტერესებთან, ეთნოსთაშორის კავშირებთან და მათ შორის კონფლიქტურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხები;

- ეთნიკური სისტემების დინამიკა.

ამრიგად, ეთნოლოგიური მეცნიერება შეისწავლის ეთნოსთა ცხოველქმედების სხვადასხვაგვარ, მრავალფერო-

ვან ასპექტებს, ტრადიციულ (ეთნიკურ) კულტურას, მათ შორის ადამიანთა მიერ ეთნიკური თვითშეგნებისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის შეცვლას. ზემოთქმულიდან გამომდინარე ეთნოლოგიის განსახდერება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: **ეთნოლოგია – ესაა მეცნიერება, რომელიც სწავლობს სხვადასხვა ეთნიკური სისტემების (ჯგუფების) წარმოქმნის, ფუნქციონირებისა და ურთიერთქმედების კანონზონმიერებებს (პროცესებს), მათ იდენტობას, კულტურული თვითორგანიზაციის ფორმებს, კოლექტიური ქცევისა და ურთიერთქმედების თავისებურებებს, პიროვნებისა და სოციალური გარემოს ურთიერთკავშირს, მსოფლიოს ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებებს, ეთნიკურ და ეთნოსთა შორის არსებულ პროცესებს.** სხვათა შორის, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ეთნოლოგიის (მაშინ – ეთნოგრაფიის) ის განმარტება, რომელიც 1970-იან წლებში არსებობდა: „*ხალხის ყოფისა და კულტურის, წარმოშობის, განსახლებისა და კულტურულ-ისტორიული კავშირის შემსწავლელი მეცნიერება. ეთნოლოგია იკვლევს ეთნიკურ კულტურათა საერთო და განსხვავებულ ფორმებს, მათი განვითარების კანონზომიერებებს, იმას, თუ რა წვლილი შეუტანია კაცობრიობის კულტურის სავანძურში ამა თუ იმ ხალხს. ეთნოლოგია იმასაც სწავლობს, თუ რა განაპირობებს და ასახვადობს სხვადასხვა ხალხში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ყოფა-ქცევის ნორმებს*“. ა. ლობჯანიძის, ს. გოროხოვის და დ. ზაიაცის განმარტება ასეთია: **ეთნოლოგია სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც სწავლობს მსოფლიოს ხალხთა მსგავსებას და განსხვავებას, აგრეთვე ეთნიკურ პროცესებს, ეთნოსთა ცხოველქმედების სხვადასხვაგვარ ასპექტებს, კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე უძველესი დროიდან დღემდე მასში მიმდინარე ცვლილებებს.** ს. ლურიეს მარტივი განმარტება კი ასეთია: **„ეთნოლოგია სწავლობს ეთნოსის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას“.** ს. არუთინოვი და ს. რიუაკოვა შემდეგ განმარტებას გვთავაზობენ: **ეთნოლოგია ანალიტიკური მეცნიერებაა, რომელიც ეთნოგრაფიული, ისტორიული და სხვა მონაცემების საფუძველზე იკვლევს**

ეთნოსებს როგორც მთლიან ჯგუფებს, ისე მათ ურთიერთობას.

თანამედროვე ეთნოლოგიის საგნობრივი ველი (არე) საკმაოდ ფართოა და მისი სხვადასხვა მიმართულებები იკვეთებიან მონათესავე, ახლო მდგომ მეცნიერებებთან. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ მეცნიერებებზე როგორებიცაა ეთნოგრაფია, ისტორია, კულტუროლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, პოლიტოლოგია. ყველაზე ახლოს ის ეთნოგრაფიასთანაა. სწორედ ამიტომაც, რომ ხშირად ეთნოლოგია და ეთნოგრაფია სინონიმურ სახელწოდებებადაც იხმარება. მიუხედავად ამისა, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მეცნიერების ეს ორი სფერო (დარგი) მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან. **ეთნოგრაფია აღწერილობითი მეცნიერებაა, ეთნოლოგია კი – თეორიული ხალხთმცოდნეობა.**

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ეთნოლოგიური კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო უადრესად ფართოა. მისი ინტერესების სფეროში შედის როგორც წარსული (პირველყოფილი საზოგადოების ისტორია), ისე თანამედროვეობა. ვრცელი ქრონოლოგიური ჩარჩოს გამო და იმის გამო, რომ ეთნოლოგიას უშუალო კავშირი აქვს თანამედროვე პროცესებთან (სწავლობს ეთნოსთაშორის ურთიერთობებს, ეთნიკურ კონფლიქტებს, ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, გამოიმუშავებს ნაციონალური პოლიტიკის კონცეფციებს) მეცნიერების ამ დარგს, შემეცნებით და თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად, დიდი პრაქტიკული და გამოყენებითი მნიშვნელობაც გააჩნია.

ეთნოლოგიას როგორც სამეცნიერო დისციპლინას მნიშვნელოვანი ფუნქციები გააჩნია, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: თეორიულ-შემეცნებითი; პრაქტიკულ-გამოყენებითი; კულტურულ-აღმზრდელობითი; პროგნოსტიკული.

თეორიულ-შემეცნებითი ფუნქცია შიდაეთნიკური და ეთნოსთაშორის კავშირების, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერების გამოვლინებაა. თეორიულ-შემეცნებით ფუნქციებს მიეკუთვნება სამეცნიერო ჰიპოთეზებისა და თეორიების ფორმირებაც. მონაცემთა ბაზაზე ჩატარე-

ბული სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე ან ადრე მიღებულ სპეციალურ თეორიებსა და ჰიპოთეზებს განამტკიცებენ, ან ახალს ქმნიან.

შემდეგი ფუნქციაა **პრაქტიკულ-გამოყენებითია**. ეთნოლოგიის ბევრ პრობლემას თეორიულ-შემეცნებითთან ერთად ეს ფუნქცია ნამდვილად გააჩნია. მიღებული კვლევის შედეგებს ძალიან ხშირად მმართველობით მარეგულირებელ საქმიანობაში გამოიყენებენ. თეორიული კვლევაძიება მხოლოდ მაშინ იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას, როდესაც ის გამოყენებული იქნება ნაციონალური პოლიტიკის გამომუშავებისას, მმართველობითი საქმიანობის კორექტირებაში. ამასთან ერთად, პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს საქმიანობის, მოქმედების პერსპექტიულ მიმართულებებს, ანდა შეიძლება მისი დანიშნულება თვალმისაწვდომი პერსპექტივის კონკრეტული ცვლილებებისათვის იყოს განკუთვნილი. ეთნოლოგიის პრაქტიკულ-გამოყენებითი ფუნქცია იმაშიც მდგომარეობს, რომ ეთნოლოგია, როგორც ცნობილია, ადამიანთა მოღვაწეობის მრავალ სფეროს შეისწავლის. ამ სფეროში კი ადამიანს და ადამიანთა დიდსა თუ პატარა ჯგუფს არაერთი პოზიტიური ცოდნა დაუბრუნდა, ეთნოსებმა და ეთნიკურმა ჯგუფებმა თანამედროვეობისათვის მისაღები ეთნიკური ტრადიციები შექმნეს, რომელთა გაცოცხლებას და აღორძინებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ბევრი ეთნოლოგიური რეალიის გაცოცხლება შეიძლება ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასთანაც იყოს დაკავშირებული.

ეთნოლოგიის მნიშვნელოვან ფუნქციად ითვლება მისი **კულტურულ-აღმზრდელობითი** ფუნქცია. ეს ფუნქცია ადამიანებს ესმარება გაერკვნენ ეთნიკურობის რთულ მოვლენებში, ეთნიკური თავისებურებებისა და მსოფლიოს საზოგადოების მრავალგვარობის რთულ მოვლენებში. ეთნოლოგია ფაქტობრივად გასაღებს წარმოადგენს ადამიანის ეთნიკური ქცევის სწორად გასაგებად, საერთოდ მთლიანად ეთნოსისა და საზოგადოების ცხოველქმედებაში. საერთოდ, ეთნოსთა შორის ურთიერთობის კულტურის ფორმირებაში ეთნოლოგიის როლი შეუფასებელია.

ეთნოლოგიას თანამედროვეობის სასახურში აყენებს

მისი კიდევ ერთი ფუნქცია. ესაა *პროგნოსტიკული* ფუნქცია. ეთნოლოგიური გამოკვლევების ღირებულება არა მხოლოდ იმით განისაზღვრება, რამდენად ადეკვატურად ასახავს ამა თუ იმ ტენდენციასა და პროცესს, არამედ იმაშიც, გვაძლევს თუ არა მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეთნოსთა შორის ურთიერთობებში, კონფლიქტებში დღეს მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების წინასწარი განსაზღვრა. საერთოდ, პროგნოსტიკული ფუნქცია მიმართულია ახლო და შორეულ პერსპექტივაში კონკრეტული ქვეყნის ეთნიკური და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების პერსპექტივების განსასაზღვრად.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ პოლიეთნიკური საქართველოს ბოლო დროინდელი ბევრი პრობლემა, მათ შორის ეთნიკური კონფლიქტების სახელით ცნობილი დაპირისპირებები არის ეთნოლო-გიური ცოდნის დაბალი დონის შედეგი. ცხოვრებამ დიდი ხანია დაადასტურა, რომ თანამედროვე პირობებში არ შეიძლება ეთნონაციონალური პროცესების მართვა ხელის შეხებით, რომელიც მხოლოდ თეორიული ცოდნის გარეშე ემპირიულ მონაცემებს ეყრდნობა. ამავე დროს, ეთნოკულტურული კონტაქტების და ეთნოსთა შორის კომუნიკაციების სხვადა-სხვა სახეების ცოდნა შესაძლებლობას გვაძლევს ავსხნათ თანამედროვე ეთნიკური პროცესების მექანიზმები. ნათელია, რომ ეთნოლოგია სერიოზულ და სისტემატურ მოპყრობასა და შესწავლას მოითხოვს. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება ავსხნათ ეთნიკური ისტორიისა და მსოფლიოს თანამედროვე სურათების ბევრი „საიდუმლო“.

ზემოთ ეთნოლოგიის საგნისა და ფუნქციების შესახებ იმიტომ ვისაუბრეთ, რომ გვეჩვენებინა მისი დიდი მნიშვნელობა არა მხოლოდ თეორიულ-შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. თანამედროვე მოდერნიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში ქართული ცნობიერებისა და მენტალობის შენარჩუნება ბევრადაა დამოკიდებული ეთნოლოგიური მეცნიერების ცოდნაზე, წინაპართა მიერ შექმნილი ეთნიკური კულტურის პოპულარიზაციაზე, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მის

სწავლებაზე. ეთნოლოგიის სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიეთნიკური ქვეყნებისთვის. ასეთ ქვეყნებს შორის საქართველოცაა. საქართველოში ეთნოსთა შორის ურთიერთობების მოწესრიგება ეთნოლოგიური ცოდნის დანერგვითაც არის შესაძლებელი. ქვეყანაში მცხოვრებმა ხალხებმა ერთმანეთის ყოფა, ტრადიციები, კულტურა, მენტალობა კარგად უნდა იცოდნენ. ჩვენს მეზობელ ჩრდილოეთის სახელმწიფოში ეს პრობლემა კარგად აქვთ შეგნებული და აქ უმაღლეს სასწავლებლებში „მეცნიერული კომუნიზმის“ კურსებს „ეთნოლოგიის“ კურსები ჩაანაცვლეს. მიგვაჩნია, რომ საქართველოში ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე ეთნოლოგია ერთ-ერთი ძირითადი დისციპლინა უნდა იყოს. ეს მეცნიერება ჩვენში თავიდანვე როგორც საისტორიო მეცნიერება ისე განვითარდა. მიგვაჩნია, რომ ეთნოლოგიის, როგორც საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთ მიმართულებაზე დღესაც არ უნდა ვთქვათ უარი, ოღონდ შესაცვლელი იქნება ასპექტები. დღემდე საქართველოში, მცირე გამონაკლისის გარდა, ეთნოლოგია სწავლობდა ქართველი ხალხის ეთნიკურ ტრადიციებს, მდიდარ მატერიალურ და სულიერ კულტურას, სამეურნეო ყოფას, სოციალურ ურთიერთობებს. ბევრი პრობლემა ახლიდანაა გასააზრებელი, თუმცა, მკვლევარი ამ თვალსაზრისით ფაქტობრივად სამეცნიერო მიმოქცევაში, ობიექტური პირობებიდან გამომდინარე, ახალ მასალას ვეღარ შემოიტანს, მაგრამ არსებული მონაცემების ახლებური გააზრება შესაძლებელია და აუცილებელიცაა, რადგან კომუნისტურ ეპოქაში ბევრი რამ მაინც ჩარჩოებში იყო მოქცეული და ამ ჩარჩოებიდან გამოსვლა ახალი დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემს. ეთნოლოგიაში მეცნიერული კვლევა-ძიების ეს ასპექტი მაინც უკვე ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების განვლილი ეტაპია. საბედნიეროდ, მთელი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების წარმომადგენლები გულხელდაკრეფილნი არ ყოფილან; ცნობილ ქართველ მოღვაწეთა და მეცნიერთა ძალისხმევით არა ერთი ეთნოგრაფიული რეალია მომავალ თაობებს გადაეცა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 1930-იან წლებში დიდი ივანე ჯავახიშვილის

ხელმძღვანელობითა და კითხვარებით მთელ საქართველო-ში შინამრეწველობისა და ხელოსნობის შესახებ შეკრებილი მასალების მრავალტომეული რად ღირს. ეთნოგრაფიულ რეალიებს თავი რომ დავანებოთ, მასალების შემკრებებმა რამდენი ქართული ლექსიკური ერთეული გადაარჩინეს. საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს მიექცა. სამეცნიერო კადრების რაოდენობა უბრალოდ არ იძლეოდა საშუალებას ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში თანაბარმნიშვნელოვანი მასალების მოპოვებისა. ასე თუ ისე გააკეთებული საკმაოდ ბევრია და წინა თაობის მეცნიერთა დაფასება მომავლი თაობის საქმეა. განსაკუთრებით უნდა აღვიშნოთ ის გარემოება, რომ გარკვეული მიზეზების გამო, ქართველი ეთნოლოგებისათვის უცნობი იყო საქართველოს საზღვრებს გარეთ მოქცეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ყოფა, ტრადიციები. დღეს ამის საშუალება არის, თუმცა ყველაფრის სასწრაფოდ დაფიქსირებაა საჭირო, რადგან ქართული ტრადიციები ძალიან სწრაფად იკარგება, რასაც თანამედროვე ცხოვრების შეჭრასთან ერთად აქედან ეთნიკური ქართველების ინტენსიური მიგრაციაც, დიდ ქალაქებში გადასახლება განაპირობებს.

ჩვენში ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ საისტორიო მიმართულება მიიღო. იყო დრო, როდესაც ეთნოლოგიას ისტორიის დამხმარე დისციპლინადაც თვლიდნენ. დღეს ეს უკვე განვლილი ეტაპია. ყველასათვის ცხადია, რომ ეთნოლოგია სრულიად დამოუკიდებელი მეცნიერებაა, მაგრამ ისტორიასთან მიმართებაში მაინც უნდა აღვნიშნოთ: ხალხის ისტორია შემონახულია არა მხოლოდ წერილობით წყაროებში, არამედ მის ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებშიც, მის დამოკიდებულებაში გარემომცველი სამყაროს მიმართ და რწმენა-წარმოდგენებში, შრომის იარაღებში, საკვებსა და საცხოვრებელში, სიძველეთა ძეგლებში, რომლებიც ასახულია სასაფლაოებსა და ნასახლარებში, ღეგენდებსა და ეპიკურ თქმულებებში, ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებში, ე.ი. კულტურის ყველა კომპლექსში, რომელიც ეთნოსმა შექმნა და რომელიც განსხვავდება სხვა

ეთნოსების ანალოგიური კულტურის კომპლექსებისგან. ამ თვალსაზრისით, ხალხის მიერ განვლილი გზის აღდგენა და შესწავლა მხოლოდ ეთნოლოგიური მეთოდებით არის შესაძლებელი. მართალია, ეთნოლოგიის საშუალებით ხდება ისტორიის მთელი რიგი მომენტების აღდგენა, მაგრამ ვისაც ის დამხმარე მეცნიერებად მიაჩნია, მათ საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ეთნოლოგიას ინტერესები ხომ მხოლოდ წარსულში არა აქვს – მეცნიერების ამ დარგს ინტერესები აქვს აწმყოსა და მომავალშიც. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ საკუთარი კვლევის მეთოდების მქონე დარგი დამოუკიდებელი მეცნიერებაა.

საჭიროა სამეცნიერო კვლევების, სწავლების ახალი მიმართულებით, ახალი ასპექტებით წარმართვა, რათა ის ჩავაყენოთ საქართველოს სახელმწიფოს, ქართველი ხალხის ინტერესების სამსახურში. წინა პლანზე უნდა წამოიწიოს ქართული ეთნოსისა და ზოგადად ეთნოსის რაობის გარკვევამ, ხალხთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შესწავლამ. ამდენად, ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებას და, ბუნებრივია, სწავლას კომპლექსური ხასიათი უნდა ჰქონდეს – ის ისტორიზმთან ერთად თანამედროვეობის სამსახურში უნდა იყოს ჩაყენებული.

საბაკალავრო დონეზე სტუდენტებმა უნდა მოისმინონ ეთნოლოგიის შესავლის, საქართველოს ეთნოლოგიის კურსები. საბაკალავრო დონეზე სტუდენტმა თუ ზოგადი ეთნოლოგიის პროპედევტიკული ნაწილი უნდა მოისმინოს, მაგისტრატურაში ეს უნდა იყოს მისი ძირითადი პრობლემების შესწავლა. ზოგადი ეთნოლოგიის კურსი უნდა გაიარონ *თეორიული ეთნოლოგიის* კურსის სახით. ეს კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ (რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი) უკვე დაწერილია და მას ისმენენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტები. კურსი ეთნოლოგიის თითქმის ყველა თეორიულ პრობლემას მოიცავს., ესენია: ეთნოლოგიის საგანი და ფუნქციები; ეთნოლოგიური მეცნიერების წარმოქმნა და თავისებურებები; ეთნოლოგიის კვლევის ძირითადი მეთოდები; ძირითადი

ეთნოლოგიური ცნებები; ეთნოლოგიური თეორიები, სკოლები და მიმართულებანი; ეთნოლოგიის კავშირი სხვა მეცნიერებებთან; ეთნოლოგიისა და სხვა მეცნიერებების გადააკვეთაზე წარმოქმნილი მეცნიერული მიმართულებები; ეთნოსის თანამედროვე თეორიები, ეთნოსი და ეთნიურობა; ეთნოგენეზი და ხალხთა ეთნიკური ისტორია; ეთნიკური ერთობები და ეთნიკურ ერთობათა იერარქია; მსოფლიოს ეთნიკური სურათი; მსოფლიოს მოსახლეობის კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები; ეთნიკური ფსიქოლოგია; ეთნიკური თვითშეგნების, ცნობიერების (იდენტობის) პრობლემა; ეთნიკური განწყობა; ეთნოსი და ბუნება; ეთნოსი და ენა; ეთნოსოციალური ორგანიზმი; ეთნოსი და ეთნონიმი; ეთნოსი და ეთნიკური კულტურა; ერის (ნაციის) შესახებ. ერი და სახელმწიფოებრიობა; ეთნიკური პროცესები თანამედროვე მსოფლიოში; ეთნოსთაშორისი ურთიერთობები; ტრადიციული კულტურა და თანამედროვეობა; ზოგადსაკაცობრიო მატერიალური კულტურა; სოციონორმატიული კულტურა; სულიერი კულტურა; საკუთარი სახელების სისტემები და ანთროპონიმიული მოდელები.

საბაკალავრო დონეზე სწავლისას სტუდენტებმა აუცილებლად უნდა ისწავლონ ცალკე დისციპლინების სახით **საქართველოს ეთნოლოგია** და **კავკასიის ეთნოლოგია**. ახლა სტუდენტებს ხელთ აქვთ საქართველოს ეთნოლოგიის მხოლოდ მოკლე სალექციო კურსი. მათთვის უკვე გამზადებულია ვრცელი კურსი, რომლის ელექტრო ვერსიითაც სარგებლობენ. რაც შეეხება მაგისტრატურის დონეს, აქ სტუდენტებმა ცალ-ცალკე, გავრცობილი სახით უნდა გაიარონ საქართველოს ეთნოლოგიის უკვე დამუშავებული საკითხები, რომლებიც მონოგრაფიების სახით არსებობს ეთნოლოგიის სხვადასხვა სფეროში. კავკასიის ეთნოლოგიის კურსის მოსმენა, ისევე როგორც საქართველოს ეთნოლოგიისა, სავალდებულო უნდა იყოს ყველა ჰუმანიტარისათვის, მათ წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ყველა ჩვენს ისტორიულ და თანამედროვე მეზობელზე. კავკასიის სხვადასხვა ხალხების ეთნიკური კულტურის შესწავლა დაგვეხმარება კავკასიელ ხალხებთან დღეს არსებული თუ მოსალოდნელი მთელი რიგი პრობლემების მოგვარებაში.

ეთნოლოგიის კურსებიდან უნდა ისმინებოდეს აგრეთვე ისეთი კურსები როგორცაა: **მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორია, ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორია** (ამ კურსს აუცილებლად უნდა ისმენდნენ ის სტუდენტები, რომლებიც საქართველოს ისტორიას სწავლობენ); **ევროპის ხალხთა ეთნოლოგია; ამერიკის ხალხთა ეთნოლოგია; აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოლოგია; პირველყოფილი რელიგიები; რელიგიის ეთნოგეოგრაფია და გეოგრაფია; მსოფლიოს ხალხთა რელიგიები; მსოფლიოს ხალხთა საკუთარი სახელების სისტემები; ქორწინება და ოჯახი შუა საუკუნეების ევროპასა და საქართველოში.**

ის, ვინც მომავალში ეთნოლოგიურ მეცნიერებას გაჰყვება, რომ არაფერი ვთქვათ ისტორიაზე, მან აუცილებლად უნდა მიიღოს ზოგადი წარმოდგენა ლინგვისტიკაზე, ფოლკლორზე, ფიზიკურ ანთროპოლოგიაზე, სოციალურ ანთროპოლოგიაზე, არქეოლოგიაზე. ამავე დროს, ვინც ხალხთა შორის ურთიერთობების პრობლემებით დაინტერესდება, ვერ ასცდება პოლიტოლოგიის ზოგადი ნაწილის შესწავლას, მითუმეტეს, როდესაც დღეს ხშირად ლაპარაკობენ და წერენ ეთნოლოგიისა და პოლიტიკის ურთიერთობების შესახებ, რადგან ბევრი პრობლემა, კონფლიქტი მსოფლიოში ეთნოსთა შორის გაუგებრობის ნიადაგზეა წარმოქმნილი, მითუმეტეს ამ თვალსაზრისით საქართველოსაც გარკვეული პრობლემები აქვს.

მაგისტრატურის დონეზე ეთნოლოგიის პრობლემების შესწავლა უნდა მოხდეს გაღრმავებულად ამა თუ იმ ხალხთა და განსაკუთრებით ქართველთა ეთნიკური ისტორიის მონაცემების მოხმობით. აუცილებელია ისეთ პრობლემებზე ყურადღების მიქცევა, როგორებიცაა: ა) **ეთნოლოგიურ მოძღვრებათა ისტორია** და ბ) **კერძო ეთნოგენეზის პრობლემები**. ეთნოლოგიურ მოძღვრებათა ისტორიიდან დაწვრილებით უნდა შეისწავლონ ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება ეთნოსების შექმნისა თუ ჩამოყალიბების პრობლემებს (ეთნოგენეზის პრობლემები). ამ თვალსაზრისით, ცალ-ცალკე უნდა იქნეს განხილული მონოგენეტური, ანუ რელიგიური თეორია; მატერიალისტური თეორია (ტომები, ტომთა გაერთიანებები, ტომთა შერევები და ა. შ.,

რომლის ავტორია ფ. ენგელსი): ლ. გუმილიოვის თეორია ხალხთა წარმოშობის შესახებ; სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ერების წარმოშობაში; ერისა და ენის; ერისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხები (სინქრონი-ასა და დიაქრონიაში); ერთა თვითიდენტიფიკაციის საკვალიფიკაციო ნიშნები.

მომავალი ეთნოლოგები აუცილებლად უნდა დაეუფლონ ისეთ დისციპლინებს როგორებიცაა: *ველზე მუშაობის მეთოდოლოგია, ეთნოსოციოლოგია, ეთნოდემოგრაფია, კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგია, ეთნოლოგიური მეცნიერების ისტორია, ქართული ეთნოლოგიის ისტორია, ეთნოსთაშორისი კონფლიქტები და მათი რეგულირების გზები, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოფსიქოლოგია, ეთნოგრაფიული მუზეუმთმცოდნეობა*. ამავე დროს, მომავალმა ეთნოლოგებმა აუცილებლად უნდა გაიარონ *სამუზეუმო პრაქტიკა*. ყოველ წელს კი ეთნოგრაფიული მასალების შესაკრებად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საჭირო იქნება საველე-საექსპედიციო სამუშაოებში სტუდენტების ჩართვა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნება სტუდენტ-ეთნოლოგების საქართველოს ისეთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მუშაობა, რომლებიც თანამედროვე საქართველოს საზღვრებს გარეთ არიან აღმოჩენილი. მაგალითად, თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შავშეთ-იმერხევში, კლარჯეთსა და ტაოში ძველი ქართული ეთნოგრაფიული რეალიების დაფიქსირება ფრიად საჩქაროა, რადგან ისინი ორი მიზეზით ქრებიან, ესენია: თანამედროვე ცხოვრების წესების შეჭრა და ქართველთა მიგრაციის მაღალი ტემპი, რომელიც ძირითადად დიდი ქალაქებისკენაა მიმართული. ქართულ ეთნოლოგიას სამეცნიერო მიმოქცევაში თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების ყოფისა და კულტურის ამსახველი მონაცემები არასდროს შემოუტანია. სტუდენტებმა უნდა დაამუშაონ ქართველი მაჰმადიანების ტრადიციების შესახებ შესაბამისი თემებიც. ამას გარდა, შესასწავლია ისეთი საკითხებიც როგორებიცაა მათი ორენოვნება; თურქულ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში ეთნიკური გადარჩენის მიზეზები და სხვა.

*ქართულ ეთნოლოგიას არ უნდა დარჩეს ყურადღე-
ბის მიღმა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნი-
კური ერთეულები.* საქართველოში მცხოვრებ ყველა
ეთნოსს მთელი სიგრძე-სიგანით უნდა ვსწავლობდეთ. ეს
პრობლემა საბჭოთა პერიოდში, თითო-ოროლა გამონა-
კლისის გარდა, ფაქტობრივად არ მუშავდებოდა. მოქმედი
მკვლევარების უმეტესობა საქართველოში მკვიდრი ეთნი-
კური ჯგუფების შესწავლას ფაქტობრივად ვეღარ
შეძლებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს
საქართველოში მცხოვრები ისეთი ეთნოსების ეთნიკური
კულტურის შესწავლას, როგორებიც არიან აფხაზები, ოსე-
ბი, სომხები და სხვები. საბჭოთა პერიოდში ქართველთა
განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევდა ის, რომ რუსეთ-
ში თითქმის არავინ არ სწავლობდა და იკვლევდა ქარ-
თულ ენას, ქართულ კულტურას, საქართველოს ისტორიას.
მათ ამ ნაბიჯის გადადგმით შეეძლოთ ქართველთა გულებ-
ბის მონადირება, ქართულ-რუსული ურთიერთობისათვის
სათანადოდ კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნა.
ვფიქრობთ, რომ *სხვათა ნაკვალევზე ჩვენც არ უნდა
ვიართ.* სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე
სტუდენტ-ეთნოლოგებში ამ მიმართულებით გარკვეული
ინტერესი უნდა გავადვიოთ. საკუთარი თავის შესაცნობად
უკეთესია, რომ ქართველმა ეთნოლოგებმა მომავალში
შესაძლებლობის ფარგლებში სხვა ხალხების ეთნოლოგი-
აც არ უნდა დატოვონ ყურადღების გარეშე, განსაკუთრებ-
ით ეს მეზობელ ეთნოსებზე უნდა ითქვას. განსაკუთრებუ-
ლი მნიშვნელობა აქვს საქართველოს უმაღლეს სასწავ-
ლებლებში კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის, ევროპის
ხალხების ეთნოლოგიის, მახლობელი აღმოსავლეთის
ეთნოლოგიის კურსების შესწავლას. დასავლური და სხვა
კულტურებისაკენ საქართველოს სწრაფვა ამის წინაპირო-
ბაა. მსოფლიოს ხალხების ეთნოლოგიის შესწავლა კაცობ-
რიობის ისტორიისა და ცივილიზაციის შეცნობის ერთგვა-
რი ფუნდამენტი. მიიხნევენ, რომ ეთნოლოგიური მეცნიერე-
ბა ერთგვარად ინტერნაციონალურია, რადგან ის არა კონ-
კრეტულად მხოლოდ რომელიმე ეთნოსს, არამედ ყველა
ეთნოსს სწავლობს. ცნობილი ეთნოლოგი ლ. შტერნბეგი

წერდა, რომ „ვინც იცის ერთი ხალხი – არ იცის არც ერთი, ვინც იცის ერთი რელიგია, ერთი კულტურა – არ იცის არც ერთი“.

ხშირად როდესაც ვსაუბრობთ ამა თუ იმ ხალხის ეთნიკურ კულტურაზე (ტრადიციებზე, წეს-ჩვეულებებზე, მატერიალურ და სულიერ კულტურაზე), ძალიან ბევრ ანალოგიას ვნახულობთ სხვა ხალხების ეთნიკურ კულტურებთან, რაც იმის დამადასტურებელია, რომ საუკუნეების განმავლობაში ეთნოსები თავის თავში ჩაკეტილნი არასოდეს არ ყოფილან; ისინი ერთმანეთისაგან სესხულობდნენ კულტურის ელემენტებს და ამ ელემენტებს ძირითადად თავისებურად გადაამუშავებდნენ. ეს მოვლენა კაცობრიობის პროგრესის საფუძველი იყო. ამდენად, ეთნოლოგიას ამ მხრივაც აქვს კვლევის ფართო არეალი. საინტერესოა ქართველებმა ვისგან რა შევითვისეთ, ქართველთაგან რა ისწავლეს სხვებმა. ეს მონაცემები კი უდავოდ დაეხმარება თანამედროვეთ, განსაკუთრებით იმ ეთნოსებს, რომლებსაც ერთმანეთში დაძაბული ურთიერთობა და ზოგჯერ კონფლიქტებიც აქვთ.

ამდენად, მომავალში **ქვეყანასა და ხალხს გამოადგება სპეციალისტი-ეთნოლოგი, რომელსაც არა მხოლოდ საკუთარი ხალხის, არამედ მსოფლიოს სხვა ხალხების ეთნოლოგიის ძირითადი პრობლემები ეცოდინება.** რა თქმა უნდა, ქართველი ეთნოლოგი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ხალხის ეთნოლოგიურ პრობლემებზე უნდა იყოს ორიენტირებული, მაგრამ სრულფასოვან, თანამედროვე დონის მკვლევრად მის ჩამოყალიბებას მსოფლიოს ხალხების ეთნოლოგიის ცოდნაც შეუწყობს ხელს. ქართული ეთნოლოგიის უკვე განვლილ ეტაპად უნდა ჩაითვალოს ის, როდესაც საქართველოში მხოლოდ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემებით იყვნენ დაინტერესებულნი. ის კი არა და იყო ტენდენცია, რომ მეცნიერს თავისი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ერთ საკითხზე უნდა ემუშავა (მაგალითად, ოჯახის, ქორწინების, მიგრაციის, მიწათმოქმედების და ა. შ. საკითხებზე), ანდა ის მხოლოდ ერთი რომელიმე ეთნოგრაფიული რეგიონის სპეციალისტი უნდა ყოფილიყო. რეგიონალიზმს, ვიწრო თემატიკას საწყისს

ეტაპზე ვერც ერთი ეთნოლოგი ვერ ასცდება, მაგრამ **თვალსაწიერისა და მასშტაბების გაფართოების გარეშე თანამედროვე ეთნოლოგიის წინსვლა წარმოუდგენელია. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ საუნივერსიტეტო ეთნოლოგიური განათლების სისტემაში რეგიონალიზმი და ვიწროთემიანობა უნდა დაძლიოს და საუნივერსიტეტო განათლებაში ფართო სპექტრით აუცილებლად უნდა ჩართული იყოს მსოფლიოს ხალხების ეთნოლოგიის შესწავლა.** ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ერთი რამეც არ ითქვას: საქართველო პატარა ქვეყანაა და, შესაბამისად, საუნივერსიტეტო ეთნოლოგიურ განათლებასა და კვლევას ისეთი მასშტაბები ვერ ექნება, როგორც დიდ ქვეყნებში, მაგრამ სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებლობის ფარგლებში, სწავლებისა და კვლევის აღნიშნული ასპექტებით განხორციელება აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ მომავალი ქართველ ეთნოლოგი, ამერიკის, აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პრობლემებით დაინტერესდება თუ არა, უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციალობის სტუდენტმა აუცილებლად უნდა ისწავლოს დასახელებულ გეოგრაფიულ ერთეულებში მცხოვრებ ეთნოსთა ეთნიკური ისტორია და ეთნიკური კულტურა. თავის დროზე ეს ბარიერი გადალახა მხოლოდ ერთმა ეთნოლოგმა (ნელი ბრეგაძე), რომელიც შავი ზღვის დასავლეთით მცხოვრები ბულგარელებით დაინტერესდა. ამჯერად ბულგარეთზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მომავალ ქართველ ეთნოლოგთა თვალსაწიერში აუცილებლად უნდა იყვნენ, კავკასიის ხალხებზე რომ არაფერი ვთქვათ, რუსები და უკრაინელები, თურქები და ირანელები, მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვის-პირეთის ხალხები.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, **უნივერსიტეტში შემოსულ სტუდენტთა თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის რა არის ეთნოლოგია.** ამის მიზეზი კომპლექსურია და ერთ-ერთი მათგანი წლების განმავლობაში ეთნოლოგთა პასიურობა და ინერტულობაცაა. ეს პასუხისმგებლობა ყველა ეთნოლოგმა უნდა გადაინაწილოს, მათ შორის, არა მხოლოდ მათ, ვინც უმაღლეს საწავლებელში

მოდვაწობდა. ბუნებრივია, პასუხისმგებლობა ამ სტრიქონების ავტორსაც აწევს. ამ მიმღე მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, პირველ ყოვლისა, **საჯარო სკოლებისათვის საჩქაროდაა დასაწერი გასაგები და ლაკონური ენით ეთნოლოგიის სახელმძღვანელო**, რომელშიც უხვად უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც ქართული ტრადიციული კულტურის, ისე მსოფლიოს ხალხების ამსახველი საილუსტრაციო მასალა. როდესაც სასკოლო სახელმძღვანელოებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ ითქვას, რომ საერთოდ არ გვქონდა საქართველოს ეთნოლოგიის წიგნიც. ასეთი წიგნების დაწერა მხოლოდ ერთი რომელიმე მკვლევარის, ანდა ჯგუფის პრეროგატივაც არ უნდა იყოს – ერთ თემაზე დაწერილი სხვადასხვა წიგნები ერთმანეთს შეავსებენ.

ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებელს, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სტუდენტებსა და ასპირანტებთან, საერთოდ დამწყებ მკვლევარებთან მუშაობის განსაკუთრებული მეთოდები ჰქონდა. საქართველოს ეთნოლოგიისა და კავკასიის ეთნოლოგიის საუნივერსიტეტო სპეცკურსებს ის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ გამოფენასა და საკოლექციო ფონდებში ატარებდა. ეთნოლოგთა უმეტესობას ახსოვს ის ოთხშაბათობები, რომელსაც გიორგი ჩიტაია საკუთარ სახლში საღამოს რვა საათიდან თერთმეტ საათამდე ატარებდა. ამ დროს ასპირანტები, მაძიებლები და სტუდენტები (ვისზეც მას თვალი უკვე დადგმული ჰქონდა) არა მხოლოდ ზოგადი ეთნოლოგიის, საქართველოს ეთნოლოგიის, კავკასიის ეთნოლოგიის პრობლემებს ეუფლებოდნენ, არამედ ის თავისი მაგალითით მოქალაქეობისა და სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმის გრძნობებსაც უღვივებდა. მნიშვნელოვან წვრთნას ბატონ გიორგისთან დამწყები ეთნოლოგები ველზეც გადიოდნენ. წინა თაობის ეთნოლოგთა ზოგიერთი გამოცდილების გაზიარება დღევანდელი სტუდენტების მასწავლებლებსაც მართებთ.

სტატიის დასაწყისში ეთნოლოგიის საგანზე როდესაც ვსაუბრობდით, მისი ოთხი ფუნქსიიდან ერთ-ერთი კულტურულ-აღმზრდევლობითიც დავასახელებთ. დღეს

ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ საქართველო თავისი ბუნებრივი და კულტურული სიმდიდრეების გამო, საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთ კერად უნდა იქცეს. როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ტურისტებს ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, ქართული ეთნიკური კულტურა ვინ უნდა გააცნოს თუ არა ეთნოლოგია. ამიტომ საუნივერსიტეტო განათლება ეთნოლოგიის სფეროში ამ მხრივაც უნდა იყოს მიმართული. ბოლო ხანს საქართველოს არა ერთ უმაღლეს სასწავლებელში ახალი სპეციალობა – „ტურიზმის“ სწავლება მკვიდრდება. ეთნოლოგიის შეასწავლის გარეშე, ტურიზმის სპეციალისტი სრულყოფილი სპეციალისტი ვერ იქნება. აქვე შემდეგიც უნდა ითქვას – სტატიის დასაწყისში აღინიშნა ეთნოლოგიის კავშირების შესახებ სხვადასხვა მეცნიერებებთან; ისიც ითქვა, რომ „ეთნოლოგია სწავლობს ეთნოსის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას“, ამიტომაც სხვადასხვა დარგის მესვეურები რაც მალე გააცნობიერებენ ეთნოლოგიის შესწავლის აუცილებლობას, უკეთესი იქნება, რადგან ხელს შეუწყობენ საკუთარი მეცნიერებების პროგრესს. ეს დარგებია: ფიზიკური ანთროპოლოგია, სოციოლოგია, კულტუროლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტოლოგია, გეოგრაფია, დემოგრაფია, ფილოლოგია, მუსიკათმცოდნეობა, ფოლკლორისტიკა და რაც მთავარია, ისტორია და არქეოლოგია. დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომავალი არქეოლოგები სათანადოდ ეუფლებიან ეთნოლოგიას (ისევე როგორც, ეთნოლოგები – არქეოლოგიას), რასაც ვერ ვიტყვით ისტორიის მიმართულებაზე. სამწუხაროდ, სტუდენტი-ისტორიკოსებისათვის ეთნოლოგია და არქეოლოგია სავალდებულო სასწავლო კურსები არაა.

ეთნოლოგები ჩართული უნდა იყვნენ აგრეთვე ეთნოსთაშორისი ურთიერთობების პროცესების პროგნოზირების საქმეში. ეთნოლოგიის ერთ-ერთი ფუნქცია ხომ პროგნოსტიკული ფუნქციაცაა. საუნივერსიტეტო ეთნოლოგიური განათლება ამ მხრივაც უნდა იყოს ორიენტირებული.

ქართველ ეთნოლოგებს, ვინც უმაღლეს სასწავლებ-

ლებში მოღვაწეობს, აუცილებლად სჭირდებათ სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების გამოცდილება ეთნოლოგიის სწავლების კონცეფციის შესახებ. საყურადღებოა, რომ მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ეთნოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს ხუთი წლის განმავლობაში 44 სხვადასხვა კურსი ეკითხებათ. სანკტ-პეტერბურგში ასეთი კურსების რაოდენობა 30-მდეა. ბუნებრივია, ამ კურსების რაოდენობა პირდაპირაა დამოკიდებული კადრებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დიდ ქვეყნებს უფრო მეტი შესაძლებლობებიც აქვთ. ეს ახალგაზრდა კადრების დასაქმებასაც ეხება. მიუხედავად ჩვენი ქვეყნის პატარა მასშტაბებისა, ცოდნის სფეროში XX საუკუნეში ქართველები ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზე ვიყავით, ასე იყო ეთნოლოგიაშიც. ამ თვალსაზრისით ეს პოზიციები ქვეყანამ მომავალშიც არ უნდა დათმოს. ამის თქმის უფლებას კი ის გვაძლევს, რომ ეთნოლოგია დღეისათვის საქართველოს სახელმწიფოს და ქართველი ხალხის ინტერესების სამსახურში უნდა ჩავაყენოთ; ის ხომ ერთადერთი მეცნიერებაა, რომელსაც ხელი მიუწვდება ერთმანეთისგან ძალიან დაშორებულ ეპოქებზე. ეთნოლოგებს ინტერესი აქვთ არა მარტო ისტორიის სიღრმეში (ეთნოგრაფიული მასალებით, არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად, აღადგენენ პირველყოფილი საზოგადოების ისტორიასაც), არამედ აწმყოსა და მომავალშიც.

ეთნოლოგიის სწავლების კონცეფციის შემუშავებაში ყველა ეთნოლოგმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, იმისდა მიუხედავად ის უნივერსიტეტში მოღვაწეობს თუ სხვა სამეცნიერო დაწესებულებაში.

Roland Topchishvili

Conception of Teaching Ethnology

In the paper there is discussed the problems of teaching ethnology in the schools and universities in Georgia. There are considered the possible and necessary ways of improving the situation. The recommendation offered to the Georgian ethnologists is to take a part in carrying out the conception of teaching ethnology.

ანთროპოლოგია და სხვა მეცნიერებები

ანთროპოლოგია კომპლექსური მეცნიერებაა, რომლის საზღვრებშიც შეისწავლება ადამიანის არსებობის ფუნდამენტური პრობლემები. უფრო კონკრეტულად, იგი გულისხმობს საზოგადოების ფიზიკური და სოციალური მახასიათებლების შესწავლას. ანთროპოლოგიის ჰოლისტიკური არსი ორი თვალსაზრისით ვლინდება: ეს არის საზოგადოების შესწავლა, ერთი მხრივ, ყველა დროსა და სივრცეში, მეორე მხრივ – ყველა განზომილებაში (ევოლუციურ, ბიოფიზიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, ფსიქოლოგიურ და ა.შ.). ანთროპოლოგია, ამავე დროს, კომპარატიულ (შედარებით) და კროს-კულტურულ დარგთა რიცხვს განეკუთვნება. იგი მუდმივად ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა პოპულაციისა და დროის მონაცემებს.

თანამედროვე მეცნიერებაში გვხვდება ანთროპოლოგიის დისციპლინის სისტემატიზაციის სხვადასხვა ვარიანტი. ანთროპოლოგიურ დისციპლინებად მიიჩნევა არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, ფოლკლორი, ლინგვისტიკა, ფიზიკური და სოციალური ანთროპოლოგია. ანთროპოლოგიური დისციპლინების ეს კრებული/ნაკრები დროდადრო ფართოვდება, იმატებს ახალ-ახალ დარგებს: მედიცინის ანთროპოლოგია, ადამიანის ეკოლოგია და სხვ. ანთროპოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ჰუმანიტარულ და სოციალურ, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან. სოციოლოგები სწავლობენ თანამედროვე ურბანულ და ინდუსტრიულ საზოგადოებებს, ანთროპოლოგთა საველე მუშაობის მიზანი კი, ტრადიციულად, წინაინდუსტრიული საზოგადოებების შესწავლაა. მაგრამ იგი არ იფარგლება მხოლოდ წინაინდუსტრიული ერთობების კვლევით; ეს არის შედარებითი (კომპარატიული) დარგი, რომელიც სწავლობს ყველა საზოგადოებას – ძველსა და თანამედროვეს, მარტივსა და რთულს. ანთროპოლოგებს

კროს-კულტურული პერსპექტივა შეაქვთ ეკონომიკის, პოლიტიკის, ფსიქოლოგიის, ხელოვნების კვლევაში. ისინი თანამშრომლობენ ისტორიკოსებთან, რათა ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს სოციალური და კულტურული კონტექსტი მოუძებნონ. ანთროპოლოგიის შესწავლის ობიექტი ადამიანთა საზოგადოებების მრავალფეროვნებაა (1).

ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ანთროპოლოგია, როგორც სამეცნიერო კვლევის სფერო, აერთიანებს საკუთრივ ანთროპოლოგიას ანუ ადამიანის ისტორიას (მოიცავს ემბრიოლოგიას, ბიოლოგიას, ანატომიას, ფსიქოლოგიას); პალეონტოლოგიას ანუ პრეისტორიას; ეთნოლოგიას – მეცნიერებას ადამიანის დედამიწაზე განსახლების, მისი ქცევებისა და ტრადიციების შესახებ; სოციოლოგიას, რომელიც შეისწავლის ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობას; ლინგვისტიკას; მითოლოგიას; სოციალურ გეოგრაფიას, რომელიც ეძღვნება ბუნებრივი ლანდშაფტისა და კლიმატის მოქმედებას ადამიანზე; დემოგრაფიას – სტატისტიკურ მონაცემებს მოსახლეობის შემადგენლობის და განსახლების, პოპულაციის შესახებ; გარდა ამისა, ადამიანისა და მისი კულტურის შემსწავლელი მეცნიერების აღმნიშვნელად გამოიყენებოდა ტერმინები ეთნოგრაფია (გაჩნდა გერმანიაში XIX საუკუნეში), ეთნოლოგია (საფრანგეთში შემოიტანეს ხმარებაში) და ანთროპოლოგია (სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ანგლო-საქსონურ ქვეყნებში). საკვლევი თემატიკიდან და მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ანთროპოლოგიის კლასიფიკაცია შემდეგნაირად შეიძლება: ფილოსოფიური, თეოლოგიური, კულტურული, ბიოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური, იურიდიული, ეკონომიკური, გამოყენებითი და ა.შ.

არსებობს ანთროპოლოგიის გაგების რამდენიმე ტრადიცია. მათ შორის ინგლისურენოვან ქვეყნებში, განსაკუთრებით, აშშ-სა და კანადაში, მიჩნეულია, რომ ანთროპოლოგია ოთხ დარგს მოიცავს:

- ბიოლოგიური ან ფიზიკური ანთროპოლოგია, რომელიც სწავლობს ადამიანს როგორც ბიოლოგიურ არსებას, ევოლუციას, მემკვიდ-

რეობით ნიშნებს, ადაპტაციას და სხვ. მის ქვედარგებად განიხილება პრიმატოლოგია, ოსტეოლოგია, ადამიანის გენეტიკა და სხვ.

- **სოციო-კულტურული ანთროპოლოგია** – კონკრეტულ საზოგადოებათა კულტურული და სოციალური ორგანიზაციის, ენის, ეკონომიკური ცხოვრების, სამართლის, კონფლიქტებისა და მათი მოგვარების, ნათესაობისა და ოჯახის სტრუქტურის, სოციალიზაციის, გენდერული ურთიერთობების, რელიგიის, მითოლოგიის, სიმბოლოების კვლევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურის ანთროპოლოგია სწავლობს ადამიანთა საზოგადოებასა და კულტურას, აღწერს, აანალიზებს და ხსნის კულტურულ მსგავსებასა და განსხვავებას. ამ მიზნით, იგი ორი სახის საქმიანობას ეწევა: ეთნოგრაფიულსა (დამყარებულს საველე მუშაობაზე) და ეთნოლოგიურს (დამყარებულს კროს-კულტურულ შედარებაზე). ეთნოგრაფია, საველე მუშაობის პროცესში, სწავლობს კონკრეტულ საზოგადოებას/კულტურას, აგროვებს მონაცემებს, აანალიზებს და აჯგუფებს მათ, ახდენს მათ კლასიფიკაციას. ტრადიციულად, ეთნოგრაფები ცხოვრობდნენ შესასწავლ საზოგადოებებში და “შიგნიდან” აკვირდებოდნენ სოციალურ ცხოვრებას, სამეურნეო საქმიანობას, ზნეჩვეულებებს, ტრადიციებს, რწმენა-წარმოდგენებს, პოლიტიკურ ცხოვრებას. ეთნოლოგია იკვლევს, აანალიზებს და აღარებს ეთნოგრაფიული კვლევის შედეგებს – სხვადასხვა საზოგადოების შესწავლისას მოპოვებულ კონკრეტულ მონაცემებს. ამ მონაცემებს იგი იყენებს შედარებისა და დასკვნებისთვის, აგრეთვე განზოგადებული წარმოდგენის ჩამოყალიბებისთვის საზოგადოებასა და კულტურაზე. ეთნოლოგია ცდილობს,

კონკრეტული ფაქტების მიღმა დაინახოს უფრო ზოგადი, გამოავლინოს და ახსნას კულტურული მსგავსება და განსხვავება, შეამოწმოს ჰიპოთეზები, ჩამოაყალიბოს თეორიები იმის შესახებ, როგორ “მუშაობს” სოციალური და კულტურული სისტემები. ეთნოგრაფიული მონაცემების გარდა, იგი იყენებს სხვა დარგების მიერ მოპოვებულ კონკრეტულ მონაცემებსაც, მაგალითად, არქეოლოგიის (არქეოლოგიური ანთროპოლოგიის) – წარსული სოციალური სისტემების რეკონსტრუქციისათვის (2).

- **ლინგვისტური ანთროპოლოგია** სწავლობს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პროცესს, ენის ცვლილებებს დროსა და სივრცეში, ენის სოციალურ ფუნქციას, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას, ენათა სტრუქტურას, ფუნქციას და ისტორიას. ლინგვისტურ ანთროპოლოგიასთან მჭიდროდ დაკავშირებული დარგებია სოციო-ლინგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვისტიკა, სემიოტიკა, დისკურსული ანალიზი და ნარატივის ანალიზი.
- **არქეოლოგიური ანთროპოლოგია** იკვლევს არტეფაქტების გავრცელებასა და ფორმებს, ძველი მოსახლეობის მოძრაობას, დასახლებათა ტიპებს, სოციალური ორგანიზაციის განვითარებას, მჭიდრო კავშირი აქვს ისტორიულ ლინგვისტიკასთან, ფიზიკურ ანთროპოლოგიასთან, ისტორიასთან და სხვა დარგებთან. საველე კვლევისა და ამ გზით მოპოვებული მასალის ანალიზის დროს იყენებს მრავალი სხვადასხვა მეცნიერების მიღწევებს. უმეტესწილად, არქეოლოგია დამოუკიდებელ, თუმცა დასახელებულ სფეროებთან მჭიდროდ დაკავშირებულ დარგად განიხილება.

რაც შეეხება სასწავლო პროგრამებს, ბრიტანულ სიერცეში სოციალური ანთროპოლოგია ინსტიტუციურად გამიჯნულია ფიზიკური ანთროპოლოგიისაგან, რომელიც დაკავშირებულია ბიოლოგიის ან ზოოლოგიის დეპარტამენტებთან. იგი გამიჯნულია აგრეთვე არქეოლოგიისგან, რომელიც დაკავშირებულია ძველი ისტორიის (Classics), ეგვიპტოლოგიის ან სხვა ამგვარ ერთეულებთან. სხვა ქვეყნებში ანთროპოლოგია დაკავშირებულია ფოლკლორის, მუზეუმთმცოდნეობის, სოციალური გეოგრაფიის, სოციოლოგიის, ეთნიკური კვლევების, კულტურის კვლევების, სოციალური მუშაკის განყოფილებებთან.

ანთროპოლოგიის ადგილი აშშ უნივერსიტეტების პროგრამებში ამერიკის ანთროპოლოგთა ასოციაციის ფარგლებში მიმდინარე სერიოზული დისკუსიის საგანია. ზოგ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ჰუმანიტარული ცოდნის სფეროსა და კრიტიკულ თეორიაზე, სხვა შემთხვევაში – ევოლუციის თეორიასა და რაოდენობრივ მეთოდებზე. ზოგიერთ უნივერსიტეტში ბიოლოგიური ანთროპოლოგიისა და არქეოლოგიის პროგრამები ანთროპოლოგიის დეპარტამენტის შემადგენლობაშია, სხვაგან – ბიოლოგიის დეპარტამენტისა.

დღეს სულ უფრო ხშირად საუბრობენ ანთროპოლოგიის კიდევ ერთ მიმართულებაზე – ე.წ. **გამოყენებით ან პრაქტიკულ ანთროპოლოგიაზე**. როგორც კ. ფ. კოტაკი აღნიშნავს, ანთროპოლოგია არ არის სპილოს ძვლის კოშკში გამოკეტილი მეცნიერების ეგზოტიკური გატაცება, არამედ წარმოადგენს პოლისტურ, კომპარატივისტულ დარგს, რომელსაც ბევრი რამ აქვს სათქმელი საზოგადოებისათვის (3). ამერიკის ანთროპოლოგთა ასოციაციის მიერ ხაზგასმით აღინიშნება ანთროპოლოგიური კვლევების ორი განზომილება: თეორიული/აკადემიური ანთროპოლოგია და პრაქტიკული/გამოყენებითი ანთროპოლოგია. ეს უკანასკნელი მიმართავს ანთროპოლოგიის მონაცემებს, მეთოდებსა და თეორიებს თანამედროვე სოციალური პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის. დღეს სულ უფრო მეტი ანთროპოლოგი მისი ოთხივე ქვედარგიდან მუშაობს ისეთ “გამოყენებით” სფეროებში,

როგორც-ცაა ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სწავლებისა და აღზრდის, ეკონომიკური განვითარებისა და სხვა მსგავსი საქმიანობით დაკავებული სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურები. იზრდება დაინტერესება სამედიცინო ანთროპოლოგიით, რადგან დადგენილია, რომ ავადმყოფობანი, სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაზღვრულია სოციოკულტურული კონტექსტითაც. სხვადასხვა კულტურა არა მარტო განსხვავებულად აღიქვამს და გაიაზრებს ავადმყოფობას, არამედ სხვადასხვა კულტურაში ავადმყოფობად მიჩნეულია ჯანმრთელობის სხვადასხვა დარღვევა, სხვადასხვა სიმპტომი, გამომუშავებულია ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებათა პრევენციისა და მკურნალობის განსხვავებული სისტემები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ განვითარების საერთაშორისო სააგენტოების პროგრამები ხშირად წარუმატებლობისთვისაა განწირული, თუ ისინი არ ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფების სოციოკულტურულ რეალობას, თუ იგნორირებულია განვითარების კულტურული განზომილება. ანთროპოლოგები, როგორც ადგილობრივი კულტურის ექსპერტები, პროექტების შემქმნელებს აწვდიან ინფორმაციას სპეციფიკური სოციალური და კულტურული ვითარების შესახებ, რაც, როგორც ყველა ის მკვლევარი, რომელიც ლაპარაკობს პრობლემებზე დარგის განვითარების თვალსაზრისით, მიუთითებს კროსკულტურულ და ინტერდისციპლინურ კვლევებზე, როგორც ერთადერთ პერსპექტივაზე კულტურის კვლევისათვის. ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების საჭიროება მეცნიერების ყველა დარგში მკაფიოდ გამოიკვეთა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რამაც ასახვა ჰპოვა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პრაქტიკაში (4).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Cultural Anthropology. Ed. by Conrad Phillip Kottak. Eight edition. Michigan University, 2002.
2. აშშ უნივერსიტეტებში უმეტესად გამოიყენება ტერმინი *კულტურის ანთროპოლოგია*, ბრიტანეთში –

სოციალური ანთროპოლოგია. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სოციო-კულტურული ანთროპოლოგია *ეთნოლოგიის* სახელითაა ცნობილი. ამ ტერმინით ინგლისურენოვან ქვეყნებში აღინიშნება სოციო-კულტურული ანთროპოლოგიის შედარებით ასპექტის შემსწავლელი დარგი. სოციო-კულტურული ანთროპოლოგიის ქვედარგები მოიცავს ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიას, ფოლკლორს, რელიგიის ანთროპოლოგიას, ეთნიკურ კვლევებს, მედიისა და კიბერსივრცის ანთროპოლოგიას და ა.შ.

3. Cultural Anthropology. Ed. by Conrad Phillip Kottak. Eighth edition. Michigan University, 2002, p.17.
4. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნათქვამი ნაკლებად ეხება მაშინდელ საბჭოთა სივრცეს, სადაც ძლიერ იდეოლოგიზებული სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერება მოკლებული აღმოჩნდა დასავლურ და არა-დასავლურ სამეცნიერო სივრცეში მიმდინარე პროცესებთან კავშირში განვითარების შესაძლებლობას. ამის შედეგები დღესაც ნათლად იგრძნობა ჩვენს სამეცნიერო და სასწავლო პრაქტიკაში.

Maia Kvrivishvili, Ivane Tsereteli

Anthropology and Other Sciences

Anthropology is a holistic, comparative and cross-cultural study of humanity. Within its framework fundamental problems and all dimensions of humanity (evolutionary, biophysical, socio-political, economic, cultural, psychological, etc.) across times and places are studied. Therefore, anthropology is deeply linked to humanitarian, social and natural sciences. It is often defined as being based on a "four-field" approach (mainly in the United States). This "four-field" approach to anthropology encompasses biological or physical anthropology, archeology, linguistics, and cultural anthropology. At the present time a number of subfields or modes have developed. For example applied anthropology refers to the application of method and theory in anthropology to the analysis and solution of practical problems. The practical application of any above mentioned sub-disciplines may properly be designated as "applied anthropology".

კულტურის ანთროპოლოგია და ისტორია: გადაკვეთის მომენტი

1953 წელს ლესლი პ. ჰარტლის ცნობილი ფრაზის მიხედვით “წარსული უცხო ქვეყანაა: იქ ადამიანები სხვაგვარად ცხოვრობენ”. ლ. პ. ჰარტლის აზრს თუ გავითვალისწინებთ, ცხადი ხდება კულტურული ანთროპოლოგიის საკვლევო საკითხების აქტუალობა საისტორიო მეცნიერებისთვის. ამ თვალ-საზრისით, საინტერესოა ე. წ. *ახალი ისტორიის* მიმდინარეობა, რომელიც კონტინენტურ ევროპაში XX საუკუნის 20-30-იან წლებს, ხოლო ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში 70-იან წლებს უკავშირდება. ეს ცნება ყველასათვის კარგად ცნობილ ფრანგი მედიევისტის ჟაკ ლე გოფის სახელთან ასოცირდება. მან გამოსცა კრებული სათაურით ‘*La Nouvelle Historire*’ – ‘*ახალი ისტორია*’. მან ასევე წვლილი შეიტანა სამტომიანი კრებულის გამოცემაში, რომელიც საისტორიო კვლევის ახალ პრობლემებს, ახალ მიდგომებსა და ახალ მიზნებს ეხებოდა. ტერმინი ‘*ახალი ისტორია*’ პირველად 1912 წელს ამერიკელმა მეცნიერმა ჯეიმს ჰ. რობინსონმა გამოიყენა. მისი განსაზღვრებით, “ისტორია მოიცავს იმ ყოველივეს კვალსა და ნაშთს, რაც ადამიანს, დედამიწაზე გაჩენის დღიდან გაუკეთებია ან უფიქრია”. ეს განსაზღვრება ძალიან საინტერესოა კულტურის ცნების ანთროპოლოგიურ დეფინიციასთან მიმართებაში. წინამდებარე ნაშრომი სწორედ კულტურის ანთროპოლოგიასა და საისტორიო მეცნიერებას შორის მიმართების საკითხს ეხება.

XX საუკუნის 60 წლებიდან ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, პოლიტიკის მეცნიერების, ეკონომიკის, გეოგრაფიის, ფსიქოლოგიისა და სხვა სამეცნიერო წრეებში გაიზარდა ინტერესი კულტურის ფენომენის და, შესაბამისად, კულტურის ანთროპოლოგიის მიმართ. ასეთი მკვეთრად გამოხატული ინტერესი საისტორიო მეცნიერების სფეროშიც თვალსაჩინო გახდა. ისტორიკოსები

კულტურის ცნებას ფართო, ანთროპოლოგიური მნიშვნელობით იყენებდნენ, ისტორიული მოვლენების ახსნასა და გააზრებაში სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფასეულობათა კომპლექსს, რომელიც კონკრეტული ჯგუფების ცხოვრებას განსაზღვრავდა კონკრეტულ დროსა და ადგილას. ისტორიკოსთა ნაწილი, განსაკუთრებით საფრანგეთში, ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, კულტურული ანთროპოლოგებისგან სესხულობდნენ კონცეფციებსა და იდეებს. მათ შეიმუშავეს მიდგომა, რომელიც ცნობილი გახდა როგორც 'ისტორიული ანთროპოლოგია', თუმცა, ბრიტანელი კულტურის ისტორიკოსის პიტერ ბერკის აზრით, 'ანთროპოლოგიური ისტორია' უფრო შესაბამისი სახელწოდება იქნებოდა [2, 30].

რაც შეეხება ახალ ისტორიას, მისი პოზიტიური განსაზღვრების მოძებნა არც ისე ადვილია. ასოცირდება ანალების სკოლასთან, კულტურის ისტორიასთან, მენტალობის ისტორიასთან, ტოტალურ ისტორიასთან, სტრუქტურულ ისტორიასთან, რეპრეზენტაციის ისტორიასთან და სხვ. ახალი ისტორია მხოლოდ იმასთან მიმართებაში შეიძლება განისაზღვროს, რასაც უპირსპირდება. პიტერ ბერკი გამოყოფს რამდენიმე მახასიათებელს [2], რომელიც ახალ ისტორიას ტრადიციულ ისტორიისაგან განასხვავებს და, ჩვენი აზრით, ამ განსხვავებებში იკვეთება ახალ ისტორიასა და კულტურულ ანთროპოლოგიას შორის გადაკვეთის მომენტი.

1. ტრადიციული პარადიგმის მიხედვით, ისტორიის ინტერესის უმთავრესი საგანი პოლიტიკა იყო. კემბრიჯის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორის, სერ ჯონ სილის ფრაზის თანახმად "ისტორია წარსული პოლიტიკაა: პოლიტიკა, აწმყო ისტორია". პოლიტიკა უმთავრესად სახელმწიფოსთან იყო ასოცირებული, ანუ ის უმთავრესად ნაციონალური და ინტერნაციონალური იყო, ვიდრე ლოკალური. მართალია, ტრადიციული (რანკიანული) ისტორია შეიცავდა ეკლესიის, ასევე სამხედრო ისტორიას, მაგრამ ისტორიის სხვა მიმართულებე-

ბი, როგორცაა ხელოვნების ისტორია, ან მეცნიერების ისტორია, მარგინალიზებული იყვნენ და “ჭეშმარიტი” ისტორიკოსის ინტერესების პერიფერიაზე მოიაზრებოდნენ.

ახალი ისტორია, ტრადიციულისაგან განსხვავებით, ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროთი ინტერესდებოდა. XIX საუკუნის ბრიტანელი გენეტიკოსის ჯ. ბ. ს. ჰალდენის თანახმად, “ყველაფერს აქვს ისტორია”, ყველაფერს აქვს წარსული, რომელიც შეიძლება აღდგეს და დაუკავშირდეს წარსულის სხვა სფეროებს (J. B. S. Haldane, *Everything Has a History*, 1951). უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ისტორიული კვლევის საგანი გახდა ის სფეროები, რომელთაც, როგორც ადრე მიიჩნეოდა, არ ჰქონდა ისტორია. ბავშვობა, სიკვდილი, სიგიჟე/შეშლილობა, კლიმატი, ყნოსვა, სიბინძურე და სისუფთავე, ჟესტები, სხეული, ქალღურობა, კითხვა, საუბარი/ლაპა-რაკი და სინჰმეც კი ისტორიული კვლევის ობიექტებად იქცნენ. რაც ადრე უცვლელად მიიჩნეოდა, ახალი ისტორიის ფარგლებში განიხილება როგორც “კულტურული კონსტრუქცია”, რომელიც დროსა და სივრცეში განიცდის ცვლილებას. ასეთი მიდგომისათვის იმპლიციტურია კულტურული რელატივიზმი. *ახალი ისტორიის* ფილოსოფიური საფუძველია იდეა, რომ რეალობა სოციალურად და კულტურულად განსაზღვრულია. ისტორიკოსებისა და კულტურული ანთროპოლოგების მიერ ამ იდეის გაზიარებამ განაპირობა ამ ორი დისციპლინის დაახლოება და მათი ინტერესების გადაკვეთა. რელატივისტურმა მიდგომამ ასევე გააფერმკრთალა ტრადიციულად არსებული ზღვარი ისტორიის *ცენტრალურ* და *პერიფერიულ პრობლემებს* შორის.

2. ტრადიციული მიდგომა ისტორიას განიხილავდა როგორც მოვლენათა თხრობას, ხოლო ახალი ისტორია სტრუქტურათა ანალიზზეა ორიენტირებული. ფერნან ბროდელი მიიჩნევდა, რომ მოვლენ-

ნათა ისტორია მხოლოდ ქაფია ისტორიის ზღვის ტალღებზე. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ პერიოდში ასეთ დამოკიდებულებას საწინააღმდეგო რეაქცია მოჰყვა, სტრუქტურების კვლევას კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

3. ტრადიციული ისტორიისთვის დამახასიათებელია ხედვა “ზემოდან” ქვემოთ. ის ფოკუსირებულია დიდი ადამიანების დიდ საქმეებზე. კა-ცობრიობის დანარჩენი ნაწილს კი გაცილებით უმნიშვნელო როლი ჰქონდა მინიჭებული. ახალი ისტორიის წარმომადგენლები კი “ქვემოდან” დანახულ ისტორიას ანიჭებენ უპირატესობას. მათთვის საინტერესოა ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები და მათი სოციალური გამოცდილება. ხალხური კულტურის ისტორიას უდიდესი ყურადღება მიენიჭა.
4. ტრადიციული პარადიგმის ერთ-ერთი დიდი მიღწევა იყო ისტორიის საფუძვლად დოკუმენტების, წერილობითი წყაროების გამოცხადება. მაგრამ ამ მიღწევის საფასური აღმოჩნდა ის, რომ სხვა სახის წყაროები სრულიად იგნორირებული იყო. მაგრამ ისტორიკოსის კვლევის სფეროს გამრავალფეროვნებამ წყაროების გამრავალფეროვნების საკითხიც აქტუალური გახადა და წერილობითი წყაროების გვერდით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ვიზუალურ, ზეპირ წყაროებს, სტატისტიკურ მონაცემებს, ყოველდღიური მოხმარების საგნებს და ა.შ.
5. ტრადიციული პარადიგმის თანახმად, ისტორია ობიექტურია. ისტორიკოსის მიზანია, მკითხველს მიაწოდოს ფაქტები, ანუ ის რაც სინამდვილეში მოხდა (ლ. რანკე).

ბერკის აზრით, ისტორიისა და ანთროპოლოგიის შეხვედრის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო ტერმინ კულტურის გამოყენება მრავლობით რიცხვში და სულ უფრო ფართო მნიშვნელობით. დაახლოებით 30 წლის მანძილზე ისტორიკოსების მიერ ტერმინ ‘კულტურის’ გააზრებამ თანდათანობით ცვლილება განიცადა. ერთ დროს ის მხოლოდ ‘მაღალ კულტურასთან’ მიმართუ-

ბაში გამოიყენებოდა, ახლა კი მოიცავს ყოველდღიურ კულტურასაც, ფასეულობებსა და ცხოვრების წესს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისტორიკოსებმა გაიზიარეს კულტურის ცნების ანთროპოლოგების მიერ შემუშავებული განსაზღვრება.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიკოსთა სამყაროს გაფართოებამ და სხვა დისციპლინებთან დიალოგმა ძალიან საინტერესო შედეგები გამოიღო, ამ წინსვლამ თავისი მსხვერპლი მაინც მოითხოვა. ისტორიკოსთა აზრით, საისტორიო მეცნიერება არასოდეს ყოფილა იმდენად დანაწევრებული, რამდენადაც დღეს. სხვადასხვა სფეროს მკვლევარი ისტორიკოსები უფრო ადვილად ნახულობენ საერთო ენას ეკონომისტებთან, ფილოსოფოსებთან, ანთროპოლოგებთან ან სოციოლოგებთან, ვიდრე ერთმანეთთან. ასეთ ვითარებაში, ისტორიის ჯ. ჰ. რობინსონის მიერ შემოთავაზებულ განსაზღვრებასთან ერთად, ძალიან საინტერესოა ამერიკელი ისტორიკოსის მაიკლ კამენის მოსაზრება, რომ კულტურის ცნება, მისი ფართო ანთროპოლოგიური არსით, შესაძლოა, ის 'სავარაუდო საფუძველი' აღმოჩნდეს, რომელზეც მოხდება ისტორიისადმი სხვადასხვა მიდგომის რეინტეგრაცია. პიტერ ბერკი ასევე მიიჩნევს, რომ აქცენტის გადატანა მთლიან 'კულტურებზე' საშუალებას გვაძლევს, თავი დავაღწიოთ საისტორიო მეცნიერების ფრაგმენტაციას პოპულაციის, დიპლომატიის, ქალთა, იდეების, ბიზნესის, სამხედრო და სხვა ისტორიების სპეციალისტთა შორის (1, 2).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Burke P. What is cultural History, Polity Press, 2004
2. Burke P. 'Overture: The New History, its Past and its Future', in *New Perspectives on Historical Writing*, ed. by Peter Burke (University Park, PA: The Pennsylvania State University Press, 1992
3. Culture Matters. How Values Shape Human Progress. L. E. Harrison, S.P. Huntington (editors), Basic Books, 2000

Ketevan Kakitelashvili

Cultural Anthropology and History: Crossing Point

The article refers to the problem of interrelations between cultural anthropology and history. Since the 1960s significance of *culture* as explanatory variable in humanities, social and political sciences, as well as economics has increased. Accordingly, attention has moved to Cultural Anthropology, its methods and research area. Such interest has obviously revealed in History as well. Historians have become more influenced by works of anthropologists; they have begun to use term *culture* in broader, anthropological sense. Historians, trying to find the sense of historical events, paid more and more attention to the values defining the life and history of societies. In this regard the most interesting is one trend in 20th century historical writing – a *New History*. It associates with Annales School, cultural history, history of mentalities, history of representation, structural history, and etc.

**ფოლკლორისტიკის მეთოდების მნიშვნელობისათვის
ინტერდისციპლინური კვლევების სფეროში**

ფოლკლორისტიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ისტორიაში სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა ეპოქაში (მე-19-21 სს.) მუდმივად აქტუალურია ტექსტის ფიქსირებისა და ანალიზის მეთოდები.

ფიქსირების მეთოდებია:

- ისტორიული წყაროთმცოდნეობა;
- საველე კვლევა;
- აუდიოვიზუალური და ელექტრონული წყაროების (ინტერნეტი, ჩეტი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და სხვა) კვლევა.

ტექსტის ანალიზის მეთოდებია:

- ფოლკლორისტიკა როგორც სიძველეთმცოდნეობა, იგივე მითოლოგიური მეთოდი. ეს მეთოდი ფოლკლორისტიკის გერმანულ სკოლაში მთლიანად უარყოფილია. იგი მხოლოდ სამეცნიერო-პოპულარული სპეკულაციის სახით განაგრძობს არსებობას ეზოთერიკასა და ე. წ. New Age მოძრაობაში.
- გეოგრაფიულ-ისტორიულ მეთოდში იგულისხმება მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე წარმოშობილი სამი მიმართულება: 1) თეოდორ ბენფეის „ხეტიალის“ ანუ „ნასესხობის“ თეორია; 2) ენდრიუ ლანგის ანთროპოლოგიური თეორია და 3) იულიოს და კარლ კრონებისა და ანტი აარნეს ე.წ. „ფინური მეთოდი“.
- სტრუქტურალისტური მეთოდი (ვლადიმერ პროპი და ალან დანდესი).

დღევანდელ ფოლკლორისტულ მეცნიერებაში კულტუროლოგიური და სოციალური ისტორიის მეთოდები უფრო მიღებულია, ვიდრე არაისტორიული (ahistorische Methode). არაისტორიულ მეთოდს განეკუთვნება სწორედ სტრუქტურალიზმი, ფენომენოლოგიურ-ანთროპო-ლოგიური ცდები, ტიპებისა და მოტივთა კლასიფიკაცია, ფორმისა და სტი-

ლის აღწერები (Röhrich 2001, 525).

ფოლკლორისტიკისა და ეთნოლოგიის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებში ცნება „სტრუქტურალიზმი“ მეთოდთა ჩამონათვალშიც გვხვდება და თეორიების ნუსხაშიც. ლუტც რერიხის სტატია თხრობითი ჟანრების შესწავლის მეთოდების შესახებ სტრუქტურალიზმს ცალკე მეცნიერებად აცხადებს ფსიქოლოგიის, რელიგიათმცოდნეობის, კულტურის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობითი ჰერმენევტიკის გვერდით (Röhrich 2001, 517).

ლუტც რერიხმა ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაუპირისპირა სტრუქტურალიზმს, როგორც არაისტორიულ მეთოდს ისტორიული და პარაფსიქოლოგიური კვლევები, ფსიქოლოგიური განმარტებები, ფუნქციონალისტური და სოციალურ-ისტორიული საკითხები (Röhrich 1976, 36-43).

იმის მიუხედავად, რომ ლუტც რერიხი მაღალ შეფასებას აძლევს ვ. პროპისა და ალან დანდესის ნაშრომებს, სტრუქტურალიზმის ცნება არამართებულად მიაჩნია. 1976 წელს, როცა სტრუქტურალიზმი ჯერ კიდევ არ იყო გასული სამეცნიერო მოდიდან, რერიხმა თავის მონოგრაფიაში „თქმულება და ზღაპარი. ფოლკლორისტიკა დღეს“ იგი თამამად გააკრიტიკა: ხანდახან სტრუქტურალისტური გამოკვლევები მოგვაგონებენ გასული საუკუნის სოლარულ და ლუნარულ მითოლოგიურ სპეკულაციებს, სადაც საფუძველშივე იყო მცდელობა იმისა, მონათესავე აგებულებების მოთხრობები ერთად დაელაგებინათ; სტრუქტურალიზმი იმას იტყვდა, რაც ფიზიკოსებმა და ბიოლოგებმა უკვე გაიაზრეს – რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ მივაგნებთ რეალობას, როცა მას გამოვაცალკევებთო (Röhrich 1976, 33).

თანამედროვე გერმანელი მეცნიერის, როლფ ვილჰელმ ბრედნიხის შეფასებით, ფოლკლორისტიკას წარსულში ძალზე სუსტად ჰქონდა გაცნობიერებული მეთოდების საჭიროება (Brednich [b] 2001, 77). მთელი საუკუნენახევრის მანძილზე ყურადღების ცენტრში უფრო მეტად მოქცეული იყო კვლევის ობიექტები, მათი შეგროვება, გადარჩენა და შენახვა. რამდენადაც ფოლკლორული წყაროების დოკუმენტაციისთვის სპეციალური მეთოდები იყო საჭირო, ამის-

თვის მომიჯნავე დისციპლინების მეთოდები გამოიყენებოდა. ესენია:

- ისტორიულ-ფილოლოგიური მეთოდი როგორც მემკვიდრე ფოლკლორისტიკისა და ფილოლოგიის მჭიდრო კავშირისა მე-19 საუკუნეში;
- გეოგრაფიული მეთოდი, რომელიც კულტურული სივრცის კვლევისას გამოიყენება;
- ფსიქოლოგიური მეთოდი, რომელიც ა. შპამერის შემოღებულია. მისი თეზისი იყო „კოლექტიური სულიერება“;
- სოციოლოგიურ-ფუნქციონალისტური მეთოდი, რომელიც აქცენტს აკეთებს ყოფაში ზეპირი გადმოცემების მნიშვნელობაზე.

როლფ ვილჰელმ ბრედნიხი ზემოთხამოთვლილ მეთოდებს განიხილავს როგორც სხვადასხვაგვარი დაკვირვების სახეს და კვლევის მიმართულებებს, რომლებმაც ვერ დააკმაყოფილეს მოთხოვნა, რომ საერთო ჯამში ფოლკლორისტიკას სისტემატური ან ჰომოგენური მეთოდების მოძღვრება შეექმნა (Brednich [b] 2001, 78).

ფოლკლორისტიკაში ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების გვერდით სულ უფრო ხშირად ისმება ფუნქციონალისტური საკითხები, აგრეთვე თანამედროვე ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის აქტუალური პრობლემები.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფოლკლორისტიკის დასავლეთ ევროპული სკოლების ორიენტაცია ტრადიციული სიძველეთმცოდნეობიდან თანდათან კრიტიკულ კულტურულ ანალიზამდე და ყოფის ემპირიულ გამოკვლევამდე მივიდა:

- მთხრობლებისა (homo naran) და კონტექსტის შესწავლა, მონოგრაფიები ავტორმთქმელებზე;
- ექსპერიმენტული ფოლკლორისტიკა;
- შესრულების ტრადიციის კვლევა;
- ფოლკლორისტიკა როგორც ცნობიერების კვლევა.

როლფ ვილჰელმ ბრედნიხის სტატიაში „ფოლკლორისტიკის მეთოდები“ ცალკე თავად არის გამოყოფილი

„ფოლკლორისტიკა როგორც ცნობიერების კვლევა“, რომელიც ალბრეხტ ლემანის ციტირებით იწყება: „ფოლკლორისტიკა თანამედროვეობის კულტურის ანალიზში გვეხმარება. მან ყურადღება უნდა გაამახვილოს უკვე მოპოვებულ მასალასა და დღევანდებლობაში წარმოქმნილ კომუნიკაციის ახლა ფორმებზე“ (Brednich [a] 2001, 72). როლფ ბრედნიხი თავიდანვე აღნიშნავს, რომ ტრადიციული ფოლკლორისტიკის შესწავლის საგნები – ზღაპარი, თქმულება, ლეგენდა და სხვა – თანამედროვე თხრობით ტრადიციამში საკმაოდ დაზარალებულია.

დღეს ფოლკლორისტიკა აღარ იფარგლება მხოლოდ ტრადიციული საკვლევი სფეროთი. ჯერ კიდევ ათწლეულების წინ გამოიკვეთა თანამედროვეობაზე ორიენტირებული მიმართულება ფოლკლორისტიკაში. პერმან ბაუზინგერმა 1970-იან წლებშივე დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ყოველდღიურ თხრობას და ბიოგრაფიების შესწავლას (საუბარი სამუშაო გამოცდილებაზე, ომის, დევნისა და მიგრაციის დროს გადამხდარი ამბები).

ფოლკლორისტიკა როგორც ცნობიერების კვლევა ალბრეხტ ლემანის სახელს უკავშირდება. მან ნარატოლოგიას ახალი იმპულსები მისცა. „ეთნოლოგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, - წერდა ლემანი 1978 წელს, - ადამიანის ყოფისა და ცნობიერების გასაგებად თავისი კვლევა მიმართოს წარსულშიც და თანამედროვეობაშიც. ამგვარი კვლევის მიზანია, კულტურისა და სოციალურ მეცნიერებებთან ერთად თანამშრომლობით თანამედროვე ადამიანის მცდელობების, შესაძლებლობებისა და იმედგაცრუებების შესწავლით აპოზინოს მას თავისი სოციალური და კულტურული იდენტობა თავის ნაწილობრივ კულტურულ, ისტორიულ და ავტობიოგრაფიულ სიტუაციაში“ (Brednich [a] 2001, 73).

ალბრეხტ ლემანის ყველა ნაშრომი იმ ადამიანებთან ერთად მუშაობით შეიქმნა, რომლებიც თავის გამოცდილებას, განცდებს, მოგონებებს, სურვილებს, სიყვარულს და მიდრეკილებებს უზიარებდნენ და თავიანთ მდგომარეობაზე კულტურული ტრადიციის გავლენას გამოხატავდნენ.

ალბრეხტ ლემანის ეთნოგრაფიულ-კულტუროლოგიური

ცნობიერების ანალიზის ცენტრშია მოქმედი და განცდების მქონე ადამიანი. ლემანი სვამს კითხვას მის აწმყოზე და მერე იმაზე, თუ როგორ განიცდის და აღიქვამს ის პირადად თავისი გარემოს ისტორიას და დიდ ისტორიას. რადგან კულტურა მუდმივად თავისი წარმოშობის პირობებიდან გამომდინარეობს, ცნობიერების ანალიზს ისტორიულ არგუმენტაციას უკეთებს (Lehmann 2001, 233). ლემანი კვლევითის უმნიშვნელოვანეს წყაროებად ავტობიოგრაფიულ ტექსტებს მიიჩნევდა.

ალბრეხტ ლემანის თვალსაზრისით, ცნობიერების კულტუროლოგიური ანალიზი ორ მოსაზღვრე დისციპლინას შორის დევს: უახლესი გამოცდილების ისტორიის კონტექსტსა და ეთნოგრაფიული ბიოგრაფიისა და თხრობითი ფორმების კვლევებს შორის (Lehmann 2001, 233).

ფოლკლორისტიკაში მუდმივად არის მცდელობა შესწავლის საგნის სოციალურ კონტექსტში გააზრებისა (Röhrich 2001, 526).

უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში მნიშვნელოვანი ფოლკლორისტული შრომები გამოქვეყნდა, რომლებიც ტრადიციულ შედარებით-ისტორიულ, სტრუქტურალისტურ, გეოგრაფიულ-ისტორიულ მეთოდებს ეყრდნობიან და თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ითვალისწინებენ დასავლეთ ევროპული ფოლკლორისტული სკოლების მიღწევებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფოლკლორისტიკის ქართულმა სკოლამ მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული ფასდაუდებელი ნაშრომები შექმნა, ქართველი მეცნიერებისთვის სახელმძღვანელოები და მეთოდოლოგიური საკითხები ნაკლებ პოპულარული თემა იყო. თანამედროვე ფოლკლორისტიკა კი წარმოდგენელია მეთოდოლოგიური გამოკვლევების გარეშე – „ნებისმიერი კვლევა, თუ მას საფუძვლად არ უდევს ან, სულ ცოტა, დასახელებული მაინც არა აქვს მეთოდი, რომლითაც ის შედეგებამდე მივიდა, არამეცნიერულია“ (Deissner 1997, 26).

გერმანელი მეცნიერის ჰაინც შილინგის თქმით, „ფოლკლორისტიკა არ არის მაინცდამაინც ახალი თეორიების შემქმნელი დისციპლინა. რაც მას მართლა კარგად შეუძლია, არის აღმოჩენა, ზუსტი აღწერა და შედარებითი

კლასიფიკაცია კულტურული ფენომენებისა“ (Schilling 2001, 567). ფოლკლორისტიკა საკუთარ თეორიებს არ ქმნის, მაგრამ მისი კვლევის შედეგების გათვალისწინების გარეშე ვერცერთი თეორია კულტურის მეცნიერებათა სფეროში სრულყოფილი ვერ იქნება. ინტერდისციპლინარული კვლევების ფარგლებში ფოლკლორისტიკის ობიექტის შესწავლას სხვა დარგებიც მისდევენ, მაგალითად, ზეპირი ისტორია (Oral History), კულტურის მეცნიერებები (Cultural Studies), გენდერული კვლევები (Gender Studies) და სხვა. ევროპელი და ამერიკელი ფოლკლორისტები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ იმ მეცნიერთა მისამართით, რომლებიც ფოლკლორს არაადექვატური ფორმით იკვლევენ. სუზანე ჰოზე და ბარბარა კირშენბლეტ-გიმბლეტი თავიანთ ნაშრომებში “ფოლკლორისტიკის კრიზისის” შესახებ წერენ – იმის გამო, რომ სხვა მეცნიერებებმა ფოლკლორისტიკის ობიექტი თავიანთი კვლევის ცენტრში მოაქციეს და თანაც არაადექვატური მეთოდებით, ეს ბევრ უნივერსიტეტში შესაბამისი კათედრების შემცირებაში გამოიხატა (Hose 2002, 71; Kirshenblett-Gimblett 1995, 201-233).

ამ პრობლემის გადაჭრისთვის გარდაუვალია ფოლკლორისტიკის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა.

მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება გადაუდებელი საქმეა ფოლკლორისტული კვლევების განვითარებისა და საუნივერსიტეტო სწავლების პერსპექტივისთვის საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Brednich, Rolf Wilhelm [a]: Methoden der Erzählforschung. In: Methoden der Volkskunde. Positionen, Quellen, Arbeitsweisen der Europäischen Ethnologie. Herausgegeben von Silke Göttisch und Albrecht Lehmann. Berlin, Dietrich Reimer, 2001. S. 57-77.
2. Brednich, Rolf Wilhelm [b]: Quellen und Methoden. In: Grundriß der Volkskunde. Einführung in die Forschungsfelder der Europäischen Ethnologie. Herausgegeben von R.W. Brednich. Berlin, Reimer, 2001. S. 77-100.
3. Deissner, Vera: Die Volkskunde und ihre Methoden. Perspektiven auf die Geschichte einer „tastend-schreitender Wissenschaft“ bis 1945. Mainz, Gesellschaft für Volkskunde in Rheinland-Pfalz, e.V. Deutsches Institut, Universität Mainz, 1997.

4. Hose, Susanne: Soziales Wissen und politische Macht. Zur Geschichte der sorbischen Volksdichtung als Forschungsgegenstand. In: Zur Geschichte der Volkskunde. Personen – Programme – Positionen. Herausgegeben von M. Simon, M. Kania-Schutz, S. Löden. Dresden, Thelem bei w.e.b.-Univ.-Verl., 2002. S. 71-86.
5. Kirshenblatt-Gimblett, Barbara: Ausblick. Die Krise der Folkloristik. In: Bendix, Regina: Amerikanische Folkloristik. Eine Einführung. Berlin 1995. S. 201-233.
6. Lehmann, Albrecht: Bewußtseinsanalyse. In: Methoden der Volkskunde. Positionen, Quellen, Arbeitsweisen der Europäischen Ethnologie. Herausgegeben von Silke Göttisch und Albrecht Lehmann. Berlin, Dietrich Reimer, 2001. S. 234-250.
7. Röhrich, Lütz: Erzählforschung. In: Grundriß der Volkskunde. Einführung in die Forschungsfelder der Europäischen Ethnologie. Herausgegeben von Rolf Wilhelm Brednich. Berlin, Dietrich Reimer, 2001. S. 515-542.
8. Röhrich, Lütz: Sage und Märchen. Erzählforschung heute. Freiburg/Basel/Wien, Herder, 1976.
9. Schilling, Heinz: Medienforschung. In: Grundriß der Volkskunde. Einführung in die Forschungsfelder der Europäischen Ethnologie. Herausgegeben von Rolf Wilhelm Brednich. Berlin. Reimer, 2001. S. 563-585.

Elene Gogishvili

For the Importance of the Methods of Folkloristic in the Field of the Interdisciplinary Studies

The most actual methods in folkloristic during the 19th and 20th centuries there has always been both the methods of discovery and text analysis.

The methods of discovery:

- Analysis and evaluation of source materials;
- Field research;
- Research of the audiovisual and the electronic sources (internet, chat, sms etc.);

The Methods of the text analysis:

- Folkloristic as an ancient research, the same as a „Mythological Method“;
- Geographic-Historical Method (Theodor Benfey’s theory of „Transfer“, Andrew Lang’s Anthropological Theory and the „Finnic School“ of Antti Aarne);
- Method of Structuralism (Vladimir Propp, Alan Dundes).

Today in Folkloristic there are more actual methods, methods of Culture Studies and Social History.

კულტურის სივრცობრივი გავრცელების
თეორია ანთროპოლოგიაში

დიფუზიონიზმი (ლათ. diffusion - გავრცელება, გაჟონვა) – ესაა მიმდინარეობა ანთროპოლოგიაში, რომელიც ცალკეული ხალხების კულტურის განვითარებას ხსნის არა მათი დამოუკიდებელი ევოლუციით, არამედ ძირითადად სხვა ხალხების კულტურულ მიღწევათა სესხებით. მეცნიერებმა დიდი ხნის წინ მიაქციეს ყურადღება, რომ კულტურული ელემენტები არაა აუცილებელი მოცემულ საზოგადოებაში მხოლოდ მისი ევოლუციური განვითარების შედეგად აღმოცენდნენ, სავსებით შესაძლებელია მათი სესხებაც. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა XIX საუკუნეში დიფუზიონიზმის, როგორც კულტურათა შესწავლის მეთოდის გაჩენა, რომელიც გულისხმობდა კულტურული მოვლენების გავრცელებას ხალხთა შორის კონტაქტების გზით - მიგრაცია, ომები, მოგზაურობა, ვაჭრობა. დიფუზიონისტებმა პრაქტიკულად მოახდინეს ამ ზოგადად სწორი დებულების აბსოლუტიზაცია ანუ ჩათვალეს, რომ სხვადასხვა ხალხებს ერთნაირი კულტურული ელემენტები მხოლოდ დიფუზიის ე.ი. სესხების სხვადასხვა ფორმის მეშვეობით უჩნდებათ და საფუძველი დაუდეს ახალ მიმდინარეობას ანთროპოლოგიაში, რომელიც ერთგვარ წინააღმდეგობრივ რეაქციას წარმოადგენდა ევოლუციონიზმის თეორიაზე და ცნობილია დიფუზიონიზმის სახელწოდებით. დიფუზიონიზმის უკიდურესი ფრთის წარმომადგენლები ცდილობდნენ კაცობრიობის მთელი ისტორია კონტაქტებამდე, შეტაკებებამდე და კულტურათა სესხებაგადატანამდე დაეყვანათ. ევოლუციის და, მით უფრო, პროგრესის იდეა მათთვის მიუღებელი იყო. დიფუზიონისტებმა ევოლუციის და ერთიანი ისტორიული პროცესის იდეას დაუპირისპირეს კულტურული დიფუზიის იდეა, რაც გულისხმობდა კულტურის სივრცობრივი გადაადგილებასა და გავრცელებას ერთი კონკრეტული ცენტრიდან ან ცენტრებიდან. მათი აზრით. კულტურული განვითარების სავა-

რაუდო სქემა ასე გამოიყურება – ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და წარმატებული კულტურული მონაპოვრები იქმნება ერთ მოცემულ რეგიონში და შემდეგ ვრცელდებიან სტიქიური დიფუზიის შედეგად. დიფუზიონიზმის მიზანს წარმოადგენდა ზუსტად განესაზღვრა კულტურის ან კულტურული ელემენტების სივრცობრივი გავრცელების გზები და მიმართულებები, მოეხდინა ამ მიმართულებების რეკონსტრუქცია, გამოეგლინა მათი წარმოშობის რეგიონები და გადაადგილების დროითი ჩარჩოები. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დამოუკიდებელ სამეცნიერო მიმართულებად დიფუზიონიზმის ჩამოყალიბება და მისი განვითარება დაკავშირებულია ისეთი მეცნიერების სახელებთან, როგორებიცაა ფ. რატცელი, ლ. ფრობენიუსი, ფ. გრებნერი, ვ. შმიდტი, ვ. კოპერსი, უ. რივერსი და სხვები.

ევოლუციონიზმისგან განსხვავებით დიფუზიონიზმი ეგზოგენური თეორიაა ანუ კულტურის ზრდას და განვითარებას გარეშე ფაქტორებით ხსნის. ასეთ ფაქტორებად ცალკეული კულტურისთვის ითვლება სხვისი კულტურული ინოვაციების სესხება. დიფუზიონისტებისთვის უცხოა კულტურის ანთროპოლოგიური გააზრება, მათთვის ადამიანი კულტურის შემოქმედი კი არა, მისი მატარებელია. *ამ მიმართულების განსაკუთრებული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ შეიმუშავეს და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანეს მთელი რიგი პრინციპულად მნიშვნელოვანი ცნება და პრობლემა. კერძოდ: უცხო კულტურათა გავრცელების გზები და საშუალებები ე. წ. კულტურული კომუნიკაციის არხები. ასეთებია: ვაჭრობა, დაპყრობა, კოლონიზაცია, მიგრაცია, მიბაძვა და სხვა. ამ მიმართულების ანტიევოლუციური ხასიათი იმაშიც მდგომარეობს, რომ ბიოლოგიურ კატეგორიებს დაუპირისპირა კულტურული კატეგორიები. თუ ტერმინი ევოლუცია გულისხმობს ბიოლოგიური ევოლუციის ანალოგიას, ტერმინს “დიფუზია“ არ გააჩნია ბიოლოგიური ანალოგი. იგი გულისხმობს არა კულტურათა კონკურენციას და გამოდევნას, არამედ თანამშრომლობას, ურთიერთობას და ერთმანეთისგან სიახლის შეძენას.*

განარჩევენ დიფუზიონიზმის სამ ძირითად ვარიანტს:

- **ინვაზიონიზმი (ინგ. invasion – შეჭრა)**, რომელიც საკუთარი კულტურის განვითარებას მთლიანად ან უპირატესად უცხო ტომების შემოჭრის, სამხედრო დაპყრობების ან მიგრაციის შედეგად თვლის, რომელსაც თან ახლდა უფრო მაღალი კულტურისა და ტექნიკის შემოტანა;
- **კულტურული ცენტრის თეორია**, რომლის მიხედვით მოწინავე კულტურა გარკვეულ ცენტრში იქმნება და მისი ნორმებისა და ღირებულებების განფენა თანდათანობით ხდება პერიფერიებზე. მსოფლიო ცენტრებად მოიაზრება შუმერული ცივილიზაცია, ბაბილონი და ეგვიპტე. ინგლისელი მეცნიერების ჰ. ელიოტ-სმიტისა და უ. ჯ. პერის აზრით, არსებობდა მსოფლიოს მხოლოდ ერთი კულტურული ცენტრი – ეგვიპტე. ძველი ეგვიპტელების მიერ შექმნილი კულტურა მთელ დანარჩენ მსოფლიოში გავრცელდა. გერმანელი მეცნიერების ფ. დელიჩისა და ჰ. ვინკლერის აზრით ასეთი კულტურული ცენტრი ბაბილონია. ყველაზე თანმიმდევრული ამ შეხედულებებში იყო ფ. გრებენერი, რომელიც თვლიდა, რომ მატერიალური თუ სულიერი კულტურის ყოველი ფენომენი ისტორიაში მხოლოდ ერთ ადგილას და ერთხელ იქმნება და შემდეგ ვრცელდება დედამიწაზე.
- **კულტურულ-ისტორიული სკოლა**, რომლის მოსაზრებითაც კულტურა ვითარდება კულტურული ინოვაციების სივრცობრივი გადაადგილების შედეგად არა ერთი, არამედ რამდენიმე ცენტრიდან ე. წ. “კულტურული წრეებიდან”. ამ თეორიის საფუძველზე შემუშავდა კულტურული წრეებისა და კულტურული მიგრაციის თეორიები.

დიფუზიონიზმის გავლენით შეიქმნა ბევრი თანამედროვე სოციოლოგიური და კულტუროლოგიური თეორია. კერძოდ: მოდერნიზაციის თეორია, მიგრანტთა აკულტურა-

ციის თეორია, კროსკულტურული გამოკვლევები, კულტურული ინოვაციების თეორია და სხვა. დიფუზიონიზმი სკანდინავიის ქვეყნებში გავრცელებული იყო ისტორიულ-გეოგრაფიული მიმართულების, გერმანიაში – კულტურული წრეების მოძღვრების ფორმით, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში კულტურული არეალების თეორიის (age-and-area) სახით. ინგლისში მან ჰელიოცენტრისტული მიმართულების ანუ ჰიპერდიფუზიონიზმის ფორმა მიიღო, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ტურ ჰეიერდალია.

დიფუზიონიზმის ფუძემდებლად გერმანელი მეცნიერი **ფ. რატცელი (1844-1905)**, ითვლება რომლის კონცეპტუალური შესვდულებები გადმოცემულია მრავალტომიან ნაშრომში “ანთროპოგეოგრაფია“. მისი მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომია “დედამიწა და სიცოცხლე“. ევოლუციონისტებისგან განსხვავებით, რომლებიც კულტურას განიხილავდნენ, როგორც ევოლუციის საერთო ჯაჭვის ერთ რგოლს მისი არსებობის კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად, იგი ცდილობდა შეესწავლა კულტურის მოვლენები კონკრეტულ პირობებთან, პირველ რიგში გეოგრაფიულ პირობებთან კავშირში. რატცელის კვლევის ძირითად სფეროს მატერიალური კულტურის ელემენტების და შესაბამისად ამ ელემენტების მატარებელი ხალხების გეოგრაფიული გავრცელების თავისებურებები წარმოადგენდა. მატერიალური კულტურის საგნების არჩევა კვლევის ძირითად ობიექტად განპირობებული იყო იმით, რომ ისინი კულტურის დანარჩენ ასპექტებთან მიმართებაში გაცილებით დიდხანს ძლებენ და ინარჩუნებენ საკუთარ ფორმასა და გავრცელების არეალს. ხალხები რატცელის აზრით იცვლებიან, ხანდახან იღუპებიან და ქრებიან, ხოლო საგნები უცვლელია. სესხების პროცესებთან დაკავშირებით იგი ფიქრობდა, რომ ზოგიერთი საგანი (სამკაულები, ტანსაცმელი) იოლად გადაეცემა ხალხიდან ხალხს, ხოლო დანარჩენები (ადკაზმულობა, ლითონის ნივთები) გაცილებით ძნელად. მისი აზრით ასეთი გადაადგილებების შედეგად შეიძლებოდა გვეფიქრა ზოგადად კულტურათა სივრცობრივი გავრცელების შესახებ. იგი გამოყოფდა ასეთი გადაა-

დგილების ორ დასაშვებ ვარიანტს: 1. ერთიანი კულტურული კომპლექსის სწრაფი და მთლიანი გადატანა, რასაც იგი აკულტურაციას ეძახდა და 2. კულტურის ცალკეული ელემენტების გადატანა ერთი ხალხიდან მეორეში, თვით ხალხის გადაადგილების გარეშე.

კულტურათა გადაადგილების აღსანიშნავად რატცე-ლისთვის მისაღები იყო განმაზოგადებელი ცნება “კულტურული ზონა“ ან “კულტურული წრე“. ამ ზონის მიღმა კულტურული ელემენტების გავრცელება აიხსნებოდა ხალხის ადგილმონაცვლეობით, თუმცა დასაშვები იყო გამო-ნაკლისი შემთხვევებიც. სხვადასხვა ხალხთა კულტურული მსგავსების საფუძვლად იგი მიიჩნევდა მათ შორეულ ნათესაობას, ხოლო კულტურული ცვლილებების მიზეზად კონტაქტებს. რატცელმა შეიმუშავა დიფუზიონიზმის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები – კულტურათა ურთიერთზეგავლენის აქცენტირება, ერთი ან რამდენიმე ცენტრის არსებობის იდეა, კულტურული ცვლილებების ახსნა კულტურის ელემენტთა სესხებით – და შექმნა ე. წ. ანთროპოგეოგრაფიული სკოლა, რომლის თანახმადაც ამა თუ იმ კულტურის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ გარემოს, რომელსაც ადამიანთა საზოგადოება ეგუება და მასთან ადაპტაციას ახდენს.

დიფუზიური მიმართულების ერთერთი ძირითადი თეორიაა კულტურული წრეების თეორია, რომელსაც წარმოადგენენ ფ. გრებნერი და ლ. ფრობენიუსი

ამ თეორიის თანახმად განსაზღვრულ გეოგრაფიულ რეგიონებში გარკვეულ კულტურულ ნიშანთა ერთობლიობა შესაძლებელს ხდის ცალკეული “კულტურული პროვინციების“– წრეების გამოყოფას. ეს თეორია აღმოცენდა გერმანიაში XX საუკუნის დასაწყისში. *“კულტურული წრე“ წარმოადგენს კულტურის ელემენტთა ხელოვნურად შექმნილ ერთობლიობას, რომელიც დროში არ ვითარდება და მხოლოდ სხვა “კულტურულ წრეებთან“ გეოგრაფიულ სივრცეში ურთიერთობს. განსხვავებულ ბუნებრივ გარემოში მისი გადატანის შემთხვევაში განვითარება სხვა გზით წარმართება და ძველ კულტურათა ზემოქმედების შედეგ*

გად შეიძლება აღმოცენდეს ახალი კულტურული ტიპი. ამ იდეებმა შემდგომში განვითარება ჰპოვეს კულტურული მიგრაციის თეორიაში. *“კულტურული წრეების“ თეორიის მიმდევართა აზრით, ცივილიზაციის ისტორია წარმოადგენს კულტურული წრეების გარკვეულ რიგს, რომელსაც საფუძვლად უდევს საწყისი კულტურა.*

ფ. გრებნერი (1877-1934) ემხრობოდა კულტურული წრეების თეორიას და ამტკიცებდა, რომ კულტურული ელემენტები პრაქტიკულად უცვლელია და ისინი მხოლოდ სიფრცობრივად გადაადგილდებიან. მას მიაჩნდა, რომ ცალკეული კულტურული ელემენტები ერთხელ და სამუდამოდ წარმოიშობა გარკვეულ ადგილას და შემდეგ ვრცელდება სხვადასხვა ტერიტორიაზე. *მისი აზრით კულტურა მატერიალური და სულიერი ელემენტების უბრალო კონგლომერატი ან ეკლექტიკური ერთიანობაა, რომელთა დამაკავშირებელი საფუძვლის მოძებნა საკმაოდ ძნელია.* გრებნერმა გაანალიზა მსგავსი კულტურული ელემენტების (შრომის იარაღები, შრომითი ჩვევები, ხელოვნების ნიმუშები და სხვა) ტერიტორიული განაწილების თავისებურებები და მათი მსგავსების ხარისხი და კულტურის ისტორიაში გამოყო 12 კულტურული წრე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სესხების სხვადასხვა მექანიზმით. იგი კულტურულ წრეებს მჭიდროდ აკავშირებდა გარკვეულ ეთნოსებთან და აკეთებდა დასკვნას, რომ კულტურული ცვლილებები (აკულტურაცია), რომლებიც ორი ეთნოსის ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად ჩნდება (კულტურული წრეების ზედდება), შეიძლება აიხსნას ახალი ეთნოსის ჩამოყალიბებით, რაც ეწინააღმდეგება კაცობრიობის ეთნიკური ისტორიის კანონზომიერებებს. გრებნერის აზრით, თუ კულტურას გადავიტანთ განსხვავებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში, მისი განვითარება სხვა გზით წავა და ძველ კულტურებთან ურთიერთზემოქმედების შედეგად შეიძლება მივიღოთ ახალი კულტურები. ამ იდეებმა შემდეგში ასახვა ჰპოვა კულტურული მიგრაციის თეორიაში. გრებნერმა ავსტრალიისა და ოკეანეთის შესწავლის მაგალითზე მხოლოდ ცივილიზაციის კლასობრივამდელ სტადიაზე გამოყო 6 ასეთი კულტურული წრე. განსხვავებული

მოსაზრება გააჩნდა ცნობილ ავსტრიელ არქეოლოგსა და ეთნოგრაფს ო. მენგინს, რომელიც ნაშრომში “ქვის ხანის მსოფლიო ისტორია“, პირველყოფილი საზოგადოების ისტორიას განიხილავდა როგორც სამი ძირითადი კულტურული წრისადმი კუთვნილი ცალკეული ტომების მიგრაციის შედეგს. კულტურის ისტორიის მოვლენების სისტემატიზაციისას დიფუზიური მეთოდის გამოყენების ევრისტიკამ განაპირობა დიფუზიური თეორიის შემდგომი განვითარება ანთროპოლოგიაში. გრებნერის მიერ შემოთავაზებული არტეფაქტების ტერიტორიული განაწილების ანალიზის მეთოდიკა და კულტურული წრეების გამოვლენის ტენდენცია დღემდე გამოიყენება ცალკეულ გამოკვლევებში.

ღ. ფრობენიუსის (1873-1928) სახელს უკავშირდება თეორია კულტურის, როგორც განსაკუთრებული სოციალური ორგანიზმის შესახებ, რომელსაც სული (peideum) გააჩნია. იგი თვლიდა, რომ კულტურის გადაადგილების ორი შესაძლებელი ფორმა არსებობს: 1. კულტურის დამოუკიდებელი გადაადგილება ხალხის გარეშე (კულტურული მიგრაცია) და 2. ეთნიკური მიგრაცია ანუ კულტურის ადგილმონაცვლეობა მის მატარებელ ხალხთან ერთად. ადამიანს ფრობენიუსის თეორიაში მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია. კულტურული წრეების გამოყოფის პროცესში მისთვის მნიშვნელოვანია მსგავს ნიშანთა გარკვეული რაოდენობის არსებობა ამ თუ იმ ტერიტორიაზე. იგი კულტურის ბიოლოგიური თეორიის მიმდევარია ანუ თვლის, რომ კულტურა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, იბადება, ცოცხლობს და კვდება. ახალი კულტურა მხოლოდ ძველთან ურთიერთობით და მისი ზემოქმედებით იბადება. აფრიკაში ამის შესაბამისად იგი ერთმანეთისგან განასხვავებდა ორი ტიპის კულტურას “ტელურიულ-ეთიოპურ-პატრიარქალურს, და “ქტონურ-ქამიტურ-მატრიარქალურს“. ტელურიული მისი განსაზღვრით ნიშნავს მიწიდან ამოზრდილს, ხოლო ქტონური მიწაში ჩაზრდილს. ორივე ტიპის კულტურა მჭიდროდაა დაკავშირებული მცენარეულ სამყაროსთან. “ტელურიული“ აფრიკის სავანებში ჩაისახა, ხოლო “ქტონური“ საჰარასა და ჩრდილო აფრიკაში. ეს

კულტურები ფრობენიუსის აზრით განსხვავდება მათში ჩადებული ტენდენციებით (იდევებით). პირველი ერთგვარად მიისწრაფის ზევით, რაც მჟღავნდება სულიერი და მატერიალური კულტურების თავისებურებაში, რომელსაც ახასიათებს ხიმინჯებიანი საცხოვრებელი, ბედლები, ფეხიანი საწოლები. ამ კულტურის „სული“ მცენარესავით ზევით იზრდება. ადამიანიც ამ კულტურაში ზემოთკენ ისწრაფვის ასაკობრივი კლასების იერარქიულ საფეხურებზე, მათი ღმერთები მიუწვდომელ სიმაღლეზე ბინადრობენ, ეს პატრიარქალური კულტურაა. “ქტონური“, მატრიარქალური კულტურა ცდილობს მიწის წიაღში ჩაზრდას. მას ახასიათებს მიწისქვეშა საცხოვრებლები, ჭირნახულის საწყობები, მიწის ღუმელები, საწოლი-ჭილოფები, შეხედულება სულთა მიწისქვეშა სამყოფელის არსებობის შესახებ და სხვა.

ამრიგად, იგი განასხვავებდა ქალური და მამაკაცური საწყისის კულტურებს და თვლიდა რომ ერთი მატრიარქალურია, მეორე კი პატრიარქალური. მოგვიანებით მან ეს დეფინიცია დასავლური და აღმოსავლური ტიპის კულტურებით შეცვალა. აღმოსავლეთს მისი აზრით ახასიათებს “გამოქცაბულის“ გრძნობა, უძრაობა, ფატალიზმი, ხოლო დასავლეთს “სიშორის გრძნობა“, დინამიკა, პიროვნებისა და თავისუფლების იდეის არსებობა.

ავსტრიაში დიფუზიონიზმი წარმოდგენილია “კულტურულ-ისტორიული“ ანუ “ვენის“ სკოლით, რომლის ფუძემდებელია **გ. შმიდტი (1868-1954)**. მის სახელთან დაკავშირებულია “თავდაპირველი მონოთე-იზმის თეორია“, რომელიც ემყარებოდა გრებნერის კულტურული წრეების თეორიას, კოლმანის “პიგმეურ“ თეორიას და ა. ლენგის მოსაზრებას პირველყოფილ ადამიანებში ერთი ღმერთის არსებობის განცდასთან დაკავშირებით. შმიდტის ძირითადი ნაშრომია “ღმერთის იდეის წარმოშობა“, რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანებისთვის მონოთეიზმი ანუ ერთი ღმერთის არსებობის გრძნობა თანდაყოლილია და ამის დასამტკიცებლად იყენებდა შვეიცარიელი ბიოლოგის კოლმანის თეორიას, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ჯუჯა მოსახლეობა – პიგმეები კაცობრიობის საერთო შო-

რეული წარსულია ანუ ადამიანების განვითარებას თანახმად მათი სიმაღლეში ზრდა და ჩვენი წინაპრები ბევრად უფრო ტანმორჩილები იყვნენ ისევე, როგორც თანამედროვე პიგმეები. ამასთან, პიგმეებს სწამთ ერთი ღმერთის არსებობა და ამ ლოგიკით შეიძლება დავუშვათ, რომ ადამიანებსაც უხსოვარი დროიდან ახასიათებდათ მონოთეიზმი, ხოლო რელიგიური აზროვნების პრიმიტიული ფორმების არსებობა ადრინდელი მონოთეიზმის დამახინჯების შედეგია.

XX საუკუნის ოციან წლებში დიფუზიონიზმის პოპულარობამ კლება დაიწყო. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ აშკარად გამოიკვეთა ხელოვნურად შექმნილი “კულტურული წრეების“ შეუსაბამობა ემპირიული კვლევის შედეგებთან. ამერიკის შეერთებულ შტატებში დიფუზიონიზმი უფრო ტენდენციას წარმოადგენდა, ვიდრე დომინანტ მიმართულებას კულტურის კვლევებში. კულტურათა გავრცელების თავისებურებების შესწავლა ამერიკელი ანთროპოლოგების მიერ ძირითადად ინდიელი ტომების მაგალითზე ხდებოდა. დიფუზიური იდეების ყველაზე მკაფიო წარმომადგენელი აქ **კ. უისლერი (1870-1947)** იყო. იგი ცალკეული კულტურული ელემენტის (ჩვეულება, რიტუალები) ფართო გავრცელებას მათ ხანდაზმულობას უკავშირებდა, ხოლო ლოკალურ, შეზღუდულ არსებობას ახალგაზრდობით ხსნიდა და შესაბამისად მათ ახლადდანიერგილად მიიჩნევდა. ინდიელთა კულტურული კონტაქტების ანალიზის შედეგად მან ჩამოაყალიბა კულტურული დიფუზიის ზოგადი კანონი: *ანთროპოლოგიურ თავისებურებს გააჩნიათ საკუთარი წარმოშობის ცენტრიდან ყველა მიმართულებით დიფუზირების ტენდენცია*. მსგავს მოსაზრებას იმეორებდა ესეპირი.

ა. კრიობერმა მიმოქცევაში შემოიტანა “სტიმულის დიფუზიის“ ცნება, რომელიც გულისხმობდა იმ გარემოებების აღწერას, რომლებიც განაპირობებდნენ იდეათა კომპლექსის დანერგვას ახალ კულტურაში. ამასთან ერთად, მისთვის დანარჩენი ავტორებისგან განსხვავებით ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო არა კულტურის ელემენტების, არამედ იდეების დიფუზიის პროცესების კვლევა. დიდი

მნიშვნელობა ექცეოდა დიფუზიის პროცესებს რ. დიქსონის სამეცნიერო შრომებში. მან ერთმანეთისგან გამიჯნა *პირველადი დიფუზია* – მოცემული კულტურის ჩარჩოებში რომელიმე ინოვაციის გავრცელება და *მეორადი დიფუზია* ანუ კულტურის ელემენტთა გადანაცვლება არეალის (კულტურული სივრცე) საზღვრებს გარეთ, მისი გავრცელება სხვა ხალხში.

ბრიტანული დიფუზიონიზმის დამაარსებლად ითვლება **უ. რივერსი (1864-1922)**, რომელიც ცდილობდა თავი დაედო ევოლუციონიზმისა და დიფუზიონიზმის უკიდურესობებისგან. ახალი კულტურების აღმოცენებას იგი განიხილავდა გადასახლებათა ტალღების ურთიერთშემოქმედების შედეგად და ოკეანეთის მაგალითზე ამტკიცებდა, რომ იმიგრანტების ყოველ ახალ ნაკადს ადგილობრივ კულტურაში აუცილებლად შეჰქონდა საკუთარი კულტურული ელემენტები. დასრულებული სახე ინგლისურმა დიფუზიონიზმმა მიიღო **გ. ელიოტ-სმიტისა (1871-1937)** და **უ. ჯ. პერის (1877-1949)** მეცნიერულ შემოქმედებაში. ამ მიმართულებას ხშირად “ჰიპერდიფუზიონიზმს” ანუ “პანეგეიტიზმს” უწოდებენ. ეს განპირობებულია მათი სამეცნიერო კვლევის სფეროთი, კერძოდ განსაკუთრებული ინტერესით ეგვიპტის მიმართ. ელიოტ-სმიტმა ეგვიპტისა და მისი მომიჯნავე რეგიონების კვლევის შედეგად ყურადღება მიაქცია ძველევგვიპტური კულტურის ზოგიერთი მახასიათებლის (მაგ. მუმიფიცირების ტრადიცია) მსგავსებას სხვა ხალხების კულტურებთან, მათ შორის ისეთისაც, რომლებიც ეგვიპტისაგან ძალიან დაშორებულ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ. განსხვავებული ხალხების საერთო კულტურული ელემენტების შედარებითმა ანალიზმა იგი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ძვ. წელთაღრიცხვის დაახლ. IX-VIII საუკუნეებში ეგვიპტეში ჩასახული კულტურა მთელ დანარჩენ მსოფლიოში გავრცელდა, აღმოსავლეთით პირველ რიგში არაბეთისა და სპარსეთის ყურის, ინდოეთისა და ცვილონის გავლით ინდონეზიაში და შემდგომ კიდევ უფრო აღმო-სავლეთით ოკეანეთში. აქედან პირველადი კულტურის ნიმუშები წყნარი ოკეანის ჩრდილოეთიდან ამერიკაში მოხვდნენ. ასეთ პირველად კულტურად ელიოტ-სმიტი მიიჩნევდა

მეგალითური ძეგლების მშენებლობის ტრადიციას, მიცვალებულთა მუმიფიცირებას, მზისა და გველის კულტის არსებობას, ფეიქრობას, წინადაცვეთას, ყურების გახვრეტისა და დაგრძელების ხელოვნებას და ა. შ. ეს მოსახურებები მან დაასაბუთა ნაშრომებში “ადრეული კულტურების მიგრაციები“ და “კაცობრიობის ისტორია“.

მსგავს შეხედულებებს იზიარებდა აგრეთვე უ. პერი ნაშრომებში “მეგალითური კულტურა ინდონეზიაში“ და “მზის შვილები“. მისი შეხედულებით კულტურის ისტორიულ განვითარებაში მკაფიოდ განირჩევა ორი განსხვავებული შრე: შემგროვებელთა და მონადირეთა თავდაპირველი პრიმიტიული კულტურა და მშენებლობის ხელოვნებაზე, მიწათმოქმედებასა და ლითონის დამუშავებაზე დამყარებული მაღალი კულტურა. ეს უკანასკნელი მისი აზრით. სწორედ ეგვიპტეში ჩაისახა. პერიმ მეტისმეტად გააფართოვა პირველადი კულტურული ელემენტების ნუსხა და მიაკუთვნა მას ქვის პირამიდები, სარწყავი მიწათმოქმედება, მეთუნეობა, მეტალურგია, მარგალიტის მოპოვება, მზის კულტი, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ადამიანის მსხვერფეშეწირვის ტრადიცია და სხვა. მისი აზრით ეს არქაული, მაღალი კულტურა ეგვიპტეში ჩაისახა და შემდეგ მთელ დედამიწაზე გავრცელდა, ამ კულტურების გადატანები იყვნენ ლითონისა და ძვირფასეულობის (მარგალიტი, ფირუზი) მაძიებელები, რომლებიც ზოგიერთ, განსაკუთრებით მადნეულით მდიდარ ადგილებში, მკვიდრდებოდნენ და ხანდახან აბორიგენ მოსახლეობასაც შეერეოდნენ. ასე აღმოცენდა არსებული კულტურული მრავალფეროვნება. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ უ. პერი კულტურული განვითარების ერთადერთ შესაძლებლობად სესხებას მიიჩნევდა.

დიფუზიონიზმმა ახალი სიცოცხლე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში შეიძინა, როდესაც გააქტიურდა ტრანსოკეანური კონტაქტების კვლევის პერსპექტივები. ამ პერიოდში გაჩნდა ნორვეგიელი მეცნიერის, მოგზაურისა და მწერალის **ტურ ჰეიერდალის (1914-2002)**, ცნობილი მოსახურება ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის ტრანსოკეანური მოგზაურობების შესაძლებლობის შესა-

ხებ. ეს არის მეცნიერი, რომელიც ემხრობა პანევროპტიზმს ანუ ჰიპერდიფუზიონიზმის თეორიას, რომლის თანახმად საკაცობრიო ცივილიზაციის აკვანი ეგვიპტეა. იგი თვლიდა, რომ ოკეანეთის კუნძულების განსახლება აღმოსავლეთიდან მოხდა. მიიჩნევდა, რომ უძველეს მეზღვაურებს შეეძლოთ ოკეანეების (მათ შორის წყნარი და ატლანტის) გადალახვა და, შესაბამისად, ადამიანები უხსოვარი დროიდან ახერხებდნენ სამხრეთ ამერიკიდან ოკეანის გავლით მოგზაურობას. ამით მას სურდა დაემტკიცებინა “ძველი სამყაროს“ კულტურული ზეგავლენის შესაძლებლობა კოლუმბადელ ამერიკაზე. ჰეიერდალი არა მხოლოდ თეორიულად იკვლევდა ასეთ შესაძლებლობებს, არამედ თვითონ ცურავდა უძველესი მეთოდით დამზადებული ტივებით. ჰეიერდალის შეხედულებები ნაწილობრივ დადასტურდა 1980-ან წლებში, როდესაც ჩრდ. პერუს ტერიტორიაზე არსებული პირამიდების გათხრებისას, რომლებიც დაახლოებით 900 წლის წინაა აშენებული, მან აღმოაჩინა სტელა ზუსტად ისეთი ტივის გამოსახულებით, როგორსაც იგი ამ წლების განმავლობაში აგებდა. 1993 წელს კანარის კუნძულებზე ბორცვების გათხრებისას მან აღმოაჩინა გუანჩოს უძველესი ხალხის მიერ (რომელიც XV საუკუნეში ესპანელებმა ამოწყვიტეს) აგებული პირამიდები.

ზოგადად რომ ჩამოვაყალიბოთ დიფუზიონიზმის არსი შემდეგში მდგომარეობს:

- კულტურული ელემენტები მიბმულია გეოგრაფიულ გარემოზე;
- კულტურის განვითარების ძირითადი ფაქტორებია - სესხება, გადატანა, შერევა. ამასთან, ხდება არა მხოლოდ მატერიალური, არამედ სულიერი კულტურის (იდეოლოგია, მითოლოგია, რელიგია) ელემენტების გადატანა;
- მოძიებული მასალის სისტემატიზება ისეთი სახით ხდება (ეთნიკური კარტოგრაფირება), რომ ნათლად იკვეთება კულტურულ მოდელთა წარმოშობის ეპიცენტრები (ეთნოგენეზის კერები) და გავრცელების გზები;

- ყოველი კულტურა განიხილება მასში თვითმყოფადი ან ნასესხები ელემენტების სიჭარბის მიხედვით.
- კულტურის თითოეული ელემენტი განიხლება, როგორც განსაზღვრული გეოგრაფიული და ეთნიკური წარმოშობის მოვლენა

დამოკიდებულება ამ თეორიის მიმართ არაერთგვაროვანია. იგი გარკვეული წინააღმდეგობების შემცველია, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარია გეოგრაფიული ფაქტორის როლისა და მნიშვნელობის შეფასების გადაჭარბება კულტურის ელემენტების შექმნის პროცესში და შესაბამისად ადამიანის, როგორც შემოქმედის, როლის დაკნინება. თუმცა დიფუზიონისტების იდეები პრაქტიკულად თანმიმდევრული და პროდუქტიულია. მათ შეიმუშავეს კულტურის ელემენტთა შემადგენელი ნაწილების შედარების, ანალიზის და მსგავსება-განსხვავების დადგენის მეთოდები და, რაც მთავარია, დაიწყო კულტურის დროით-სივრცობრივი მახასიათებლების კვლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Белик А., Культурология: антропологические теории культур, М., 1999
2. Лурье С., Историческая этнология, М., 1997
3. Емельянов Ю., Основы культурной антропологии, Спб, 1994
4. Ember C, Ember M., Cultural Anthropology, 2004
5. Lavenda R., Schultz E., Core concepts in cultural anthropology, 2005
6. Scupin Raimond, Cultural Anthropology, 2006
7. Wulf Ch., Handbuch historische Anthropologie, 1997

Tinatin Ghudushauri **Theory of Culture Spatial Dispersion in Anthropology**

Diffusionism (Lat. diffusio- disperse, leak out) – is a trend which explains development of culture of certain folks not by their independent evolution, but mainly by borrowing cultural

achievements of other people.

Diffusionists have put the idea of evolution and the united historical process opposite to the idea of cultural diffusion that implied spatial relocation of culture and its dispersion from one specific center, or centers.

In their opinion, a possible scheme of cultural development looks like this way: the most important and successful cultural achievements originate from one specific region and disperse afterwards as a result of elemental diffusion.

The goal of Diffusionism was to define the ways and directions of spatial dispersion of culture or cultural elements clearly, reconstruct these directions and identify their source regions and time frames of relocation.

Establishing Diffusionism as an independent scientific direction and its development at the turn of the 20th century is associated with names of the scientists like F.Ratzel, R. Frobenius, F. Graebner, W. Schmidt, W. Koppers, V. Rivers and others.

Unlike evolutionism, Diffusionism is an exogenous theory i.e. it explains the growth and development of culture by external factors. Borrowing cultural innovations is considered to be such a factor for certain cultures. Anthropological comprehension of culture is strange for Diffusionists. For them, an individual is not the creator of culture but its carrier.

The particular merit of this direction is, that they elaborated principally important notions and problems and brought them into scientific circulation, in particular: ways and means of foreign culture development, so called cultural communication channels, such as: trade, conquest, colonization, migration, imitation etc.

There are three main variants of Diffusionism: Invasionism, Theory of Cultural Center, and Cultural-Historic School.

Diffusionism fostered the creation of many modern sociological and culturological theories, in particular: Theory of Modernization, Theory of Migrants' Acculturation, cross-cultural researches, Theory of cultural Innovations and others.

In general, the main idea of Diffusionism is the following:

Cultural elements are linked to the geographic environment;

- Main factors of culture development are: borrowing, transmission and fusion. Besides, not only material, but also

the elements of spiritual culture (ideology, mythology, and religion) are transferred.

- The collected material is systemized (ethnic cartography) in a way, that source epicenters of cultural models (ethnogeny hearths) and ways of dispersion are clearly expressed;
- Each culture is reviewed according to abundance of self-identical or borrowed elements in it.
- Each element of culture is reviewed as a phenomenon having specific geographic and ethnical origin.

The approach toward this theory is not homogenous. It consists of certain contradictions. One of the main ones is going beyond the assessment of role and significance of a geographic factor in the process of creating elements of culture and therefore decaying the role of an individual as of the creator. However, ideas of Diffusionists are practically consistent and productive. They elaborated methods for comparing, analyzing the constituent parts of elements of culture and for defining their similarities and differences. Moreover, they started to study time-spatial characteristics of culture.

ლაერენტი ჯანიაშვილი

ნაციონალური პოლიტიკის კონცეფცია და მეთოდოლოგიური ინოვაცია რუსულ ეთნოლოგიაში

მე-20 საუკუნის ბოლოს აშკარა გახდა, რომ კაცობრიობა თვისებრივად ახალ ეპოქაში შევიდა, რომლის საფუძველიც ერთი შეხედვით ლიბერალური ღირებულებები უნდა ყოფილიყო. თუმცა მალე გაირკვა, რომ პერსპექტივა, თითქოს დიდი სახელმწიფოების ინტერესთა პრიორიტეტულობა და შესაბამისად სერიოზული კონფლიქტები წარსულს ჩაბარდებოდა უფრო მირაჟია ვიდრე რეალობა. ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებები ”ახალი მსოფლიოსთვისაც” არ არის უცხო.

პოსტსაბჭოურ სივრცეში მომხდარმა პოლიტიკურმა

და ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა თავისებური დადი დაასვა ამ ტერიტორიაზე წარმოქმნილ ახალ პოლიტიკურ ერთეულებს. დამოუკიდებელი სახელმწიფოები დადგენენ დიდიშემოსავლის წინაშე განესაზღვრათ პოლიტიკური ორიენტირები და მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული განვითარების კონცეფციები შეექმნათ. საბჭოთა კავშირის ადგილზე პრეტენზია განაცხადა რუსეთმა. გაჩნდა შესაბამისი გეოპოლიტიკური თეორიაც, რომელიც აპრიორად იღებს ორპოლუსიანი მსოფლიოს არსებობას, სადაც დაპირისპირება გარდაუვალია. ცხადი გახდა, რომ რუსეთი ცდილობს ჰეგემონობის შენარჩუნებას ამ ტერიტორიაზე და სათანადო ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების მობილიზაციასაც ახორციელებს. უნდა ითქვას რომ, მოსკოვი ტრადიციულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეთნოპოლიტიკური პროცესების რეგულირებას, რაც წარმოუდგენელია ეთნიკურ ერთობათა თავისებურებების შემსაწვლელი მეცნიერებების განვითარების გარეშე.

ხალხის (ეთნოსის) შესწავლა რუსულ ეთნოგრაფიულ სკოლაში ტრადიციულად ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ტერმინი (ეთნოსი) რუსეთში სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა XX ს-ის პირველი ნახევრიდან. ერთ-ერთი პირველთაგანი ვინც იგი გამოიყენა იყო სერგეი შიროკოვოვი. ეთნოგრაფიის განსაკუთრებულ ამოცანას იმთავითვე წარმოადგენდა პერიფერიებში მცხოვრები შედარებით მცირე სოციალური ან რელიგიური ჯგუფების კვლევა. მცირე სუბეთნიკური და ეთნოკონფესიური ჯგუფები ასევე მოიაზრებოდნენ კვლევის საგნად, მაგრამ მხოლოდ იმ ხალხზე (ეთნოსებზე) სრული წარმოდგენის შესაქმნელად, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ.

უკანასკნელ ხანებში რუსულ ეთნოლოგიაში თანდათანობით შემოვიდა ტერმინები “კულტურული ანთროპოლოგია” და “სოციალური ანთროპოლოგია”. ანთროპოლოგია, როგორც მეცნიერება ადამიანის შესახებ ბუნებრივია, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში (საბჭოთა ეპოქამდე) იყო

მოქცეული რუსი მეცნიერების თვალსაწიერში.¹⁸ იმ ხანებში ეს პრობლემატიკა მთელს მსოფლიოში აქტუალური იყო. ამასთანავე, ცალკე ინდივიდის შესწავლა მისი ხასიათით, ტემპერამენტით, ფიზიკური მონაცემებით, ფსიქიკური წყობით საბოლოოდ ერთად აღებული ამა თუ იმ ხალხის აზროვნების, შემოქმედების, პოტენციალურ შესაძლებლობებს ასახავს და აქედან გამომდინარე მათი ქცევის პროგნოზირების საშუალებას იძლევა. ამ ტიპის კვლევას, რა თქმა უნდა, რუსეთი თავისი გეოსტრატეგიული გათვლების განსახორციელებლად ხელიდან არ გაუშვებს.¹⁹

კულტურულსა და სოციალურ ანთროპოლოგიას შორის განსხვავებას ხედავენ შესწავლის საგანშიც. კულტურული ანთროპოლოგიის ძირითად საგნად ითვლება კულტურა რომელიც განსახიერებულია, საგნებში, სიტყვებსა და ქმედებებში. ეთნოგრაფები სწავლობენ ძირითადად მის იმ ნაწილს, რომელიც ცალკეული ხალხების სპეციფიკას წარმოადგენს. ანთროპოლოგისათვის კი სიმძიმის ცენტრი შეიძლება სხვა იყოს, მაგ მოტოციკლეტისტების გაერთიანება, როცა ის გარკვეული ნიშნებით და თვითშეგნებით გამოირჩევა.²⁰

მე-20 ს-ის 90-იანი წლებიდან რუსეთში ყალიბდება თავისებური ეთნიკური სიტუაცია, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ისტორიულ მრავალფეროვნებას დაემატა მეტად სპეციფიკური ეთნომიგრაციული ნაკადები. ამიტომაც, საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის გარდა, რუსეთის პოლიტიკურმა და სამეცნიერო წრეებმა იმთავითვე დიდი ადგილი დაუთმეს ქვეყნის საშინაო განვითარების სტრატეგიის შექმნას. 1996 წელს გამოვიდა რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ნაციონალური პოლიტიკის კონცეფციის შესახებ

¹⁸ Тишков В.А. Реквием по этносу: исследования по социально – культурной антропологии. М.2003; Арутюнов С.А. Рыжакова С.И. Культурная Антропология. М. 2004

¹⁹ პ. ყოფიანი, ეთნოლოგიური მეცნიერების მეთოდოლოგიისათვის, ქართული ეთნოლოგია I, თბ., 2005, გვ. 67.

²⁰ Арутюнов С.А. Рыжакова С.И. Культурная Антропология. М. 2004 с.15-17

(“Концепция государственной национальной политики Российской Федерации.”).

ვ. ტიშკოვი ასე განსაზღვრავს ნაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის არსს ”Национальная политика” - это политика обеспечения национальных (государственных) интересов страны и российского общества на внутренней и международной арене.”²¹

ქვეყნის შიგნით ნაციონალური კონცეფციის ძირითად მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ეთნიკური იდენტობის მქონე მოქალაქეთა საერთორუსულ სახელმწიფოში ინტეგრაცია. ძირითადი აქცენტი ამ დროს კეთდება არა ამ ადამიანთა ეთნოკულტურული თავისებურებების შენარჩუნებაზე, არამედ მათ სრულ ასიმილაციაზე. “Эта двойная стратегия больше отвечает интересам рядовых граждан разных национальностей, которые хотят, чтобы их дети разговаривали без акцента и писали сочинение без ошибок на русском языке, чтобы поступить в хороший вуз и получить образование”.²² ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუშლიდა ამგვარ “ინტეგრაციას” – პირველ რიგში ცალკეულ ეთნიკურ ერთეულთა მისწრაფებამ თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის, შეიძლება უკიდურესი გამოხატულებები მიიღოს (შეიარაღებული გამოსვლები, რელიგიური დაპირისპირებები და ა.შ.). ამავე დროს რუსეთი რჩება ქვეყნად სადაც ძალზე მაღალია სამუშაო ემიგრაცია. შესაბამისად, საკმაოდ მაღალია ეთნიკურ დიასპორათა აქტივობის ხარისხი, რაც ისტორიულ სამშობლოსთან ეთნიკური და რელიგიური კავშირების შენარჩუნებისკენ სწრაფვაშიც გამოიხატება, რაც შეუსაბამობაში მოდის რუსეთის ნაციონალური პოლიტიკის მიზნებთან. “ქვეყნის დიასპორიზაცია უნდა შეჩერდეს. სახელმწიფოს მოქალაქეები არ შეიძლება დიასპორად ითვლებოდნენ, ისევე როგორც დიასპორა ვერ იქნება მოსკოვში მცხოვრები ჩეჩნური ან თათ-

²¹ Тишков В. Как обновить концепцию национальной политики? // Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N48, 2003

²² იქვე

რული თემა. სხვაგვარად დიასპორას უნდა მიეწეროს სახელმწიფოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი”²³

XX საუკუნის ბოლოს განვითარებული მიგრაციული პროცესების შესახებ მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს საზოგადოებაში, განსაკუთრებით, მასმედიაში და სამეცნიერო წრეებში. ერთი მხრივ, ხდება საზოგადოების სტერეოტიპიზაცია მიგრანტთა საწინააღმდეგოდ²⁴, მეორე მხრივ მიგრაციული პოლიტიკის განსაზღვრისას ძალზე კარგად ესმით მიგრაციის პოზიტიური როლი რუსეთისათვის.²⁵

სახელმწიფო მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებაზე გარკვეულ ზემოქმედებას სხვადასხვა ფაქტორები ახდენს. ხელისუფლების ნებას ასრულებენ ცალკეული სახელმწიფო მოხელეები, ხოლო ახმოვანებენ მედიის წარმომადგენლები. ზოგჯერ მედიაში ეს დებულებები არაადეკვატური ფორმით არის გამოთქმული და საზოგადოებაში სტერეოტიპების ფორმირებას ემსახურებოდა. მაგ. ბ. ჯერელიევსკი მიიჩნევს, რომ [არაკეთილგანწყობილ მიგრანტებს] “შეუძლიათ არა მარტო მოწყვეტონ უმსხვილესი შავიზღვისპირა

²³ იქვე

²⁴ Осипов А.Г., Идеология "миграционной политики" как элемент конструирования этнической конфликтности (на примере Краснодарского и Ставропольского краев. Интернет-версия: http://www.igpi.ru/info/people/osipov/krasnodar_stavr.html; О соблюдении Российской Федерацией Международной конвенции о ликвидации всех форм расовой дискриминации Альтернативный доклад НПО. 2002 г. Интернет-версия: <http://www.hro.org/docs/rep/race/index.htm>; Региональная общественная организация «краснодарский правозащитный центр», мониторинг проявлений национализма, ксенофобии и нетерпимости в Краснодарском Крае. Доклад/ Интернет-версия: <http://www.hro.org/krasnodar>; Э. Паин, Этнополитический экстремизм в России: социально-культурные истоки и причины неэффективности принимаемых мер противоядия Этническая ситуация и конфликты в государствах СНГ и Балтии. Ежегодный доклад Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, 2004 / Под ред. В. Тишкова и Е. Филипповой. М., 2005

²⁵ Тишков В. Закон о гражданстве, миграции и межэтнические отношения //Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N41, 2002.

პორტი, ნოვოროსიისკი, ყველა სატრანსპორტო მაგისტრალს, არამედ – მოახდინონ ქვეყნის მთელი ინფრასტრუქტურის პარალიზება”²⁶. როგორც წესი, ამგვარი ანალიზი დაფუძნებულია ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირთა ცალკეულ განცხადებებზე. უზარმაზარი საფრთხის შემცველად მოიაზრება სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებთან სიახლოვეს “ეთნიკურ მიგრანტთა კომპაქტური დასახლებები.” ამგვარ ობიექტებად მიჩნეულია: რკინიგზის სადგურები, ფედერალური გზები, ნავთობტერმინალები, აეროდრომები, სასმელი წყლის საცავები, ელექტროსადგურები და სხვ.

საყურადღებოა, რომ მიგრანტებს ხშირად ანიჭებენ მტრული ”ერზაც ობიექტების” როლს, ე.ი. ხდება “დამცავი სარქველების” თეორიის პრაქტიკაში გატარება. ამ თეორიის არსი მდგომარეობს კონფლიქტის საშუალებით დაძაბული სიტუაციის განმუხტვაში. დაძაბულობის განმუხტვისათვის შეიძლება გამოყენონ ერზაც ობიექტები (დამცავი სარქველები), რომლებზეც მიიმართება აგრესია. თუ ასეთი ობიექტები არ არსებობს შეიძლება მათი ხელოვნური შექმნაც.²⁷ ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ, რომ, სინამდვილეში, საზოგადოებაში სტაბილურობის შენარჩუნება ადვილდება, თუ უმცირესობები სრულფასოვან მონაწილეობას დებულობენ დომინანტი საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.²⁸

იმავედროულად, სამეცნიერო წრეებში გვხვდება განსხვავებული მსჯელობაც. Чтобы исправить негативную тенденцию нескольких последних лет, когда многие молдаване и украинцы стали предпочитать уезжать на заработки не в Россию, а в Турцию, Болгарию, Грецию или Италию, нужно внести до-

²⁶ Б. Джерелиевский, Спецназ России, №:06(68), Кубань: признак Косово.

²⁷ Меликишвили Л., Полиэтническое общество и конфликт. Тб., 1998, с. 10-11.

²⁸ ლ. მელიქიშვილი, კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, პროექტის ავტორი ლ. მელიქიშვილი, მშვიდობისა, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1998, გვ.1

полнение к принятому закону о гражданстве и установить для жителей постсоветских государств облегченный режим въезда, получения права на работу и обретения гражданства. Этот вопрос имеет не только экономическое, но и политическое значение. Чем больше молдаван будет зарабатывать себе на жизнь в России, тем меньше будет антироссийских митингов в Кишиневе.²⁹

ზემოსხენებული სიტუაციიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა მეთოდოლოგიური ინოვაციების განხორციელება კულტუროლოგიურ დისციპლინებში, რათა რუსულ მეცნიერებას შეესრულებინა პრაქტიკული ამოცანები და ამასთანავე ფეხი აება დასავლური სკოლებისთვის. ინოვაციებს სათავეში ჩაუდგა ჰუმანიტარ მკვლევართა ახალი თაობა.³⁰ ამ მიდგომის საპროგრამო დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს “რეკვიემი ეთნოსზე”, რომელშიც მოცემულია საბჭოთა იდეოლოგიური პარადიგმის ე. წ. პრიმორდიალიზმის კრიტიკა და გადმოცემულია პოსტმოდერნისტული ანუ კონსტრუქტივისტული იდეა. პრიმორდიალური მიდგომის თანახმად ეთნიკურობა ავტომატურად ყალიბდება ისეთი ობიექტური მოცემულობების შედეგად როგორცაა – ენა, ფიზიკური თვისებები, რელიგია, ტრადიციულ-ყოფითი და ყოველდღიური კულტურის თავისებურები. კონსტრუქციული მიდგომა კი აქცენტს აკეთებს ადამიანთა მიერ გარემომცველი რეალობის აქტიურ შემოქმედებით ინტერპრეტაციაზე. ამ აზრის თანახმად, ობიექტური მოცემულობანი წარმოადგენს მხოლოდ ამგვარი სახის ინტერპრეტაციის ნედლეულს. ერთიდაიგივე ობიექტურ საფუძვლებს ადამიანებმა შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა მისცენ თავიანთი კონკრეტული ინტერესების და სიტუაციის შესაბამისად. მაგალითად, ეთნიკური იდენტობის განსაზღვრისას შეიძლება აქცენტი გააკეთდეს ხან ენაზე, ხან

²⁹ Тишков В. Закон о гражданстве, миграции и межэтнические отношения //Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N41, 2002

³⁰ ამ მკვლევართა შორის გამოირჩევიან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი განათლებით ამერიკანისტი ვ. ტიშკოვი და ს. სოკოლოვსკი.

კულტურულ თავისებურებებზე, ხან კი რელიგიაზე და ა.შ.

თუ თანამედროვე პროცესებს საფუძვლად უძევს არა მხოლოდ მსოფლიო სისტემების და ორგანიზმების ევოლუცია არამედ გლობალური ინტეგრაციის და ლოკალური ავტონომიის (გლობალიზაციის) ფაქტორები, მაშინ ლოგიკურად ისმის კითხვა, ეთნოგრაფიულ მეთოდში (ჩართული დაკვირვების მეთოდი) ძირითადად რად არ უნდა ჩაითვალოს განწყობა დაინახო ყველაფერი ყველაფერში (ეძებო რაც გინდა?). თუ მეცნიერი მიზნად დაისახავს შეისწავლოს ტრადიციული კულტურა, როგორც ოდესღაც არსებული ან ძლივსდა შენარჩუნებული. ამ შემთხვევაში კულტურის კვლევისას, იგი ვერ ხედავს სჭიროებას შეისწავლოს გზისპირა ბაზარი, ბენზოგასამართი სადგური, ავტობუსის გაჩერების ადგილმდებარეობა და დასახლება, ხოლო მაკდონალდსი და ხმამაღალი პოპმუსიკა სოფლად მას ადაშფოთებს, როგორც ტრადიციული კულტურის საფუძვლების დამშლელი.

პოსტმოდერნისტებს მედასავლეთეებსაც უწოდებენ და მათ ძირითადად ძველი თაობის ეთნოლოგები უპირისპირდებიან, როგორც არანაციონალურ (გლობალურ-კოსმოპოლიტურ) მიმდინარეობათა აპოლოგეტებს. თუმცა უნდა ითქვას, რომ კონსტრუქტივისტებმაც დაიწყეს რუსულ წიაღში საფუძვლების ძიება და აპროტესტებენ, რომ ევოლუციურ-პოზიტივისტური მიდგომის მიმდევრები, რომლებიც ეყრდნობიან მორგანის, მარქსის, დარვინის, სპენსერის, ტაილორის და ვებერის (ე.ი დასავლელ მეცნიერთა) მოძღვრებებს მათ მედასავლეთეებად აცხადებენ, მაშინ როდესაც პოსტმოდერნიზმს რუსული ფესვები აქვს, იგი ბახტინისა და რუსული ლიტერატურული და სახვითი ავანგარდის სახელს უკავშირდება.

კონსტრუქტივისტების მოღვაწეობა ბუნებრივად იწვევს ახალი მეთოდების შემოტანას. ისინი კრიტიკულად უცქერიან ე.წ. ტრადიციონალისტების მიდგომას პრაქტიკოს (საველე) ეთნოგრაფთა და ე.წ. თეორეტიკოსებად დაყოფის შესახებ, თუმცა მათ განსაკუთრებულ კრიტიკას იწვევს არა ერთოდოქსალურად მოაზროვნე ძველი თაობის ეთნოგრაფიული სკოლა, რომლის წარმომადგენლებიც გამოწველილვით იკვლევენ პრობლემებს, არამედ ნეოფიტები, რომლებიც ზედაპირ-

რული ხედვით, საკითხებისადმი არაკომპენტური და თავ-
ხედური მიდგომით ხასიათდებიან. მეთოდოლოგიური აპარა-
ტის შეცვლა მათი აზრით, უმტკივნეულოდ, თაობათა ფიზი-
კური ცვალებადობის შედეგადაც შეიძლება განხორციელ-
დეს.

რუსული პოლიტიკური კულტურის ტრადიციიდან გა-
მომდინარე მეთოდოლოგიური ინოვაცია და ახალი მეთო-
დების დანერგვა იმთავითვე ორიენტირებული იყო კვლევის
შედეგების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებისაკენ.
ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად, ამ მხრივ, ითვლე-
ბა ნაციონალური პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციე-
ლება ქვეყნის შიგნით.

სწრაფმა ტექნიკურმა პროგრესმა, მიგრაციული პოლი-
ტიკის წინააღმდეგობრიობამ, ერთაშორისი ურთიერთობების
გამწვავებამ და მედიის იდეოლოგიური წნეხისგან მეტნაკლე-
ბად განთავისუფლებამ დღის წესრიგში დააყენა ახალი
მეთოდების დანერგვის აუცილებლობა. რუსეთის სამეცნიერ-
ო საზოგადოება ცდილობს არ ჩამორჩეს დროს. ახალი
ტექნოლოგიები ფართოდ დაინერგა ჰუმანიტარულ მეცნიერ-
ებებში, მათ შორის ეთნოლოგიაშიც.

შეიძლება დასახელდეს რამოდენიმე მეთოდი, რომელ-
თა შემოტანაც ამ ბოლო ხანებში მოხდა. ასეთებია, მაგალი-
თად, კონტენტ- და დისკურს-ანალიზის და ვიზუალური
ანთროპოლოგიის მეთოდები.

კონტენტ-ანალიზის მეთოდების შემოტანა ბუნებრივად
განაპირობა პრესის განთავისუფლებამ სახელმწიფო ზედა-
მხედველობისაგან. კონტენტ-ანალიზის სფუძველს წარმოა-
დგენს თვისებრივი მახასიათებლების რაოდენობრივი გამო-
ხატულება. მაგ. ქსენოფობიური გამონათქვამების რაოდე-
ნობის განსაზღვრით შეიძლება წარმოდგენა შეიქმნას შე-
მწინარებლობის ხარისხზე. მაგრამ აღსანიშნავია, რომ
სტატისტიკური დამუშავება ხშირად მიდის გარკვეულ გა-
მარტივებამდე აზრობრივი ნიუანსების დაკარგვამდე. ამას-
თანავე, იგივე ქსენოფობიის კვლევისას მასალა შეიძლება
შეიცავდეს ფარულ ირონიას, მუქარას, იკითხებოდეს
სტრიქონებში შორის და ა.შ ამდენად კონტენტ-ანალიზის მე-
თოდი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც დამხმარე.

ბოლო ხანებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა დისკურს-ანალიზს. დისკურსის კრიტიკული ანალიზი წარმოადგენს კომპლექსურ მეთოდოლოგიას, რომელიც წარმოდგება რასობრივი, ეთნიკური და სხვა წარმოდგენებისა და სტერეოტიპებისგან. ამასთან, დისკურსი განიხილება, როგორც რთული კომუნიკატიური მოვლენა, რომელიც ტექსტის გარდა შეიცავს სოციალურ ფაქტორებს. ცალკე უნდა აღინიშნოს ვიზუალური ანთროპოლოგია, რომელიც დოკუმენტური კინემატოგრაფიისა და ჰუმანიტარული დარგების გასაყარზე დგას. ვიზუალური ანთროპოლოგიის საგანია ყოველდღიური ყოფის აღწერა და ფიქსირება ვიზუალური საშუალებებით – ფოტოებით, სლაიდებით და დოკუმენტური ეთნოგრაფიული ფილმების საშუალებით. განსაკუთრებული ეტაპი ამ მეთოდის გამოყენებისას არის ველზე მოპოვებული მასალის დამუშავება.

ამდენად, შეიძლება ითქვას რომ ინოვაციები, რუსულ ჰუმანიტარულ სამეცნიერო დარგებში კორელაციაშია არსებულ კონიუნქტურასა და ე.წ. ნაციონალური უსაფრთხოების პოლიტიკასთან. ახალი მეთოდების დანერგვა ორიენტირებულია კვლევის შედეგების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებისკენ. მნიშვნელოვან მიმართულებად, ამ მხრივ, წარმოგვიდგება ნაციონალური პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება ქვეყნის შიგნით. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო განხორციელებული ქმედებები (მაგ. ეთნიკური მიგრაციების შეზღუდვა) თითქოს არ ეთანხმება სამეცნიერო ლოგიკას, მაგრამ, როგორც წესი, ეს ქმედებები მყისიერ ეფექტზეა გათვლილი და სახელმწიფო პოლიტიკის სტარტეგიული ხაზი ისევე მაღევე აღდგება ხოლმე. რუსეთის სამეცნიერო საზოგადოება ცდილობს არ ჩამორჩეს დროს. როგორც ახალი მეთოდები ისე, ახალი ტექნოლოგიებიც ფართოდ ინერგება ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მათ შორის ეთნოლოგიაშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. მელიქიშვილი, კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, პროექტის ავტორი ლ.

- მელიქიშვილი, მშვიდლობისა, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1998
2. პ. ყიფიანი, ეთნოლოგიური მეცნიერების მეთოდოლოგიისათვის, ქართული ეთნოლოგია I, თბ., 2005,
 3. Арутюнов С.А. Рыжакова С.И. Культурная Антропология, М. 2004
 4. Джерелиевский Б, Спецназ России, №:06(68), Кубань: признак Косово.
 5. Меликишвили Л., Полиэтническое общество и конфликт. Тб., 1998.
 6. Тишков В.А. Реквием по этносу: исследования по социально –культурной антропологии. М.2003
 7. Тишков В. А. Как обновить концепцию национальной политики? //Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N48, 2003
 8. Тишков В. А.Закон о гражданстве, миграции и межэтнические отношения //Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N41, 2002.
 9. Осипов А.Г., Идеология "миграционной политики" как элемент конструирования этнической конфликтности (на примере Краснодарского и Ставропольского краев. Интернет-версия: http://www.igpi.ru/info/people/osipov/krasnodar_stavr.html
 10. О соблюдении Российской Федерацией Международной конвенции о ликвидации всех форм расовой дискриминации Альтернативный доклад НПО. 2002 Интернет-версия: <http://www.hro.org/docs/rep/race/index.htm>
 11. Региональная общественная организация «краснодарский правозащитный центр», мониторинг проявлений национализма, ксенофобии и нетерпимости в Краснодарском Крае. Доклад/ Интернет-версия: <http://www.hro.org/krasnodar>.
 12. Э. Паин, Этнополитический экстремизм в России: социально-культурные истоки и причины неэффективности принимаемых мер противодействия Этническая ситуация и конфликты в государствах СНГ и Балтии. Ежегодный доклад Сети этнологического мониторинга и раннего преду-

преждения конфликтов, 2004 / Под ред. В. Тишкова и Е. Филипповой. М., 2005.

Lavrenti Janiashvili

National policy and methodological innovation in Russian ethnology

The problem of correlation of the innovations in humanities and national security in Russia is analysed in the paper. The data proves that the development of new methods is orientated on the using the results of the research according the political goals. From this point of view the important trend is the planning of national policy and its embodiment inside the state. The scholars community in Russia tries to follow the agenda of the time. The new methods and technologies are implemented and developed in the humanitarian sciences as well as in ethnology.

მურმან გორგოშაძე,
მანუჩარ ლორია,
ლევან ჯაყელი

იურიდიული ანთროპოლოგიის საგნის საკითხისათვის

ადამიანის რთული და მრავალფეროვანი ბუნება ანთროპოლოგიურ თემატიკას ამოუწურავს ხდის. ანთროპოლოგიური თემატიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ადამიანთა საზოგადოებაში ცხოვრების პირობების, მისი ინტელექტისა და ემოციონალურობის გამოვლენის ფორმების შესწავლა წარმოადგენს (Пулан, 2000:7). ანთროპოლოგიის ამ მიმართულებით კვლევის გაფართოებამ შესაძლებელი გახადა იურიდიულ და ეთნოგრაფიულ, განსაკუთრებით სამართლის ისტორიისა და შედარებითი სამართლისმცოდნეობის მონაცემების საფუძველზე წარმოშობილიყო როგორც ანთროპოლოგიური, ასევე იურიდიული კვლევის ახალი მიმართულება – „იურიდიული ანთროპოლოგია“, რომელსაც „სამართლის ანთროპოლოგიის“ სახელითაც მოიხსენიებენ. იურიდიულ ანთროპოლოგიას, როგორც ინტერდისციპლინურ სამეცნიერო მიმართულებას მჭიდრო კავშირი აქვს ისეთ დარგებთან როგორცაა სოციოლოგია, კულტუროლოგია, ისტორია, ფილოსოფია და სხვა. ამ კუმანიტარულ მეცნიერებებთან იურიდიული ანთროპოლოგიის კავშირი მისი საგნისა და ობიექტის სირთულითაა განპირობებული, იურიდიულ ანთროპოლოგიას აინტერესებს სამართალშემოქმედი ადამიანი, სამართალი კი ჩვეულების, ზნეობის, დროის მოთხოვნის, ცხოვრების საზრისის, ზოგადად კულტურის სინთეზია. ამიტომ მისი კვლევა ინტერდისციპლინარულ მიდგომას მოითხოვს.

ჩვენს ქვეყანაში, და საერთოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში იურიდიული ანთროპოლოგიის განსაკუთრებულ აქტუალობას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო სამართლის სხვაგვარი, ასე ვთქვათ, არატრადიციული გააზრების აუცილებლობამაც. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში სამართალი, მისი არსი გაგე-

ბული და დადგენილი იყო გარკვეული საზოგადოებრვეკონომიკური ფორმაციების მიხედვით და სამართლად იწოდებოდა კანონის რანგში აყვანილი გაბატონებული კლასის ნება. მისი ცნებიდან გამოირიცხებოდა სამართლის ზოგადი არსი, ანუ ის რაც მასში ზოგადადამიანურია. ამიტომ - საბჭოთა სივრცეში სამართლის ამ კუთხით კვლევა ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა, რამაც წარმოშვა მრავალი კითხვა სამართლის არსის, მისი ეფექტური რეგულირების და სხვა საკითხების შესახებ.

სამართლის ცალსახად გაგებას, რომლის „გასწორებასაც“ ცდილობს იურიდიული ანთროპოლოგია, ხელი შეუწყო აგრეთვე ჰეგელის ფილოსოფიიდან მომდინარე ტენდენციამ, რომლის მიხედვითაც, სამართლის ნორმები უკვე არსებობს საზოგადოებრივ ურთიერთობებში და კანონმდებელი მხოლოდ აღმოაჩენს და აძლევს მას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სახეს. „ცხოვრებისეული ურთიერთობები თავისთავში მოიცავს თავის ფარგლებსა და წესრიგს“ (Кленнер, 1988: 229) – აღნიშნავენ ამ მიმართულების მომხრეები. სამართლის ამგვარი გაგება უგულებელყოფს სამართლის არსიდან საზოგადოებრივი ცნობიერების, შეფასების, შემოქმედების და ზოგადად ადამიანის ფაქტორს. არადა, ჯერ კიდევ რომაელი იურისტები შენიშნავდნენ, რომ სამართლის ნორმები არ შეიძლება დადგინდეს ერთეული შემთხვევებიდან გამომდინარე (Дигесты Юстиниана, 1996:32).

ყოველივე ამასთან ერთად, სამართლის რეალიზაციისა და სამართლებრივი რეგულირების პროცესში, არსებულმა ხარვეზებმა, სამართლის ნორმების რაოდენობის ზრდამ, მისმა სწრაფმა ცვალებადობამ, საზოგადოების სოციალური ორგანიზაციისა და სამართლებრივი ყოფიერების გართულებამ სამართლის ახალი განზომილებებით შესწავლის მოთხოვნილება წარმოშვა. იზრდება სამართლისმცოდნეობისათვის ე.წ. დამხმარე დისციპლინების როლი სამართლის არსის დადგენის საქმეში. ერთ-ერთ ასეთ დისციპლინას იურიდიული ანთროპოლოგია წარმოადგენს, რომელიც დამოუკიდებელი კვლევის სფეროდ XX საუკუნის 50-

იანი წლებიდან ყალიბდება.

იურიდიული ანთროპოლოგიის ობიექტი სოციალური სინამდვილეა, ამით იგი ემსგავსება სოციალურ ანთროპოლოგიას და მის შემადგენელ ნაწილად გვევლინება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სოციალური სინამდვილე მნიშვნელოვნად გამსმსჭვალულია სამართლის სოციალური შინაარსით. სამართლის სოციალურ შინაარსში ვგულისხმობთ საზოგადოების სოციალური სტრუქტურის განსაზღვრას, სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის პრივილეგიის, მორჩილების თუ კანონთან საყოველთაო თანასწორობის დადგენას, საკუთრების სხვადასხვა ფორმების დამტკიცებას, საოჯახო, სამეურნეო, კორპორაციული, კომერციული, საწარმოო, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა ურთიერთობების დაცვა-რეგულირებას. ამდენად, სოციალური სინამდვილის მნიშვნელოვანი ნაწილი სამართალთანაა დაკავშირებული და იგი დღითი დღე აფართოებს თავის საზღვრებს. სოციალური სინამდვილის სამართლებრივი სფერო არის იურიდიული ანთროპოლოგიის საგანი. მაშასადამე, სოციალურ ანთროპოლოგიას და იურიდიულ ანთროპოლოგიას კვლევის საერთო ობიექტი აქვთ და ეს სოციალური სინამდვილეა, ხოლო კვლევის საგანი სხვადასხვა, იურიდიულ ანთროპოლოგიას, განსხვავებით სოციალური-საგან, აინტერესებს ადამიანთა ქცევისა და ურთიერთობების იურიდიული ასპექტები, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობების იურიდიული მხარე ზოგადად იურისპუდენციის შესასწავლი ობიექტია, ამ თვალსაზრისით, იურიდიულ ანთროპოლოგიას და იურისპუდენციას ერთი და იგივე შესასწავლი ობიექტი აქვთ, ამდენად, იგი შეიძლება იურიდიულ დისციპლინადაც მოვიხაზოთ. უფრო მეტიც, იურიდიული ანთროპოლოგია ყალიბდება დამოუკიდებელ სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინად იურისპუდენციის ფარგლებში (Нерсесаи, 2000:2). ამიტომ იურიდიული ანთროპოლოგიის საგანი შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს, კერძოდ, საჭიროა მოინახოს ის გამმიჯნავი რაც განასხვავებს იურიდიულ ანთროპოლოგიას სხვა იურიდიული დისციპლინებისაგან. ასეთი გამმიჯნავი ადამიანია, იურიდიულ

დისციპლინებს ძირითადად აინტერესებთ პოზიტიური სამართალი, მისი ქმნადობა-რეალიზაციის საკითხები. აქ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმებით შებოჭილი ადამიანია შესწავლის საგანი. მაშინ როცა იურიდიული ანთროპოლოგიისათვის ამოსავალია ადამიანი როგორც სამართალშემოქმედი გონითი არსება. ამდენად იურიდიული ანთროპოლოგიის საგანი „იურიდიული ადამიანია“, უფრო ზუსტად, ადამიანი სამართლებრივი გამოვლინებით, სამართლებრივი განზომილებებით, სამართლებრივი ქცევებით. ადამიანი არა მხოლოდ ბიო-სოციალური რეალობის, არამედ ამასთანავე და უპირატესად სულიერი და გონითი სამყაროს წარმომადგენელია და სწორედ ეს ქმნის მის საკუთრივ ადამიანურობას (კვარაცხელია, 2006: 14-15). იგი საკუთარი თავის აღმომჩენიცაა და შემოქმედიც. მისთვის ნიშანდობლივია ის, რომ იგი ქმნის მიზნისეულ სურათს, რომელშიც შემდგომ თავადაც მონაწილეობს, როგორც ამ ყოფიერების შემქმნელიც და წევრიც (ბუაჩიძე, 2003:5). ამ მიზნისეული სურათის ერთი დიდი, უდიდესი თუ არა, ნაწილი სამართალია. ამიტომ სამართალს უნდა მოეძებნებოდეს ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე მეტაფიზიკური დაფუძნება. იურიდიული ანთროპოლოგიის მიზანი, მისი საგანი სამართლის ამ კუთხით კვლევა წარმოადგენს.

თუ ჩავთვლით რომ იურიდიული ანთროპოლოგიის კვლევის საგანი ადამიანია სამართლებრივი გამოვლინებით და განზომილებებით, მაშინ ნათელი გახდება მისი მჭიდრო კავშირი (რომ არაფერი ვთქვათ მის კავშირზე სამართლის ისტორიასთან, სამართლის სოციოლოგიასთან, შედარებით სამართლისმცოდნეობასთან და სხვა იურიდიულ დისციპლინებთან), ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფილოსოფიის სხვადასხვა დარგებთან. ანთროპოლოგიის დარგებთან იურიდიული ანთროპოლოგია ყველაზე ახლოს ფილოსოფიურ ანთროპოლოგიასთანაა, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს ადამიანის რაობის დამდგენ დისციპლინას (მშვენიერაძე, 2005:11). შესაბამისად მისი კვლევის შედეგები აუცილებელია „იურიდიული ადამიანის“ შესასწავლად.

რაც შეეხება ეთნოლოგიასთან იურიდიული ანთროპოლოგიის მიმართებას, უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოგრაფია, განსაკუთრებით კი ე.წ. იურიდიული ეთნოგრაფია, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი იურიდიული ანთროპოლოგიის შემადგენელ ნაწილად განიხილავს (Саидов, 2004:65), იძლევა ტრადიციულ საზოგადოებებში ადამიანის მიერ შექმნილი სამართლებრივი რეალობის რეტროსპექტულ ანალიზს და მის აწმყოში განფენის საშუალებას. მის მიერ შეგროვებული და კლასიფიცირებული მასალა ფასდაუდებელ სამსახურს უწევს იურიდიულ ანთროპოლოგიას თავისი საგნის კვლევაში. ამასთან, იურიდიული ანთროპოლოგია არ შემოიფარგლება მხოლოდ არქაული სამართლებრივი სისტემების კვლევით, საკუთარი მიზნის მიღწევისათვის მას თანამედროვე სამართლებრივი სისტემებიც აინტერესებს, სხვანაირად ადამიანზე, როგორც სამართალშემოქმედ არსებაზე, სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია. იგი არ არის სამართლის ისტორიის ან ეთნოგრაფიის დამატება, მისი მიზანია ტრადიციული და თანამედროვე სამართლებრივი სისტემების ურთიერთშემოქმედების შემეცნების გზით ადამიანის სამართლებრივი ყოფიერების კვლევა (Ковлер, 2003:23).

როგორც ცნობილია, სამართალი წარმოადგენს ამა თუ იმ ერის თვითგამოხატვის ერთ-ერთ საშუალებას, იგი ერის კულტურის, ტრადიციის, მემკვიდრეობის, მიზნების და ზოგადად სულიერების დომინანტთა შემცველი ფენომენია. მასში აკუმულირებულია ის სოციო-კულტურული კონტექსტი, რომელიც უშუალოდ კანონში შეიძლება არც იყოს დაფიქსირებული (ТИШКОВ, 2000:51-62). ამ კონტექსტებსა და დომინანტებს ფილოსოფიური დისციპლინები შეისწავლიან, რაც განაპირობებს იურიდიული ანთროპოლოგიის მჭიდრო კავშირს მათთან, განსაკუთრებით კი სამართლის ფილოსოფიასთან, იმ თვალსაზრისით რომ იგი სამართლებრივი სისტემის შემქმნელ იდეებს იკვლევს და ამით უშუალოდ უწყობს ხელს იურიდიული ანთროპოლოგიის პრობლემათა კვლევას.

მაშასადამე, იურიდიული ანთროპოლოგიის შესას-

წავლ ობიექტს სოციალური სინამდვილე წარმოადგენს, საგანს კი ამ სინამდვილის მნიშვნელოვანი ნაწილის – სამართლებრივი რეალობის შემოქმედი ადამიანი სამართლებრივი განზომილებებითა და გამოვლინებებით. იურიდიული ანთროპოლოგიის მიზანია, ტრადიციული და თანამედროვე საზოგადოებების სამართლებრივი სისტემების კონკრეტული იურიდიულ-ანთროპოლოგიური გამოკვლევების საშუალებით შეისწავლოს ადამიანის სამართლებრივი ყოფიერების სულიერი და ღირებულებათი ძირები სხვადასხვა პირობებსა და სხვადასხვა ეტაპებზე, შეიმუშაოს ზოგადთეორიული დებულებები სამართლის შესახებ, გაამდიდროს მისი შინაარსი ახალი ასპექტებით და შესაბამისად ხელი შეუწყოს სამართლის რეალიზაციისა და სამართლებრივი რეგულირების პროცესებს.

იურიდიული ანთროპოლოგიის მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ მისი როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი როლის შესახებ. იურიდიული ანთროპოლოგიის „ფუნდამენტურობა“ იმაში გამოიხატება, რომ იგი ხელს უწყობს სამართლის ცნებისა და სამართლებრივი ველის ქმნადობის პროცესების ახსნას, ხოლო გამოყენებითი, პრაქტიკული მნიშვნელობა კი ისაა, რომ სამართლის სულიერი და ღირებულებითი ძირებიდან გაგება მნიშვნელოვნად წაადგება გლობალიზაციით, დინამიზმითა და ინტეგრაციით ნიშანდებულ თანამედროვე ეპოქას ეროვნული სამართლებრივი ორიენტაციის გაკეთებაში, რითაც თავიდან ავიცილებთ რუსოსეულ შენიშვნას გაკეთებულს პეტრე პირველის მიმართ, რომლის მიხედვითაც პეტრე პირველმა მოისურვა თავისი ქვეშევრდომები ინგლისელებად და გერმანელებად ექცია, ნაცვლად იმისა, რომ რუსები გაეხადა. პეტრე რუსებს უნერგავდა, რომ ისინი სხვანი არიან და არა ის, რასაც სინამდვილეში წარმოადგენდნენ, და ამით ხელი შეუშალა, ოდესმე იმად გამხდარიყვნენ, რაც შეეძლოთ (ჟან ჟაკ რუსო, 1997:48). ერთი სიტყვით, იურიდიული ანთროპოლოგიის მონაცემების გათვალისწინება კანონშემოქმედებით საქმიანობაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეროვნული სულისა და ეროვნული კანონმდებლობის იდენტიფიკაციას, რაც თავის მხრივ,

კანონებს ცხოვრების წესთან მიმართებაში უფრო „მგრძობიარეს“ გახდის.

ზოგადად ანთროპოლოგიის მიმართ საბჭოთა იდეოლოგიის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, საქართველოში ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემათიკის კვლევა-ძიება, ქართველი ფილოსოფოსების წყალობით, ნაყოფიერად მიმდინარეობდა, რასაც ვერ ვიტყვით იურიდიული ანთროპოლოგიის შესახებ. თუმცა, ქართულ ეთნოგრაფიას კვლევის მნიშვნელოვანი ტრადიციები და მიღწევები აქვს. თუ გავითვალისწინებთ ქართველი ფილოსოფოსების, სამართლისმცოდნეების, ისტორიკოსების, ეთნოგრაფების მიღწევებს იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იურიდიული ანთროპოლოგიის განვითარებისთვის საქართველოში ნოყიერი ნიადაგი არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუაჩიძე თ. ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბ., 2003.
2. კვარაცხელია ნ. ადამიანი და მეტაფიზიკა. ფილოსოფიური ძიებანი, №10, თბ., 2006.
3. მშვენიერაძე ნ. ადამიანი როგორც შემოქმედი გონითი არსება (ფილოსოფიური ანთროპოლოგია), თბ., 2005.
4. ჟან-ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, თბ., 1997.
5. Дигесты Юстиниана, М., 1996.
6. Рулан Н. Юридическая антропология, М., 2000.
7. Саидов А.Х. О предмете антропологии права. Государство и право, № 2, М., 2004.
8. Тишков В.А. Антропология права - начало и эволюция дисциплины. - Юридическая антропология. Закон и жизнь, М, 2000 - http://www.jurant.ru/ru/books/law_and_life/.
9. Ковлер А.И. антропологии права, М., 2002.
10. Кленнер Г. От права природы к природе права, М., 1988.

Murman Gorgoshadze, Manuchar Loria, Levan Djakeli

On the Issue of Legal Anthropology as a Course

At the beginning of the 21st century the sciences of law and anthropology draws significant attention to the research direction known as the legal anthropology. It has been formed as the real scientific field as a result of merging anthropology and law. The history of this direction began simultaneously in several European countries in the 1860s. However, there are different viewpoints concerning its subject, objectives and methods.

On the basis of the analysis of the diversity of anthropological themes the article deals with the premises of establishing legal anthropology, the objective and subjective conditions of its existence. The subject of legal anthropology is “a legal person” or a person as a social phenomenon with his legal dimensions and peculiarities. It is shown that a human being creates a specific systemic environment with his intellect and emotions for the realization of his personality. He himself participates in this process as its creator and member. Law and legal reality represents a significant part in this systemic environment. Thus the law is one of the main features of humans’ social environment and their being. The study of this law from the anthropological angle and human dimensions in archaic, traditional and modern societies will make the complex layers of legal thinking more easily comprehensive which will in its turn promote: studying law issues with new aspects; enriching teaching legal issues with new contents; identifying national law and national soul; differentiating self-identical and global, etc.

With the purpose of stating the specificity of the subject-matter and the objectives of the legal anthropology as a course, the article discusses the similarities and differences as well as close connections of this direction with other academic disciplines such as law, ethnology, social and cultural anthropology, sociology, philosophy, etc.

**სულიერი კულტურის კვლევა: სტერეოტიპები და
განვითარების პერსპექტივები
(აჭარის მაგალითზე)**

სულიერი კულტურა, როგორც ადამიანის მიერ შექმნილ გარკვეულ ღირებულებათა და ნორმათა ერთობლიობა, არის ადამიანური მოღვაწეობის არა სტატიკური, არამედ დინამიური და განვითარებადი სულიერი პროდუქტი, რომლის პრიორიტეტები საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და ეგუება ახალ რეალობას, მაგრამ, ამავ დროს, თვითშენარჩუნების მექანიზმების მეშვეობით ინახავს საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შექმნილ ფასეულობებს. ამიტომ სულიერი კულტურის ისტორიულ ჭრილში კვლევა საშუალებას იძლევა მის გენეზისს გავადევნოთ თვალი.

ზოგადად კულტურა, როგორც ადამიანის არსებობის ფორმა, ვითარდება და იცვლება საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ და იგი ასახავს და ინახავს ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა ცვლილებას. კულტურა კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღირებულებები და ნორმებია და არის ადამიანთა ნებისმიერი სოციალური გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი (ლ.სურმანიძე, 2001, 38).

თანამედროვე პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულ-რელიგიურმა პროცესებმა საზოგადოების სულიერ კულტურაშიც დიდი ცვლილებები გამოიწვია და დღის წესრიგში დააყენა ამ ცვლილებათა კვლევის აუცილებლობა. შესაბამისად, ახლებურ მიდგომას საჭიროებს კულტურული ცვლილებების პროცესების, ტრადიციული კულტურის ევოლუციის კვლევა. ამ მიზნით მოვლენების მრავალმხრივი შესწავლაა საჭირო, როგორც ისტორიულ, ისე ეთნოსოციოლოგიურ რაკურსში. ამიტომაც თანამედროვე ეტაპზე გასააზრებელია კულტურის, როგორც ერთი მთლიანობის ცვლილებათა ზოგადი კანონ-

ზომიერებები. სულიერი კულტურა დღეს უნდა შეისწავლებოდეს არა მხოლოდ გარედან დაკვირვების მეშვეობით, არამედ შიგნიდანაც, კულტურა გამოხატული საგნებში, სიტყვებში, მოქმედებებში და ა.შ., აგრეთვე, სულიერ კულტურაში მიმდინარე თანამედროვე პროცესები. იცვლება თავად ადამიანი, როგორც კულტურის ელემენტი და მის მიერ შექმნილი საზოგადოების მახასიათებლები.

დღეს, როცა განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს საზოგადოების რელიგიური და ეთნიკური კონსტრუქციების ცვლილებები, ხდება ეთნიკური სტერეოტიპების გადააზრება. სულიერი კულტურის ახალი ტენდენციების კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია აჭარის მაგალითზე, რადგან საქართველოს ეს ძირძველი კუთხე საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნოკულტურათა და რელიგიურ კონფესიათა შეხვედრისა და ურთიერთგაგლეხის სარბიელს და ხასიათდებოდა რელიგიურ რწმენათა და კულტურულ ფასეულობათა სიჭრელითა და სინთეზით. ამიტომ აჭარის სულიერი კულტურის ისტორიული, რელიგიური და სხვა ლოკალური თავისებურებების გათვალისწინებით შესწავლას და მისი ადგილის წარმოჩენას ზოგადქართულ სივრცეში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი პროცესების განვითარების ტენდენციების კონცეპტუალური გააზრებისათვის.

აჭარის სულიერი კულტურა მეცნიერთა არაერთი თაობის ინტერესს იწვევდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შესწავლილი იქნა სულიერი კულტურის სხვადასხვა კომპონენტი, მეურნეობის დარგებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები, ხალხური რელიგიური აზროვნების უძველესი პლასტები და შემდგომი დანაშრევები, ლოკალური თავისებურებანი და ა.შ. ტრადიციულად შეისწავლებოდა სულიერი კულტურის კონკრეტული ელემენტები, როგორც ცოცხალი სოციალური ფუნქციის მოვლენები, რომლებიც განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს ექვემდებარება და აქვს ცვლილებების უნარი (მ. გეგეშიძე, 1978, 13). სწორედ ამ ცვლილებების, კულტურის არა მხოლოდ, როგორც გარკვეულ ეთნოკულტურულ ელე-

მენტა ერთობლიობის, არამედ, ამავე დროს, გარკვეული ცოცხალი ორგანიზმის, ადამიანთან ერთად განვითარებადი სასიცოცხლო გარემოს შესწავლა გვესახება სულიერი კულტურის კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებად.

სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ სულიერი კულტურის კვლევის რამდენიმე ასპექტზე, რაც აჭარის სინამდვილისათვის დღეს მეტად აქტუალურია. კერძოდ, როგორცაა: 1. ეთნოკულტურათა და სხვადასხვა კონფესიათა ურთიერთ და ახალ რეალობასთან ადაპტაცია, 2. სოფლისა და ქალაქის ანთროპოლოგიაში მომხდარი ცვლილებები, 3. ტრადიციული კულტურის ელემენტებზე გლობალიზაციის პროცესების გავლენა, 4. ზემოთაღნიშნულის ფონზე სულიერი კულტურის ფასეულობათა შენარჩუნება. ეს საკითხები, ჩვენი აზრით, ახლებურ ინტერპრეტაციას საჭიროებს, რადგანაც დღეს მთელ მსოფლიოში იცვლება სულიერი ფასეულობები, ყალიბდება ახალი მსოფლმხედველობრივი პოზიცია, ჩნდება ახალი ღირებულებითი ორიენტირები.

დღეს, როცა იქმნება ტრანსკულტურული საზოგადოების თანამედროვე მოდელი, ერთი მხრივ, საჭიროა, შევისწავლოთ კულტურა, როგორც სტრუქტურა, რომელიც კრავს ეთნოსს და იცავს მას დანაწევრებისაგან და, მეორე მხრივ, შესწავლილი უნდა იქნას კულტურათაშორისი კავშირები და კულტურის დინამიკა, როგორც ამ კავშირების ერთ-ერთი შედეგი. ამ მიმართულებით სულიერი კულტურის კვლევა დაგვეხმარება დავსახოთ გზები, რათა ინდივიდმა თავისი თავი ადიქვას, როგორც გარკვეული კულტურის შიგნით მყოფმა, გარკვეული კულტურის მატარებელმა და ამით შეინარჩუნოს ეთნოკულტურული ღირებულებებისადმი ერთგულება, ასევე, კონტაქტები დაამყაროს სხვა კულტურების მატარებელ ინდივიდებსა და ხალხებთან და გამოუმუშავდეს საჭირო შემთხვევაში სხვა ხალხების ტრადიციულ კულტურებთან საერთოს განცდა. ეთნოკონფლიქტების პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას და შესწავლას საჭიროებს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების და ეროვნული უმცირესობების სულიერი კულტურის საკითხები, საერთოს, მონათესავეს, ყველასათვის

მისაღების გამონახვა, რაც თავის წვლილს შეიტანს ეთნო-კონფლიქტების მოგვარებაში. ამ ურთიერთობების რეგულირების მექანიზმების შესამუშავებლად საინტერესო მასალას იძლევა აჭარის მკვიდრი მოსახლეობისა და აჭარაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების (აფხაზები, ოსები, ბერძნები, სომხები ...) ურთიერთადაპტაციის საკითხების კვლევა ისტორიულ ჭრილში და თანამედროვე ეტაპზე. აჭარაში კომპაქტურად მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოკულტურათა მშვიდობიანი თანაარსებობის ფაქტორების, დაპირისპირებისა და სეპარატიზმის არ არსებობის მიზეზების შესწავლა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა ხალხებსა და კულტურებს შორის დიალოგის და ამგვარი ტრანსკულტურული ურთიერთობების საფუძველზე ერთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობების შესახებ.

სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს რელიგია. პოსტკომუნისტურ პერიოდში, როცა საზოგადოება გათავისუფლდა ათეისტური ზეწოლისაგან, ეს ფაქტორი განსაკუთრებით გააქტიურდა. რელიგია უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში.

რელიგია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ სახეს, ურთიერთდამოკიდებულების ფორმებს სხვადასხვა ფენებს, თაობებს და სოციალურ ჯგუფებს შორის; ზოგიერთ შემთხვევაში იგი ეკონომიკური თავისებურებების განმსაზღვრელიცაა. თუმცა საბჭოთა პერიოდში ეს ზეგავლენა შედარებით დაფარული და მიჩქმალული იყო და თავს იჩენდა ყოფით ტრადიციებში (დაკრძალვა, ნათლობა, ქორწინება). ამ მხრივ აჭარაში დანარჩენი საქართველოსაგან განსხვავებული სიტუაცია იყო. აქაურთა რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში რამდენიმე რელიგიური პლასტია შემონახული. რელიგიათა ურთიერთზეგავლენა სინკრეტული ფორმით აყალიბებდა წეს-ჩვეულებებს. მათში სამი რელიგიის – ქრისტიანობამდელი, ქრისტიანული და მუსლიმანური დანაშრეგები გამოიყოფოდა. აქ თავდაპირველად ქრისტიანობა დევნიდა წარმართული ხანის მასობრივ დღესასწაულებს, რომლებიც

შეუთავსებელი იყო ქრისტიანულ მორალთან, შემდგომ კი ისლამი ცდილობდა დაემორჩილებინა ისინი საკუთარი კანონებისათვის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისლამმა ყოფით ჩვეულებებსა (საქორწინო, დაკრძალვის წესები, ნათლობა და სხვ.) და, საერთოდ, საოჯახო ყოფაში უფრო ადვილად შეიტანა კორექტივები, ვიდრე სამეურნეო წეს-ჩვეულებებში. სამეურნეო წეს-ჩვეულებებზე მისი გავლენა მინიმალურია. აჭარაში მუსლიმანობის მიერ ქრისტიანული წესები თითქმის მთლიანად იქნა გამოდევნილი, სამაგიეროდ უფრო მეტად შემორჩა არქაული ფორმები. ეს არა მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ ისლამი დევნიდა ყველაფერ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურს, სხვა რელიგიებსა და ადათ-წესებში კი ნაკლებად ერეოდა, არამედ იმითაც, რომ თავად თურქეთის ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში ისლამური ელემენტების გვერდით შემორჩენილია უძველესი კულტმსახურებისა და რელიგიურ-მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენათა კვალი. ეს კულტები და მითოსური არსებები სემანტიკურ მსგავსებას ავლენენ ქართულ მითოლოგიურ სამყაროსთან, რასაც იმით ხსნიან, რომ თურქულ მითოლოგიასა და წეს-ჩვეულებებზე დიდი იყო ბერძნული და იმ ხალხებისა თუ ტომების არქაულ რწმენა-წარმოდგენათა ზეგავლენა, რომლებიც დახვდნენ თურქ-სელჩუკებს მცირე აზიაში ან რომლებთანაც ოსმალებს ურთიერთობა ჰქონდათ ისტორიულად (Гордлевский В.А., 1960, 321-361; Курылёв В.П., 1976, 131; Еремеев Д.Е., 1971, 243). სხვა ხალხებთან ეთნიკური აღრევისა და მათთან კულტურული კონტაქტების შედეგად თურქულმა ტომებმა შეითვისეს ამ ხალხების უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის თითქმის ყველა ელემენტი. ამან წარმოშვა ბევრი მსგავსი მომენტი რწმენა-წარმოდგენებსა თუ წეს-ჩვეულებებში. შესაძლებელია, სწორედ ასეთი მონათესავე რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების არსებობის გამო ისლამი ნაკლებად ებრძოდა ძველს, არქაულს და კმაყოფილდებოდა მათთვის მხოლოდ მუსლიმანური შეფერილობის მიცემით. იქნებ, ამიტომაც, აჭარაში XIX ს-ის 90-იან წლებამდე ისლამი კლასიკური სახით არც არსებობდა. ის სარწმუნოებრივი ელემენტები, რაც აქ ყოფაში გვხვდებოდა, უფ-

რო ე.წ. “ხალხურ ისლამს” განეკუთვნებოდა და ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ისლამური ელემენტების შერწყმით იყო მიღებული.

როგორც აღვნიშნეთ, ვითარება მკვეთრად შეიცვალა პოსტსოციალიტარულ პერიოდში. მოხდა რელიგიური აღმსარებლობის ლეგალიზაცია და ფართოდ გავრცელებული ორთოდოქსალური რელიგიების (ისლამი, ქრისტიანობა) ინსტიტუტები ჩაენაცვლენ ხალხურ წესებს. აჭარაში, ისტორიული განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, ეს პროცესები განიცადა ორივე რელიგიამ – ქრისტიანობამაც და ისლამმაც. ამ ფონზე დღის წესრიგში დგება რელიგიათა ურთიერთ და არსებულ რეალობასთან ადაპტაციის პრობლემა. აქ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე რელიგიის გავლენის საკითხების შესწავლა ძალიან ფრთხილ და ფაქიზ მიდგომას საჭიროებს, რადგან გარკვეულწილად, ცალკეულ შემთხვევებში, კონფესიური კუთვნილება ქმნის კულტურული იდენტურობის პრობლემას. პარალელურად საზოგადოებაში შეიმჩნევა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისაკენ სწრაფვაც, რაც გამოიხატება ტრადიციული კულტურის ელემენტების (ეროვნული ტანსაცმელი, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების და ა.შ.) ყოფაში გამოყენებასა და უძველესი ხალხური დღესასწაულებისა და გართობა-სანახაობების აღდგენის ტენდენციაში. ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ეთნოკულტურათა და სხვადასხვა კონფესიების ურთიერთადაპტაციისათვის, რადგან ასეთი თანამედროვე დღესასწაულები (აჭარაში – ტბელობა, კოლხობა, შუამთობა, სელიმობა, მაჭახლობა და სხვ.) საერთო-სახალხოა, არ განეკუთვნება ერთ რომელიმე რელიგიას, მათში თანაბრად მონაწილეობს ყველა კონფესიური ჯგუფი, რაც, ერთი მხრივ, იწვევს საზოგადოების გამთლიანებას, ხოლო მეორე მხრივ, ასეთ დღესასწაულებზე თითქოს ხდება წარსულთან ზიარება, რასაც დღეს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ეს ხელს უწყობს ეროვნული ცნობიერების წინა პლანზე წამოწევას და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას. ეს უმნიშვნელოვანესი პროცესია, რადგან თითოეული ეთნოსის უნივერსალობა ვლინ-

დება კულტურაში (ზოგადი გაგებით), ტრადიციებში. ყველა ეთნოსი, ყველა ერი არსებობს მანამ, სანამ ინარჩუნებს თვითმყოფადობას, კულტურულ იდენტურობას (M. Шилакаძე, 2007:441).

თანამედროვე საქართველოში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის ქალაქის ეთნოკულტურა. ირღვევა ტრადიციები, ძლიერდება ურბანიზაციის ტენდენციები, მიმდინარეობს ყოფის სტანდარტიზაცია. ეს გლობალიზაციით გამოწვეული შეუქცევადი პროცესებია და შედარებით აქტიურად მიმდინარეობს ქალაქში, სოფელი უფრო ფრთხილად ეკიდება ინოვაციებს. თუმცა ცვლილებები სოფლის ტრადიციულ ყოფაშიც იჭრება. აჭარაში სოფლის საზოგადოებაში XX საუკუნის 40-50-იანი წლებიდან სოციო-კულტურული პროცესების ტრანსფორმაციის თვალსაზრისით რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა. ნებისმიერი კუთხის შესახებ მსჯელობისას თავს იჩენს რიგი საკითხები, კერძოდ: სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების როლი სულიერი კულტურის დონის განსაზღვრაში ტრადიციული სოციალური გაერთიანებები და მმართველობის სისტემა (თემიბ გვარი, სოფელი) თანამედროვე ეტაპზე ურთიერთდამოკიდებულების ნორმები, ტრადიციული ინსტიტუტები და სისტემები დღეს თანამედროვე სოციალიზაციის პრობლემები ღირებულებების ტრანსფორმაცია და სხვად აჭარის მთის სოფლებიდან დიდი მიგრაციების ფონზე მიმდინარეობს მკვეთრი ცვლილებები: ქალისა და მამაკაცის თაობათა შორის ურთიერთდამოკიდებულების ნორმებში, შეიცვალა საცხოვრებელი პირობები და ცხოვრების წესი, ტრადიციული ქორწინების წესი, დაიკარგა განრიდების ტრადიციები ტრადიციული ჩაცმის კულტურა დაიკარგა და გახდა ბევრად უფრო თამამი და თავისუფალი განათლებისა და აღზრდის ტრადიციულმა სისტემამ და ხალხური მედიცინის სფერომ პრაქტიკულად ამოწურა რესურსები დროშიდ მაგრამ, აღსანიშნავია, რომ დასაფლავების წესი, სამზარეულო, ტრადიციული მეურნეობა დარჩა პრაქტიკულად უცვლელი

კვლევის ახალი პერსპექტივები ისახება მიმდინარე

სოციალურ-ეკონომიური პროცესების პარალელურად თანამედროვე ქალაქში მიმდინარე ცვლილებების კვლევისას. სულიერ კულტურაში მომხდარი ეს ცვლილებები განსაკუთრებით თვალნათლივ იკვეთება ქალაქში სოფლებიდან მიგრირებულთა კულტურის შესწავლისას.

აჭარაში შიგა მიგრაციულ პროცესებს – დინებას სოფლიდან ქალაქისკენ მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათგან უმთავრესი სოფლის მეურნეობის წარმოების არაეფექტურობა და აჭარის მაღალმთიან სოფლებში განვითარებული სტიქიური მოვლენებია, რამაც ეკომიგრანტთა საკმაოდ დიდი ტალღა წარმოშვა. გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ საცხოვრებელ ადგილს ძირითადად უფრო იცვლიან ცვლილებებზე ორიენტირებული ადამიანები, რომლებიც კარგად ახერხებენ ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან ადაპტაციას და ახალ რეალობაზე თავიანთი მოთხოვნილებების მორგებას. ამასთან ინოვაციურ პროცესებთან დამოკიდებულება სხვადასხვანაირი აქვთ ბათუმთან ახლომდებარე სოფლებიდან ჩამოსულ და აჭარის მთიანი რეგიონებიდან ჩამოსულ მიგრანტებს. ახლომახლო მცხოვრებნი ყოველთვის აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქალაქის ცხოვრებაში, მაშინ როცა შორეული სოფლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების ზეგავლენით ეს ურთიერთობები შეზღუდული იყო. ამ ეტაპზე კი ქალაქში სწორედ ასეთი სოფლებიდან ჩამოსულთა ტალღა გაიზარდა. დღის წესრიგში დგება ქალაქში ჩამოსულთა ახალ კულტურულ გარემოში ინტეგრაციის პრობლემა. ანალიზს საჭიროებს ქალაქურ გარემოსთან მათი ადაპტაციის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ეთნოსოციალური ასპექტები. ქალაქის მცხოვრებლები შედარებით ტოლერანტულად არიან განწყობილი ტრადიციული კულტურის ნორმებიდან გადახრის მიმართ, ვიდრე სოფლის მოსახლეობა. ქალაქურ გარემოში მოხვედრილი მიგრანტების ყოფაში იჭრება სიახლეები: ირღვევა ეთნიკური სტერეოტიპები, მიმდინარეობს ტრადიციული კულტურული ღირებულებების მეტამორფოზა და ჩნდება ახალი ორიენტირები. უპირველეს ყოვლისა ტრანსფორმაციას განიცდის საყოფაცხოვრებო ეტიკეტი. ადამიანი უფრო ორი-

ენტირებული ხდება ინდივიდუალურ მიზნებზე, მაშინ, როცა სოფლად ეს მიზნები უფრო კოლექტიური, ჯგუფურია. სოფლად ურთიერთობის სხვა ფორმებია. აქ მიღებულია პრობლემების გადაჭრაში ნათესავეების, მეზობლების მონაწილეობა. მაშინ, როცა ქალაქურ გარემოში ეს დაყვანილია თითქმის მინიმუმამდე, ამიტომაც სოფლიდან ჩამოსახლებულებს უჭირთ ამგვარ ურთიერთობებთან შეგუება და ცდილობენ შეინარჩუნონ ურთიერთობის ის ფორმები, რაც დამახასიათებელია ტრადიციული საზოგადოებისათვის. უფრო მეტიც, ზოგჯერ დიდ ქალაქებშიც გვხვდებიან ტრადიციული სოფლური ცხოვრების წესის მატარებელი (Этносоциальные проблемы города. Под редакцией Бромлея Ю.В., М., 1986:49). მსგავსი მაგალითები მრავლადაა ბათუმში სოფლებიდან ჩამოსახლებულთა ყოფაში. ისინი ცდილობენ ერთგვარად შექმნან თავიანთ გარშემო ის “სამყარო”, რომელშიც ცხოვრობდნენ სოფლად (მრავალსართულიანი სახლების ეზოებში აკეთებენ ბოსტნებს, რგავენ მცენარეებს, ამრავლებენ ქათმებს, აწყობენ მრავალრიცხოვან და ხმაურიან საოჯახო დღესასწაულებს და ა.შ.). ქალაქში ადაპტაციის პროცესი ხასიათდება მიგრირებული მოსახლეობის მხრიდან დამკვიდრებისაკენ გააქტიურებული სწრაფვით და ხშირ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს უწყობენ ხელს ქალაქში საკუთარი ადგილის საკუთარი მიკროგარემოს პოვნაში შეინიშნება სწრაფვა თავისი თავი მოიაზროს რომელიმე სოციალური გაერთიანების წევრად ეს ინდივიდისათვის იმდენადაა აუცილებელია, რამდენადაც ქალაქში მას სხვა გარემო და საქალაქო ცხოვრების წესი ხვდება ამით იქმნება ერთად (გვარის, თემის სოფლის შიგნით) ცხოვრების ერთგვარი სიმულაცია რაც სოფლის სოციალური სახის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ნათესავეების ახლოს თუნდაც, ერთი ქალაქის ფარგლებში ცხოვრება სოციალური დაცულობის ერთგვარი ფორმაა როცა აჭარის მთიანი რეგიონებიდან სახლდებიან საქართველოს სხვა კუთხეებში, ერთი სოფლის მცხოვრებლები იქაც კომპაქტურად ჩასახლებას ამჯობინებენ

თუმცა ეს დროებითი მოვლენაა, რადგან თანდათანო-

ბით ქალაქში ტრადიციული სოციონორმატიული ქცევის კულტურა გამოუსადეგარი ხდება და დავიწყებას ეძლევა (Арутюнов С.А., Рыжакова С.И., 2004:149). მათ სულიერ კულტურაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ტრადიციულ კულტურაზე საყოველთაო გლობალიზაციის პროცესების გავლენის შესახებ.

მეორე მხრივ, ამ კულტურათა შერწყმის შედეგად, მართალია, ქალაქურ გარემოში სოფლებიდან მიგრირებულითა ქცევის ტრადიციული ნორმები, ეტიკეტი, კულტურული ღირებულებები განიცდის ზეგავლენას და ხდება მათი ადაპტირება ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან, მაგრამ, ამავე დროს, ისინი უფრო ხანგრძლივად და მტკიცედ ინახავენ ტრადიციული კულტურის ელემენტებს და ამით იცავენ სულიერი კულტურის ფასეულობებსა და მენტალიტეტს საყოველთაო გლობალიზაციის ნეგატიური გავლენისაგან. ქალაქურ გარემოში წარმოქმნილი ამ “სინთეზური” კულტურის კვლევა, რომელიც, ერთი მხრივ, ინახავს ტრადიციული კულტურის ელემენტებს და, მეორე მხრივ, შეთვისებული აქვს სიახლეები, სულიერი კულტურის კვლევის საინტერესო და პერსპექტიულ მიმართულებად გვესახება.

ამრიგად, დღეს წინა პლანზე წამოიწია ტრადიციული კულტურის ევოლუციური პროცესების სისტემური ანალიზის აუცილებლობამ, ეს კი მის კომპონენტებს შორის არსებული შინაგანი კავშირების, უნივერსალური და სპეციფიკური მახასიათებლების შესწავლის საფუძველზე ზოგადი კანონზომიერებების დადგენასა და კულტურული მემკვიდრეობის ისტორიული განვითარების პერსპექტივების გამოკვეთას გულისხმობს. ამავე დროს, აჭარის სულიერი კულტურის, როგორც მრავალკომპონენტიანი, მრავალწახნაგიანი სისტემის შესწავლა ინტეგრალურ მიდგომასა და ინტერდისციპლინარულ კვლევას მოითხოვს. მხოლოდ ასეა შესაძლებელი კულტურის, როგორც ერთი მთლიანობის კვლევა. ამ კვლევებში კულტურული ანთროპოლოგია მონაწილეობს, როგორც მეცნიერული ანალიზის სისტემა, რომელიც იძლევა ტრადიციულ კულტურულ ღირებულებათა ინტერპრეტაციისა და რეკონსტრუქციის, სულიერ კულტურ-

რაში მიმდინარე თანამედროვე პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის, ეთნოკულტურათა და სხვადასხვა კონფესიათა ურთიერთადაპტაციისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978.
2. ლ. სურმანიძე, ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები, თბ., 2001.
3. Арутюнов С.А., Рыжакова С.И. Культурная антропология, М., 2004.
4. Гордлевский В.А., Избранные сочинения, т.1, М., 1960.
5. Еремеев Д.Е., Этногенез турок, М., 1971.
6. Этносоциальные проблемы города. Под редакцией Бромля Ю.В. М., 1986.
7. Курьлёв В.П., Хозяйство и матерьяльная культура турецкого крестьянства, М., 1976.
8. М.Шилакадзе, Глобализация и проблема культурной идентичности этноса, Археология, этнология, фольклористика Кавказа, Тбилиси, 2007.

Pirimze Rurua, Tamila Lomtadze Stereotypes of Spiritual Culture Research and Development Tendencies (After Achara example)

Spiritual culture as the unity of values and norms created by a human being is not a static but dynamic and developing spiritual product of human activities priorities of which change with the development of the society and accommodate to new reality. But at the same time it maintains values adopted by the society at different stages of development through the self-preservation mechanism. Therefore, studying spiritual culture from the historical perspective enables us to observe the genesis of spiritual culture.

To study the issue is especially important after the example of

Achara. Since being one of the oldest parts of Georgia Achara has been the site of interrelations of different ethnic cultures and religious confessions and is characterized by the synthesis of religious beliefs and cultural values. Therefore, studying the spiritual culture of Achara has aroused special interest in many generations of scientists and has been regularly conducted at Batumi Scientific-Research Institute of the Georgian Academy of Sciences. A number of spiritual culture components, beliefs and habits related to different agricultural branches, ancient layers of folk religious thinking and their further formations, local characteristics, etc. have been studied but at the present stage under the conditions of rapid cultural and political changes the spiritual culture has undergone the process of breaking stereotypes and transforming cultural values. These were followed by the metamorphosis of the traditional system and it became essential to apply a new approach to research the spiritual culture and do systematic analyses of evolution processes of the traditional culture. This implies establishing general regularity on the basis of studying internal links and universal and specific characteristics existing among its components and identifying the perspective of the historical development of the cultural heritage. At the same time to study Achara spiritual culture as a multicomponent and multifunctional system requires an integral approach and interdisciplinary research. The structural analysis of the existing material will assist to determine issues of genetic-typological links and interrelations with the world civilizations. It also becomes important to study psychological aspects of the spiritual culture which will make it possible to draw very interesting conclusions on the basis of analyzing problems of both translating the existing cultural values among the generations and changing focal points of the values followed by the adaptation to new reality.

ქართული ეთნოლოგიური სკოლა

“ეთნოგრაფიას სჭირდება უპირველესად სამშობლოს, მის ყოფაზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანი, სხვანაირად ვერავინ დაძლეეს იმ ურთულეს და უმძიმეს საქმეს, რომელსაც უდიდესი მოვალეობა აკისრია – ხალხის თვითმყოფადი კულტურის გამოვლენა – ასე გვასწავლიდა დიდი ივანე ჯავახიშვილი” **გ. ჩიტაია**

ეთნოლოგიური სკოლის დაარსების საფუძვლად, კანონზომიერად მიჩნეულია ის ეტაპი, როცა ეთნოსის ყოფაცხოვრების და წეს-ჩვეულებების ამსახველი მასალის ფიქსაციასთან ერთად ხდება მისი შესწავლა და ანალიზი. თუ ამ კრიტერიუმით მივუდგებით ქართულ ეთნოგრაფიულ კვლევებს, აღმოჩნდება, რომ ის XVIII საუკუნეში იღებს სათავეს, მის ფუძემდებლად კი ვახუშტი ბატონიშვილი გვევლინება.

ვახუშტი ბატონიშვილის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”, არის პირველი მეცნიერული ნაშრომი, სადაც საქართველოს ისტორიასთან ერთად, მოცემულია საქართველოს, მისი ეთნოგრაფიული კუთხეების აღწერილობა, მდებარეობა და საზღვრები, სამეურნეო ყოფა და კულტურა, ძირითადი წეს-ჩვეულებები, ხასიათი, ჩაცმის სტილი, იარაღის და სამკაულის აღწერილობა; მოცემულია მსგავსება-განსხვავებები ამა თუ იმ კუთხეებს შორის. მის ნაშრომს თან ახლავს მის მიერვე შესრულებული 32 რეგიონალური ფერადი რუკა. მ. ბროსეს შეფასებით: “ვახუშტიმ ისე აღწერა თავისი სამშობლო, როგორც არცერთი აზიური ქვეყანა, გარდა ჩინეთისა, არ ყოფილა აღწერილი”. ანუ, სახეზე გვაქვს ნაშრომი, რომლის გამოც ვახუშტი ბატონიშვილი ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის მიჩნეული ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების წინამორბედად.

იმავე პერიოდში, ქართული წეს-ჩვეულებების და ტრადიციების შესწავლით დაინტერესებულნი იყვნენ ვახ-

ტანგ, დავით, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები, რომელთა ნაშრომებიც ასევე დიდი მნიშვნელობისაა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, პირველ ათეულ წლებში, კავკასიისა და საქართველოს ეთნოგრაფიული აღწერილობით და შესწავლით, ძირითადად, რუსი მეცნიერები და მოგზაურები არიან დაინტერესებული, რაც განსაკუთრებით აქტიურ ხასიათს იძენს რუსეთის აკადემიის დაარსების შემდეგ (1825 წ.). 1851 წელს თბილისში დაარსდა “რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილება”. ქართველი მოღვაწეების ძალისხმევით, ამ ფილიალთან 1852 წელს ჩამოყალიბდა “კავკასიური მუზეუმი”, ამ მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტის მზრუნველი იყო რ. ერისთავი, რომელთან ერთადაც მოღვაწეობდნენ პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, დ. ციციშვილი. მალე ამ მუზეუმმა, რომელიც ეროვნულ საქმეს ანვითარებდა, ცარიზმის რეჟიმის წყალობით, არსებობა შეწყვიტა (1856 წ.) (ქართული..., 1978: 78). მის ბაზაზე 1865 წელს დაარსდა “კავკასიის მუზეუმი”, გ. რადეს დირექტორობით, რომელიც აგროვებდა საუკეთესო კოლექციებს და მათ ჰამბურგის, ლაიფციგის და ბერლინის მუზეუმებში აგზავნიდა (ქართული..., 1978: 79).

XIX საუკუნის II ნახევარი სრულიად თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევების გაშლის ახალ ეტაპად, რომლის ძირითად მესვეურად ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძე გვევლინება. იგი მიიჩნევდა, რომ ხალხის ისტორიის შესასწავლად, პირველ რიგში, ქართველი ერის ყოფის, კულტურის და თავისებურებების შესწავლა იყო საჭირო. მისი თაოსნობით შეიქმნა ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებიც თავთავიანთი კუთხეების აღწერას და შესწავლას აწარმოებდნენ. ილიას დამოკიდებულება ამ საქმისადმი კარგად ჩანს მის მიერ ბ. ნიჟარაძისადმი მიწერილი წერილის ერთ ფრაზაში, რაც დღესაც საპროგრამო დებულება შეიძლება იყოს ყველა ქართველისთვის. ბ. ნიჟარაძეს, რომელსაც თავისი განათლებით შეეძლო კარიერა ქალაქში აეწყო, ილია წერდა: “თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვარს, სვანეთში უნდა წახვიდე და იქედან უნდა

ამოგვიდგე უღელში" (ძიდიგური: 1919). ამ პერიოდში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების აღწერას აწარმოებდნენ ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, თ. სახოკია, ნ. ხიზანაშვილი, ბ. ნიჟარაძე, ი. მარგიანი, ი. გვარამაძე, დ. ჯანაშვილი, მ. ჯანაშვილი, დ. მარგიანი, ნ. ჯანაშია, ლ. დადვანი და სხვ. მათი შეკრებილი მასალები იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში.

ამ პერიოდის ქართველ ეთნოგრაფთა მოღვაწეობა, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ისტორიის ერთერთ ღირშესანიშნავ ფურცელს წარმოადგენს, თითოეული მათგანის ნაშრომს დღესაც გვერდს ვერ აუვლის ქართული ეთნოგრაფიის მკვლევარი.

ამ მოღვაწეთა მუშაობა იმდენად ნაყოფიერი იყო, რომ საჭირო გახდა კოორდინირების უფრო სრულყოფილი ფორმის გამოძებნა, რამაც საბოლოოდ საფუძველი ჩაუყარა “საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ შექმნას (1907წ.). ამ საზოგადოების შექმნის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო ე. თაყაიშვილი. საზოგადოებამ ფართო მასშტაბიანი მუშაობა გააჩაღა მთელ საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ხდებოდა არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება, შესწავლა და ანალიზი. შეიქმნა მუზეუმი, წიგნთსაცავი, გამოდიოდა ორგანოები “საქართველოს სიძველენი” და “ძველი საქართველო” (ქსე: 1985: 182). ე. თაყაიშვილი თავად ედგა სათავეში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოწყობილ ექსპედიციებს, ხდებოდა მატერიალური და კულტურული ძეგლების შესწავლა, ფოტოფიქსაცია, სოფლების და თემების აღწერა, მათ შესახებ მასალის მოძიება რაც შემდეგ მეცნიერული კვლევის საგანი ხდებოდა. ამ საზოგადოების მუშაობას ე. თაყაიშვილთან ერთად წარმართავდნენ ი. ჯავახიშვილი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი, ნ. მარი, მ. ჯანაშვილი და სხვ.

ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში გარკვეული როლი ითამაშა “კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა”, რომელიც 1917 წელს დაარსდა რუსეთის აკადემიის სისტემაში, აკად. ნ. მარის თა-

ოსნობით.. მართალია, ინსტიტუტის დასახელებაში არ ფიგურირებდა ტერმინი “ეთნოგრაფია”, მაგრამ კვლევის გეგმებში ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად სწორედ ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება იყო მიჩნეული, მთელი კავკასიის მასშტაბით.

ამ ინსტიტუტის სათავეში ნ. მართან ერთად იდგნენ ე. თაყაიშვილი და გ. ჩუბინაშვილი, ძირითადად სწორედ ისინი წარმართავდნენ ინსტიტუტის საქმიანობას. დირექტორის – ნიკო მარის მოვალეობას, მისი პეტერბურგში ყოფნის გამო ე. თაყაიშვილი ასრულებდა. თავდაპირველად სწორედ მან გამოუყო თავის ბინაში ოთახი აღნიშნულ ინსტიტუტს, რომელიც შემდეგ (1919წ.) ლერმონტოვის ქ. №3-ში გადავიდა, ხოლო 40-იან წლებში ძერჟინსკის №8-ში (ისტორიის.: 1988: 9-10).

1918 წელს მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა – გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ამრიგად, XX საუკუნის 20-იან წლებში, რომელიც უდაოდ მძიმე ხანაა საქართველოსთვის, ადგილი აქვს ფრიად მნიშვნელოვან მოვლენებს, ფაქტობრივად, სამეცნიერო საქმიანობა საოცარი ინტენსიურობით ხასიათდება; პარალელურად იხსნება და მუშაობს თბილისის უნივერსიტეტი, კავკასიის საისტორიო და არქეოლოგიური ინსტიტუტი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამ სამი მნიშვნელოვანი ცენტრის სათავეში ცნობილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები დგანან, რომელთა რიგები თანდათან ახალი კადრებით ივსება (ისტორიის.: 1988: 13).

1921 წლიდან ეთნოგრაფიული კვლევები აქტიურდება სახელმწიფო მუზეუმში, სადაც მუშაობას იწყებენ გ. ჩიტაია, გ. ნიორაძე, ს. მაკალათია (ითონიშვილი: 1989: 11).

ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ახალი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი გ. ჩიტაიას სახელთანაა დაკავშირებული. მისმა განათლებამ და საქმისადმი სიყვარულმა განაპირობა საქართველოში ეთნოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარება.

1922 წელს გ. ჩიტაია ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით მუშაობას იწყებს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც

მას ხვდება ვერა ბარდაველიძე, შემდგომში ცნობილი ეთნოლოგი და მისი ცხოვრების თანამგზავრი.

გ. ჩიტაიას ეთნოლოგიური მოღვაწეობა სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. იგი ქმნის ახალ პროგრამას და მეთოდოლოგიას, რომელიც ფაქტობრივად, ქართული ეთნოლოგიის მეცნიერულ საფუძველს წარმოადგენს, რის შედეგადაც ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ახალი ეტაპი იწყება და იგი სწრაფად ვითარდება.

გ. ჩიტაიამ მუხეუმში თავის გარშემო შემოიკრიბა შემდგომში ცნობილი ეთნოლოგები; ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, ფ. ქიქოძე, სტ. მენტეშაშვილი. ამ მცირე ჯგუფმა, ფაქტობრივად დარგი ჩამოაყალიბა და ახალ სიმაღლეებზე აიყვანა (ცაგარეიშვილი: 1993: 30).

1926 წელს ჩიტაიას ინიციატივით სხვადასხვა მუხეუმებში გაფანტულმა კოლექციებმა თავი მოიყარა სახელმწიფო მუხეუმში, აქვე განთავსდა კერძო პირთა კოლექციები (ცაგარეიშვილი: 1993: 33), რამაც ხელი შეუწყო არა მარტო ექსპონატების გადარჩენას, არამედ მათ მთლიანობაში შესწავლას და დამუშავებას.

მუხეუმში არსებული ეთნოგრაფიული განყოფილება, მიუხედავად მძიმე პირობებისა 1922-1957 წლებში აწყობს 42 ექსპედიციას საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში (ცაგარეიშვილი: 1993: 36).

ეთნოლოგიური საქმიანობა მიმდინარეობს აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტში. 1929 წელს ისტორიის ფაკულტეტთან იხსნება არქეოლოგია-ეთნოლოგიის კათედრა, სადაც მუშაობას იწყებს გ. ჩიტაია. 1934 წლიდან კათედრაზე სამუშაოდ იწვევენ ვ. ბარდაველიძეს და რ. ხარაძეს. 1940 წელს ცალკე ყალიბდება ეთნოლოგიის კათედრა (ცაგარეიშვილი: 1993: 53).

1931 წელს ზემოთ ნახსენები “კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი” გადაკეთდა “კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტად”, რომელიც ნიკო მარის გარდაცვალების შემდეგ (1934წ.), მისი სახელობის გახდა და საბოლოოდ, 1936 წელს ეწოდა აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (“ენიმკი”). ინსტიტუტმა ამ სახელწოდებით

იარსება 1941 წლის მაისამდე, როდესაც ის ორ დამოუკიდებელ ორგანოდ – ენის და ისტორიის ინსტიტუტად გაიყო (ისტორიის...: 1988: 16-17). 1941 წლის 8 მაისს, აკადემიის პრეზიდენტის, აკად. ნ. მუსხელიშვილის ხელმოწერით გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმადაც “ენიმიკი” ორ დამოუკიდებელ – ისტორიის და ენის ინსტიტუტად გაიყო. 1943 წელს ისტორიის ინსტიტუტს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელი, 1964 წელს ისტორიის ინსტიტუტს სახელი შეეცვალა და მას ეწოდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი (ისტორიის...: 1988: 43).

1935 წლიდან აღნიშნულ ინსტიტუტში იქმნება ეთნოგრაფიის სექტორი, ხოლო 1938 წლიდან ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიის სექცია გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით.

ამრიგად, 40-იან წლებში საქართველოში ეთნოლოგიური კვლევა-ძიება მიმდინარებს სამ ძლიერ სამეცნიერო ცენტრში: “ენიმიკი”, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სახელმწიფო მუზეუმი. ამ საქმიანობის შედეგად შეიქმნა მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მოხდა ძირეული ცვლილებები კვლევის მეთოდოლოგიაში, განვითარდა სამუზეუმო საქმიანობა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ჩრდილოეთ კავკასიაში მოეწყო ექსპედიციები, გაიზარდა მეცნიერთა ახალი თაობები.

1941 წლის თებერვალში, საქართველოს სამეცნიერო ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა – დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია (ისტორიის...: 1988: 37). დღეს, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამოღვაწეო ასპარეზი, მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად შეიზღუდა, უნდა აღინიშნოს იმ დიდი როლისა და მნიშვნელობის შესახებ, რომელიც მან შეასრულა არა მარტო ეროვნული სამეცნიერო, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე დარგების განვითარებაში, მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობით, (რომელიც აერთიანებდა კვლევით ინსტიტუტებს), საქართველოში შეიქმნა და ჩამოყალიბდა დიდი სამეცნიერო სკოლები, რომელთა მიღწევებიც დღესაც აღიარებით სარგებლობენ მსოფლიო სამეცნიერო წრეებში. ამავე დროს, უმთავრესი როლი აკადემიამ და კვლევითმა ინსტიტუტებმა

ეროვნული კულტურის, ყოფის, ენის და ისტორიის შესწავლასა და შენარჩუნებაში შეასრულეს.

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში 1981 წლამდე, ეთნოგრაფია წარმოდგენილი იყო ორი განყოფილებით: საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილება (ხელმძღვანელი გ. ჩიტაია) და კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება (ხელმძღვანელი ა. რობაქიძე).

1981 წელს ინსტიტუტის ეთნოგრაფიის ნაწილში მოხდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილება დაიყო სამ ნაწილად: მატერიალური და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილება (ხელმძღვანელი გ. ჩიტაია), სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილება (ხელმძღვანელი ვ. ითონიშვილი) და სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილება (ხელმძღვანელი თ. ოჩიაური), ამასთანავე, დარჩა კავკასიის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილება ა. რობაქიძის ხელმძღვანელობით (ისტორიის...: 1988: 60-62).

2006-2007 წლებში საქართველოში მიმდინარე რეფორმებმა ასახვა ჰპოვა სამეცნიერო სფეროშიც – საქართველოს ეროვნული აკადემიის დაქვემდებარებიდან გამოვიდნენ კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელ საჯარო პირებად დარეგისტრირდნენ და გადავიდნენ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში. ამ პროცესებს მოჰყვა თანამშრომელთა რადიკალური შემცირება და განყოფილებების გაერთიანება, რის შედეგად ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ორი ეთნოლოგიური განყოფილება ჩამოყალიბდა: საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება (ხელმძღვანელი ქ. ხუციშვილი) და კავკასიის ეთნოლოგიური განყოფილება (ხელმძღვანელი რ. თოფჩიშვილი).

ცვლილება განიცადა 1907 წელს ჩამოყალიბებულმა “საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამაც”, რომლის ბაზაზე 1959 შეიქმნა “საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის და ფოლკლორის საზოგადოება”, რომელიც 1976 წელს გარდაიქმნა “საქართველოს საისტორიო საზოგადოებად” (ქსე: 1962: 182-183).

გ. ჩიტაის და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, 60-იან წლებში ღია ცის ქვეშ მუზეუმისთვის გამოიყო ვაკის პარკის და ზლოტის ხეობაში 30 ჰექტარი ფართობი (ცაგარეიშვილი: 1993: 40) და დაიწყო ღია ცის ქვეშ მუზეუმის მშენებლობა, სადაც თავი მოიყარა საქართველოს ყველა კუთხის მატერიალური კულტურის ამსახველმა ძეგლმა.

ეთნოგრაფიული მუშაობა მიმდინარეობდა აგრეთვე რეგიონებშიც – ბათუმის, სოხუმის და ცხინვალის სამეცნიერო ცენტრებსა და მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში.

დღევანდელი მდგომარეობით, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ძირითად ცენტრებს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება აგრეთვე ღია ცის ქვეშ მუზეუმი. ეთნოლოგიური კვლევები მიმდინარეობს აგრეთვე ბათუმის და ქუთაისის სასწავლო ცენტრებსა და მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში.

ქართული ეთნოლოგიური სკოლა თავისი არსებობის მანძილზე ეტაპობრივად ვითარდებოდა; დაფუძნდა სხვადასხვა კვლევის ცენტრები, შეიქმნა უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები, ურთიერთობა დამყარდა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან და მკვლევარებთან, რამაც თავისი პოზიტიური როლი შეასრულა დარგის განვითარებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოლოგია საქართველოში არ არის მიჩნეული ისეთ დარგად, როგორც ეს ევროპის და ამერიკის ქვეყნებშია, სადაც ამ მეცნიერების “თეორიული ანალიზი და კვლევის შედეგები პირდაპირ ემსახურება სახელმწიფოს მომავალი განვითარების პროცესების პროგნოზირება-მართვის საქმეს” (მელიქიშვილი: 2000: 8). ამ დარგის ძირითადი დანიშნულება და ამოცანა წარსულის და თანამედროვე პროცესების შესწავლასთან ერთად, სწორედ სამომავლო ქმედების განსაზღვრაა, ვინაიდან არც ერთი მეცნიერება ისე არ იცნობს და შეისწავლის ხალხს – სახელმწიფოს მართვის და ზრუნვის ობიექტს, მის კულტურას, ყოფა-ცხოვრებას, ხასიათს და ცხოვრების წესს მთლიანობაში, როგორც ეთნოლოგია.

ქართველი ეთნოლოგების ნააზრევის გათვალისწინება და მათი ჩართვა სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, უდაოდ წაადგება ქართულ სახელმწიფოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, “მეცნიერება”, თბ., 1988.
2. ვ. ითონიშვილი, ქართული ეთნოგრაფიის ნარ-კვევები, “მეცნიერება”, თბ., 1989.
3. ლ. მელიქიშვილი, ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბ., 2000.
4. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძირითადი მიღწევები, “მეცნიერება”, თბ., 1978.
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, 1985.
6. თ. ცაგარეიშვილი, “გიორგი ჩიტაია”, “მეცნიერება”, 1993.
7. ვ. ძიძიგური, ბესარიონ ნიჟარაძე (“თავისუფალი სვანი”), გაზეთი “სახალხო საქმე”, 1919წ, №253.
8. Робакидзе А. Пути развития Грузинской советской этнографии (1922-1982гг.), Тбилиси, 1983

Khatuna Ioseliani

Georgian Ethnological School

Georgian Ethnological School took birth two centuries ago. The founder of Georgian Ethnological School is famous Georgian Historian and Geographer Prince Vakhushti Bagrationi.

Georgian Ethnological School since the 18th century underwent difficult but interesting way of development. The second half of the 19th century was a new stage in Georgian Ethnology development when the gathering, fixation and study of Ethnographical material took place nearly all over Georgia. Various societies, museums were founded. One of the main trends of newly founded societies and museums was the study of Ethnography. I. Chavchavadze, E. Takaishvili, N. Mar, I. Javakhishvili etc. made a significant contribution to the development of Ethnology in Georgia.

Lately the main centres of Ethnological studies were Tbilisi State University and Institute of History and Ethnology. The studies carried on in mentioned centres determined further development of Ethnology in Georgia and founding of a new, developed stage by G. Chitaia.

Now the main studies are carrying out at The Javakhishvili Institute of History and Ethnology, Tbilisi State University, The State Museum of Georgia, regional scientific centers and folk museums.

პრაქტიკული ეთნოლოგიის ამოცანები საქართველოში

პირველ რიგში მინდა შეუერთდე სამეცნიერო კონფერენციის „ანთროპოლოგია მომავლის მეცნიერება“, პათოსს და ჩემი აზრი გამოვთქვა სამი ტერმინის, სამი დეფინიციის შესახებ. ესაა ეთნოგრაფია, ეთნოლოგია და ანთროპოლოგია. მიმაჩნია, რომ ყველა ამ დეფინიციის ამოსავალი, ძირი და საფუძველი არის ეთნოგრაფია, სახელწოდება რომელიც დამკვიდრებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. იგი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა დაახლოებით XX საუკუნის 40-იანი წლებიდან, მაშინ, როცა ევროპაში ამ ტერმინის ნაცვლად ხმარობდნენ ტერმინ ეთნოლოგიას, ამერიკული მეცნიერება კი ანთროპოლოგიას. პირველ ხანებში საქართველოშიც ეთნოლოგიას არჩევდნენ შემდეგ კი ეთნოგრაფიას¹.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამეცნიერო დისციპლინის სახელწოდება არსებითად განსაზღვრავს მის მნიშვნელობას, კვლევის ძირითად მიმართულებას, დარგის მიზანს და ამოცანებს, მაგრამ ისტორიული კანონზომიერების შესაბამისად, საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, დარგი აფართოებს რა თავის თვალსაწიერს, ცვლის მეთოდოკას და საკვლევი ობიექტისადმი დამოკიდებულების პრინციპებს. უფრო სწორად იგი იხვეწება და ფართოვდება, გარკვეულწილად იფილტრება კიდევ, თუმცა სახელწოდება იგივე რჩება. ხდება ისეც, როცა რომელიმე დაწინაურებული კონკრეტული მიმართულების სახელწოდება გავრცელდება მთელ დისციპლინაზე². როგორც პრაქტიკა ადასტურებს სახელწოდების ამგვარი ცვალებადობა აგროვებს გადაუჭრელ პრობლემათა ისეთ რაოდენობას, რომ საჭირო ხდება საგანგებო ანალიზის წარმოება, დარგის სახელწოდების ტერმინოლოგიური და ცნებობრივი იდენტიობის დასადგენად³. მე არ შევუდგები აღნიშნულ საკითხზე უფრო დაწვრილებით საუბარს, რადგან იგი როგორც სპეციალური კვლევის საგანი ამ ბოლო ხანებში გამოცემულ ნაშრომებში ნათლადაა ასახული,⁴ მაგ-

რამ მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ საქართველოში XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ეთნოგრაფია ჩამოყალიბდა როგორც დარგი, მის სათავეებთან მდგარ მკვლევარებს ძალიან კარგად ესმოდათ სამივე დეფინიციის – ეთნოგრაფიის, ეთნოლოგიის და ანთროპო-ლოგიის მნიშვნელობა. აკად. გ. ჩიტაიამ საგანგებო სტატია მიუძღვნა ამ პრობლემას⁵. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სკოლის წარმომადგენლები, მისი მოწაფეები არასოდეს არ გასცდენიან თავიდან აღებულ გეზს, მიზანსა და მიმართულებას, მეთოდს, რომლის მეოხებითაც ისინი არა მხოლოდ ტრადიციული ხალხური ყოფისა და კულტურის მხოლოდ აღწერილობას კი არ აწარმოებდნენ, როგორც ეს რუსული კოლონიალიზმის მსახურებს, რარიტეტული მეთოდით მომუშავე მეცნიერებს ხელეწიფებოდათ (მხედველობაში მაქვს კოვალევსკი, კოსვენი და სხვები), არამედ ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ურთიერთმიმართებაში გაანალიზებას ახდენდნენ⁶. ამ მეთოდის გამოყენებით ეთნოგრაფ მკვლევარს ველზე მუშაობის დროს ყურადღების მიღმა არ რჩებოდა ყოფაში გამოვლენილი არც ერთი რეალიის, მოვლენისა თუ ფაქტის მნიშვნელობა და სწორედ ამიტომ ენიჭება ამ პერიოდში მოპოვებულ საველე მასალას პირველ წყაროს მნიშვნელობა. ყველაფერი ეს თავიდანვე გააზრებული ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს, რომელმაც გასული საუკუნის 30-იან წლებში სპეციალური ჯგუფი შექმნა საქართველოს ცალკეულ კუთხეებში დაუნჯებული ზეპირი ისტორიის ანუ ემპირული ცოდნის ფიქსირებისათვის. დღეს ამ მასალების (მასალები წინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიიდან) რამოდენიმე ტომია გამოცემული⁷. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში დაიხვეწა საველე მასალის შეგროვების მეთოდი და პრაქტიკა. მეთოდის საკითხი დღესაც აქტუალურია და მნიშვნელოვანი. განსაკუთრებით პოლიეთნიკურ და კონფლიქტურ საზოგადოებაში⁸. საველე მუშაობა და საველე პრაქტიკა რომ თითოეული ეთნოგრაფისათვის აუცილებელი პირველი საფეხური იყო, ამას ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცული უამრავი დღიური, ჩანაწერი, ჩანახატი

და ფოტო მასალა ადასტურებს; დიდი ეთნოგრაფიული ექსპედიციების შესახებ კი, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ტარდებოდა და რომელთა საფუძველზეც შეიქმნა საერთაშორისო დონეზე აღიარებული გამოკვლევები, გადმოცემებია შემორჩენილი⁹. დღეს ქვეყანაში შექმნილი ფინანსური სიძნელეების გამო, ასეთი ექსპედიციის განხორციელება თითქმის შეუძლებელია. დარგის განვითარება კი ამას აუცილებლად მოითხოვს. ჩვენც სწორედ ეთნოგრაფიული სამსახურის შექმნის საკითხს ვაყენებთ*. სამსახურისას, რომლის პრაქტიკაც უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებში (ამერიკა, ისრაელი, ავსტრალია) არსებობს და აქ პრაქტიკოსი ეთნოლოგები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სახელმწიფო საკანონმდებლო, აღმასრულებელ, ადმინისტრაციულ და სამეურნეო ორგანიზაციებში¹⁰. განსაკუთრებით საინტერესოა და საჭირო ასეთი სპეციალისტების ჩართვა რეგიონალური მოწყობისა და მართვის სამსახურში, რათა მათი ცოდნა ხალხური გამოცდილებისა, სათანადოდ იქნას რეალიზებული ქვეყნის ეკონომიკური, კულტურულ-სამეურნეო საქმიანობის წარმართვაში. იმისათვის რომ უფრო ნათელი გაგხადოთ ჩვენი მსჯელობა მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითს:

1. ეკოლოგიური სფერო. ეკოლოგიური დარგის სპეციალისტები ახლა ბევრს წერენ საყოველთაო ეკოლოგიური კრიზისისა და ეკოლოგიური დისბალანსის შესახებ. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი ბუნებით სარგებლობის ჰარმონიული წესების დარღვევის თაობაზე. ესაა ნიადაგების ეროზია, ტყის რესურსების მკვეთრი შემცირება, ბუნებრივი წყლების დაშრობა, ხევებისა და ლანდშაფტების ზონალური გაჩანაგება. ეს მცირე ჩამონათვალია იმ სივრცებრივი, დისბალანსისა, რომლის გაწონასწორებაში ადამიანის ფაქტორი და ხალხური ცოდნის ფენომენი გან-

* საკითხის დასმის თვალსაზრისით ეს თემა ჩვენს მიერ პირველად საკავშირო ჟურნალში იქნა გამოქვეყნებული. იხ. Кантария М.В., Гоциридзе Г.Ш. О создании региональной этнографической службы Грузии, ж. Научная мысль Кавказа, 1, 2, 3, 4. 97. с.72.

საზღვრულია. ძველად ხალხში რაციონალურად იყო შე-
მუშავებული ტყით სარგებლობის კალენდარული ვადები,
წყალვარდნილობის, ნიაღვრების და ღვარცოფების, ზვავე-
ბის ჩამოწოლის და სხვა სტიქიური მოვლენებისაგან თავ-
დაცვის საშუალებები¹¹. მაგალითად, ფაქტია და ხალხური
გონიერების არაჩვეულებრივი მაგალითი ის რომ მოსახლე-
ობა იმ ადგილებში არ სახლდებოდა, სადაც ზვავების ჩა-
მოქცევა იყო მოსალოდნელი და თუ მაინც სახლდებოდ-
ნენ, ხელოვნურ ჯებირებს და სიმაგრეებს, კედლებს
აგებდნენ¹². ამის დასტურად სვანური კოშკების დასახე-
ლებაც საკმარისია, სვანური კოშკები, რომლებიც კუთხით
იყო მთისკენ მიმართული და შუაზე ჩხდა მოვარდნილ
ზვავესა თუ მეწყერს. ეს უძველესი „მთის გუშავები“ მედგ-
რად უძლებდნენ დროსა და „უბედურებას“ და ვითარცა
ტაძარი, ხელთუქმნელ ძეგლებად შემორჩნენ ისტორიას¹³.

კოლხეთშიც, სადაც ზღვის სტიქიას არაერთხელ
გადაულახავს ზღვარი, მოსახლეობა ახლო ნაპირებთან
არასოდეს აგებდა სახლს. მთიან ზოლში კი სადაც მცირე-
მიწიანობა იყო, სახლებს ფერდობებზე აგებდნენ, ციხე
კოშკებსაც, ვაკე ადგილები კი სახნავ-სათესად ჰქონდათ
გამოყენებული, თუმცა ფერდობებიც არ რჩებოდათ აუთვი-
სებელი. უნიკალურია მესხური ტერასების მოწყობის ხალ-
ხური ტექნიკა, ბაქნები, ლარები, წარაფები, მარტო მათი
ჩამოთვლაც საკმარისია ამ დიდი კულტურის დასახასია-
თებლად¹⁴. დღეს ხალხური სიბრძნის ეს „ლაბირინთები“
განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და დროისა და სივრ-
ცის შეცნობის ერთგვარ მედიატორებად შეიძლება ჩავთვა-
ლოთ.

2. *კულტურულ-სამეურნეო გამოცდილება.* საქართ-
ველოში რთული გეოგრაფიული განფენილობიდან გამომ-
დინარე, კულტურულ-სამეურნეო ცხოვრება სამ ვერტიკა-
ლურ განზომილებაში ვითარდებოდა. ესაა მთის, მთისწი-
ნეთისა და ბარის. ამისდა შესაბამისად ჩამოყალიბდა
მწარმოებლური დარგების, მიწათმოქმედების (მემინდვრეო-
ბა, მევენახეობა-მეღვინეობა) და მესაქონლეობის ტრადიცი-
ული, რეგიონალური სისტემები, რომლებიც თითქმის XX
საუკუნის 30-იან წლებამდე იქნა შემონახული. შემდეგში-

აც, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში ე.წ. „ინდუსტრიულმა“ ეპოქამ ბევრი რამ შეცვალა, ამ სისტემებს მაინც არ დაუკარგავთ რენტაბელობა და შინაარსი. თვით კოლექტივიზაციის პერიოდშიც კი გლეხური მეურნეობა სწორ დაგეგმარებას ექვემდებარებოდა და აგრარული კულტურა მკვეთრ დეგრადაციას არ განიცდიდა. ეს ვიტარება „საბჭოთა მეურნეობების“ პირობებშიც იყო ნაწილობრივ შენარჩუნებული. ამით იმის თქმა გვინდა, რომ თითოეული სამეურნეო დარგი მისი სპეციფიკიდან გამომდინარე ისტორიულად დინამიურ ფაზაში ვითარდებოდა და ძირითადად ეროვნულ გამოცდილებას ემყარებოდა. დღეს კი უამრავ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზთა გამო ეს ჰარმონია დარღვეულია. სახეზე გვაქვს ეკოლოგიური და ეკონომიკური კრიზისები. საერთო მდგომარეობა გართულებულია ხალხური მექანიზმებისადმი არასწორი მიდგომით ან საერთოდ მათი უგულველყოფით. ასე მაგალითად, ჩვენი აზრით არ შეიძლება იქ, სადაც ტრადიციულად მემინდვრეობა იყო განვითარებული და ახლო წარსულამდე წარმატებით მოჰყავდათ ხორბლის ადგილობრივი სახეობები (დოლის პური, თავთუხი, შავფხა, დიკა და სხვ.) ჭარხლის წარმოება დაინერგოს ან კიდევ იქ, სადაც მევენახეობის კლასიკური კერები არსებობდა და ყურძნის უნიკალური ჯიშები იყო კულტივირებული. ვაზი ამოიძირკვოს და მის ნაცვლად საზამთრო, ატამი და სხვა ხილისა თუ ბაღჩეულის ბაღები იქნას გაშენებული. დაცული უნდა იყოს სარწყავი და არასარწყავი ზონების ბალანსირება; ეროვნული კულტურების აღორძინება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს. უცხოური პროდუქციის მოძალეობამ და დანერგვამ, არ უნდა გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგები. ამის თაობაზე ცნობილი ეთნოგრაფი მ. გეგეშიძე საგანგებოდ წერდა. იგი ერთ-ერთ ნაშრომში ეხებოდა მეცხვარეობის განვითარების თანამედროვე პრობლემებს და მყარი არგუმენტებით ასაბუთებდა ცხვრის საგაზაფხულო საძოვრებზე გადადენის ტრადიციული მარშრუტების უპირატესობას სხვა გზებთან შედარებით¹⁵. საკითხთან დაკავშირებით კიდევ ორ მაგალითს მოვიყვანო:

1. გენური ინჟინერია (ახალი ჰიბრიდული სახეების სელექცირება). ცნობილია, რომ დღეს საყოველთაო გლობალიზაციის ხანაში გენურ ინჟინერიას მრავალი ქვეყანა მიმართავს, მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა მათ დიდი სამეურნეო გამოცდილება. ისეთი ქვეყნებისთვის კი სადაც ენდემური კულტურების აღორძინების შესაძლებლობები არსებობს, უცხო ექსპერიმენტების დანერგვა არა თუ სასურველია, არამედ გაუმართლებელიც კი. ავიღოთ, თუნდაც, კარტოფილის წარმოება. კარტოფილი ამერიკული კულტურაა და იგი XIX საუკუნის დასაწყისში იქნა შემოტანილი; ჯერ რუსეთში, მერე ჩრდილო კავკასიის გზით საქართველოში. დროთა განმავლობაში მოხდა ამ კულტურის სრული ადაპტაცია და, განსაკუთრებით, მთის პირობებში შეიქმნა ისეთი ლოკალური კერები, როგორცაა დები (რაჭაში), მულახი (ზემო სვანეთში), ახალციხე და ახალქალაქი (მესხეთში), და სხვ. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო სრულიად ახალი ჰიბრიდული სელექცირების გზით მიღებული კარტოფილის თესლის შემოტანა, რამაც არ გაამართლა. მოსახლეობამ იგი არ მიიღო და ამდენად, ექსპერიმენტი ექსპერიმენტად დარჩა.

ასეთი მაგალითების მოყვანა როგორც საკუთრივ გენური ინჟინერიის, ისე ზოგადად ექსპერიმენტული მეურნეობის მიმართ, მრავლად შეიძლება. აგრარული მეურნეობის დარგის სპეციალისტებმა (და არა მხოლოდ აგრარიკოსებმა) ეს ძალიან კარგად იციან. ამდენად, ჩვენ მათ მიმართ არავითარი პრეტენზია არ გავგანჩნია, მაგრამ გვინდა საკითხი დავსვათ ასე - ხომ არ აჯობებს მათთან ერთად ქვეყნის ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებაში ხალხური კულტურისა და ეროვნული სამეცნიერო გამოცდილების მცოდნე სპეციალისტების, კერძოდ კი ეთნოგრაფების მონაწილეობაც იყოს უზრუნველყოფილი?

2. *სოციალური სფერო*. პრაქტიკული ეთნოგრაფიის პრობლემატიკა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ყველაზე ფაქიზ და მნიშვნელოვან სფეროს სოციალურ ურთიერთობებსაც ეხება. სოციალურ სფეროს მრავალი ასპექტი გააჩნია. ესაა ოჯახი, ქორწინება, ნათესაური სისტემა, მიგრაციები და სხვა. ყველა ეს სეგმენტი დროსა

და სივრცეში მოქმედებს, ღია და დახურული საზოგადოების მრავალ თვისებრივ მომენტს ავლენს. ერთ-ერთი ასეთი ასპექტი ეთნოკონფლიქტებია. ეთნოკონფლიქტების სოციალურ და პოლიტიკურ მიზეზებს კი სხვადასხვა დარგის სპეციალისტები სწავლობენ (პოლიტოლოგები სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ეთნოლოგები), მაგრამ ჩვენი აზრით, ყველაზე არსებითი მაინც ამ პრობლემებისადმი ეთნოლოგიური და ეთნოგრაფიული მიდგომაა¹⁶. ეთნოლოგია ფლობს ცოდნას კონფლიქტების დროს მარეგულირებელი ხალხური მექანიზმების შესახებ. მაგ. ხალხურ დიპლომატიას, უხუცესების (ე.წ. აქსაკალების) ინსტიტუტს, რომელიც ძალიან ძლიერი იყო კავკასიაში. ამ უნიკალურ ინსტიტუტებში ვლინდება არა მხოლოდ წმინდა ეთნიკური კულტურის, ეთნოფსიქოლოგიის, თვითშეგნების და იდენტობის ჭეშმარიტი მახვენებლები, არამედ ზოგადსაკაცობრიო ჰარმონიული საზოგადოების შექმნის რეალური საფუძვლები¹⁷.

ეთნოგრაფი სპეციალისტის თვალთახედვაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი პარადიგმების ცოდნაც, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ენის სწავლების სტრატეგია, გენდერული როლი ყოფაში, ნათესაობის სისტემა, აღზრდის ტრადიციული წესები და სხვა. თანამედროვე ვითარებაში მათი განვითარებისა და რეგულირების პერსპექტივები საერთო ჰუმანიტარული სივრცის ჩამოყალიბებისა და კულტურული ინტეგრაციის სამომავლო საქმეს ემსახურება. ამაშია პრაქტიკული ეთნოგრაფიის ძირითადი ამოცანა და მიზანი.

ვითვალისწინებთ რა საკითხის სირთულეს, მის მრავალწახნაგობრიობას ერთ წერილში შეუძლებლად მიგვაჩნია პრაქტიკული ეთნოლოგიის ყველა ასპექტსა და ყველა პრობლემაზე შევჩერდეთ. ის არც წარმოადგენდა ჩვენს მიზანს, რადგან უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი თემაა და უფრო ჩაღრმავებულ ხანგრძლივ კვლევას მოითხოვს..

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია, „მომომხილველი“, ტფ. 1926. მისივე, სვეტები. ხელნაწერი. რედ. ვ. შამილაძე, ეთნოგრაფია, სახელმძღვანელო, შესავალი, თბ., 1991. ი. ჭანტურიშვილი, ეთნოლოგია, სახელმძღვანელო, თბ. 1993. პ. ყიფიანი, ეთნოლოგიის პრობლემები, თბ., 1995. ლ. მელიქიშვილი, ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბ., 2000. რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოლოგია/ეთნო-გრაფია, თბ., 2006.
2. ლ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.4.
3. იქვე.
4. პ. ყიფიანი, დასახ.ნაშრომი.
5. გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია, „მომომხილველი“, ტფ. 1926.
6. გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი.
7. ის. მასალები შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიიდან.
8. ლ. მელიქიშვილი, საველე მუშაობის მეთოდი კონფლიქტურ საზოგადოებაში, თბ., 2000.
9. ვფიქრობთ დღეს XXI საუკუნის დასაწყისში, როცა ხდება დარგის განვითარების გზის შეფასება, საგანგებოდ უნდა იქნას შესწავლილი და გამოი-ცეს გასულ საუკუნეში ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციების მოკლე ექსკურსი რეგიონების მიხედვით.
10. იქვე.
11. ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში (ეთნო-გრაფიული მასალების მიხედვით). თბ., 1973, მისივე, ნიადაგების ათვისებისა და დაცვის ტრადი-ცია საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1989.
12. ლ. ბერიაშვილი, დასახ. ნაშრომი.
13. გ. ჩიტაია, ტაძარი გადარჩა, გაზ. სოფლის ცხოვრება, 1987, 3.IV.
14. ლ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი.
15. მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978.

16. კონფლიქტური სიტუაციული პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. ლ. მელიქიშვილი, თბ., 1998.
17. იქვე.

Giorgi Gotsiridze

Tasks of Applied ethnology in Georgia

In the paper there is discussed the practical value of the discipline and the importance of foundation of the ethnographical service according to the worldwide practice is underlined. Such structure doesn't exist in Georgia. There is confirmed the worth of such service to assist the further development of state's economic activities and to provide the attendance of the specialists.

დროის აღქმა: კულტურ-ანთროპოლოგიური ხედვა

კულტურ-ანთროპოლოგიურ კვლევას სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ტრადიცია და სახელწოდება აქვს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ის არქეოლოგიურ, ბიოლოგიურ და ლინგვისტურ ანთროპოლოგიასთან ერთად ზოგადად ანთროპოლოგიის, ჰოლისტური სამეცნიერო დისციპლინის შემადგენელი ნაწილია. ევროპაში კი სოციალური ანთროპოლოგიის ან ეთნოლოგიის სახელით არის ცნობილი. კულტურული ანთროპოლოგია, როგორც კომპარატივისტული და კროსკულტურული დისციპლინა იკვლევს საზოგადოებასა და კულტურას. იგი აღწერს, აანალიზებს და ხსნის სოციალურ და კულტურულ მსგავსებებსა და განსხვავებებს. ამერიკული ტრადიციის ფარგლებში ის ემყარება ეთნოგრაფიის და ეთნოლოგიის მიმართულებებს. ეთნოგრაფიული კვლევა ანუ ცალკეული ერთობის, საზოგადოების ან კულტურის შესახებ მონაცემების შეგროვება და აღწერა რჩება ანთროპოლოგიის იმ თავისებურებად (მიუხედავად იმისა, რომ ანთროპოლოგია პირველი ეთნოგრაფების დროიდან საკმაოდ შეიცვალა), რომლითაც ის განსხვავდება სხვა სოციალური მეცნიერებებისგან. ეთნოლოგია კი იკვლევს, აანალიზებს და აღარებს ეთნოგრაფიული აღწერის შედეგებს განზოგადებული დასკვნების გამოტანის მიზნით (Kottak 2000:11). კულტურათა მსგავსებაზე თუ განსხვავებაზე მრავალი მახასიათებლების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ. ერთ-ერთი ასეთი მახასიათებელია დროის აღქმა.

დროის განცდა ადამიანური არსებობის განუყოფელი ნაწილია და, როგორც მიიჩნევენ, დროის აღქმის სპეციფიკაში ვლინდება კულტურის ხასიათი. თუმცა, როგორც ბარბარა ადამი აღნიშნავს, მიუხედავად დროის “ყველგანმყოფობისა”, დროის აღქმის პრობლემის ანთროპოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. პრობლემა კი დასავლური დროის უპირობო გაზიარებაში მდგომარეობს. დროის დასავლური აღქმა არის ის

გადასახედი, რომლიდანაც მკვლევრები აანალიზებენ “სხვათა” დროებს (აღამი 2005: 99).

სამეცნიერო კვლევებში არსებობს ე.წ. დროისა და სივრცის კულტურების გაგება, რომლის მიხედვით დასავლური კულტურების გარდა, ყველა სხვა საზოგადოება ინდიფერენტულია დროის მიმართ. მსგავსი შეხედულება, ზოგადად დასავლურ სამეცნიერო რეალობაში მიღებულ, უფრო დიდი – “დასავლეთისა და არადასავლეთის” დიქოტომიიდან გამომდინარეობს. ასეთ დუალიზმს ემყარება, აგრეთვე, “მოდერნისტული” და “ტრადიციული”, “ინდუსტრიული და აგრარული”, “ცივი და ცხელი” საზოგადოებების და სხვა დიქოტომიები.

დასავლურ დისკურსში დიქოტომიების ჩამოყალიბება მჭიდროდ არის დაკავშირებული ანთროპოლოგიის, როგორც დისციპლინის ისტორიასთან, რომელიც შეიქმნა “ევროპული აღმოჩენების, კოლონიალიზმის ეპოქის და საბუნებისმეტყველო მეცნიერების გადაკვეთაზე” (Monaghan and Just 2000: 1-2).

პირველი ანთროპოლოგები დარვინის შეხედულებების და ევროპოცენტრისტული მიდგომის გავლენით სხვადასხვა ხალხის სოციალური და კულტურული ევოლუციის ეტაპების რეკონსტრუირებით იყვნენ დაინტერესებული. მოგვიანო პერიოდშიც, როცა ანთროპოლოგიური კვლევის თეორიები და მეთოდები უფრო დაიხვეწა და გამდიდრდა, ანთროპოლოგთა ყურადღება, ძირითადად, კონცენტრირებული იყო ე.წ. “მცირე მასშტაბის”, “ტექნოლოგიურად მარტივ” საზოგადოებებზე.

ჰ. მურის აზრით, ის, რომ ანთროპოლოგია იკვლევს ისეთ საკითხებს, როგორცაა: “კულტურა”, “სხვა კულტურა”, “კულტურული სხვაობანი”, “ცხოვრების წესი”, “სოციალური სისტემა”, “მსოფლმხედველობა” და ა.შ. მისი, როგორც დისციპლინის უნიკალობაზე არ მიუთითებს. თითოეული ეს პრობლემა ექსკლუზიურად მხოლოდ ანთროპოლოგიის საკვლევ სფეროს არ განეკუთვნება. ის რასაც ანთროპოლოგიას აქცევს ანთროპოლოგიად, არის არა კვლევის სპეციფიკური საგანი, არამედ ის თუ როგორ არის, მაგალითად კულტურული განსხვავებები იერარქი-

ზებული. ანთროპოლოგია, როგორც დისციპლინა და პრაქტიკა იმ წარმოდგენის ნაწილია, რომელიც განაპირობებს დასავლეთსა და “სხვებს” შორის ურთიერთობას (Moore 1999: 2). ეს წარმოდგენა და “სხვებთან” ურთიერთობა კი, გარკვეულწილად, ზემოთ აღნიშნულ დიქტომიებს ემყარება.

დიქტომიის კონტექსტში “ტრადიციული” კულტურების დროის აღქმა “დასავლური დროის” გაგების ალტერნატივად განიხილება. “მათი” დრო უფრო ციკლურია, ვიდრე ხაზოვანი, რაოდენობრივი, ვიდრე ხარისხობრივი, შექცევადი, ვიდრე შეუქცევადი, შემოფარგლულია ტრადიციით და თავად არ წარმოადგენს ისტორიის მამოძრავებელს; იგი ორგანიზებულია უფრო ყოველდღიური წესრიგით და პრაქტიკული ამოცანებით, ვიდრე საათით, ორიენტირებულია უფრო სტაბილურობაზე, ვიდრე ცვლილებებზე, უფრო ბუნებაზეა დამოკიდებული, ვიდრე კალენდრის რიტმზე, აღირიცხება უფრო ბუნებრივი რიტმის, ვიდრე აბსტრაქტული სქემების საფუძველზე” (აღამი 2006: 99).

ბარბარა აღამი განიხილავს ე. ევანს-პრიტჩარდის და ბ. უორფის გამოკვლევებს, რომლებიც დასავლურისგან განსხვავებული დროის გაგებათა კლასიკურ ანალიზს წარმოადგენენ.

ბ. უორფის ლინგვისტური გამოკვლევის მიხედვით, რომელიც ჰოპის ტომის ამერიკელი ინდიელების კოსმოლოგიას ეძღვნება, დასავლური დროის განცდა დახასიათებულია როგორც ერთმიმართულებიანი, უწყვეტი, დინამიკური მდინარეა, მოვლენათა რიგი, რომელიც წარსულიდან მომავლისკენ მიმართულ ხაზზეა გამწკრივებული. ჰოპის ტომის წარმომადგენლებისთვის დრო არის არა მოძრაობა, არამედ იმ ყველაფრისკენ უკან მიბრუნება, რაც კი ოდესმე შექმნილა. მათთვის უცხოა დასავლური აბსტრაქტული, სწორხაზოვანი და თანმიმდევრული დროის გაგება.

“სხვა დროების” მსგავსი ინტერპრეტაცია ხდება ე. ევანს-პრიტჩარდის გამოკვლევაში, რომელიც სუდანის სამხრეთში მოსახლე ნუერების ტომს ეძღვნება. ავტორი აღნიშნავს, რომ ნუერებს არ აქვთ თვის, დღისა და ღამის შორის პერიოდების აღმნიშვნელი სიტყვები; მათ არა აქვთ

სიტყვა, რომელიც, დასავლური გაგებით, “დროს” ექვივალენტი იქნებოდა და, დასავლელებისგან განსხვავებით, არ შეუძლიათ ისაუბრონ დროზე, როგორც რაღაც რეალურზე, რომელიც მიედინება, შეიძლება გაფლანგო, გაუფრთხილდე და ა.შ. (ადამი 2005: 101).

მირჩა ელიადე ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელების დროსთან დამოკიდებულების მაგალითს ამ დასავლური პოზიციის მიხედვით განიხილავს. მისი აზრითაც, არადასავლური დროის გაგება ციკლურია და განმეორებადი: “ზოგიერთი ინდიელი ტომების ენებში ტერმინი სამყარო (=კოსმოსი) ასევე გამოიყენება წელიწადის მნიშვნელობით. მაგალითად, იაკუტები ამბობენ “სამყარო გავიდა”, ანუ “წელიწადი გავიდა”. ეს სიტყვა მიუთითებს სამყაროსა და კოსმიურ დროს შორის შინაგან კავშირზე. კოსმოსი აღიქმება როგორც ცოცხალი ერთობა, რომელიც იბადება, ვითარდება და წელიწადის ბოლო დღეს კვდება, რათა ახალ წელს ისევ დაიბადოს (Eliade, 73).

იგივე ადამი თვლის, რომ “აუცილებელია ჩვეული მდგომარეობიდან გამოსვლა და “უცხოვს” პოზიციის დაჭერა, ჩვენი საკუთარი დროის (დროის დასავლური გაგების მ.თ.) იმ ადამიანების თვალთ დანახვა, რომლებიც პირობითად წარმოადგენენ ანთროპოლოგიური კვლევის ობიექტებს. მით უფრო, რომ არადასავლური დროის გაგებები შეიძლება დასავლეთშიც იყოს” (ადამი 2006: 101).

დრო მრავალასპექტიანია, ის მოცემულია ფიზიკურ პროცესებსა და სოციალურ ტრადიციებში, მათემატიკის აბსტრაქტულ გათვლებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობებში. მას ზომავენ საათის ერთეულების, ციური სხეულების მოძრაობის, განმეორებადი მოვლენების და საკუთარი სხეულის ცვლილებების საფუძველზე. დრო გამოიყენება როგორც საქონლის გაცვლის და მომსახურების საშუალება, ან როგორც გადახდის ფორმა; დრო აღიქმება, როგორც ბუნების, საზოგადოების, ადამიანების და მათი ინსტიტუტების ორგანიზების რესურსი. წუთი, საათი, კვირა, დღე, მთვარის ფაზა, წელი, შობისა და აღდგომის დღესასწაულები, საწარმოო ციკლი და ზრდის პერიოდი, თაობები და ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა – ყველაფერი

ეს ქმნის დროით ჩარჩოებს და მათ ფარგლებში ადამიანები არეგულირებენ ყოველდღიურ ცხოვრებას. ამ განსხვავებულ “დროებში” შეიძლება “როდის დროის” იდენტიფიცირება: როდის არის ბანკები ღია, როდის უნდა დაიძინონ ბავშვებმა, როდის ვიყავით ახალგაზრდა დ. ა. შ. დასავლურ საზოგადოებებში ეს “როდის” უფრო კალენდრის და საათის დროით სქემაზეა დამყარებული. მაგრამ, ამ სოციალური ქმედებების და ბუნებრივი ფენომენების დროის განსაზღვრისა და დროში ლოკალიზების საფუძველს მხოლოდ საათი და კალენდარი არ წარმოადგენს. “ტრადიციული” და “თანამედროვე” საზოგადოებების პოლარიზების მიუხედავად, საათის და კალენდარული დრო დასავლეთის დროის აღქმის ერთადერთი საფუძველი არ არის. ის მხოლოდ ამ გაგების ერთ ასპექტს ქმნის. დროის სტანდარტიზირებული სისტემა, არ გამორიცხავს დროის ლოკალურ, კონტექსტზე დამოკიდებულ გაგებათა არსებობას (ადამი 2006: 103-114).

შეიძლება დავასკვნათ, რომ დროის აღქმა ყველა საზოგადოებაში არსებობს. დროის აღქმის ცალკეულ გამოვლინებას ზოგ შემთხვევაში უნივერსალური ფაქტორი უდევს საფუძვლად, სხვა შემთხვევაში კი კულტურული თვალსაზრისით უნიკალური პირობა. შესაძლოა ე.წ. “არქაული საზოგადოებების” დროისადმი დამოკიდებულება უნივერსალურ კულტურულ მახასიათებლებს ეფუძნებოდეს. მაგალითად, ავსტრალიელი აბორიგენების რწმენა-წარმოდგენები უკავშირდება ზღვისა და მასთან დაკავშირებული გარემოს ცოდნას. ეს გარემოება თავის მხრივ დროის გაგებაზეც მოქმედებს (Mémott). მაგრამ, მხოლოდ ავსტრალიელ აბორიგენების დროის გაგება არ უკავშირდება მზის და მთვარის მოძრაობის, დღისა და ღამის, სეზონური ციკლების, კლიმატის, ფლორის ფაუნის, ზღვის მიქცევისა და მოქცევის და სხვა გარემო პირობების ცვლილებების აღქმას. ეს ე.წ. “ბუნებრივი დრო”, გარემო პირობებთან დამოკიდებულება დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებისათვის. დროის აღქმის ასეთი მრავალგვარობა, ყველა კულტურაში, სოციალური ცხოვრების კატეგორიებს და რიტმებს ასახავს. შესაბამისად, “ტრადიცი-

ული კულტურების” და დასავლური დროის დიქტომია არ შეიძლება ოყოს დროის აღქმის თავისებურების ინტერპრეტაციის ერთადერთი საფუძველი. ასეთი ფუნდამენტური კულტურული მახასიათებლის კვლევა სხვადასხვა, უკვე არსებული თუ ახალი, თეორიული მოდელების საფუძველზე უნდა მოხდეს.

როგორც ცნობილია, ეთნოგრაფიული კვლევა, ანუ, “მონაწილე დაკვირვების” მეთოდი კულტურულ ანთროპოლოგიაში “დამყარებულია იმ მარტივ იდეაზე, რომ ამ თუ იმ ხალხის გამოსაკვლევად, საუკეთესო გზაა ამ ხალხის წარმომადგენლებზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაკვირვება მათთან უშუალო ურთიერთობის გზით” (Monaghan and Just 2000: 13). მაგრამ, კვლევის ობიექტი არა მხოლოდ “სხვა” და ე.წ. “მცირე-მასშტაბის”, არამედ დასავლური საზოგადოებებიც უნდა გახდნენ. დროის აღქმის თავისებურებების კოსმოკულტურული შედარებების და ინტერდისციპლინური კვლევის საშუალებით შესაძლებელი იქნება ეთნოგრაფიული აღწერის შედეგების უნიკალურობას სივრცითი და დროითი კონტექსტი მოეძებნოს. თანამედროვე ანთროპოლოგია კი, როგორც ჰოლისტური და ინტერდისციპლინური დარგი, ასეთი კვლევის საშუალებას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამი, ბ. “დროის აღქმა” *ცივილიზაციური ძიებანი*. № 3, თბილისი, 2005.
2. Barnard, A. *History and Theory in Anthropology*. Cambridge University Press, 2000.
3. Eliade, M. *The sacred and the profane. The nature of religion*. New York
4. Kottak, C. P. *Cultural Anthropology*. The University of Michigan, 2000.
5. Memmott, P. *Tangkic Orders of Time: an anthropological approach to time study*
<http://scan.net.au/scan/journal/display.php?journal_id=59>

6. Monaghan, J. and Just P. *Social and Cultural Anthropology. A Very Short Introduction*. Oxford University press, 2000.
7. Moore, H. L. "Anthropological Theory at the Turn of the Century". in *Anthropological Theory Today*. Edited by Moore H. L. Polity Press, 1999.

Malkhaz Toria

Perception of Time from Perspective of Cultural Anthropology

The essence of culture is manifested in the peculiarity of the time perception. The experience of time permeates everyday life. Despite this ubiquity of time, however, there are no time specialists in anthropology. Anthropological theorizing about issues of time perception is still in the formative stage. The problem extends to the unquestioned understanding of Western time. It reaches the very base from which researchers explicate the time of "the other". Scientists have emphasized the differences between Western and non-Western perception of time. According to this dichotomy, non-Western cultures have been constructed through its opposition to the dominant images of "Western time". So, it is proposed that "their time" is cyclical, rather than linear, reversible rather than irreversible, etc. But, Time is multi-faceted and humans' everyday life in every society is full of references to time. Non-Western understandings of time may exist in Western societies. So, anthropologists should extricate themselves from the natural attitude and consider as an object of anthropological attention also the Western Societies.

ანთროპოლოგია - მომავლის მეცნიერება!

ჩემი სტატიის დასაწყისშივე მინდა განვმარტო შემდეგი – ჩვენი კონფერენციის თემაა “ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?!” , ბოლოში გაკვირვების, თუ კითხვის ნიშნით. ჩემი მოხსენების სათაურიც იგივეა - “ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება!”, ოღონდ ძახილის ნიშნით. ცხადია, ეს შემთხვევით არაა – ამით მე სრულ თანხმობას ვუცხადებ ჩვენი სამეცნიერო კონფერენციის მიზანსა და დანიშნულებას, ოღონდ, გარკვეული პირობითობით, რომელთა შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი საკუთრივ მოხსენების შესახებ.

მეცნიერების ნებისმიერ დარგში განსაკუთრებული, თუ გადამწყვეტი არაა, მნიშვნელობა აქვს ტერმინოლოგიის საკითხებს. პირველ რიგში, ესაა თუ რას ვგულისხმობთ ამათუიმ ტერმინის ქვეშ, რა შინაარსს ვდებთ მასში და როგორ უნდა გავიგოთ იგი. როგორც ცნობილია, სწორედ ეს განსაზღვრავს მეცნიერების ამ დარგის კვლევის მიმართულების სწორად გაგებას, მისი ამოცანების სწორად დასახვას. კარგადაა ცნობილი ისიც, რომ ერთიდაიმავე ტერმინით შეიძლება კვლევის სხვადასხვა მიმართულება აღინიშნებოდეს, ტერმინის სხვადასხვა გაგება იყოს და აქედან მეცნიერების ამ დარგის წინაშე სხვადასხვა ამოცანები იდგეს. ამის შესანიშნავი მაგალითია ტერმინი – ანთროპოლოგია – ჩვენი შესწავლის და განხილვის დღევანდელი საგანი. ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ დასავლეთში (ამერიკასა და ევროპაში) სულ სხვა გაგება ჰქონდა მას, ხოლო საბჭოთა სივრცეში სულ სხვა. მრავალ ნიუანსს რომ თავი დაგანებოთ, პრინციპული, ძირითადი და არსებითი განსხვავება, როგორც მოგეხსენებათ, იყო ის, რომ ანთროპოლოგია საბჭოთა სივრცეში მხოლოდ ფიზიკურ ანთროპოლოგიას, ადამიანის სხეულს, ან სხეულის ცალკეული ნაწილების ფიზიკური აგებულების შესწავლას ნიშნავდა, რაც მეტად ავიწროებდა და აუბრალოებდა ამ ტერმინის მნიშვნელობას და დანიშნულებას. დასვლეთელ

მეცნიერთა აზრით, რომ-ლებიც ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ადამიანის შესწავლას სოციალური, კულტურული და ფიზიკური განზომილებების მიხედვით - ეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგადად დასავლეთ ევროპაში მიღებული გაგება-განმარტებით. ხოლო თუ ცალკე დასავლეთ ევროპას ავიღებთ, აქაც მას სხვადასხვა გაგება და მიდგომა ჰქონდა; მაგალითად, საფრანგეთში იგი სოციოლოგიის დარგად იყო მიჩნეული, ხოლო ანგლოსაქსები ამ ტერმინით პოლიდისციპლინარულ მეცნიერებას აღნიშნავდნენ, რომელიც ოთხი დარგისგან შედგება და ა.შ.

ერთი სიტყვით, ერთი რომელიმე ტერმინის ქვეშ, მეცნიერების სხვადასხვა დარგი, მისი მნიშვნელობის სხვადასხვა გაგება შეიძლება იგულისხმებოდეს. იმის მიხედვით თუ რა შინაარსს ჩავდებთ მასში და როგორ შეთანხმდებიან ამის შესახებ ამ დარგში მომუშავე მეცნიერები.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი შესწავლის მეცნიერების აღმნიშვნელი ტერმინის გაგების პატარა ისტორია, თუმცა, არც ისე პატარა, თითქმის ოთხმოცწლიანი პერიოდი, ჩვენც გაგვანჩნია. კარგად მოგეხსენებათ ის მეტამორფოზი, რომელიც განიცადა ტერმინმა ეთნოლოგია – ეთნოგრაფიამ და ბოლოს ანთროპოლოგიამ ქართულ ეთნოლოგიურ სკოლაში. თავდაპირველად, ჯერ კიდევ 1924 წელს, აკად. გ. ჩიტაიას წინადადებით თუ ხელდასხმით, ჩვენი შესწავლის დარგი ეთნოლოგიად იწოდებოდა. შემდეგში, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან და უფრო კონკრეტულად ჯერ 1933 წელს ლენინგრადში ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, ხოლო 1937 წელს მის ბაზაზე ცალკე ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჩამოყალიბების დროიდან, ტერმინმა “ეთნოგრაფია” მოიცვა საბჭოთა სივრცე და იგი დამკვიდრდა მეცნიერებაში.

ასეთ პირობებშიც ქართულმა ეთნოგრაფიულმა სკოლამ შეძლო ინდივიდუალური სახის შენარჩუნება და რამდენიმე ათეული წლის მუშაობის, დიდძალი ემპირიული და კონკრეტული მასალის დაგროვებით, მრავალწლიანი სავსე და კაბინეტური მუშაობით, ჩამოაყალიბა კვლევის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი. თავს ნებას მივცემ შეგახსენოთ ამ მეთოდის თვითონ გიორგი ჩიტაიასეული დახა-

სიათება: “ეთნოგრაფიული მოვლენები შესწავლება ინტენსიურად, კომპლექსურ მთლიანობაში, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობაში, ისტორიზმის პრინციპის დაცვით”, და შემდეგ – “ამ მეთოდის თვალსაზრისით ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე, მნიშვნელოვანია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გაველით დაფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე” და სხვა.

როგორც ვხედავთ, აქ დასახულია კვლევის კონკრეტული გზები და მეთოდები, რაც, ვფიქრობ, ყოველთვის დარჩება მეცნიერების და მათ შორის ჩვენი მეცნიერების ამოსავალ დებულებად რა ცვლილებაც არ უნდა განიცადოს მისმა აღმნიშვნელმა ტერმინმა.

ამასთანავე, მთელი ჩვენი სამეცნიერო მუშაობის მანძილზე თან მოგვევებოდა სტრუქტურალიზმის ფუძემდებლის კლოდ ლევი-სტროსის მონუმენტური ფიგურა. ბოლოს ამ ტერმინმაც – სტრუქტურალიზმი, ცვლილება განიცადა და იგი ჩამოყალიბდა ორი სხვადასხვა მიმდინარეობის (ინგლისური და ფრანგული) აღმნიშვნელად. ინგლისურ სტრუქტურალიზმს “სტრუქტურული ფუნქციონალიზმი” (რედკლიფ-ბრაუნი) ეწოდა, ხოლო ფრანგული სტრუქტურალიზმი დარჩა ასეთივე სახელწოდებით, მისი შემქმნელის და მთავარი წარმომადგენლის კლოდ ლევი-სტროსის სახით.

აქაც კვლავ ტერმინების განსხვავებული გაგების და, რაც მთავარია, მათ მიერ აღნიშნული კვლევის განსხვავებული მეთოდების წინაშე აღმოვჩნდით. საერთო ინგლისურ და ფრანგულ სტრუქტურალიზმს შორის ის იყო, რომ სტრუქტურული კავშირების შესწავლის მნიშვნელობას ორივე აღიარებდა და ცნობდა მხოლოდ ერთ რომელიმე მთლიან სისტემაში (ტომი, სახელმწიფო, ნათესაობრივი ტერმინოლოგია და სხვა), ხოლო სხვა მხრივ ისინი პრინციპულად განსხვავდებიან. ნება მომეცით, შეგახსენოთ ეს განსხვავებანი, როგორც ტერმინის განსხვავებული გაგების მაგალითები. ინგლისური სტრუქტურალიზმისათვის ამოსავალია რეალური, კონკრეტული ერთობები (ტომი, ხალხი, სახელწიფო), ხოლო ფრანგული სტრუქტურალიზმი და პი-

რადად კლოდ ლევი-სტროსი შეისწავლის არა რეალურად არსებული მთლიანის სტრუქტურას, არამედ ხელოვნურად გამოყოფილ მის ცალკე ნაწილებს (ნათესაობრივი ტერმინოლოგია, ფოლკლორი, მითოლოგია და სხვ.). ჩვენ შეიძლება განსხვავებული აზრი გვქონდეს და დისკუსია გავმართოთ იმის შესახებ თუ რომელი გაგებაა უფრო მართებული და სწორი (მე მაგალითად უფრო პირველს ვემხრობი და იგი უფრო დამაკმაყოფილებლად მიმაჩნია), მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ტერმინმა განსხვავებული გაგება შეიძინა და კვლევის განსხვავებული მეთოდები აღნიშნა. და აი, დღესაც, ჩვენ კვლავ ისეთი ამოცანების წინაშე აღმოვჩნდით - ანთროპოლოგია, კულტუროლოგია, ეთნოლოგია, ეთნოგრაფია, ეთნოლოგია-ანთროპოლოგია – რომელია ამათ შორის ის ტერმინი, რომელიც გამოსატყვევს ჩვენი შესწავლის ობიექტს და კვლევა-ძიების მეთოდს, მოკლედ, მეცნიერების იმ დარგს, რომელსაც ვემსახურებით და რომელიც უნდა გადაიქცეს საუნივერსიტეტო კვლევის და, მაშასადამე, სტუდენტი ახალგაზრდობის შესწავლის საგნად?

იმისათვის, რომ გავერკეთ საქმის არსში, საჭიროა გავერკვეთ თვითონ ამ ტერმინების დანიშნულებაში – რას აღნიშნავს თითოეული მათგანი, რა განსხვავებაა მათ შორის, რა მნიშვნელობა შეიძინეს მათ თანამედროვე სინამდვილეში, ისედაც ხომ არ მოიცავს რომელიმე მათგანი ერთმანეთს, სად არის მათ შორის განსხვავება ან საერთო და ა.შ.

ვნახოთ რას გულისხმობს ტერმინი ანთროპოლოგია და რამდენად მოიცავს ის კვლევის იმ სფეროს, რომელსაც ჩვენ შევისწავლით და ვემსახურებით. ცნობილია, რომ თანამედროვე ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ანთროპოლოგია არის ჰუმანიტარული მეცნიერება, რომელიც ადამიანს შეისწავლის სოციალური, კულტურული და ფიზიკური განზომილებების მიხედვით. სანამ მათ ცალკე ცალკე განხილვას შევუდგებით, საჭიროდ მიმაჩნია წინასწარვე ყურადღება მივაპყრო ზემოთ წარმოდგენილი დეფინიციის ორ მომენტს – ანთროპოლოგია არის ჰუმანიტარული მეცნიერება, ე.ი. მოიცავს მეცნიერებათა კლასიფიკა-

ციით იმ დარგს, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით და, მეორე, ანთროპოლოგია შეისწავლის ადამიანს სხვადასხვა განზომილებით, ე.ი. ადამიანს, ცალკე აღებულს, როგორც საზოგადოების წევრს და არა მთლიანდ საზოგადოებას.

ახლა განვიხილოთ ანთროპოლოგიის შესწავლის ობიექტი – ადამიანი ცალკეული მახასიათებლების მიხედვით.

სოციალური განზომილებით ადამიანის შესწავლა გულისხმობს საზოგადოების იმ სოციალური დონის დადგენას, რომელშიც, ან რომლისგან დამოუკიდებლადაც ადამიანს უხდება ყოფნა ფართო გაგებით. ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ეს სოციალური დონე შეიძლება სხვადასხვა იყოს, თანაც თუ ყოველ ცალკე აღებულ შემთხვევაში არა, მის დიდ ნაწილში მაინც. თუ უფრო დაგვიკონკრეტდებით ადამიანის სოციალური მდგომარეობა, მისი სოციალური განზომილება შეიძლება იყოს მაღალი, საშუალო, დაბალი. თითოეულის შეიძლება ცალკე გრადაცია მოეპოვებოდეს; მაგ., დაბალი სოციალური დონე შეიძლება იყოს უკიდურესად დაბალიც, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებულიც და ყოველგვარი სოციალური განზომილების გარეთ მდგომიც.

ცხადია, ამის მიზეზების კვლევა, მისგან გამოსავალი გზების ძიება ან დადგენა და კიდევ სოციალურ განზომილებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლა, სოციოლოგიის საგანია, ხოლო ანთროპოლოგიას იმ გაგებით, როგორცადაც იგი ზემოთ იყო წარმოდგენილი ეს სჭირდება ცალკეული ინდივიდის არსებობის გარემოს დასახასიათებლად, იმის გამოსავლენად თუ ეს ინდივიდი თავისი სოციალური განვითარებით რომელ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს და აქედან გამომდინარე, რა სოციალური ძალები ამოძრავებს მას, რა მისწრაფებები გააჩნია როგორც ინდივიდს, ვინ არის ის, სოციალური დონის რა საფეხურზე დგას...

კულტურული განზომილებით ადამიანის შესწავლის მახასიათებლები არის მისი კულტურული განვითარების დონე მთლიანობაში და არა კულტურის რომელიმე სფეროში წარმოდგენილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თითოეულ ინდივიდს კულტურული განვითარების განსხვავე-

ბული დონე გაჩნია თვით ერთგვაროვანი კულტურის ამა-
თუიმ საფეხურზე მდგომ საზოგადოებაშიც. შეიძლება ერ-
თი ძლიერი იყოს მუსიკის, მეორე ისტორიის, მესამე ხე-
ლოვნების რომელიმე დარგის ცოდნაში და ა.შ. თითოეუ-
ლი წევრისგან შედგენილი ასეთი საზოგადოების საერთო
კულტურის დონის შესწავლა კი არ არის ანთროპოლოგი-
ის შესწავლის საგანი და ობიექტი, არამედ საზოგადოების
ცალკე აღებული წევრისა, ადამიანისა. ცხადია, ეს მეტ შე-
საძლებლობებს ჰქმნის თითოეული ადამიანის, საზოგადო-
ების თითოეული წევრის არამარტო კულტურული განზო-
მილების, როგორც ანთროპოლოგიის შესწავლის ერთერთი
ობიექტის დადგენა, სხვა ორი განზომილების დადგენას-
თან ერთად, კარგად წარმოაჩენს, ერთი მხრივ, იმ შესაძ-
ლებლობებს, რომლებიც ინდივიდს გააჩნია, და მეორე
მხრივ, დასახავს გზებს ამ განზომილების შემდგომი
ზრდისა და წარმატებული განვითარებისათვის.

ფიზიკური განზომილების მიხედვით, საზოგადოების
წევრის შესწავლა, ცხადია, სხვაზე მეტადაა ანთროპოლო-
გიის შესწავლის საგანი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ
ფიზიკური ანთროპოლოგია სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრა-
ფიულ გარემოში ჩამოყალიბებულ ადამიანთა ტიპებს განა-
სხვავებს რასობრივი ნიშნებით (ევროპეიდული, მონგოლო-
იდური, ნეგროიდული და ავსტრალიდური). ასევე, საყო-
ველთაოდ აღიარებულ რასობრივ ნიშნებად მიჩნეულია
თმის ფორმა და მესამეული თმის საფარველი (უღვაში,
წვერი). ცხადია, თითოეული ამ ნიშნის დახასიათებას და
მის მიხედვით მოსახლეობის კლასიფიკაციას მე აქ არ შე-
ეუდგები, მაგრამ ზოგად დებულებას იმის შესახებ მაინც
აღვნიშნავ, რომ ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებულ
ჯგუფებს, რომლებიც საერთო წარმოშობით არიან დაკავ-
შირებულნი, საერთო მემკვიდრეობითი, მორფოლოგიური
და ფიზიოლოგიური ნიშნები ახასიათებთ, რაც ყოველი ინ-
დივიდის შემთხვევაში შეიძლება იყოს და არის ანთროპო-
ლოგიის, ზემოთ წარმოდგენილი გაგებით შესწავლის სა-
განი.

ბოლო ხანებში ეთნოლოგია-ეთნოგრაფიის, რო-გორც
ტერმინების და როგორც მეცნიერების დარგის ჩანაცვლე-

ბის სურვილით და პრეტენზიებით ფეხი მოიკიდა ტერმინმა “კულტუროლოგია”, უფრო მეტიც, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოც კი შეიქმნა ამ სახელწოდებით (“კულტუროლოგია”, თბ; 2003), რომელსაც სიახლის პრეტენზია აქვს.

ვნახოთ რა სიახლეს შეიცავს ეს ჩვენი კულტუროლოგია, როგორც ტერმინი და როგორც დარგის ადმინისტრაციული ცნება?

“კულტუროლოგია, აღნიშნულია სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში, როგორც საზოგადოებათმცოდნეობის ცალკე დარგი, შეიქმნა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ისტორიის, ფილოსოფიის, კულტურული ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის მიღწევათა სინთეზის საფუძველზე” (კულტუროლოგია, გვ.3). არსებობს ჰუმანიტარული მეცნიერების კიდევ რომელიმე დარგი, რომელიც აქ არ იყოს დასახელებული? ეს ხომ აბსურდია, ეს თითოეული ამ დარგის ნიველირებაა, მათი მხოლოდ მოკლე დეფინიციების დონეზე წარმოდგენისთვის საფუძველის მომზადებაა, არაფრის-მთქმელი სეკვენსტრებით სტუდენტებისათვის გადაცემის საშუალებაა.

კიდევ ამონაწერი “კულტუროლოგიის” წინასიტყვაობიდან:

“ტერმინს “კულტუროლოგია” ფართო და ვიწრო მნიშვნელობით ხმარობენ. ვიწრო მნიშვნელობით, კულტუროლოგია მოიცავს ორ ძირითად მხარეს: კულტურის თეორიასა და კულტუროლოგიურ მოძღვრებათა ისტორიას. ფართო მნიშვნელობით, კულტუროლოგიაში შედის ისეთი დისციპლინები, როგორიცაა კულტურის ისტორია, კულტურის თეორია, კულტურანთროპოლოგია, კულტურის შესახებ მოძღვრებათა ისტორია (ცოტა ზემოთ, როგორც დავინახეთ, ეს უკანასკნელი შედიოდა კულტუროლოგიის ვიწრო მნიშვნელობით გაგებაში), შემდეგ – კულტურის ფილოსოფია, კულტურის ფსიქოლოგია და სოციოლოგია, კულტურის ეკოლოგია, გამოყენებითი კულტუროლოგია” (იქვე, გვ.9). რა არის ეს? მაზე მეტად დარგის გაბიაზურება იქნება? როგორ ყველაფრის მომცველი და უნივერსალური ყო-

ფილა ეს “კულტუროლოგია”! რა საჭიროა მაშინ მეცნიერების სხვა დარგები, ისაა თურმე ყველაფრის სინთეზი და მან ერთმა უნდა იბოვინოს მეცნიერთა თავებსა და უნივერსიტეტის კედლებში!

ახლა ვნახოთ ვინ არიან ჩვენი “კულტუროლოგიის” ავტორთა წინამორბედები: ედუარდ ტაილორი, ჰერბერტ სპენსერი, მაკლენანი, ლუის მორგანი, ფრიც გრებნერი, ლეო ფრობენიუსი, ფრანც ბოასი, ბრონისლავ მალინოვსკი, რედკლიფ-ბრაუნი, კლოდ ლევი-სტროსი, ლესლი უაიტი, ე.ი. ყველა ისინი ვინც შექმნეს და მთელი შემოქმედებითი ენერგია შესწირეს ეთნოლოგიას, მისი როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებას. აი, თურმე რა ხდება! აი, თურმე “კულტუროლოგიის” ავტორებს რა მოუნდომებიათ – ეთნოლოგების მხრებზე შემდგარებს, ეთნოლოგიის გამოყენებით, მისივე დასამარება და მისივე პრინციპების გამოყენებით ვითომ ახალი დარგის შექმნა და “ეთნოლოგიის” “კულტუროლოგიით” ჩანაცვლება, სამწუხაროა, რომ მათ ამაში, შეიძლება გაუცნობიერებლადაც და ვაი, თუ გაცნობიერებულად ჩვენი კოლეგა ეთნოლოგ-ეთნოგრაფებიც ამოსდგომიან და რეცენზენტობითა თუ რედაქტორ-კონსულტანტობით მათი ნაღვაწისათვის გზა დაულოციათ. ყველაფრის ამის გვირგვინი კი ის არის, რომ “კულტუროლოგიის” სახელმძღვანელო მიძღვნილია აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხსოვნისადმი – იმ ადამიანისადმი, რომელიც მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა და, მე ვიტყვოდი, ცხოვრებაც, ეთნოლოგიის, როგორც დარგის შექმნა-ჩამოყალიბებას, ქართული ეთნოლოგიური სკოლის დაარსებას და ათობით ეთნოლოგ-მკვლევარის, მეცნიერისა თუ უმაღლესი სკოლის მოღვაწის აღზრდას შეაღია. ამის იქით ცინიზმი ნამდვილად ძნელი წარ-მოსადგენია. თუმცა, ასეთი ცინიზმის არაერთი მაგალითი ახსოვს ქართულ მეცნიერებას, სამწუხაროა, რომ ესეც მათ რიგში დგას და, ამჯერად მაინცადამაინც ჩვენს დიდ და ჩვენს ძვირფას მასწავლებელს შეეხო.

ამასთან დაკავშირებით, მე, ასე ვთქვათ, “პირადი ანგარიშიც” მაქვს კულტუროლოგებთან. წიგნში “კულტუროლოგია” მითითებული არაა 1997 წელს გამოცემული

ჩემი “ეთნოლოგიის ქრესტომათია”, სადაც, ზემოთ ჩამოთვლილ – წინამორბედ-ავტორთა შრომების ამონარიდებია წარმოდგენილი მათი ბიოგრაფიითა და სამეცნიერო შემოქმედების აღნიშვნა-გაანალიზებით, და, 1999 წელს ხელმოწერულ გამოცემული “ეთნოლოგიის საფუძვლები”, პირველი გამოცემის – “ეთნოლოგიის” (1993) გადამუშავებული გამოცემა, თურმე, საქმე იმაშია, რომ ეს “კულტუროლოგია” ჩემს მიერ გამოცემული “ეთნოლოგიის საფუძვლების”, თავს ნებას მიეცემ განვახცადო, გადამდერებაა, ოღონდ ხელოვნურად გაბერილი, ვითომ ახალი მომენტებით შევსებულ-გამდიდრებული, და ისეთი ენით გადაკეთებული, რომ სტუდენტებისთვის სრულიად გამოუსადეგარ-გაუგებარია და მენიერებისათვის ახლის არაფრის მთქმელი.

როგორც მოგეხსენებათ, 1993 წელს მე გამოვეცი ეთნოლოგიაში პირველი ქართული სახელმძღვანელო, 1997 წელს პირველი “ეთნოლოგიის ქრესტომათია”, რომელსაც საერთოდ ანალოგი არ მოეპოვება, ცალკე მაქვს გამოქვეყნებული “კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლისა და ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხები“, ჩემი ნაშრომით “ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში” დაიწყო ისტორიული ეთნოლოგიის საკითხების კვლევა საქართველოში წყაროებზე დაყრდნობით. სახელმძღვანელომ “ეთნოლოგია” დაიმსახურა 2000 წლის სახელმწიფო პრემია და კიდევ ბევრი სხვა. ამიტომ, ყოველგვარი ყალბი მიკერძოების გარეშე, პირდაპირ ვიტყვი, რომ ეთნოლოგიის დარგის დამკვიდრებაში მეც მიმიძღვის გარკვეული წვლილი, ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ ეს იყო წინგადაგმული ნაბიჯი ძველთან შედარებით. როგორც იქნა, საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და მეცნიერთა აზროვნებაში დამკვიდრდა ქართველ და არა მარტო ქართველ, არამედ მთელი საბჭოთა სივრცის ეთნოგრაფთა არაერთი თაობის ოცნება და სურვილი – ტერმინი “ეთნოლოგია” და დარგი, რომელსაც იგი აღნიშნავს.

დასკვნის სახით: თუ ჩვენ ანთროპოლოგიის იმ მახასიათებლებით წარმოვადგენთ, როგორითაც ზემოთ იყო აღნიშნული – იგი მოიცავს ეთნოლოგიასაც (აღამიანთა საზოგადოების შესწავლა), ეთნოგრაფიასაც (აღამიანთა ყო-

ფითი გარემოს შესწავლა) და კულტუროლოგიასაც (ადამიანთა ინტელექტუალური დონის შესწავლა). ცხადია მეცნიერების ასეთი დარგი მხოლოდ მომავლის მეცნიერება შეიძლება იყოს და მე იგი ასეთად მესახება. თუმცა ვთვლი, რომ ტერმინი “ანთროპოლოგია” პირობითად, დროებით ტერმინად ვიგულისხმობ და დარგის გადარჩენის მიზნით, სამომავლოდ მაინც, ტერმინ “ეთნოლოგიას” დაეუჭიროთ მხარი.

მე, ძალიან ვწუხვარ, ჩემი მკაცრი ტონალობით გამოსვლის გამო, თანაც კოლეგების მიმართ, რომელთა უმრავლესობა ან ჩემი მეგობარია და, ასე 40 წელია მაინც, რაც ერთად მხარიმხარ ვედექით და ვემსახურებოდით უნივერსიტეტის კეთილდღეობის საქმეს, ან ჩემი ყოფილი სტუდენტები (დღეს კოლეგები) არიან, რომლებთანაც ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა და სიმპატიები მაქვს, მაგრამ ჩვენი დარგის ასეთ შეკვეცა-განიავების საშუალებას არავის არ მივცემთ.

ეთნოლოგებო ფხიზლად!!!

Soso Chanturishvili

Anthropology – Science of the Future!

The paper discusses the problems concerning the current situation on teaching anthropology in Georgian high educational space. Considering such tasks as correlation of ethnology, culturology, social and cultural anthropology, the decision is drawn that anthropology as an equivalent of ethnology, without no doubt is the science of the future.

ეთნოლოგია და ანალიტიკური ფსიქოლოგია

როდესაც საუბარია ისტორიული მეცნიერების იმ დარგის შესახებ, რომელსაც ეთნოლოგიას ვუწოდებთ და რომლის შესწავლის საგანს ადამიანის არსებობისა და აზროვნების ყველა სფერო წარმოადგენს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხსენებულ დარგში წარმოებული კვლევების შედეგებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენენ ალბათ ყველა იმ დარგზე, რომელიც ამა თუ იმ კუთხით სწავლობენ ადამიანს. დღეს თქვენ ყურადღებას შევაჩერებთ, თუ როგორ განაპირობა ეთნოლოგიამ კერძოდ კი მისმა იმ მიმართულებამ, რომელიც რელიგიის ისტორიას სწავლობს ისეთი დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა, რომელსაც იუნგისეული ანალიტიკური ფსიქოლოგია ეწოდება. მართალია, ანალიტიკური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებაა, მაგრამ იგი ეფუძნება იმ აღმოჩენებს, რომლებმაც მედიცინაშიც შეაღწიეს, შესაძლებელი გახადეს უკეთ ზრუნვა ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

იუნგისეული ანალიტიკური ფსიქოლოგიის მიხედვით პიროვნება ინტრაფსიქიკური ძალებითა და ხატებითაა მოტივირებული, რომელთა წარმოშობა ადამიანის ევოლუციის სიღრმეებში მიდის. ადამიანის არაცნობიერი თანდაყოლილ სულიერ მასალას შეიცავს, რომლებსაც წარსულში შორს მიმავალი ფესვები აქვთ. კ. გ. იუნგის აზრით, სწორედ ეს თანდაყოლილი სულიერი მასალა განსაზღვრავს ზოგადად ადამიანის სწრაფვას შემოქმედებითი თვითგამოხატვითი და ფიზიკური სრულყოფისაკენ. „მან უნიკალური, უდიდესი სამეცნიერო ინტერესის მქონე თეორია შექმნა, რომელიც პიროვნების შესწავლასთან დაკავშირებულ სხვა ყველა მიდგომებისაგან საგრძნობლად განსხვავდება“ - ვე-

რენ ლარი ჰეილი და დენიელ ზიგლერი¹.

კ. გ. იუნგის აზრით, პიროვნება სამი დამოუკიდებელი, მაგრამ ურთიერთგანმაპირობებელი სტრუქტურისაგან შედგება. ესენია: ეგო - მე, პიროვნული და კოლექტიური არაცნობიერი.

კოლექტიური არაცნობიერი ადამიანის ყველაზე სიღრმისეულ სფეროს წარმოადგენს და მასში მთელი კაცობრიობის სულიერი გამოცდილებაა დაუნჯებული. იგი ყველა ჩვენგანში თაობიდან თაობას გადაეცემა. მასში ადამიანის გრძნობები და აზრებია თავმოყრილი, საერთო და უნივერსალური, რაც ჩვენი საერთო ემოციური წარსულის შედეგია. სწორედ კოლექტიური არაცნობიერის კონცეფცია აღმოჩნდა იუნგისა და ფრეიდის დაცილების ძირითადი მიზეზი.

კ. გ. იუნგი თვლიდა, რომ კოლექტიური არაცნობიერი ძლიერი, არქაული ფსიქიკური ხატებისაგან შედგებოდა, რომელსაც, როგორც ცნობილია, არქეტიპები უწოდა. არქეტიპები თანდაყოლილი იდეები და მოგონებებია. ადამიანი მათი მეშვეობით თუ ზემოქმედებით მოვლენას თავისებურად განიცდის, აღიქვამს და მათზე რეაგირებს. მათი ზემოქმედების შედეგად ადამიანის ქცევაში აღქმის, აზროვნების და ქმედების უნივერსალური მოდელები იჩენს თავს. როგორც ცნობილია, იუნგი თვლიდა, რომ არქეტიპები გვხვდება სიზმრებში, კულტურაში, სიმბოლოების სახით, რომლებიც გამოიყენება მხატვრობაში, ლიტერატურა-სა და რელიგიაში. კ. გ. იუნგი თვლიდა, რომ არქეტიპული სიმბოლოები მას პაციენტის სიზმრების ანალიზში ეხმარება² და შესაბამისად, პაციენტის მკურნალობაში. მოდით კ. გ. იუნგის ნაშრომის „სიზმრების ანალიზის“ მიხედვით ვნახოთ ერთი მხრივ თუ როგორ ხდება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არქეტიპული სიმბოლოს – ჯვრის – შესწავლა ფსიქოანალიტიკოსების მიერ, რათა შემდგომ მათ შეძლონ

¹ Л. Хелл, Д. Зиглер, Теории личности, Основные положения, исследования и применения, Санкт-Петербург, Москва, Харьков, Минск, 2001, сс. 197-198.

² იქვე, გვ. 199-201.

პაციენტის დახმარება როდესაც იგი სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს. მეორე მხრივ ეთნოლოგიური და ფოლკლორული ცოდნა როგორ არის ის ბაზისური ცოდნა, რომლის გარეშე ზემოსხენებული მიზნების მიღწევა კ. გ. იუნგის მეთოდის მიხედვით, ალბათ შეუძლებელიც იქნებოდა. 1929-1930 წლებში ციურისში კ. გ. იუნგი ატარებდა სემინარებს, რომლის მასალებიც გამოიცა ერთ წიგნად სახელად „სი-ზმრის ანალიზი“. კ. გ. იუნგი სემინარისტების გარკვეულ თემას აძლევდა მის მონაწილეებს, კერძოდ, იმ არქექტიპების შესახებ, რომლებიც თავს იჩენდნენ პაციენტის სი-ზმრებში. მან დოქტორ ბარეტს სთხოვა ეთნოლოგიური კუთხით ჯვარზე მოსხენება გაეკეთებინა, რომლის მოსმენის შემდგომ იუნგი ხაზგასმით იწონებს მომხსენებლის ეთნოლოგიურ ნაშრომს. აღსანიშნავია, რომ ის ვინც აპირებს იუნგიანურ ფსიქოთერაპიაში წარმართოს საკუთარი მოღვაწეობა, მას ეთნოლოგიაში გამოცდის ჩაბარება ევალებება.

განიხილავს რა ჯვარს, როგორც სიმბოლოს სხვადასხვა ქვეყნის კულტურაში უძველესი ხანიდან მოყოლებული, დოქტორ ბარეტი გვიჩვენებს ამ ნიშნის განვითარების ისტორიას, რომლის დროსაც, რა თქმა უნდა რელიგიის ისტორიაში არსებულ მდიდარ მასალას ეყრდნობა. იგი ცდილობს წარმოაჩინოს თუ როგორ აისახა ჯვრის სიმბოლო მსოფლიო ხალხების რელიგიურ აზროვნებაში, რაც, როგორც ცნობილია, ეთნოლოგიის უშუალო კვლევის საგანს წარმოადგენს.

ასურელები ცის ღმერთს ანუსს, ტოლფერდა ჯვრით წარმოსახავდნენ, მზეს კი - დაწყვილებულ ხაზებიანი სხივებით, რომლებიც წრეში იყო ჩახატული. ამგვარ დისკოს ასურეთის მეფე ატარებდა. პრეისტორიულ ეგვიპტეში ტაუს ჯვარი მარტივი ფორმის ჯვარი იყო. იგი ფალოსის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, როდესაც ტაუ ჯვარის თავზე წრეში, ოვალში თავსდება, იგი *crux ansata* ანუ ცხოვრების მაგიური გასაღები ხდება. *Crux ansata*-საგან წარმოქმნილი იდუოგრამა, რომელიც იეროგლიფებში იხმარება სიცოცხლის, მკვდრეთით აღდგომის და უკვდავების სიმბოლოა. ფიქრობენ, რომ ოვალი ჯვარზე მუსიკალური ინსტრუმენტის –

სისტრის – სიმბოლო უნდა იყოს, ინსტრუმენტისა, რომელიც ისიდას, დედამიწის ქალღმერთის თაყვანისცემის დროს უკრავდნენ. ასევე ფიქრობენ, რომ ოვალი დელტის, ღმერთების არსებობის ადგილს განასახიერებს და ამდენად კვლავ ისიდასა და ქალს უკავშირდება. ამდენად, *crux ansata* გარდაიქმნა შესაქმის სიმბოლოდ. სწორედ ეს ჯვარი უჭირავთ ხელში ეგვიპტურ მონუმენტებზე გამოსახულ ღმერთს, ქურუმს, მეფეს. ეს ჯვარი საფლავზეც იყო მოთავსებული. სავარაუდოდ ისინი ფალოსს განასახიერებდნენ, რაც მკვდრეთით აღდგომის სიმბოლო იყო. საფლავის მხატვრობაში ხსენებული ჯვარი მიცვალებულთა გადავიდებას განასახიერებს, ცოცხლებისათვის კი იგი სასიცოცხლო ძალის სიმბოლო იყო. ეგვიპტეში პასექისას ებრაელებს კარზე სწორედ ტაუს ფორმის ჯვრის გამოსახვისა-კენ მოუწოდა მოსემ. ჯვარი ძველ ეგვიპტეში ინიციაციის რიტუალში იხმარებოდა. მასზე სამი დღის განმავლობაში უნდა ყოფილიყო ინიციანტი გაკრული, რომელსაც მესამე დღეს ხსნიდნენ და ისეთ ადგილზე აწვევდნენ, სადაც ახლად ამოსული მზის სხივები უნდა მოხვედროდა ნიშნად იმისა, რომ ისინი ოსირისისა და სიბრძნის ღმერთის – თოთის - მიერ იყვნენ ინიცირებულნი. ეგვიპტური კულტურისათვის დამახასიათებელი ჯვრის მეორე სახეობა ასტროლოგიური ანუ წრეში ჩახატული ჯვარი სოლარულ ბორბალსა და მებრძოლ მეეტლეს დაუკავშირდა. საბერძნეთში სოლარული ბორბალი აპოლონის ემბლემად იქცა. მას აშურეთსა და ბაბილონშიც ვხვდებით. საფიქრებელია, რომ სვასტიკა მისგან წარმოიშვა. სოლარული ჯვარი ფართოდ არის გავრცელებული, მათ შორის ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის კულტურაში. იგი ირლანდიაში დღემდეა პოპულარული.

Crux ansata ეგვიპტიდან ფინიკიელებში, შემდეგ კი მთელ სემიტურ სამყაროში გავრცელდა, როგორც მაგიისა და წინასწარმეტყველების სიმბოლო. იგი სარდინიიდან ირანამდე, ინდოეთსა და აფრიკაში, ფრიგიაში, პალესტინასა და მესოპოტამიაში იყო გავრცელებული. ფინიკიელებთან და ხეთებთან იგი სიცოცხლის ხისა და ლოტოსის ყვავილის სიმბოლოა. ყველა ვინც ჯვარს ითვისებდა საკუ-

თარი კულტურის ელემენტთან აკავშირებდა. მაგ.: ფინიკი-ელემა ჯვარი ასტარტას გამოსახულებას და როზარით წოდებულ სიმბოლოს დაუკავშირეს, ბერძნებმა სიცოცხლის ქალღმერთს. ქრისტიანობის შემოღების შემდეგ, რომაული ჯვრის, ანუ ისეთის შემოღებამდე, რომელზეც იესო ქრისტე იყო ჯვარცმული *Crux ansata*-ს ხმარობდნენ.

სვასტიკა ხმელთაშუაზღვისპირეთში ძალიან ადრე, ბრინჯაოს ხანიდან ჩნდება. ამგვარი ჯვარი ნაპოვნია ტროაში და ძვ. წ. აღ. 3000 წ. თარიღდება. სვასტიკა ქრისტიანებმაც შეითვისეს და ახ. წ. აღ. III საუკუნის ბოლომდე გამოსახავდნენ. ქრისტეს მონოგრამასთან ერთად ჩვენ მას კატაკომბებში ვხვდებით. ინდოეთსა და ჩინეთში იგი ძვ. წ. V საუკუნემდე არ ჩნდება. ფიქრობენ, რომ აქ იგი ხმელთაშუაზღვისპირეთიდანაა შემოტანილი. ძვ. წ. აღ. VIII-VII სს-ში ჩინეთში სვასტიკას წრეში ხატავენ და იგი მზის და მისი მოძრაობის სიმბოლოს განასახიერებდა, რაც ფსიქოლოგიაში ლიბიდოს სიმბოლოა. თუ სვასტიკას მკლავები საათის მიმართულებით მოძრაობს იგი მამაკაცური საწყისია და მზის, სინათლის, სიცოცხლის მნიშვნელობის მქონეა. თუ პირიქით – განასახიერებს ქალურ საწყისს, სიბნელეს და დესტრუქციას. აღსანიშნავია, რომ წინაქრისტიანულ ეპოქაში უბრალოდ აღმართული სვეტი ან სარი ჯვრის სიმბოლო იყო. ფიქრობენ, რომ ჯვრის თაყვანისცემა ქრისტიანობამდეც იყო გავრცელებული. ამერიკის აბორიგენებში ჯვრის სიმბოლიკაში ორი ძირითადი მნიშვნელობაა შერწყმული: 1. ჯვარი, როგორც ოთხი მხარის სიმბოლო და 2. მსოფლიო, სიცოცხლის და ჩვენი სხეულის ხის სიმბოლო.

აღსანიშნავია, რომ წინაქრისტიანული ეპოქის სხვადასხვა კულტურებში მრავალი ღმერთი (ატისი, ოდინი...) ჯვარზე თუ ხეზე გაკვრით ილუპება, მაგრამ შემდგომ კვლავ აღდგება. თუ ჩვენ გავისხენებთ, რომ ხე დედური სიმბოლოა, მაშინ გასაგები ხდება, რომ მითოლოგიური ღმერთი უბრუნდება დედას, რათა კვლავ დაიბადოს, რათა გახდეს უკვდავი. ამ შემთხვევაში ხე სიცოცხლის ხეა. *Crux ansata*-ს განვითარებულ ფორმად ქრისტეს მონოგრამასაც მიიჩნევენ, რომელიც კონსტანტინემ ბრძოლის წინ იხილა.

იგი საბრძოლო დროშად, მსოფლიოზე ბატონობის ნიშანი გახდა. ჩე. წ. აღ.-ის V საუკუნიდან *Crux ansata* კელტური ქვეყნების გარდა იშვიათობა იყო. სვასტიკაც იშვიათად ჩნდებოდა ამ პერიოდის ევროპაში. ამ დროისათვის ლათინური და ტოლფერდა ჯვარი წამყვან ადგილს იკავებს. ჯვარცმა, ანუ სხეული ჯვარზე პირველად VII საუკუნეში ჩნდება³. არც ქართული ეთნოლოგიური მასალა წარმოადგენს გამონაკლისს. ჯვარი ქართულ ტრადიციულ კულტურაში სიცოცხლის ხეც არის, სამყაროს ცენტრი, ღვთაებების სადგომიც და ბოროტებასთან მეზობელი ნიშანი⁴. ადრეშუასაუკუნე-ებში კი, როგორც ქრისტიანული სიმბოლო, ხსნის, მარადიული სიცოცხლის, სიკვდილის და-თრგუნვის კარდინალურ სიმბოლოდ იქცა.

და ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ ჯვარი არის სამეფო ნიშანი, უკავშირდება მზის კულტს. არის აპოთროპეული მნიშვნელობის მქონე ნიშანი, ნაყოფიერების მოპოვების მაგიური საშუალება, სიცოცხლისა და უკვდავების ხე. ჯვარი უდაოდ გამოხატავს ერთობის იდეას, რაც განსაკუთრებით *Crux ansata*-ში ჩანს და რაც მარადიული დაბადების იდეას უკავშირდება. დოქტორ ბარეტის ეთნოლოგიურ კვლევას „სიზმრის ანალიზში“ იუნგისეული შეფასება მოსდევს. იგი ამბობს, რომ პრიმიტიულ ადამიანს ორგვარი აღქმა აქვს. მას შეუძლია აღიქვას კონკრეტული სურათები და გეომეტრიული ფიგურებიც, რაც აბსტრაქტულია. „ჯვარი“ - ამბობს იგი, - „პალეოლითის ხანის ფსიქიკური რეალობაა“⁵. რას უნდა წარმოადგენდეს ეს უძველესი სიმბოლო? – კითხულობს იქვე იუნგი და საკუთარ შეკითხვას პასუხობს. ეს აბსტრაქტული სიმბოლო წარმოშობილია ისეთ ეპოქაში, როდესაც ადამიანები საგნებს კონკრეტულად ხედავდნენ. მთელი ისტორიის მანძილზე ჯვარმა – სიმბოლომ და საკრალურმა ნიშანმა, კი არ განიცადა დეგ-

³ C.G.Jung, *Dream Analysis*, v.2, Notes of the Seminars in Analytical Psychology, Zurich, October 1929-June 1930, fourth edition, 1972, pp. 36-57.

⁴ იხ. ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, გამ. „სამშობლო“, თბ., 1993.

⁵ C.G.Jung, *Dream Analysis*..., იქვე, გვ. 49.

რადირება და დესაკრალიზაცია, არამედ გართულდა და შეივსო, დაიტვირთა სიმბოლური მნიშვნელობებით. იგი მარადიულად ცოცხალი სიმბოლოა. ჯვარი გამაოგნებლად უნივერსალური ნიშანია, რომელიც ბრინჯაოს ხანიდან მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ის ადამიანში პრიმორდიალური ფსიქიკის არსებობის ფაქტს ადასტურებს. აჯამებს რა ჯვრის ყველა იმ სიმბოლურ მნიშვნელობას, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, იუნგი აღნიშნავს, რომ ჯვარი სიცოცხლის მიმნიჭებელი სიმბოლოა და იქვე სვამს შეკითხვას – რატომ? რატომ გამოისახება სიცოცხლის მიმნიჭებელი ჯვრის ფორმით? ამ შეკითხვას იუნგი თავად ამგვარად პასუხობს: მისი აზრით, ჯვარი არ წარმოშობილა ადამიანის გარე სამყაროში არსებული ფორმიდან. იგი პრიმიტიული ადამიანის ენდოფსიქიკური ხედვის შედეგია. ამ ხედვის მთავარი მახასიათებელი კი ის არის, რომ გამოხატოს, რამდენადაც ეს ადამიანს შეუძლია, სასიცოცხლო ენერჯის მთავარი თვისება, რაც არა მარტო მასშია, არამედ იმ საგნებშიც, რაც მისია. იუნგისთვის ეს ფაქტი აბსოლუტურად ირაციონალური იყო. იგი ვერ ხვდებოდა თუ რატომ აღიქვა ადამიანმა ენდოფსიქიკური ხედვით ჯვრის ფორმით სასიცოცხლო ენერჯია. იგი ამბობდა: „მე არ ვიცი თუ რატომ აღიქმება სასიცოცხლო ენერჯია ჯვრით, ან ოთხი რიცხვით, მაგრამ ვიცი, რომ ჯვარი ყოველთვის მანას ან სასიცოცხლო ძალას ნიშნავდა“⁶. თუმცა, როდესაც იგი ენდოფსიქიკურ ფუნქციებზე საუბრობს აღნიშნავს, რომ მათ შორის პირველი მეხსიერებაა, ანუ რეპროდუქციის უნარი. ე.ი. მეხსიერება ან გახსენება პირველი ენდოფსიქიკური ფუნქცია, „არაცნობიერად ქცეულ შინაარსთან რეპროდუცირების უნარია“⁷. ვფიქრობთ, იუნგის მიერ დასმულ შეკითხვაზე, რომელსაც თავად მან ვერ მოუძებნა პასუხი და შესაძლოა ამ პასუხთან ახლოც იდგა, თავიანთ ახსნას ქრისტიანული ეკლესიის მამები გვაძლევენ. ისინი წერენ, რომ წარმართული და ეკლესიის მიღ-

⁶ იქვე, გვ. 54.

⁷ კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ., 1995, გვ. 33.

მა მდგარი საზოგადოება მარადიულად, ხშირად გაუცნობიერებლად ეძებს იმის დაბრუნებას, რაც დაკარგა, ანუ სამოთხეს. „...ჩვენთანაც, საქართველოში ინტენსიური მსჯელობა წარმოებდა იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი საეკლესიო რეალია, საეკლესიო სიწმინდე (გნებავთ მძიმე ჯვრები) პარალელს პოულობს წარმართულ რეალიებთან (ვთქვათ, ე.წ. წარმართულ ჯვრებთან). ზოგჯერ ამას იმგვარად განმარტავენ, თითქოს ქრისტიანობამ ეს ყველაფერი წარმართობიდან აიღო, სინამდვილეში კი, საეკლესიო მოძღვრების საფუძველზე, აბსოლუტურად გამჭვირვალეა, რომ თავდაპირველი საღვთო ცოდნა სამოთხიდან ადამიანის გამოდევნის შემდეგ მიმოიფანტა კაცობრიობაში გაუაზრებლად, გაუცნობიერებლად და გამოვლინდა კიდევ სტიქიურად სხვადასხვა სახით; ეგევე საღვთო ცოდნა, განუზომლად აღმატებულად, კვლავ დაუბრუნდა კაცობრიობას მაცხოვრის განკაცების ჟამს“ - წერს ე. ჭელიძე⁸. სამოთხის ხის, ხე ცნობადის აკრძალული ნაყოფის გასინჯვით ჩაიდინა ადამიანმა პირველი ცოდვა. ამის გამო უფალმა ადამს და ევას მეორე, იქვე, სამოთხის ცენტრში მდგარ სიცოცხლის ხესთან მიახლოება აუკრძალა და სამოთხიდან გააძევა. სი-ცოცხლის ხესთან, რომელსაც წმიდა წერილი და წმიდა მამები იმ ჯვრის წინასახედ მიიჩნევენ, რომელზეც იესო ქრისტე გააკრეს⁹. სწორედ სამოთხეში ამოზრდილი სიცოცხლის ხე ცნობადისა იყო ხე, რომელთან დაკავშირებული აკრძალვა დაარღვია ადამმა და ევამ და რომელთა ცოდვა სწორედ სამყაროს ცენტრში, ანუ სამოთხის ცენტრში ამოზრდილ, გოლგოთის ჯვარზე – სიცოცხლის ხის წინასახეზე - გააკრით გამოიხსნა იესო ქრისტემ. ამდენად, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანულ სწავლებაზე დაყრდნობით, არქეტიპებში დაკარგული

⁸ ე. ჭელიძე, ქრისტიანობა და საზოგადოება, ჟურნ. „ფუქე“, რედ. დოლო (მარიამ) დლონტი, №6 (8) ნოემბერი-დეკემბერი, 2005, გვ. 16.

⁹ Толковая Библия, Т. 1, Петербург, 1904-1907, второе издание института перевода библии, Стокгольм, 1987, стр. 18; Словарь библейского богословия, изд. Жизнь с богом, Брюссель, 1974, сс. 276-277.

სამოთხის ძიება და მომავალი მარადიული სიცოცხლის წინასწარმეტყველებაა ასახული და რომ ადამიანი თანდაყოლილ ცოდნას ატარებს არქექტიპების სახით. ამდენად, ჯვარი ყოველად უნივერსალური სიმბოლოა, რომელიც მარადიული განახლების და სიცოცხლის სიმბოლოდ აღიქმება ნებისმიერ ჩვენგანში.

დაბოლოს შეიძლება ითქვას, რომ კ. გ. იუნგი სიმბოლოების, რიტუალების, ღვთაებათა პანთეონის, კულტუროლოგიურ სივრცეში მათი ადგილის გარკვევის გზით, ცდილობდა გაეანალიზებინა პაციენტის სიზმრები, ნახატები, ხილვები თუ აქტიური წარმოსახვები და სხვ. ერთი მხრივ, მას ეთნოლოგიური ცოდნა ესმარებოდა პაციენტის მკურნალობაში, ხოლო, მეორე მხრივ, მისი კვლევები ეთნოლოგს აძლევს შესაძლებლობას საზოგადოების მენტალობასთან, მის ცვლილებებთან თუ მდგრადობასთან დაკავშირებული პროცესები უკეთ შეისწავლოს.

Nino Gambashidze

Ethnology and Analytical Psychology

The subject of the given article is to show how ethnology on one hand able and conditioned such a world wide discovery as Jungian analytical psychology and on the other hand, how achievements of analytical psychology can help ethnologists to solve the problems of mentality, study the processes of formation religious outlook, factors of preserving religious rights, beliefs etc.

As it is well known according to Jungian analytical psychology a man is motivated by intrapsychical forces and images the formation of which is going far beyond the human being's evolution. The unconscious of a man bears genitively inherited spiritual material. According to Jung this inherited spiritual material determines man's creative and psychical perfection.

Ego-consciousness, personal and collective consciousness, constituents of psychic structure are determining each other. Collective unconscious is the deepest sphere of personality accumulating the whole inherited spiritual experience of a mankind.

C. G. Jung believed that collective unconsciousness consists of

powerful archaic psychic images or archetypes as he named them. Under the influence of these archetypes universal models of behavior can be viewed in actions, perception and thinking of a human being. As it is also well known C.G. Jung believed that archetypes can be met as symbols in dreams and culture. These symbols are widely used in art, literature and religion. C.G. Jung believed that archetypical symbols helped him to analyze dreams of his patients.

C.G. Jung gave seminars at Zurich in October 1929-June 1930. Analyzing a dream of a patient he asked Dr. Barrett to prepare a lecture on cross from the ethnological and historical view point. After delivering a lecture Jung expressed his opinion and said that “primordial psychical fact”, is one of the most universal and archetypical symbols. Jung had his own explanation why cross was so wide spread symbol in space and time. “My idea is”-wrote C. G. Jung-“that the symbol of the cross does not originate from any external form but from an endopsychical vision of the primitive man...the essential quality of life’s energy as it appeared not only in him but also in all his objects. It is an absolutely irrational fact to me, that vital energy should have anything to do with a cross...I don’t know why it is perceived in such a form: I only know that cross has always meant manna or life power” (C.G. Jung, “Dream Analysis”). If the cross originates from endo- psychical vision it is worth to be noted that recalling is the first endopsychical function. Thus, to our opinion holy fathers of the Christian Church can answer Jung’s question.

They say: a man permanently tries to return his main loss-The Paradise- lost by eating the forbidden fruit of the Tree of Life-the prime image of the Cross; the crucifixion returned perspective of eternal life. Based on the holy fathers’ opinion we may suppose that the cross symbol and archetypes may express the memory of the paradise, unconscious desire for the lost Paradise and eternal life.

Thus, the cross is one of the most universal symbols that may be perceived as an eternal life symbolism by each human being.

ეკონომიკური ანთროპოლოგიის ძირითადი მიმართულებები

ეკონომიკური ანთროპოლოგია, როგორც მიმართულება, სოციალური ანთროპოლოგიის ფარგლებში ჩამოყალიბდა, სადაც ეკონომიკური სისტემის საფუძველზე საზოგადოების ფუნქციონირების კვლევის საინტერესო ტენდენციები დაისახა. ეკონომიკური ანთროპოლოგიის, როგორც ცალკე კვლევის სფეროს წარმოდგენა, ერთი მხრივ, ამ სფეროში დაგროვილმა ინფორმაციამ, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების ფუნქციონირების საქმეში ეკონომიკის მნიშვნელობის გააზრებამ გამოიწვია.

რის გაგებას ცდილობენ ანთროპოლოგები, როდესაც სწავლობენ ეკონომიკას? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემას გერმანელი ეთნოლოგი კრის ჰანი ტერმინის განმარტებით იწყებს, სიტყვა ეკონომიკა ბერძნულიდანაა ნაწარმოები და ოიკოს, ოჯახს, ჯალაბობას ნიშნავს. ტერმინი, რომელიც საოჯახო საქმეების ორგანიზებას გულისხმობდა, დღეისთვის სხვადასხვა ხალხთან და სახელმწიფოსთან მიმართებაში გამოიყენება. საუბარია გლობალურ ეკონომიკაზეც, ანთროპოლოგები ეკონომიკას იკვლევენ განსხვავებულ საზოგადოებებში და განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, პრიმიტიული ტექნოლოგიებსაც და მაღალი ხარისხის პატენტებსაც.

ტრადიციულად დიდ კამთის იწვევდა მატერიალური ფაქტორის გავლენის ხარისხის დადგენა ზოგადად სოციალურ ყოფაზე. ფიზიკური გარემო და ტექნოლოგიური საშუალებები ქმნიან სხვა ინსტიტუტების არსებობის პირობებს. მაგ. მონადირეთა და შემგროვებელთა ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს ფართო მოსახლეობის და ისეთ კომპლექსური ინსტიტუტის შენახვას, როგორც სახელმწიფოა, ვერ “დააფინანსებს” მძლავრ რელიგიურ სისტემას, რომელიც ნარატიული სახითაა გადმოცემული. და პირიქით ჩვენი ეკონომიკა ვერ იარსებებდა სრულყოფილი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმების გარეშე (*Hann, Ch.*).

საზოგადოების ორგანიზაციის, მისი სტრუქტურის გაგებისთვის უმთავრესი საკითხებია: წარმოება, განაწილება და კომუნიკაცია. სწორედ ამ საკითხების გააზრებაში ვხვდებით განსხვავებულ მიდგომებს.

ეკონომიკური ანთროპოლოგიის კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდა ეკონომიკური სისტემებისადმი მიდგომის რამდენიმე პარადიგმული თეორია. ესენია: ფორმალიზმი, სუბსტანციონიზმი, პოლიტეკონომია და კულტურალიზმი.

ფორმალიზმი როგორც მიდგომა ძირითადად გამოიყენება თანამედროვე ეკონომიკური პროცესების განზოგადებისთვის. ნეოკლასიკოსი ეკონომისტების მთავარი, კატეგორიებია უკმარობა, ნაკლებობა (დეფიციტი) და მაქსიმალური სარგებელი. ეკონომიკური აქტორების გადაწყვეტილებაზე გავლენები განსხვავებულია არსებული ვითარების გათვალისწინებით, თუმცა ზემოთნახსენები კატეგორიები განსაზღვრავენ მოტივაციას. განზოგადება რომ მოვახდინოთ აფრიკელი პასტორი, ავსტარლიელი მონადირე თუ შემგროვებელი და ევროპელი კაპიტალისტი მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებებს იღებს, ანუ აკეთებს არჩევანს მეტი სარგებლის მისაღებად, იმ ინფორმაციის ფარგლებში, რასაც იგი ფლობს. ამგვარი განზოგადება, ერთგვარ გამოწვევად იქცა ანთროპოლოგებისთვის, რომლებიც ეთნოცენტრიზმისკენ იხრებოდნენ. ისინი არც კი კამათობდნენ იმის თაობაზე, რომ ინდუსტრიამდელ საზოგადოებებში ადამიანი, ნაკლებ რაციონალურია თანამედროვე ევროპელთან შედარებით.

რას ვგულისხმობთ გადაწყვეტილებაში, ქცევაში, რომელიც ყოველთვის მაქსიმალური სარგებლის მიღებაზეა ორიენტირებული? ინდივიდის, ან ჯგუფის ქცევა, გადაწყვეტილება ერთ საზოგადოებაში შესაძლოა არ იყოს რაციონალური, ხოლო სხვა საზოგადოებისთვის აბსოლუტურად რაციონალური აღმოჩნდეს. აგრეთვე, ერთსადაიმთავ საზოგადოებაში განსხვავებული შედეგი შეიძლება ჰქონდეს მაქსიმალური სარგებლის მიღების თვალსაზრისით მსგავს ქცევებს. ამგვარად, სარგებლის მიღების საფუძველი, სუბიექტურია და საზოგადოების ტიპზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. ფორმალისტების მიდგომით ჩვეულ

მდგომარეობაში ადამიანები აკეთებენ მაქსიმუმს თავიანთი შესაძლებლობიდან გამომდინარე, რათა მოიპოვონ უპირატესობა, მაქსიმალური სარგებელი.

ე.წ. პრიმიტიული ეკონომიკური სისტემის ან აფრიკული და აღმოსავლური სამიწათმოქმედო საზოგადოებების ანალიზისას არ არის აუცილებელი თანამედროვე ეკონომიკური მოდელების მახასიათებლებით ვისარგებლოთ. რაც შეეხება ფორმალისტურ მიდგომას ისეთი ზოგად ეკონომიკური მახასიათებლებისადმი, როგორიცაა: რესურსი, მოთხენილება, არჩევანის გაკეთება, იმდენად ზოგადი და უნივერსალურია, რომ ყველა საზოგადოებასთან მიმართებაში შეიძლება იყოს გამოყენებული (Raymond, F. 13).

განზოგადების უფრო დაბალ საფეხურზე, ანთროპოლოგების ნაწილი ნეოკლასიკოსი ეკონომისტების კონცეფციებიდან იყნებენ ზოგიერთ მიდგომას. მაგალითად, რაიმონდ ფირცი კუნძულ ტიკოპიაზე კაკლის ხეების, როგორც მნიშვნელოვანი რესურსის განიხილვისას იყენებს ისეთ კონცეპტს, როგორიცაა კაპიტალი. ტომის ბელადი ნიგეზის მოსავალზე ტაბუს დადებით, ფაქტობრივად საკუთარი კაპიტალის შევსებას უზრუნველყოფს. რაიმონდ ფირცის დასკვნით ის ფაქტი, რომ ამ ხალხს არ აქვს ფულის ეკვივალენტი და ბაზარი, ხელს არ უშლით გააკეთონ რაციონალური გათვლა მაქსიმალური სარგებლის მისაღებად.

სუბსტაციონიზმი. სუბსტაციონისტური პარადიგმის წამოყენება ეკონომიკური ანთროპოლოგიის ფარგლებში დაკავშირებულია კარლ პოლანის (1886-1964) სახელთან. პოლანი იყო უნგრელი იურისტი, ჟურნალისტი და ეკონომიკის ისტორიკოსი, რომელზეც დიდი გავლენა მოახდინა, ბ. მალინოვსკისა და სხვა ეთნოლოგების ნაშრომებმა. პოლანი არ იყო პრაქტიკოსი მკვლევარი. სანამ იგი გადავიდოდა ამერიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტში, როგორც ინტერდისციპლინური კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, უკვე მზად იყო დაპირისპირებოდა ისეთ მძლავრ მიმართულებას, როგორადაც ფორმალიზმი ჩამოყალიბდა. პოლანიმ თავისი ნააზრევი ჩამოაყალიბა ნაშრომში: “ვაჭრობა და ბაზარი ადრეულ იმპერიებში”. იგი წერს, რომ სიტყვა ეკონომიკა ორი მნიშვნელობით გაიზა-

რება, ერთია ფორმალისტური, სადაც ნეოკლასიკოსი ეკონომისტების განმარტებით ამოსავალი პრინციპი, დეფიციტის პირობებში, მაქსიმალური სარგებელია. მეორე, განსხვავებული გაგება სუბსტანციონისტებს უკავშირდებათ. მათთვის მნიშვნელოვანია, ის თუ როგორ მოიპოვებენ ადამიანები საარსებო საშუალებებს გარემომცველ სამყაროში. პოლანი მიიხნევა, რომ ეკონომიკის ამგვარი გაგება ბევრად უკეთესად პასუხობდა ანთროპოლოგების ინტერესებს. პოლანი ფორმალისტურ მიდგომას ბოლომდე არ გამოორიცხავდა, თვლიდა, რომ მისი გამოყენებაც შეიძლებოდა, მხოლოდ თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების შესწავლისას. სუბსტანციონიზმის ფარგლებში მიიხნევენ, რომ განსხვავებული ეკონომიკური სისტემების კვლევისათვის მეცნიერს შესაბამისი ინსტრუმენტები და ტერმინები სჭირდებოდა, მაგ. ინდუსტრიამდელი საზოგადოების დასახასიათებლად, პოლანი შემდეგ ტერმინებს გვთავაზობს: ურთიერთგაცვლა და განაწილება, რაც მისი აზრით, ამ ტიპის საზოგადოებებისთვის ინტეგრირების საშუალებასა და ფორმას წარმოადგენს.

სუბსტანციური კონცეფცია ემყარება ემპირიულ ეკონომიკას, ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის ინსტიტუციურ პროცესს, რომლის შედეგად პროცესი: მოთხოვნა – მიწოდება მუდმივად მიმდინარეობს (Malinowski, b. p. 10).

ფორმალისტებს და სუბსტანციონისტებს შორის სხვაობა აბსტრაგირების დონეშია. პოლანის აზრით, ცალკეული საზოგადოების ეკონომიკური სისტემის შესასწავლად განსხვავებული კონცეფციებია საჭიროა. მას აკრიტიკებენ, როგორც ანტისაბაზრო ფილოსოფიის მიმდევარს და თავისებურ რომანტიკოსს არასაბაზრო ღირებულებების პროპაგანდისტისთვის. სუბსტანციონისტების ნაკლად თვლიან იმასაც, რომ ისინი არ იკვლევდნენ თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებების ეკონომიკურ ცხოვრებას. ხოლო პოლანი ამის საპირისპიროდ ამიტყვიცვება, რომ თანამედროვე ეკონომიკას არ შესწევს უნარი “გაიგოს” სხვა სოციალური სისტემა, რაც ანთროპოლოგებმა და ისტორიკოსებმა ერთობლივი ძალისხმევით უნდა იკვლიონ. ამდენად,

სუბსტანციონიზმს, როგორც მიდგომას დიდი დატვირთვა განსხვავებული საზოგადოებების კვლევისას მიენიჭა. აღნიშნულ კვლევებს საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა სოციალურ ანთროპოლო-გიაში.

პოლიტიკური ეკონომია. ამ მიდგომაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა მარქსის თეორიამ მოახდინა. მიდგომის ჩამოყალიბებაზე, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი როლი ადამ სმიტის და სხვა კლასიკოსი ავტორების ეკონომიკურმა თეორიებმაც იქონიეს. აღნიშნული პარადიგმის ფარგლებში ეკონომიკა პო-ლიტიკურ და სოციალურ სისტემებთან მჭიდრო კავშირში განიხილებოდა. დასავლურ ანთროპოლოგიაში ნეომარქსისტები დაბრუნდნენ, როგორც პარიზელი ინტელექტუალები, რომელებიც იზიარებდნენ მარქსის კონცეფციას საწარმოო ძალთა შესახებ და რომ სოციალური ფორმაცია წარმოების ტიპზეა დამყარებული. ნეომარქსისტები აკრიტიკებენ, როგორც ფორმალისტებს, ისე სუბსტანციონისტებს იმის გამო, რომ ისინი გამოკვეთილ ინტერესს გაცვლის მიმართ იჩენდნენ. შესაბამისად ნაკლები ყურადღება დაუთმეს ისეთ სერიოზულ საკითხს, როგორიცაა წარმოება. ისინი ასევე ადანაშაულებდნენ სუბსტანციონისტებსა და ფორმალისტებს საზოგადოების განვითარებასა და ორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით დაპირისპირებულობის ფაქტორის და კონფლიქტის უგულვებელყოფაში.

მათ საპირისპიროდ პოლიტიკური ეკონომიის მიდგომის მომხრენი ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ყველაზე ჩაკეტილ და იზოლირებულ საზოგადოებაზეც კი გარკვეულ გავლენას კაპიტალიზმი XVI საუკუნიდან მოყოლებული ახდენს.

პოლიტიკური ეკონომიის მიდგომის მნიშვნელოვანი კორექტივი, კონტექსტის გაფართოება იყო. მათ ყურადღება და შესაბამისად აქცენტი ცალკეული, ლოკალური საკითხებიდან საერთო კონტექსტზე გადაიტანეს, რითაც შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის ანთროპოლოგიური კვლევის საინტერესო პერსპექტივები დასახეს.

საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა არის რეალური ბაზა, საყრდენი, რომელზედაც იურიდიული და პო-

ლიტიკური ხესტრუქტურა აღმოცენდება. წარმოების ტიპი განსაზღვრავს, ზოგადად სოციალური, პოლიტიკური და იდეური ცხოვრების ხასიათს, რომლის განსაზღვრული ფორმები სოციალური აზროვნების გარკვეულ დონეს შეესაბამება (Marx, K.).

კულტურალიზმი. ეს პარადიგმატული მიდგომა ემსახურება მცდელობას ეკონომიკური მახასიათებლები აიხსნას გაფართოებული კულტურული მოდელებით. თუმცა, ისინი ვინც კულტურალიზმის იდეას იზიარებენ აღნიშნავენ, რომ მათთვის მთავარი საკვლევი საზოგადოების ლოკალური მოდელის გაგებაა. თავისმხრივ ფორმალისტებიცა და მარქსისტებიც მიმართავენ ლოკალურ მოდელებს, მაგრამ კულტურალიზმი კონკრეტული საზოგადოების ეკონომიკური მოდელების მიღმა იუდეურ-ქრისტიანულ ტრადიციულ ძირებს ხედავს. ეკონომიკური ცხოვრების კულტურალისტური გააზრების კლასიკურ მაგალითად განიხილება მაქს ვებერის “პროტესტანტული ეთიკა”, სადაც კაპიტალიზმის საფუძვლები პროტესტანტულ ღირებულებებსა და ცხოვრების წესთან არის დაკავშირებული. ვერც ერთი ადამიანი, განვითარების რომელ საფეხურზეც არ უნდა იყოს სრულად ვერ გამოყოფს სულიერ მდგომარეობას ეკონომიკური ურთიერთობებისგან (Malinowski, B.). მეცნიერების ნაწილი ამ მიმართულების მკვლევარებს სუბსტანციონისტების საქმის პირდაპირ გამგრძელებლებად მიიჩნევს. ამ მიდგომის ყველაზე თვალსაჩინო ნაკლად ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება-განსაზღვრაში კულტურული ფაქტორისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება მიიჩნევა, რაც გარკვეულ საფრთხესთან არის დაკავშირებული. კერძოდ, მეცნიერების მიერ რომელიმე საზოგადოების სიღარიბის ახსნა კულტურული თავისებურებებით პოლიტიკური ინტერესების შესაბამისი თეორიების ჩამოყალიბების შესაძლებლობას განაპირობებს.

თითოეული თეორიის გაჩენას თავისი ისტორიულ-კულტურული საფუძველი ჰქონდა. თუმცა, გარკვეული კატეგორიები და მიდგომები დღემდე აქტუალურია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკონომიკური ურთიერთობების ანთროპოლოგიურმა კვლევებმა XX საუკუნიდან შეიძინა.

რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, საერთო ეკონომიკური სივრცის არსებობით და განვითარების ტენდენციების დასახვის საჭიროებით., მეორე მხრივ, კი ეთნიკური თავისებურებების გავლენის ანალიზის აუცილებლობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hendry, J., An Introduction to Social Anthropology, London 1999
2. Hann, Ch., Social Anthropology 2000
3. Carrier, J. G. A handbook of economic anthropology 2005
4. Fritz R., Methodological issues in economic anthropology
5. Malinowski, B. Coral Gardens and Their Magic, London, Allen & Unwin, 1935
6. Marx, K. Preface to the Conversations in Colombia, Cambridge, London, 1857

Tea Kamushadze **The General Concepts in Economic Anthropology**

Economic Anthropology as a new direction developed in the field of social anthropology. From this point of view the social economic system became more important for understanding different cultures and their development. One of the reasons of its becoming more important was the huge information collected in this sphere and the other one, reanalyzed meaning of economy in functioning of society. Four paradigmatic views appeared in Economic Anthropology: Formalism, Substantives, Political economy and Culturalism. Each of them has their specific interests and focuses for studying economic system. Despite of this, they do not deny, but enriched each other.

ნინო ჩირვაძე,
ლელა ნებიერიძე

**სამედიცინო ანთროპოლოგია და ქართული
ეთნოლოგიური
სკოლა**

თანამედროვე ანთროპოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი *სამედიცინო ანთროპოლოგია*, რომელიც სოციო-კულტურულ ასპექტში შეისწავლის სამედიცინო თეორიასა და პრაქტიკას მოიცავს როგორც საბუნებისმეტყველო ისე რელიგიურ შეხედულებებს დაავადებათა ეტიოლოგიის შესახებ და მკურნალობის ტრადიციებს. ყოველივე ეს კულტურის ნაწილია და დამახასიათებელია ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის. ის იცვლება კულტურის ცვლილებასთან ერთად და შესაძლებელია იყოს მსგავსი სხვადასხვა კულტურაში ან საერთოდ უნივერსალური. დაავადების თეორიას ვერ გაიგებთ თუ არ იცით საზოგადოების კულტურული ორიენტაცია და სოციალური სტრუქტურა. მედიცინა არის ადაპტაციის გამოხატულება, გარემოსთან შეგუების გამოვლინება, ის ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა. მოკლედ რომ ვთქვათ, *სამედიცინო ანთროპოლოგია* შეისწავლის დაავადებასთან ბრძოლის და გარემო პირობებთან შეგუების პროცესს (Culture... 1977, გვ. 1).

დაავადება წარმოადგენს არა მხოლოდ ბიოლოგიურ, არამედ სოციოკულტურულ ფენომენს. აქედან გამომდინარე ადამიანის ჯანმრთელობა, დაავადება და მკურნალობა განხილულ უნდა იქნეს არა მხოლოდ ბიოლოგიურ არამედ სოციოკულტურულ კონტექსტში, რასაც სამედიცინო ანთროპოლოგია ითვალისწინებს და ტრადიციულ პრაქტიკასა და სამედიცინო თეორიასთან ერთად, ტრადიციული მედიცინის სოციოკულტურულ ასპექტებსაც განიხილავს. მაგ. დაავადებათა როლს კაცობრიობის ისტორიაში, დაავადების ფაქტორს ადამიანის გარემოსთან ადაპტაციის პროცესში, ხალხური მკურნალების როლს ამ თუ იმ საზოგადოებაში, დაავადებას როგორც სანქციას და სხვ.

სამედიცინო ანთროპოლოგია თეორიულ დონეზე, რო-

გორც აღვნიშნეთ, განიხილება როგორც კულტურული ანთროპოლოგიის ერთ-ერთი დარგი, ამიტომ აქ გამოყენებულია ყველა ის კვლევის მეთოდი, რომელსაც მეცნიერების ამ დარგის მკვლევარები იყენებენ - ევოლუციური, ფუნქციონალური, სტრუქტურალისტური...

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ცნობილმა ინგლისელმა ანთროპოლოგმა, ექიმმა და ფსიქოლოგმა ვ. რივერსმა ჩამოაყალიბა სამედიცინო ანთროპოლოგიის კონცეფცია და შექმნა ნაშრომი - *მედიცინა, მავია, რელიგია*.

1950-იანი წლებიდან მედიკოსებმა და მედიცინის ისტორიკოსებმა შექმნეს რამდენიმე ნაშრომი სამედიცინო ანთროპოლოგიის მიდგომით, მათ შორის გამოირჩევა ჰ. სიგერისტის - *მედიცინის ისტორია*, სადაც პრიმიტიული მედიცინის საკითხებია განხილული (Sigerist, 1951, გვ. 105).

1950-იან წლებში ტალკოტ პარსონსის ნაშრომების შემდეგ ჩამოყალიბდა სამედიცინო სოციოლოგია, რომელიც მედიცინას განიხილავს როგორც სოციალურ ინსტიტუტს, დაავადებასა და ჯანმრთელობას კი როგორც სოციალურ ფენომენს. სოციოლოგთა ინტერესის ცენტრში დადგა ისეთი პრობლემები, როგორცაა - პაციენტისა და ექიმის ურთიერთობა, უფლება-მოვალეობები, სოციალური სოლიდარობა ავადმყოფისადმი და სხვ.

1960 წელს ისევ მედიკოსების, კერძოდ, ფსიქიატრ არი კიევის მიერ გამოცა ნაშრომი - *მავია, რწმენა და განკურნება*, რომელიც მეტად საინტერესოა სამედიცინო ანთროპოლოგებისათვის.

1970-იანი წლებიდან სამედიცინო ანთროპოლოგია ჩამოყალიბდა როგორც ცალკე სამეცნიერო დისციპლინა. ამ დარგში საინტერესო ნაშრომები შექმნეს მეცნიერებმა: ველინმა, ფოსტერმა, ალანდმა, პარსონსმა, აკერნახტმა...

სამედიცინო ანთროპოლოგიაში უცხოეთში დღესაც წარმატებით გრძელდება მუშაობა და მრავალ მნიშვნელოვან გამოკვლევებთან ერთად შექმნილია სამედიცინო ანთროპოლოგიის არა ერთი კვლევის ცენტრი თუ საზოგადოება. სამედიცინო ანთროპოლოგია, როგორც სასწავლო კურსი იკითხება ამერიკულ სამედიცინო სკოლებში, უნივერსიტეტების იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ

კულტურულ (სოციო-კულტურულ) ანთროპოლოგიას.

ინგლისურ-ამერიკულ სკოლებში სამედიცინო ანთროპოლოგია გახდა სამედიცინო სისტემების ცოდნის კომპლექსი, რომელიც არსებობდა და არსებობს სხვადასხვა საზოგადოებებში, სწავლობს მკურნალობის ფორმებსა და ტრადიციებს, ავადმყოფის დახმარების მეთოდებს, სამედიცინო პრაქტიკას კულტურულ კონტექსტში, სამედიცინო ცოდნის წარმოშობას სხვადასხვა სოციოკულტურული ასპექტებით და ა.შ. რაც აფართოებს ცოდნის სფეროს სამედიცინო ანთროპოლოგიაში და რაც მთავარია რეალურ საფუძველს უქმნის სამედიცინო ტრადიციების გამოყენების პერსპექტივას პრაქტიკაში.

რუსეთში მუშაობა სამედიცინო ანთროპოლოგიაში, როგორც სოციალური ანთროპოლოგიის დარგში დიდი ხანი არ არის რაც დაიწყო. ადრე საბჭოთა კავშირში სამედიცინო ანთროპოლოგია განიხილებოდა სხვა მნიშვნელობით და შინაარსით. 1990-იან წლებში მეცნიერებმა თავიანთ ნაშრომებში წარმოაჩინეს სამედიცინო ანთროპოლოგია როგორც განსაკუთრებული მიმართულება ფიზიკური (ბიოლოგიური) ანთროპოლოგიისა. ცნობილია, რომ საბჭოთა მეცნიერება ანთროპოლოგიას აიგივებდა მხოლოდ ფიზიკურ (ბიოლოგიურ) ანთროპოლოგიასთან. ის ვითარდებოდა სხვა სახელით და სხვა მოცულობით (Михель, გვ. 1).

დიდმა ინტერესმა სამედიცინო ანთროპოლოგიისადმი თანამედროვე რუსეთში, შესაძლებელი გახდა მომხდარიყო რეორგანიზაცია ამ სფეროში. სამამულო ეთნოგრაფთა ტრადიციულმა ინტერესმა **მცირე ხალხების** კულტურული პრაქტიკის მიმართ, ხალხური მედიცინის პრაქტიკასთან შეთავსებით შექმნა პირობები სამეცნიერო მსჯელობისა ტრადიციული საზოგადოებების სამედიცინო პრაქტიკის პრობლემებზე. ამასთან ერთად კი აზრთა გაცვლა სოციოლოგიასა და ეთნოლოგიას შორის საშუალებას იძლევა დაიწყოს ლაპარაკი ჯანმრთელობის შესახებ ურბანისტულ პირობებში არსებულ სოციალურ ჯგუფებში.

ეს გამოკვლევები მართლაც საჭიროა და აუცილებელი პრაქტიკული თვალსაზრისით. სამედიცინო ანთროპოლოგიის ცოდნის სფერო კიდევ უფრო გაფართოვდება

არა მარტო სოციალური, არამედ კულტურული გაგებითაც.

სამედიცინო ანთროპოლოგიის სწავლება ძალიან აქტუალურია თანამედროვე პოლიეთნიკური საზოგადოებებისათვის, რომელთა წარმომადგენელიც ხშირად მიეკუთვნებიან სხვადასხვა საზოგადოებას, თავისი ზოგჯერ ძალიან სპეციფიკური შეხედულებებით ჯანმრთელობასა და ავადმყოფობაზე, სხეულზე, სულზე, იმაზე თუ რას ნიშნავს უმკურნალო და დაეხმარო ავადმყოფს და ა.შ. სამედიცინო ანთროპოლოგიის ცოდნა მნიშვნელოვანია ანთროპოლოგებისათვის, რომელნიც სპეციალურად იკვლევენ სხვადასხვა ხალხის და სოციალური ჯგუფის კულტურულ პრაქტიკას ასევე ექიმთათვის, რომელთაც პრაქტიკის დროს საქმე აქვთ ადამიანებთან განსხვავებული შეხედულებითა და პრინციპებით.

ამერიკაში, ინგლისსა თუ რუსეთში ვერ მოხერხდა ერთი და იგივე სამედიცინო სტანდარტების ჩამოყალიბება მოსახლეობაში სამედიცინო ანთროპოლოგიის მკვლევართა აზრით, ეს განსხვავება გამოწვეული იყო სხვადასხვა საზოგადოებების დამოკიდებულებით დაავადებების მიმართ, მათი განსხვავებული სამედიცინო აზროვნებისა და პრაქტიკის გამო. სამედიცინო ანთროპოლოგიის ცოდნა სასურველია საზოგადოების ყველა იმ წევრისათვის, რომელსაც შეხება უხდება ადამიანის ჯანმრთელობასთან, განსაკუთრებით მედიკოსებისათვის.

ანთროპოლოგთათვის მედიცინა არის სამედიცინო დაწესებულებათა სისტემა, სადაც გვხვდებიან ექიმები და პაციენტები, ეს არის განსაკუთრებულ საზოგადოებათა სამყარო, თავისი კულტურით, რიტუალებით, ქცევათა ფორმებით და სხვ.

სამედიცინო ანთროპოლოგიის განვითარება ამჟამად ხდება კვლევის ახალი მიდგომითა და გამოვლინებებით, როგორცაა - დაავადება, ჯანმრთელობა, მკურნალობა, წამალი, სხეული, სქესი, განათლება...

სამედიცინო ანთროპოლოგიის ტერმინოლოგია შესწავლის სტადიაშია. ისევე როგორც ყველა ანთროპოლოგიური დისციპლინა, სამედიცინო ანთროპოლოგიის ენა არ დაიყვანება ზუსტ ტერმინებამდე, მაგრამ გამომდინარეობს

პრაქტიკული საჭიროებიდან. სამედიცინო ანთროპოლოგიის ძირითადი შეხედულებები დაიყვანება იქამდე, რომ ყოველგვარი სამედიცინო პრაქტიკა წარმოადგენს განსაკუთრებულ კულტურულ მოვლენას და ეს არის მისი ძირითადი და მთავარი კრედო (Михель, გვ. 4).

თანამედროვე ანთროპოლოგებმა თავიანთ თემატიკაში შეიტანეს ბიომედიცინის ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული იდეები და მეთოდები. ამასთან ერთად ახალი სიმძლავრით დადგა საკითხი სიკვდილის, ავადმყოფობისა, ადამიანის სხეულის აღქმისა.

სამედიცინო ანთროპოლოგია, როგორც ცოდნის სისტემა მოიცავს მთელ რიგ ტრადიციულად საკამათო პრობლემებს, რაც საშუალებას იძლევა გამოიყოს მასში მთელი რიგი საკითხებისა. უპირველეს ყოვლისა, სამედიცინო ანთროპოლოგია შეისწავლის მედიცინის ცალკეულ დარგებს და თითოეული მათგანი წარმოდგენილია სხვადასხვა საზოგადოების სამედიცინო სისტემებში. გარდა ამისა, ეს დარგი იკვლევს ჯანმრთელობის პრობლემებს ადამიანთა სხვადასხვა საზოგადოებაში. მხედველობაშია მიღებული ისეთი საკითხები, როგორცაა – დაავადება, ეკოლოგია, ადამიანთა ქცევა, რეპროდუქციის პრობლემები, სტრესი, ნარკოტიკების მოხმარება, ეპიდემიები...

XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი საზოგადო მოღვაწეები თუ მეცნიერები დიდ ყურადღებას იჩენდნენ ქართული ტრადიციული მედიცინის მიმართ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ილ. აღხაზიშვილის, სპ. ვირსალაძის, ა. იაშვილის, ბ. ნიჟარაძის, ზ. ჭიჭინაძის, აღ. ხახანაშვილისა და სხვათა ღვაწლი. დიდი დამსახურება მუძღვით ტრადიციული მედიცინის კვლევის საქმეში კავკასიის საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოების წევრებს: ი. მინკევიჩს, ი. პანტიუხოვს, ი. შაბლოვსკის, ა. შურიგინს... მათი ყურადღების ცენტრში კავკასიისა, და კერძოდ, საქართველოს მედიკურ-ტოპოგრაფიული, სამხარეო პათოლოგიის დადგენა იყო. ამასთანავე, ამა თუ იმ კუთხის კლიმატურ-ბალნეოლოგიური რესურსების გამოვლენა, ბუნებრივი სამკურნალო არსენალისა და მოსახლეობის სამედიცინო ტრადიციების კვლევა. მათ თავიანთ ნა-

შრომებში ყურადღება მიაქციეს ისეთ საკითხებს როგორც არის დაავადებათა ეტიოლოგია, სნეულებათა გავრცელების გეოგრაფია და პროფესიული დაავადებანი.

XX საუკუნის 30-იან წლებში და მომდევნო პერიოდში ქართული ხალხური მედიცინის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა ექიმებმა: უპირველეს ყოვლისა ლ. კოტეტიშვილმა, ა. გელაშვილმა, მ. სააკაშვილმა, გ. თედორაძემ, მ. შენგელიამ, ბ. რაჭველიშვილმა, პ. ფირფილაშვილმა და სხვებმა. ისტორიკოსებმა და ეთნოგრაფებმა: ს. მაკალათიამ, თ. სახოკიამ... მათ თავიანთ ნაშრომებში ყურადღება მიაქციეს ისეთ საკითხებს როგორც არის დაავადებათა ეტიოლოგია, სნეულებათა გავრცელების გეოგრაფია, პროფესიული დაავადებანი და სხვ. რაც სწორედ სამედიცინო ანთროპოლოგიის კვლევის საკითხებს წარმოადგენს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. ჩიტაიასა და ვ. ბარდაველიძის ღვაწლის შესახებ. გ. ჩიტაიამ ვ. ბარდაველიძესთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ხალხურ მედიცინასთან დაკავშირებული უნიკალური ეთნოგრაფიული მასალის დაუნჯებას. მათ მიერ შერჩეული მაღალი კლასის კორესპონდენტების (მ. და ნ. ბალიაურები, დ. მარგიანი, ალ. დავითიანი, ლ. დავითულიანი, გ. ლომთათიძე, გ. ზედგენიძე...) მიერ მოპოვებულ იქნა უნიკალური საველე მასალა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან – ხევსურეთიდან, სვანეთიდან, რაჭიდან, გურიიდან, სამცხე-ჯავახეთიდან...

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვ. ბერდაველიძემ ხალხური მედიცინის ეთნოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი პერსპექტივა დასახა, რაც გარკვეულწილად თანამედროვე სამედიცინო ანთროპოლოგიური კვლევის მიმართულების ანალოგიური იყო. მაგრამ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ვ. ბარდაველიძე ხალხური მედიცინის საკითხებს ძირითადად რელიგიურ კონტექსტში განიხილავს. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მის ცნობილ წიგნში – *Древнейшие религиозные верования и графическое обрядовое искусство грузинских племен* ის ნაწილი, რომელიც ბავშვთა ინფექციურ სნეულებებს ეხება. აქ იგი ფართოდ მიმოიხი-

ლავს აღნიშნულ დაავადებათა ისტორიას და იმ წეს-ჩვეულებებს რომელიც მათ უკავშირდებათ (Бардавелиძე, გვ. 83-91).

1980-იან წლებში ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სულიერი კულტურის ეთნოლოგიური კვლევის განყოფილებასთან შეიქმნა ხალხური მედიცინის ეთნოლოგიური შესწავლის ჯგუფი. ჯგუფის მუშაობას სწორედ ის პრინციპები ედო საფუძვლად, რასაც დღეს სამედიცინო ანთროპოლოგია ითვალისწინებს. მეცნიერულად დამუშავდა – ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა (მინდაძე, 2000), სადაც ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო მემკვიდრეობა სოციოკულტურულ კონტექსტშია განხილული, ასევე საქართველოს რეგიონების ტრადიციული სამედიცინო სისტემები: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (მინდაძე, 1981), სვანეთის (ბურდული, 1990), სამცხე-ჯავახეთის (ჩირვაძე, 2003), იმერეთის (ნებიერიძე, 2006), კახეთის ტრადიციული მედიცინის საკითხები (მინდაძე, ჩირვაძე, 2005). ზემოაღნიშნულ მონოგრაფიებთან ერთად გამოქვეყნებულია მრავალი სტატია ტრადიციული მედიცინის სხვადასხვა საკითხზე.

აღნიშნულ ნაშრომებში შესწავლილია და წარმოჩენილია საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო აზროვნება და სამკურნალო ტრადიციები, მათი ბიოლოგიური და კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით. გამოვლენილია სახალხო მკურნალობის სოციალური სტატუსი და როლი, მათი ფუნქცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობაში. ასეთი კვლევა ხელს უწყობს ქართველი ხალხის ყოფის, სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი მხარის გაშუქებასა და ამ კულტურული წრის განსაზღვრას, რომელშიც შეიძლება ჩამოყალიბებულიყო ქართული ტრადიციული სამედიცინო ცოდნა.

ამგვარად, სამედიცინო ანთროპოლოგიური კვლევა საქართველოში ვფიქრობთ დასავლეთის მეცნიერების თანადროულად დაიწყო, თუმცა ეს კვლევა სამედიცინო ანთროპოლოგიის სახელით არ მოიხსენიებოდა, საბჭოთა ქვეყნის მაშინდელი კონიუნქტურის გამო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бардавелидзе В.В., Древнейшие религиозные верования и графическое обрядовое искусство грузинских племен, ТБ., 1957
2. ბურდული მ., ხალხური მედიცინა დასავლეთ საქართველოში (სვანეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით), (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1990
3. ქართული ხალხური მედიცინა, (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიულის მასალების მიხედვით), თბ., 1981
4. მინდაძე ნ., ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა, (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2000
5. მინდაძე ნ., ჩირგაძე ნ., ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები, კახეთი, I, თბ., 2005
6. Михель Д.В., Медицинская Антропология, (კომპიუტერული ვერსია)
7. ნებიერიძე ლ., პედიატრიის ხალხური ტრადიციები საქართველოში (იმერეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 2006
8. Culture, Disease and Healing; Studies in Medical Anthropology, London, 1977
9. Sigerist Henry E., A History Of Medicine, Oxford University, 1951
10. ჩირგაძე ნ., მკურნალობის ხალხური ტრადიციები სამცხე-ჯავახეთში (ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით), (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 2003

Nino Chirgadze, Lela Nebieridze
Medical Anthropology and
Georgian Ethnological School

One of the important trends of modern anthropology, medical anthropology, studies means of struggle against diseases and the process of accommodation with the conditions of human environment (with the view of health), medical theory and practice, both natural and religion ideas about etiology of diseases and traditions of medical treatment.

A disease is not only a biological phenomenon, but it is also a socio-cultural one. Therefore human health, disease and its therapy should be considered not only in the biological context but in socio-cultural one too.

Medical anthropology, as such, took origin as a separate

scientific discipline in the 1970s'. Work in medical anthropology is still carried out successfully in foreign countries and many scientific centers and societies have been created which lead activity in medical anthropology.

Study of folk medical traditions in Georgia was started at the end of the 19th and the beginning of the 20th century.

In the 30s' of the 20th century V. Bardavelidze outlined significant prospects of ethnological study of folk medicine, which took into consideration the principles of study of medical anthropology.

In the 1980s' a group was created at the Department of Ethnologic Study of Spiritual Culture of the Institute of History and Ethnology, which had to study folk medicine ethnologically.

Ethnologists studying folk medicine deal not only with folk traditions of medical treatment but also with medical mentality of population of Georgia and therapeutic practice considering its socio-cultural values.

Thus, we can suppose that medical anthropologic study in Georgia was started in parallel with western medicine, although this study was not known under the name of medical anthropology due to the conjuncture of soviet state of that period.

შინაარსი

ნინო აბაკელია
კულტურული ანთროპოლოგია (ამერიკული ტრადი-
ცია) 7

ნინო ჩიქოვანი
ანთროპოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია, კულ-
ტურის მეცნიერებები: პრობლემები და პერსპექტივები
. 22

ნუგზარ მგელაძე, ვახტანგ შამილაძე
სოციოკულტურული ანთროპოლოგიის საგნობრივი პრობ-

ღემები	38
მანანა შილაკაძე “ეთნოლოგიის კრიზისი“	49
ნინო მინდაძე ქრისტიანული ანთროპოლოგია და ქართველი ხალხის შეხედულებები ადამიანის შესახებ	62
როზეტა გუჯეჯიანი მენტალობის კვლევის პრობლემა და ქართული ეთნო- ლოგია	84
ქეთევან ხუციშვილი ეთნოლოგიური კვლევების თანამედროვე ტენდენციები	94
მიხეილ მინდაძე ეთნოგრაფია სკოლაში	103
ნოდარ შოშიტაშვილი, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ირაკლი ბაქრაძე ეთნოგრაფიული მუზეუმი და საგანმანათლებლო საქმი- ანობის თავისებურებები	108
როლანდ თოფჩიშვილი ეთნოლოგიის სწავლების კონცეფცია	122
მაია ქვრივიშვილი, ივანე წერეთელი ანთროპოლოგია და სხვა მეცნიერებები	142
ქეთევან კაკიტელაშვილი კულტურის ანთროპოლოგია და ისტორია: გადაკვეთის მომენტი	149
ელენე გოგიაშვილი ფოლკლორისტიკის მეთოდების მნიშვნელობისათვის ინტერდისციპლინური კვლევების სფეროში	155
თინათინ ღუდუშაური კულტურის სივრცობრივი გავრცელების თეორია ან-	

თროპოლოგიაში	162
ლავერენტი ჯანიაშვილი ნაციონალური პოლიტიკის კონცეფცია და მეთოდოლო- გიური ინოვაცია რუსულ ეთნოლოგიაში	177
მურმან გორგოშაძე, მანუჩარ ლორია, ლევან ჯაყელი იურიდიული ანთროპოლოგიის საგნის საკითხისათვის	188
პირიმზე რურუა, თამილა ლომთათიძე სულიერი კულტურის კვლევა: სტერეოტიპები და განვი- თარების პერსპექტივები (აჭარის მაგალითზე) . .	196
ხათუნა იოსელიანი ქართული ეთნოლოგიური სკოლა	208
გიორგი გოცირიძე პრაქტიკული ეთნოლოგიის ამოცანები საქართველოში	217
მალხაზ თორია დროის აღქმა: კულტურ-ანთროპოლოგიური ხედვა	226
სოსო ჭანტურიშვილი ანთროპოლოგია - მომავლის მეცნიერება!	233
ნინო ღამბაშიძე ეთნოლოგია და ანალიტიკური ფსიქოლოგია	243
თეა ქამუშაძე ეკონომიკური ანთროპოლოგიის ძირითადი მიმართულე- ბები	253
ნინო ჩირვაძე, ლელა ნებიერიძე სამედიცინო ანთროპოლოგია და ქართული ეთნოლოგი- ური სკოლა	260

Contents

Nino Abakelia	
Cultural Anthropology (American Tradition)	7
Nino Chikovani	
Anthropology, Cultural Anthropology, Cultural Studies: Problems and Perspectives	22
Nugzar Mgeladze, Vakhtang Shamiladze	
Problems of Social-Cultural Anthropology as a Course	38
Manana Shilakadze	
“Crisis of ethnology”	48
Nino Mindadze	
Christian Anthropology and the Georgian Peoples Views of Man . .	

.....	62
Rozeta Gujejiani	
Study of mentality and the Georgian ethnology	84
Ketevan Khutsishvili	
Contemporary tendencies in development of ethnological studies	
.....	94
Michael Mindadze	
Ethnography in the School	103
Nodar Shoshitashvili, Jimsher Chkhvimiani, Irakli Bakradze	
Ethnographical museum and Features of educational activities . . .	
.....	108
Roland Topchishvili	
Conception of Teaching Ethnology	122
Maia Kvrivishvili, Ivane Tsereteli	
Anthropology and other sciences	142
Ketevan Kakitelashvili	
Cultural Anthropology and History: Crossing Point	149
Elene Gogiashvili	
For the Importance of the Methods of Folkloristics in the Field of	
the Interdisciplinary Studies	154
Tinatini Gudushauri	
Theory of Culture Spatial Dispersion in Anthropology	162
Lavrenti Janiashvili	
National policy and methodological innovation in Russian	
ethnology	176
Murman Gorgoshadze, Manuchar Loria, Levan Djakeli	

On the Issue of Legal Anthropology as a Course	187
Pirimze Rurua, Tamila Lomtadze	
Stereotypes of Spiritual Culture Research and Development Tendencies (case of Adjara)	195
Khatuna Ioselaini	
Georgian Ethnological School	207
George Gotsiridze	
Tasks of applied ethnology in Georgia	216
Malkhaz Toria	
Perception of Time from Persepective of Cultural anthropology	225
Soso Chanturishvili	
Anthropology – Sicience of the Future!	231
Nino Gambashidze	
Ethnology and Analytical Psychology	241
Tea Kamushadze	
The General Concepts in Economic Anthropology	251
Nino Chirgadze, Lela Nebieridze	
Medical Anthropology and Georgian Ethnological School	258